

„მას სავიზო უფლება არაა“



გაქვარში მანქანით
გადავარდინილი
მამაკაცის ავტოვიზა

პირველი

N23 (469) 4/VI 49/VI, 2009
შპსი 1 ლა



„თბილისის მერი გავხდები...“

აქუბარდიას არხის
სამფარეულო და ტელენამყვანის
პოლიტიკური ავტობიოგრაფია



უსქესო სამონი
და უფუფარებულის
რჩევები ქრისტინის



„ქატიც ქატიც ჩანაცვლება
ჩვენი პრინციპი არ არის“



როგორ მოხვდა ჯაბა
კილაძის შთაღნი
ოჯახი „შუა ქალაქში“



„ღღას რომ ცოცხალი
ვარ, ჩემი ცოლის
დამხანებულება“ ...

ოთხი შვილის დედა, როგორც სხვის რვა შვილსაც ზრდის



„საქართველო და მსოფლიო“
ფრთხილი 2034 სს
ბმ ჩაბე: 15
გთ მუცა: 20
სტეფი სტეფი
სტეფი სტეფი

365
საქართველო და მსოფლიო
ფრთხილი 2032 სს
ბმ ჩაბე: 15
გთ მუცა: 20
სტეფი სტეფი

ყველაფერი
ფრთხილი 2029 სს
ბმ ჩაბე: 15
გთ მუცა: 20
სტეფი სტეფი

წიგნი ხელოვნებაზე
ფრთხილი 2029 სს
ბმ ჩაბე: 20
გთ მუცა: 20
სტეფი სტეფი

365
საქართველო და მსოფლიო
ფრთხილი 2032 სს
ბმ ჩაბე: 15
გთ მუცა: 20
სტეფი სტეფი

საქართველო
ფრთხილი 2027 სს
ბმ ჩაბე: 15
გთ მუცა: 20
სტეფი სტეფი

მოყოლილი სულქი
ფრთხილი 14320 სს
ბმ ჩაბე: 174
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

საქართველო
ფრთხილი 14320 სს
ბმ ჩაბე: 224
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

საქართველო
ფრთხილი 14320 სს
ბმ ჩაბე: 192
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

საქართველო
ფრთხილი 2027 სს
ბმ ჩაბე: 14
გთ მუცა: 20
სტეფი სტეფი

საქართველო
ფრთხილი 2028 სს
ბმ ჩაბე: 14
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

საქართველო
ფრთხილი 2028 სს
ბმ ჩაბე: 12
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

გამომცემელი: ბელონიგები

მუშაობს 6056300, მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 30ა, 7 სართული, თბილისი

33
ფრთხილი 2031 სს
ბმ ჩაბე: 24
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

ბამბუკი
ფრთხილი 1632 სს
ბმ ჩაბე: 24
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

საქართველო
ფრთხილი 16315 სს
ბმ ჩაბე: 24
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

საქართველო
ფრთხილი 1632 სს
ბმ ჩაბე: 24
გთ მუცა: 199
სტეფი სტეფი

შპრანალი **შპრანალი**

„მასთან ყოფნა ღირსეაობი საქმითა“

„...მასთან ყოფნა...“

მსგენილები




სამორნილო ხურიოზები



მსგენილები



ქალაქში ლაგოვისა
ჯემ გმითი, ამ
შიღლის და მემოქცე —
ყოველ დღე!



იანკლი

39

„ამერიკულ პირამიდებზე უკეთესად ვინც, რას ფიქრობს გლეხი ჩვენ სოფელში“

„თუ თობიციამ თავისი გაიგანა და სააკაშვილი გადაღბა, დღევანდელი ლიდერები სათავეში მოსასვლელად იდენად მოუმზადებლები არიან, 3-4 წელში მორიგი რევოლუცია მოხდება“.



20

არის თუ არა ლეგვი ლომის სწორი



„ქალების 90% ოჯახს თავად ინახავს მშინ, როცა მისი მეუღლე დივანზე წამოკოტრიანებული სერიალს უყურებს. ფუნქციები თითქოს შეიცვალა და ამ ცვლილების დროს, მამაკაცი უფუნქციოდ დარჩა“.

24

■ მიწიათიურები

თავისუფალი თავისუფლების მოვადინი ანუ „ვაშააა, მიშა ნაშიდაა!“ 5

■ ივადი

პაბარა ბიჭის ფიქრები 6

■ მადლი

მრავალშვილიანი ღაღა, რომელიც სხვის 8 შვილსაც ზრდის 7

■ პოლიშია

„ქათის ქათით ჩანახულება ჩვენი მიზანი არ არის“ 9

■ პარსონა

„ღღას რომ მოსხალი ვარ, ჩემი მუშაღის ღამსახულება“ 12

■ ქირაღლისტის როღი

„უქანო“ სამოსი, ივადისმომხავი ღიზიანერი და მუყვარაღულის რჩევაღი ქრისტის 14

■ პოღიღიკა

რამ მანაღირობა ხეღისუფლებიღსა და როღონიღის ღამსახუღობა 17

■ კოღაღა

„40 წეღამღა, თბიღისის მერი გავსღაღი“ 18

■ პერღიღი

„მერიკაღლ პირამიდაღარაღა უკათესად ვიღი, რას ფიქრობს გლეხი ჩვენს სოღაღში“ 20

■ ოჯახი

ოჯახი, რომღის ყვეღა ნეერი სერიაღლ „შუა ქაღაქში“ მონაღიღეღოღს ანუ ჯაღა ქიღაქაღ და მიღი მმობღაღი 22

■ პროღაღა

არის თუ არა ლეკვი ლომის სწორი და როღორ ეღმით მანეღარული ბაღანსი საქართვეღოღი 24

■ საღამარკღო

„ჩემი ბიღირაღა ქეღიღა!“ 26

■ ღიღიღისტი

✓ ბერღუსკოღი აზობოქრღა 27

✓ სარკოღი ბრიღანთიღის საღეღო 28


ოჯახი მანანეღა 28

■ ტანღეღი

„ონსღს პირღაღლ მანსოღის სურვიღი ყოვეღთვის მქონღა...“ 29

■ ანტიღავარსანტი 30

– მე კი გავჩუმდები, მაგრამ ეს შენს პრობლემებს რამეს უშველის? რა ვქნა, პირადად მე, ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ მამაკაცის ხარჯზე ვიცხოვრო, არ ვარ მართალი?



წითლანი ფანსახავანი

– მაგრამ ამისთვის საკუთარი სხეული არ უნდა გაყიდო. არ გეგონოს, რომ ცხოვრების წესს გიწუნებ, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ თავად ამის მომხრე არ ვარ, ჩემთვის მსგავსი რამ მიუღებელია. მირჩევნია, მხოლოდ პურის ფული მქონდეს, ვიდრე...

82

■ ემიგრანტი	
როკითი განუხილელი ქართული გენი	30
■ ოსტატი	
ხის ძირკვლით გასომსლებული სანაბნი და უსაპეზო შეხვედრები „ნაბერის ხის“ ავტორი	32
■ მოზანიკა	
✓ 40 წელს გადახილული ვარსკვლავი დედაბი	34
✓ უსნაური ქონქარსები	34
■ ჯანმრთელობა	
რჩევები დედას	36
■ ქურნალი ქურნალო	
✓ ხსოვრება	39
✓ გზავნილები	55
■ შეჩერებული წამი	
„სეზონი იყო მუდღის გამო, მათი შეხვედრის შეხსნა მიყვაროდა“	71
■ უშიშროების არქივიდან	
საქმე №9997 – „მა რომ ასე ვხედავ, ვაღიარებდი, რომ სიამის ჯაშუში ვარ“	72
■ რომანი	
ვაჟა გიგაშვილი. ერთი ვინაა ყაფიანიშვილი (გაბრიელა)	74
■ ტიმი-პუტი	78
■ საკითხავი ქალაქისთვის	
✓ ბედნიერების 7 წრა	80
✓ ისწავლეთ სტრანის დაქვევა	81
■ სასიყვარულო რომანი	
სვაბა კვარაცხელია. ნითელი ფანსაქმელი (დასაწყისი)	82
■ გიორგაშია	
ფრანსის სკოტ ფისჯარალი – არისტოკრატი, მოღვაწე მწერალი და შოქოტისთავი	86
■ ვარსკვლავები	88
■ კვალი	
კახი, რომელმაც მისწერა კარინას ლიტერატურა არჩია	90
■ თინეიჯერული პროზა	
მონუსი თინეიჯერების სიყვარულის ამბავი	92
■ მავშლები	
„სიმოსლე მამაბაბა, როდესაც სამაშველო მოვარსებია წარმატებით სრულდება“	94
■ ზეიმი	
„პრონაქილის“ იუბილე, მათა „თბილისური აისი“ და ნანატრი ვარსკვლავი	97
■ ეკანს ვიღვა	
სამი რეჟისორის თვალთ დანახული ომის საშინელება და მომხრის ხედავი 90-იანი წლების საქართველოში	98
■ ტაქარი	
✓ სულთმოფენობა – „ახალი აღთქმის“ დაბადების დღე	100
✓ დღესასწაული მსხეთის ჯვრის სასწაულებრივი გამოჩენებისა	101
■ ასაარაზი	
„ოლივიანოსი“ – თამარ ქვარცხელიას ახალი გამოქვევა	102
■ ავტო	103
■ სანქტორი	104
■ ასტროლოგია	105
■ პატარავი გენიოსობა	105
■ დედამისი	106

გარეკანზე: ირა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივი-კოლტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, სუბსაბატირით გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატებად. ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე. მთ. რედაქტორის მონადელები: ლალი ფაცია, ლიკა ქავჯაია. მენეჯერი: მათე კვიციანი. **მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49**
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ბედნიერების 7 წრა




სასურველია, იცოდეთ, რომ ადამიანი ყოველწლიურად, ცხოვრების შეიქ ციკლს გადის, რომელთა გათვალისწინებით შეგიძლიათ, ცხოვრება გააღვილოთ.

80

საქმე №9997

მწერლებთან შეხვედრის შემდეგ ბერიამ განკარგულება შეცვალა, მაგრამ გულში ბოღმა ჩაიღო, რადგან მწერლებმა ის უვიცობაში აშილეს. მოგვიანებით, ბერიას ბრძანებით, თითქმის ყველა ის მწერალი დააპატიმრეს და დახვრიტეს, რომელიც მასთან შეხვედრის ეკლესიის გადარჩენის თხოვნით იყო მისული.



72

„ნემო ატირება ქნელია!..“



„ბიჭი, რომელიც მომეწონება, უნდა იყოს მაღალი, უხვი, მდაბალი და ლამაზი. შეიძლება, ახლა გითხრა, – ქერა, ცისფერთვალე ბიჭები მომწონს მეთქი, მაგრამ ხვალ სულ სხვანაირი ტიპი მომეწონოს.“

26

– აუჰ! ბაგრატიონ-მუხრანცი! მოსულა კილო!

მოახლოებულ იორამს გაუღიმა და თავაზიანად დაუკრა თავი. იორამმა რაღაც შევებასავით იგრძნო ამ მისთვის აუგანელ, მგრულ გარემოში. მივიდა გახარებული და ხელი გაუწოდა:

– გამარჯობათ! როგორ გიკითხოთ?!



74

თავისუფალი თავისუფლების მოედანი ანუ „ვამაა, მიშა წავიდაა!“



1-ელ ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს ჩემი და სხვისი შვილები სასეირნოდ წავიყვანე. ზოოპარკი და წარსული ზეპირად იციან უკვე, ამიტომ საკნებით გადაკეტილი ადგილების დასათვალისწინებლად წავედით — მომავალიც ხომ უნდა ნახონ ბავშვებმა!.. თავისუფლების მოედანი თავისუფალი რომ დავინახე და მანქანითაც გავიარე, იმხელა ხმაზე ვიყვირე, — მიშა წავიდა-მეთქი! — მეეზოვემ თავისი გრძელტარისანი „ზოზლი“ მაძგერა ჩამონეულ ფანჯარაში, — არ მოესწარი მაგ დღესო!.. პრეზიდენტის ერთგულებისა და პოლიტიკური მსოფლმხედველობისთვის, ნამდვილად დავაფასე ის ქალბატონი, მაგრამ ცოცხი მართლაც, ტენდენციურად იხმარა. ეტყობა, ისე მოენატრა საყვარელი მოედნის დასუფთავება, საკნები რომ არ აეღოთ, ოპოზიციის რომელიმე ლიდერი გახდებოდა იმ ცოცხის მსხვერპლი.

გულის სიღრმეში მაინც სევდა შემომეპარა: რატომ გადადგა ასე უცებ, რამდენი კარგი რამ გააკეთა! ბოლოს და ბოლოს, წინა პრეზიდენტს ხომ სჯობდა, რომელზეც ვამბობდით, — რამდენი კარგი რამ გააფუჭა-თქო!.. არა, იმას მართლა სჯობდა: იმას ან სუშის და თევზის ფხის ჭამის თავი სად ჰქონდა და ან

ეროტიკული მასაჟის?! ეს — ახალგაზრდა, ენერგიული, 2013 წლამდე გარანტიით და „მიშნების პერსპექტივით“ კაცი ასე იოლად როგორ წავიდა?! მაგრამ რაც მოხდა — მოხდა, ხვალინდელზე უნდა ვიფიქროთ-მეთქი, — და ტელეფონი მოვიმარჯვე: პარლამენტარებს არ დავურეკე — რა აზრი აქვს?! რაც მიტინგები დაიწყოს, ისე არიან შემინებულები, ბაქრაძის მშობლები სოფელში რომ წავლენ, მის სახლში ატარებენ ფრაქციის სხდომებს და კარზე რომ კაკუნია, — ვაიმე, ოპოზიცია არ იყოსო! — პატარა ბავშვის ხმით პასუხობენ: მალტო ვალ და ველ გაგიღებო... თბილისის მერთან დარეკვასაც აზრი არ ჰქონდა: პრეზიდენტი თუ წავიდა, ეს იმას გასწრებდა... ამიტომ, ოპოზიციაზე გადავედი. ველაპარაკე ლიდერებს და ზოგიერთ მათგანს ისე შეეშინდა მიშას გადადგომის და ისე გამიმეორა მეეზოვის სიტყვები, რომ მივხვდი — მართლა არ უნდა გადამდგარიყო.

ზოგმა კიდე, კი გაიხარა და სამახაროებლსაც დამპირდა, მაგრამ კითხვაზე, — შენ საიდან იციო? — რომ ვუპასუხე, — თავისუფლების მოედანია გახსნილი და ე.ი. გადადგა, თორემ პირობას ხომ არ დაარღვევდით და ხომ არ გახსნიდით-მეთქი, — დაბნეულებმა და შერცხვენილებმა ჩაილულლულეს: „პროსტა“, ხალხი წუხდებოდა და მოკვრიდებოდა... რაიო?... ხალხი წუხდებოდაო?! ხალხი რომ შეწუხდებოდა, არ იცოდით?... თუმცა, უკაცრავად, თქვენ რომელ ხალხზე მელაპარაკებოთ? იმ ტაქსის მძღოლებზე ხომ არა, ზედმეტი „კრუგების“ „რტყმევამ“ რომ შეაშფოთა, — ემანდ, დაგემილზე მეტი შემოსავალი არ გაგვიჩნდესო?! თუ იმაზე, ვინც ანტისანიტარიამ გააგიჟა და მერიის შეწუხებას „მოკვრიდა“ — ნავის გატანის თხოვნით, „ხალხის მსახურები“ დიდ საქმეებს როგორ მოწყვიტო?! მაგრამ იმ ხალხს რაღა პასუხს სცემთ, რომელიც პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, თქვენ გვერდით ათენალამებს და, საკნებისა თუ „სირცხვილის დერეფნების“ მონყოლა კი არა, ლამის საჭაერო კორიდორების „პიკეტირება“ დაიწყოს, რომ მორიგ ვოიაჟში გაფრენილ სააკაშვილს თბილისის აეროპორტში დაშვების საშუალება არ მისცეს?!.

ამ ფიქრში ვიყავი ჩაძირული, ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

ირდა, მაგრამ კითხვაზე, — შენ საიდან იციო? — რომ ვუპასუხე, — თავისუფლების მოედანია გახსნილი და ე.ი. გადადგა, თორემ პირობას ხომ არ დაარღვევდით და ხომ არ გახსნიდით-მეთქი, — დაბნეულებმა და შერცხვენილებმა ჩაილულლულეს: „პროსტა“, ხალხი წუხდებოდა და მოკვრიდებოდა... რაიო?... ხალხი წუხდებოდაო?! ხალხი რომ შეწუხდებოდა, არ იცოდით?... თუმცა, უკაცრავად, თქვენ რომელ ხალხზე მელაპარაკებოთ? იმ ტაქსის მძღოლებზე ხომ არა, ზედმეტი „კრუგების“ „რტყმევამ“ რომ შეაშფოთა, — ემანდ, დაგემილზე მეტი შემოსავალი არ გაგვიჩნდესო?! თუ იმაზე, ვინც ანტისანიტარიამ გააგიჟა და მერიის შეწუხებას „მოკვრიდა“ — ნავის გატანის თხოვნით, „ხალხის მსახურები“ დიდ საქმეებს როგორ მოწყვიტო?! მაგრამ იმ ხალხს რაღა პასუხს სცემთ, რომელიც პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, თქვენ გვერდით ათენალამებს და, საკნებისა თუ „სირცხვილის დერეფნების“ მონყოლა კი არა, ლამის საჭაერო კორიდორების „პიკეტირება“ დაიწყოს, რომ მორიგ ვოიაჟში გაფრენილ სააკაშვილს თბილისის აეროპორტში დაშვების საშუალება არ მისცეს?!.

ამ ფიქრში ვიყავი ჩაძირული, ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

ბავშვებთან ერთად სეირნობიდან გულგაპობილი რომ დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ: მიშა მართლა წასულა, ოღონდ — ბათუმში... საბავშვო ბაღში იყო მისული... მართლა კარგი კაცია, დიდთან — დიდია და პატარასთან — პატარა: ბალის აღსაზრდელებთან ერთად, იატაკზე სოხავდა, მათსავით „კუბიკებს“ აწყობდა, მათსავით ილიმოდა და მათსავით ცხვირს იხოცავდა... ისე, სწორად მოიქცა ოპოზიცია, თავისუფლების მოედანსა და კოსტავაზე საკნები რომ აიღო. რუსთაველიც გაათავისუფლეთ, ხალხო, მიშა წავიდა! სულ ბათუმშია და მე მგონი, ბათუმის მერად მუშაობს... თქვენც მეტი რა გინდოდათ?!

პროპოკატორი

მოგესხნებათ, ზაფხულის პირველ დღეს მოხუცი დედამინა პატარების დღეს აღნიშნავს. ცხოვრების გზაზე მიმავალთ ყოველ დროებაში აინტერესებდათ: ვინ მოდიოდა და რა მოჰქონდა მომავალს ახალი... და თუკი დედამინა ისევ დასვამს კითხვას: ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?! 9 წლის ბათუმელი ნიკა ფუტკარაძე ერთ-ერთი იქნება იმ საიმედოთა შორის, რომელიც იტყვის: გამარჯობა, სამყარო, მე მოვდივარ!..

გაბაგა პიჭის ფიქვები

„მოფრინდა ჩემში ლექსის უფალი და მჯერა, აღარასოდეს მიმატოვებს“

ჯაბა ანანიძე

ბაბუს

ბაბუ, ჩემო კარგო, რატომა ხარ ცუდად? ერთი მაკოცინე და მოგარჩინე უცბად. აი, თურმე, ბაბუ, როგორ მყვარებიხარ, გეფიცები მართალს, დაგჭირდები? — აქ ვარ!

ეს რომელიმე საბავშვო მწერლის ლექსი არ გეგონოთ. ბაბუს ასე ლამაზად 9 წლის ნიკა მოეფერა. ის ცხოვრებას ბავშვური თვალბრუნებით, მაგრამ დიდი გონებით გადახედავს ხოლმე, ჩაფიქრდება და საიდანადაც მოფრენილ მუხას ჩასჭიდებს ხელს... ეფერება ბუნებას, მწვანეფოთლებს ხეს, გათელილ ბალახს, გაუგებრობით დაღლილ ადამიანებს, „იანანას“. მის ცხოვრებაში თითქოს, უჩვეულო არაფერია: დადის სკოლაში, ხატავს დათუნას და ცისარტყელას, გასაოცრად ცეკვავს ქართულ ცეკვებს... მაგრამ ბოლო დროს, პატარა ბიჭის ფიქრები უფროსებსაც აოცებთ. ნიკა ლექსის წერის სურვილს ხან საკლასო ოთახში იოკებს, ხან — შინ. პატარა შემოქმედს ყველა ისეთ ადამიანთან უხარია საუბარი, ვისაც პოეზია უყვარს, ვინც ცხოვრებას მხოლოდ შავ-თეთრ კადრებად არ აღიქვამს. ნიკა საოცრად თავისუფალი, შემტევი და საკუთარი აზრების დამცველია.

ნიკას სამყარო

— დედამინა ცოდვით დაილაღა, ადამიანები ხომ ცოდვილები ვართ. ჩვენ ადვილად ვივინყებთ ღმერთს, თავმდაბლობას, პატივისცემას... დაკვირვებივარ და შემომჩნევია, ადამიანებს აღარ ესმით ერთმანეთის. არც ჩემი ესმით ხანდახან და რა ვქნა?! არის რაღაც საიდუმლოება, რომელსაც ვერავის გაანდობ. მეც მაქვს ისეთი ფიქრები, რომლებიც მხოლოდ ჩემი სულის საკუთრებაა და მათ ვერავის ვეტყვი, მაგრამ ხომ ხედავთ, რომ ადამიანები ერთს ფიქრობენ და მეორეს ამბობენ?! ალბათ, იმიტომ, რომ აღარავის ენდობიან, ცხოვრების სიხარუ-

ლი დაკარგეს. ერთხელ ფერებზე დავწერე. ჩვენ ხომ, მაგალითად, თეთრს სიკეთის ფრად მივიჩნევთ? ჩემი აზრით კი, თეთრი ცივი ფერია. არ მომწონს ყველა ერთნაირად რომ აღიქვამს სამყაროს. ღმერთი ულამაზესად ცხოვრების საშუალებას გვაძლევს და ეს უნდა გამოვიყენოთ. ყველაზე ლამაზი — ცაზე გამოჩენილი ლურჯი ღრუბლებია, მათ ნახვას არაფერი სჯობს... ჰო, კიდევ რა მინდოდა მეთქვა: ხანდახან ადამიანები თბილი ფერის ტანსაცმლით იმოსებიან და ამის წყალობით, მათი ჩახუტება გინდება, მაგრამ შინაგანად, ზოგიერთს სულ სხვა სული აქვს — მგლები არიან და გვემალებიან. კიდევ კარგი, რომ არსებობს სიკეთე, კეთილი ადამიანები.

„მზე გამინათებს მწვანე ბილიკებს“

— ასე ერთ-ერთ ლექსში დავწერე. ერთხელაც მოფრინდა ჩემში ლექსის უფალი და მჯერა, აღარასოდეს მიმატოვებს. ვერ გეტყვით, რა მანერინებს. უბრალოდ, ამა თუ იმ ადამიანის მოქმედება, სიკეთე თუ ბოროტება ჩამაფიქრებს და ვწერ. ამას წინათ, კაცმა გაზაფხულის მწვანე ბალახი ისე გადათელა, რომ აღარ ვიციოდი, რა მექნა... მინდა, ადამიანებს ბუნება უყვარდეთ, ესმოდეთ ბალახის სუნთქვა, ჩიტის ენა. იცით, რამდენი რამ მაქვს სათქმელი? — ძალიან ბევრი, მაგრამ ყველაფერზე დაფიქრებაა საჭირო. მე ის მახარებს, რომ უფრო და უფრო კარგ ლექსებს ვწერ. ასე მგონია და რა ვიცი...

„როგორ ამბობენ, პოლიტიკა რა ჩემი საქმეაო?“

— მალიზიანებს ის ადამიანი, რომელიც ამბობს, — პოლიტიკა რა ჩემი საქმეაო?! კი, ბატონო, შეიძლება, არც ჩემი საქმეა, მაგრამ თუკი ამ ქვეყნის შვილი ხარ და გტკივა, როგორ უნდა დადუმდე? მე თითოეულ პოლიტიკოსს ვუსმენ და ზოგის მჯერა, ზოგის — არა. მინდა, ერთმანეთის გვესმოდეს



და ქრისტე ღმერთი არ დავივინყოთ. ნარსულიც არ უნდა დავივინყოთ, ჩვენ ხომ დიდი ქართველების შვილები ვართ, რომლებიც ჩემდა სამწუხაროდ, ახლახან ერთმანეთს შეაჯიბრეს.

„მინდა მყავლეს ლამაზი ცოლი“

— სიყვარულზეც ვწერ ლექსებს. ჩემს შეყვარებულს აუცილებლად გრძელი თმა და თბილი თვალები ექნება. ის გოგო მერე თვალხატულა შვილებს გამიჩინს, მე კიდევ ავაშენებ ლამაზ სახლს, რომელსაც ხის ღობე ექნება. მე და ჩემი შვილები ამ ღობეს ცისარტყელას ფერებით შევვლავთ...

ბოლოს 9 წლის ნუკა ფუტკარაძის კიდევ ერთ ნამუშევარს გთავაზობთ:

ფერიანი

ერთ სახლში 3 ფერი ცხოვრობდა: ყვითელი, მწვანე და ლურჯი. მწვანე ბუნებას და მწერებს ქმნიდა, ყვითელი სითბოს და სინათლეს ანიჭებდა ადამიანებს, ლურჯი — წყალს და ზღვას. ერთხელ ფერებს ორი ბიჭი ესტუმრა. ბიჭები კარზე დაკაკუნების დროს ხრამში ჩაცვივდნენ. მწვანე ფერმა გააჩინა ბალახი და ბიჭები რბილად დაეცნენ. ყვითელმა ფერმა ბავშვებს სინათლე მისცა და ხრამი გაანათა, ლურჯმა კი შეშინებულ ბიჭებს წყალი დააღვინა.

აჭარული იავნანა

დიდგორაზე ვიყავ განა, გამახსნიდა დედის ნანა, თვალებიდან ჩამომცვივდა, ჩემი დედის ცრემლი თანა, ავტირდი და გავიხსენე იავნანა, ვარდონანა, ყველას ვურჩევ, თავის შვილებს დაუმიღერონ იავნანა, დედის ნამღერ იავნანას რა ჯობია, მითხარ, განა?!

ლიბა ქაჩაია

მრავალშვილიანი დადა, როგორც სხვის 8 შვილსაც ზრდის

„ჩემს შვილს ვერ მოვკვავ და თან, ამაში ფულს არ გადავიხდი...“

შერამაღინი:

— წარმოშობით ასპინძის რაიონიდან გახლავართ. 15 წლის ვიყავი, როცა ბედის საძიებლად თბილისში ჩამოვედი და ბინა ვიქირავე. მაშინაც რალაცებს ვცოდვილობდი, 2 კაპიკს ვმოულობდი და მარტოს თავის გატანა არ მიჭირდა. დაახლოებით 25 წლის ვიყავი, როცა მეგობრებს ავეყვი და ბედობა დღეს ე.წ. „კალცოში“ ჩავიხედე. მაშინ პირველად დავინახე მარინა, ჩემი მომავალი მეუღლე, რომელიც მანამდე თვალთაც არ მყავდა ნანახი. ის სარკმელთან იდგა და იცინოდა. მისმა საოცრად გრძელმა თმამ უმაღლესი დამაბნეველი ჰქონდა, დავინახე „კალცოში“ ნანახი გოგონას ძებნა. მალე აღმოვაჩინე, რომ ის იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა, სადაც მე მდგომარად ვიყავი. მარინა მაშინ რადიოქარსანაში მუშაობდა. იმდენი მოვახერხე, რომ თავი შევავყარე, მერე კი მის ოჯახში მივედი და სასიდედროს განუწყობადე: ან თქვენი ნებით გამაყოლებთ, ან მოვიტაცებ-მეთქი.

— მისი შერთვის ნება დაგრთეს?

— ეტყობა, კარგი თვალთ შემოხედეს და მარინა გამომაყოლეს. ჩვენ თავიდან მდგომარად ვცხოვრობდით. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც ბოთლებს ვაგროვებდი და ასე ვარჩენდი ოჯახს, მერე კი მეტროში, გვირაბის გამყვანად დავინახე მუშაობა. 1994 წელს, როცა უკვე 5 შვილი გყავდა და მეექვსეს ველოდებოდით, დაგვაბინავეს თბილისის ზღვასთან ახლოს აშენებულ კორპუსში.

— მატერიალურად ძალიან გიჭირდათ, ქირით ცხოვრობდით და მაინც, შვილების გაჩენას, მათზე ზრუნვას ახერხებდით...

— დიას. სხვათა შორის, ვიდრე მარინას ცოლად მოვიყვანდი, ვუთხარი: იცოდე, მე მრავალშვილიანი ოჯახიდან ვარ (ჩემს მშობლებსაც 8 შვილი ჰყავდათ) და ვერ ავიტან, რომ მხოლოდ ერთი შვილი გამიჩინო; იცოდე, მე ჩემს შვილს ვერ მოვკვავ და თან, ამაში ფულს არ გადავიხდი-მეთქი. სწორედ მაშინ გამომიტყდა, რომ ისიც ბევრი შვილის ყოლაზე ოცნებობდა...

— ამდენი ბავშვის მოვლა არ უჭირდა?

— როგორ არ უჭირდა! საცოდავს ცხოვრებაში თითქმის არაფერი უნახავს, „პილიონკების“ რეცხვის მეტი არაფერი უკეთებია. რომ მცოდნოდა, ამ ქვეყნიდან ნაადრევად წავიდოდა, შესაძლოა, მის გამო სხვანიარად მეცხოვრა...

— ყველაზე პატარა რამდენი წლის იყო, როცა თქვენი მეუღლე გარდაიცვალა?

— 6 თვის იყო.
— **მარტოდ დარჩენილ შვილების მოვლაში ვინ გეხმარებოდა?**

— უფროსები პატარებს უვლიდნენ. თან, სიდედრიც მოდიოდა ხოლმე და ყველაწიარად გვეხმარებოდა... ერთხელ, რალაც დახ-

მათ, ვისაც ერთი ან ორი შვილი ჰყავთ, ძალიან უკვირთ, თუ როგორ უვლიან მრავალშვილიანი ოჯახები თავიანთ პატარებს, რადგან ბავშვების მოვლა-პატრონობა არც ისე იოლი საქმეა. ლეკიშვილების ოჯახს 8 შვილი — 7 გოგო და ერთი ბიჭი ჰყავს. ოჯახის დიასახლისი წლების წინ გარდაიცვალა და ახლა პატარებს ასევე მრავალშვილიანი დედინაცვალი უვლის. 4 შვილის დედამ გადანაწილა, სხვისი შვილებისთვისაც მოეწყო, გარისკა და მეორედ გათხოვდა. ბატონი შერამაღინი ამბობს, რომ მრავალშვილიანი ოჯახის მამა და მიუხედავად მატერიალური სიდუხჭირისა, თავს ბედნიერ ადამიანად მიიჩნევს, რასაც ვერ ვიტყვი მის ერთადერთ ვაჟიშვილზე — ლაშაზე, რომელსაც ჩემთან საუბრისას ლოყა ცრემლებმა დაუნამა.



მეგი და შერამაღინი შვილებთან ერთად

მარების თაობაზე გამგეობაში მივედი, იქ კი ვილაც გაუზრდელმა ახალგაზრდამ მითხრა: თუ შვილების რჩენის თავი არ გქონდათ, რატომღა აჩენდით?! გული მეტკინა. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ქართველებს ვამრავლებ-მეთქი. მერწმუნეთ, მართლა არ შემიძლია, საკუთარი შვილი მოვკლა... მართალია, ბავშვებს ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მიუხედავად ამისა, თავს მაინც ბედნიერად გრძნობენ, გულს სითბოთი აქვთ სავსე...

— მეორედ დაქორწინება რატომ გადანაწილეთ და თქვენმა შვილებმა ქალბატონი მეგი როგორ მიიღეს?

— მოგეხსენებათ, უქალო ოჯახი ბოლომდე ბედნიერი ვერ იქნება. ბავშვებს, სწავლის პარალელურად, საოჯახო საქმეების კეთება უჭირდათ, მე კი სულ ქუჩაში ვიყავი, რათა ერთი-ორი თეთრი მეშოვა და შვილებისთვის ლუკმაპური მიმეტანა. თან, სიზმარიც ვნახე — ჩემთან მარინა მოვიდა და მითხრა: კაცო, ბავშვებს მიხედე, თორემ დაიფანტებიან, მათ პატრონი გაუჩინეო. სწორედ ამის მერე გადავწყვიტე, ცოლი შემერთო... ერთხელ ჩემმა სიძემ, ცხონებულმა თამაზ კასრაძემ მკითხა, — ერთ კარგ ქალს ვიცნობ და თუ მოგე-

წონება, ცოლად არ მოიყვანო? — რატომაც არა-მეთქი! — ვუპასუხე.

მეგი:

— თამაზის სახლში დაბადების დღეზე, დაგვიანებით მივედი და ვიკითხე, — თამადა ვინ არის-მეთქი? — მე ვარ, მეფისტოლა კაციო, — გამეარშიყა შერამაღინი. — მეფისტოლა კაცს ნამდვილად არ ჰგავხარ და ახლა, ერთი სადღეგრძელო უნდა ვთქვა-მეთქი. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და... ბოლოს და ბოლოს, თამადობას მართმეო? — იყვირა (იცინიან). ამ დროს თამაზმა შერამაღინს ყურში რალაც ჩასჩურჩულა, მერე ჩემთან მოვიდა და მკითხა: მოგწონსო? — რა ვიცი, „პივაზე“ ნავა-მეთქი...

შერამაღინი:

— მე კიდევ, ვუთხარი, ეს ქალი ხაშვე ნავა-მეთქი...

— მოკლედ, ერთმანეთი მოგეწონათ, არა?

მეგი:

— დიას და მალე საცხოვრებლად შერამაღინის სახლშიც მოვედი.

— ბავშვებმა როგორ მიგიღეს?

წონის ხორეჟცია

წონის ალაბა მცანარეული საშუალებაებით

ალაბა ხდაბა თანაბრად და მთელ სხეულზე

15-დღიანი ხარისის ლიკაბუალაბა 50 ტარი

ტელ.: 10-32-62; 898-28-34-70

— კარგად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ქორწინება არ გაუპროტესტებიათ.

შერმადინი:


— რატომ უნდა გაეპროტესტებინათ? მეგის მათთვის მხოლოდ კარგი უნდა, ჩემს შვილებს ყველაფერში ეხმარება. ისინი მე-გობრებიც არიან.

მამი:

— მართალია, უფროსებს ჩემი მიღება ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ, მაგრამ ცდილობდნენ, ეს ჩემთვის არ ეგრძობინებინათ. სხვათა შორის, 3 გოგონა უკვე გავათხოვეთ.

— მათ გათხოვებას ხელი თქვენ შეუწყვეთ?

— არა, მათ ამ საქმეში ნამდვილად არ დაეხმარებივარ. ის კი არა, ჩემი უწინადათ კიდევ და დამიძალეს, გათხოვებას რომ



თავს ბედნიერად მხოლოდ მაშინ ვგრძობ, როცა სახლში ბევრი ადამიანია

აპირებდნენ. პატარა გოგო უცნაურად გაგვეპარა — ხელში ჩანთა დაეჭვებინა და ჩემი აზრით, სკოლაში გაუშვი. წასვლის წინ ყველანი გადაგვეკოცნა. თურმე, გათხოვება ჰქონდა განზრახული. ახლა უკვე ბებიანა ვართ, შერმადინს 4 ულამაზესი შვილიშვილი ჰყავს.

— როგორც ვიცი, თქვენც მრავალშვილიანი დედა ხართ.

— დიას, 4 შვილი მყავს — 3 ბიჭი და 1 გოგო. 2 ბიჭი სამხედრო სამსახურშია, ერთი კი იურიდიულზე სწავლობს და პარალელურად მუშაობს. გოგონა გოეთეს უნივერსიტეტში, გერმანულ ენას ეუფლება.

— მათ როგორ მიიღეს მამონაცვალი?

— სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც მეუღლეს დაემორდი, ბავშვებს სურვილი ჰქონდათ, საკუთარი ოჯახი მქონოდა და შესაბამისად, ეს ამბავი გაუხარდათ კიდევ.

— როგორც წესი, შვილებს ასეთი სურვილი იშვიათად უჩნდებათ...

— მე თავისუფალი ქალი ვარ, დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჩვეული და შვილებსაც ესმით ჩემი... ახლა ჩვენს შვილებს კარგი ურთიერთობა აქვთ.

— შვილის გაჩენას კიდევ ხომ არ აპირებთ?

— არა!

— რატომ ასე მკაცრად? მეუღლემ რომ მოგთხოვთ?

— იცით, მეც მრავალშვილიანი ოჯახიდან ვარ, ჩემს მშობლებსაც 8 ბავშვი ჰყავდათ. მართალია, სახლში ბევრი პატარის ყოფნა ბედნიერებაა, მაგრამ ამ დროს ქალი ძალიან იჩაგრება.

— რას გულისხმობთ?

— ბოლოს და ბოლოს, სულ „ბილიონკები“ ხომ არ უნდა ვრეცხოთ? ჩვენც ხომ გვინდა გავლა-გაოვლა, მუშაობა. ყოველთვის ღამე ხომ არ უნდა ვათიოთ? კაცი საბაბს იპოვის და სახლიდან გავა, ქალი კი თითქოს, ვალდებულია, სულ სახლში იყოს. ადრე ბიბლიოთეკის გამგედ, პურის ქარხანაში, ლორების ფერმაში, 2 წელი კი სვანეთში — რუსული ენის მასწავლებლად ვმუშაობდი. ახლაც სიამოვნებით დავსაქმდები, ამ ბავშვების სარჩენად არაფერს ვითაკილებ, მაგრამ სამუშაოდ, სამუშაო ვერ ვიშოვე... აბა, მითხარით, რა ნახა საწყალმა მარინამ, რომელიც 36 წლის ასაკში გარდაიცვალა?

შერმადინი:

— მე რა ვიცოდი, თუ მოკვდებოდა...

მამი:

— ისე, საცოდავი ქალის სიკვდილში ყველა დამნაშავეა.

— ვინ ყველა? მარინა რით გარდაიცვალა?

— კიბოთი, მაგრამ ქალი ცუდად იყო და ამას ვერავინ ამჩნევდა, ყველა თვალს ხუჭავდა. როგორ შეიძლება, მეუღლე ან შვილი ცუდად იყოს და ეს ვერ შევამჩნიოთ? თურმე, როცა მეშვიდე შვილზე — ლამაზე დაორსულდა, ცუდად გამხდარა. ექიმთან დაქალი გაჰყოლია. იქ გაირკვა, რომ მისთვის ბუნებრივი გზით მშობიარობა არ შეიძლებოდა, მაგრამ მარინამ ეს ამბავი ყველას დაუმალა, არც მისმა დაქალებმა გააუხადნეს საიდუმლო. ჰოდა, მარინამ ღამა გააჩინა, მეურ კიდევ დაფეხმძიმდა და როცა ამ ქვეყანას ნაბოლარა გოგონა მიუვლინა, საწყალი ქალი გარდაიცვალა კიდევ... მას შემდეგ, რაც შერმადინს გამოვეყვი, მარინას დაქალებმა მომთხოვეს: სხვა თუ არაფერი, 2 წლისთავი მაინც გადაუხადეო. მე უკან არ დავიხიე, სუფრა გავაწყვე, ისინი კი არ მობრძანდნენ. ეს არაა მეგობრობა...

— ქალბატონო მეგი, ეს ბავშვები „დედას“ გეძახიან?

— არა, „დედა“ რატომ უნდა დამიძახონ? ამ ცხოვრებაში დედა ერთია და მას ვერავინ შეგვიცვლის. ბავშვები სახელით მომმართავენ. მე მათი დიდი მეგობარი, მესაიდუმლე ვარ.

— ბავშვები ხშირად ჩხუბობენ?

— ეს იშვიათად ხდება და ესეც, მატერიალური პრობლემებიდან გამომდინარე. ხშირად, ერთი რაღაცას რომ ჩაიცვამს, მეორე ღამის შიშველი რჩება და ამის გამო ჩხუბობენ. მათთვის ნახმარ ტანისამოსს ნათესავები გვაძლევენ, მაგრამ არ გვეყოფნის... ღამა დების მიმართ მკაცრია. ცდი-

ლობს, ისინი გააკონტროლოს. მიუთითებს — ეს არ ჩაიცვათ, თვალები არ შეიღებოთო (იციინის).

— ბატონი შერმადინი მკაცრი მამაა?

— შვილებს იშვიათად, მაგრამ მაინც ეჩხუბება.

შერმადინი:

— მინდა, ჩემი შვილები კარგი ადამიანები იყვნენ. თუ დავინახავ, რომ რომელიმე ბინძურად აცვია ან სახე აქვს დასვრილი, ძალიან ვბრაზდები. ვილაცამ ჩემი შვილების მისამართით რატომ უნდა თქვას — უპატრონოაო? ასევე, მინდა, რომ კარგად ისწავლონ და არ დაინაგრონ.

— გოგონებს ჩაცმის სტილს თქვენც უნებნებ?

— არა, რაც უნდათ, ის ჩაიცვან, მაგრამ არ მომწონს, როცა თვალს იღებენ. ქალს გრძელი თმა და ბუნებრიობა ამშვენებს.

— მაგრამ ქალბატონ მეგის გრძელი თმა რომ არ აქვს? ეი. ცოლი ალარ მოგწონთ?

— შეიჭრა და მერე რა მექნა, ხომ არ გავაგდებდი? თმა გაეზრდება და ალარ შევაჭრევიანებ.

მამი:

— როცა მოკლე ვარცხნილობით მნახა, გაბრაზდა, — ბარემ, გადაგეპარსაო. მე ვუთხარი, თუ მოდამი იქნება, გადავიპარსავ კიდევ-მეთქი (იციინის).

— თქვენი აზრით, რა არის ოჯახი? შერმადინი:

— ეს ციხესიმაგრეა, რომელსაც ვერავინ შეეხება. ოჯახი ბედნიერებაა. მართო რომ დავრჩე, შეიძლება, შევიშალო. თავს ბედნიერად მხოლოდ მაშინ ვგრძობ, როცა სახლში ბევრი ადამიანია.

მამი:

— და კიდევ, ოჯახი დიდი სკოლაა, სადაც რაღაცებს გაუძღმებით სწავლობ. ჩემი აზრით, ქართველ ქალს არც მეტი და არც ნაკლები, 4-5 შვილი უნდა ჰყავდეს.

შერმადინი:

— როცა ბევრი დედამიშვილი და შვილი გყავს, ამას არაფერი სჯობს.

— მაგრამ მრავალშვილიანობას მეტი სადარდებელიც მოაქვს.

— სამწუხაროდ, ამას ვერსად გავუქცევით. აივანზე ბატონი შერმადინის ნაბოლარა გოგონა გამოჩნდა და მითხრა:

— მეგი ძალიან მიყვარს. ის არასდროს მეჩხუბება, სულ მეფერება და ჩემი მეგობარია.

— რაზე ოცნებობ?

— ძალიან მინდა, მამამ სამუშაო იშო-



მარინა და შერმადინი შვილებთან ერთად

ვოს და მე კი მომავალში კარგი ჭურჭლის მრეცხავი გამოვიდე.

— ასეთი უცნაური სურვილი რატომ გაგიჩნდა?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა პატარამ და ეზომში გავარდა.

მეგი:

— ჩვენი ნათესავი ერთ-ერთ რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა, მერე კი ის შენიშნეს და ახლა, იმ დანესებულების მენეჯერია (ივინის).

ოთახში პატარა ბიჭი, ლაშა შევნიშნე, რომელიც გაოცებული სახით მომამეტერდა.

— ლაშა, ბევრი და რომ გყავს, ეს კარგია?

— თან კარგია და თან — ცუდი.

— ცუდი იმიტომაცა, რომ შვიდივეს გაკონტროლება გინევს?

— არა, ეს არაფერია, მაგრამ მატერი-ალურად ძალიან გვიჭირს და (ტირის)... მეგემ ჩვენს სახლში სიხარული შემოიტანა, ყველაფერში გვეხმარება, მაგრამ დედაც ცოცხალი რომ იყოს, კარგი იქნებოდა.

— რაზე ოცნობ?

— იმაზე, რომ მალე გავიზარდო და ისეთი სამუშაო ვიშოვო, რომ ოჯახის რჩენა არ გამიჭირდეს... ალბათ იცი, რომ ეს სახლი „იანვანამ“ გვაჩუქა. ამ ამბავმა ძალიან გაგვახარა, მამა გაოგნებისგან ატირდა კიდევ, მაგრამ ჩვენ მინც ბევრი რამ გვაკლია. ამიტომაცა ცუდი, როცა სახლში ბევრი ადამიანია. მამა რალაცებს ჯახირობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. იმედია, ქვეყანა დაეწყობა და სამუშაო მისთვისაც გამოჩნდება.

— ბატონო შერმადინ, პურის ფულს როგორ შოულობთ?

— პროფესიით „სვარშნიკი“ ვარ, მაგრამ არავის ვჭირდები. ახლა ერთ-ერთ სასაფლაოზე დავდივარ და საფლავებს ვუვლი. მიცვალებულების პატრონები ერთი-ორ თეთრს ჩემთვისაც იმეტებენ, მაგრამ იქ სამუშაო ყოველთვის როდი მაქვს. ამიტომაც, ტყე-ღრეში დავდივარ და ბოთლებს ვაგროვებ.

მეგი:

— მოკლედ, ღვთის და კეთილი ადამიანების იმედით ვცოცხლობთ. მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით, მთელი ჩემი ოჯახის სახელით, ბატონ პაატა ბურჭულაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც „იანვანამ“ მუშაობს, ვინც ამ ფონდში ღარიბი ადამიანების დასახმარებლად რეკავს, კიდევ ერთხელ გადავუხადო დიდი მადლობა. უფალი გვეფარავდეს!

P.S. მინდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე ხნის წინ ეს ოჯახი ნახევრად დანგრეულ კორპუსში ცხოვრობდა. მართალია, „იანვანამ“ თავისი საქმე გააკეთა და ახლა ლეკიშვილების ოჯახს საკუთარი ჭერი აქვს, მაგრამ მათი პრობლემა ამით არ ამოწურულა. მათ არა მარტო ტანსაცმელი, არამედ შუქიც არა აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ კაბელის საყიდლად ფული ვერ შეაგროვეს. მოკლედ, XXI საუკუნეში, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, თბილისშიც ცხოვრობენ ადამიანები შუქის გარეშე... თუ ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(58) 25-60-81 ან ელ.ფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com.

„კასის კასით ჩანაცვლება ჩვენი მიზანი არ არის“

კვირის ბოლოდან „ეროვნული ფორუმი“ რეგიონებში მიდის, სადაც მასშტაბურ აქციებს გამართავს. კახა შარტავას თქმით, მთავარია, ეს აქციები შედეგზე ორიენტირებული იყოს და დროში არ გაიწელოს. პოლიტიკოსი აღიარებს, რომ მათი ინიციატივა უკვე „დაფანგებულია“, მაგრამ პროცესებმა დაანახვა, რომ ეს საქმე მაინც გასაკეთებელია...



ლალი პაპასკირი

— ვიცოდით, რომ ხელისუფლებას ერთ დღეში ვერ შევცვლიდით. არც იმის ილუზია გვქონდა, რომ ერთჯერადი, ფართომასშტაბიანი აქციის შედეგად, სააკაშვილი წავიდოდა. სწორედ ამიტომ იყო საჭირო მოსამზადებელი პროცესი, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავდა. ამის შემდეგ კი ხელისუფლებასა და საერთაშორისო საზოგადოებასაც დავარწმუნებდით — სააკაშვილი და მისი გუნდი ხალხს აღარ სჭირდებიან, აღარც კი ფუნქციონირებენ, ხელისუფლება დე ფაქტო წააშლია — და მხოლოდ ამის დე იურე ლეგიტიმაცია იქნებოდა საჭირო. როცა საპროტესტო აქციებში რეგიონებსაც ჩავრთავდით, ხელისუფლებას და დანარჩენ მსოფლიოს იმ არგუმენტსაც გამოვაცლიდით, რომ თბილისში გამოსული მომიტინგეები მთელ საქართველოს კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ ოპოზიცია და რამდენიმე ათასი ადამიანია, რომელსაც რაღაც სოციალური პრობლემები აწუხებს; ან, როგორც ხელისუფლება ხშირად ამბობს, უბრალოდ, „ტვირთადაბრუნებული“ არიან... მაგრამ იმის გამო, რომ საზოგადოების უმეტესობას ხელისუფლების ქმედებები ყელში ამოუვიდა, ოპოზიციას ერთბაშად უნდოდა ვითარების შეცვლა. ზოგს ეგონა, 9 აპრილს ქუჩაში ბევრი ხალხი თუ გამოვიდოდა, ეს მიზანთან დაგვაახლოებდა. ოპოზიციის მიერ კონკრეტული თარიღის გამოცხადების შემდეგ, ჩვენი გეგმის განხორციელება რთულ სამუშაოდ მიიჩნიეს: როცა ამდენი ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, უკვე ძნელი იყო, მათთვის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შეთავაზება და იმის თქმა, საპროტესტო აქციები დანარჩენ საქართველოშიც უნდა გაიშალოს.

— რეგიონებში გასვლა მაინც გადამწყვეტია. როგორ აპირებთ იქ მუშაობას?

— რეგიონებში უნდა გავანალიზდეთ და იმ ხალხს შევხვდეთ, ვისაც ტერორის ქვეშ ცხოვრება უწევს. ისინი ბრძოლისთვის მზად არიან, მაგრამ ემინათ, არ იციან, რა იქნება შემდეგ. ამიტომ აუცილებელია, სამოქალაქო „კოლონიები“ შექმნა, რომლებიც ორგანიზებულ აქციებს გამართავს და ადგილობრივ თვითმმართველობას აიძულებს, ხალხის ძალას ანგარიში გაუწიოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რალაცას მივალნივთ. ეს გზა 9 აპრილამდე რომ გაგვევლო, ახლა სხვა ეტაპზე ვიქნებოდით.

— თუკი ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი გქონდათ, მაშ, რატომ დადევით დანარჩენი ოპოზიციური ძალების გვერდით?

— აქციის დასაწყისად 9 აპრილის გამოცხადების შემდეგ, დანარჩენი ოპოზიციონერები გვთხოვდნენ, ჩვენთან ერთად დადევითო... კი, ბატონო, მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. როცა მუშაობა პრაქტიკულად, შედეგზე არ არის ორიენტირებული, ეს ნიშნავს, რომ შენს საქმეს რაღაც აკლია და იმ „რალაცის“ დამატებაზე უნდა იზრუნო... ჩვენ რასაც სწორად მივიჩნევდით, ის ჯერ კიდევ თებერვალში შეთავაზებთ საზოგადოებას, თან ისიც ვთქვით, — თუ ვინმეს უკეთესი იდეა აქვს, კი, ბატონო, ამასაც

გავუწევთ ანგარიშს-თქო. მაშინ ჩვენი იდეა უმცირესობამ გაიზიარა, მაგრამ თბილისში ჩატარებულმა აქციებმა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლებამ და ხალხმრავალმა თუ მცირერიცხოვანმა მიტინგებმა ნათლად დაგვანახვა, რომ ამ გზით პრობლემა ვერ მოგვარდება. აქციები და პიკეტები საჭიროა, მაგრამ — როცა მთელ საქართველოს ააგუგუნებ და ხელისუფლებას აიძულებ, ხალხის ძალას ანგარიში გაუწიოს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ „ეროვნული ფორუმის“ ინიციატივა უკვე დაგვიანებულიც კია?..

— დიას, გარკვეულწილად, დაგვიანებულია და უკვე „დაუხანგებელიც“, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესმა დაგვანახვა, რომ ეს საქმე, ადრე თუ გვიან, მაინც გასაკეთებელია: ხალხი მართო თბილისში კი არა, მთელ საქართველოში უნდა გამოფხიზლდეს. რეალურად, რეგიონებში ხალხს არავინ არაფერს ეკითხება. ვაღიარებ, რომ ჩვენც, ოპოზიციაც ვცოდავთ და მისი არსებობა მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როცა მხანასარჩევნო პერიოდია: ხალხს ქუჩაში გამოვიყვანთ, უხეშად რომ ვთქვათ, მასად გამოვიყენებთ, ამ ტალღის ჩავლის შემდეგ კი ადგილობრივ ხელმძღვანელობას ადამიანები ტერორში ჰყავს... ზენოლის მიუხედავად, ისინი არსებულ რეალობას აპროტესტებენ და მზად არიან ბრძოლისთვის, მაგრამ ვერ გაურკვევიათ, ღირს თუ არა ვინმეს ნდობა... მათ იმ ჩვენს გემგებს გავაცნობთ, რომელთაც ამ ხელისუფლების მოშორებას ვაპირებთ და ხალხს საშუალებას მივცემთ, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი სახელმწიფოს მომავლის შექმნაში.

— ბოლო დროს ვითარების განმუხტვა ხშირად, კათოლიკოს-პატრიარქს უწევს, თან — განმარტებაც აუცილებელი ხდება, რადგან უწმინდესის სიტყვებს ორივე მხარე სათავისო ინტერპრეტაციას ანიჭებს. რატომ ხდება ასე?

— ზოგადად, ეკლესია და ერი — ერთიანი ორგანიზაციაა. ეს საქართველოს შემთხვევაშია ასე გახლჩილი და ჩვენს რეალობაში აქვს ეკლესიას ასეთი „გამოყენებითი“ დატვირთვა: თუ ადამიანს ტაძარი არაფერში „გამოადგება“, ის მას ისე უყურებს, როგორც უცხო სხეულს. სინამდვილეში, სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში ეკლესიის ჩართვა ჩვეულებრივი ამბავია... საქმე ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვცოდავთ — ოპოზიციაც და ხელისუფლებაც, რადგან რეალურად, არასწორ შეფასებას ვაკეთებთ. ამის

მიზეზი კი ის არის, რომ ხშირად დაუფიქრებლად, გაუთვლელად, მოუშზადებლად ჩავდივართ რაღაცებს, ისე, რომ ეკლესიისთვის რჩევის კითხვა არც კი მოგვაფიქრდება, ხოლო შემდეგ, როცა ვითარება დაიძაბება, ცელქი ბავშვებივით, პატრიარქს მივცვივდებით და პრობლემის გადაწყვეტაში დახმარებას ვთხოვთ. არადა, საპატრიარქოს განცხადება, რომელსაც პოლიტიკოსები მაშველი რგოლივით ვეჭიდებით, პოლიტიკური განცხადება კი არა, შემოთავაზება და თხოვნაა და არა თამასუქი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ. ამ განცხადების ფრიალი — ჩვენი უსუსურობისა და პოლიტიკური უმწიფრობის გამოხატულებაა. პოლიტიკოსებმა უნდა შეეძლოთ, მისი მიმართვა საზოგადოების დაკვეთად ვაქციოთ, თუ არა და — აგერ, მიტინგები და „მისი ჯანი“...

— რა გარანტია გაქვთ, რომ რეგიონებში გამართული მასშტაბური აქციები რეალურ შედეგს მოიტანს და თბილისში გამართულ აქციებს არ დაეშვება?

— ჩვენი მიზანია, ეს აქციები დროში არ გაიწელოს და ერთ-ორ თვეში რეალური შედეგი მივიღოთ. საპროტესტო ტალღა ერთი რეგიონიდან მეორეში უნდა გადავიდეს და შემდეგ, ერთ ნერტილში გაჩერდეს; პროტესტმა მთელი საქართველო უნდა მოიცვას. ამ მეთოდით, ხელისუფლებას უნდა ვუთხრათ, რომ იგი ხალხისთვის მიუღებელია და გამოსავალი უნდა მოინახოს, გამოსავალი კი — ვადამდელი არჩევნებია.

— დავუშვათ, ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებზე წამოვიდა. ამის შემდგომი სამოქმედო გეგმა თუ გაქვთ მზად?

— საერთოდ, ხელისუფლების ჩამოცილების რამდენიმე კლასიკური მეთოდი არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი — რევოლუცია და გადატრიალებაა, თუნდაც გარეშე ძალის დახმარებით. ამის გამოცდილებაც გვაქვს და ეს არ გვინდა, რადგან არსებობს უფრო მშვიდობიანი გზა — სამოქალაქო პროტესტი, რომელსაც საერთო-ეროვნული დაუმორჩილებლობა და საყოველთაო გაფიცვები უნდა მოჰყვეს. შედეგად კი ისეთი სიტუაცია შეიქმნება, როცა ხელისუფლება ქმედუნარო გახდება. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას მთელი ერი იღებს. ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, რომ გადადგომის პროცესში თავად მიიღოს მონაწილეობა, მან უნდა აღიაროს კრიზისი და დანიშნოს საპარლამენტო არჩევნები. ამ

ეტაპამდე ხელისუფლება საზოგადოების აქტიურობამ უნდა მიიყვანოს, ამასობაში მას უნდა გამოვაცალოთ ადმინისტრაციული მექანიზმები, რათა იგივე არ განმეორდეს, რაც ამ რამდენიმე წლის წინ მოხდა, როცა მისთვის პრობლემას არც კოდექსი წარმოადგენდა, არც ტერორი და არც ძალადობა... თუ საპარლამენტო არჩევნები ვითარების ფსევდოგანმუხტვის საშუალება იქნება, რომელსაც ხელისუფლება სათავისოდ გამოიყენებს და საზოგადოებას, დროებით დასამშვიდებლად, სატყუარას გამოუგდებს, არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ვიმყოფებით იმ ეტაპზე, როცა ხელისუფლებას ადმინისტრაციული მექანიზმები შეგვიძლია დავეთმობინოთ.

— ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში მმართველობის მოდელის შეცვლასაც აპირებთ?

— რა თქმა უნდა. სანამ სახელმწიფოს მართვის მოდელზე გადავალთ, საკმაოდ დიდი ეტაპის გავლა მოგვინევს, რაც საზოგადოებისგან მაღალი დონის პოლიტიკურ კულტურას მოითხოვს. საპარლამენტო მოდელის ჩამოყალიბებამდე, თვითმმართველობა უნდა იყოს გამართული, მას უნდა ჰქონდეს თავისუფალი ბიუჯეტი, უნდა აგვარებდეს ადგილობრივი მოსახლეობის ყველა პრობლემას. თანდათან მივიღივართ იმ მოდელამდე, რომელიც საქართველოსთვის ყველაზე მორგებული იქნება, თუმცა მანამდე ადამიანები უნდა გათავისუფლდნენ სინდრომისგან, რომელიც ისეთი „პატრონის“ მოქმენისკენ უბიძგებს, ვისაც ყველანაირი პრობლემის მოგვარება შეეძლება. მოქალაქეების პრობლემის მოგვარებაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და არა ერთმა კონკრეტულმა პიროვნებამ. ქვეყანაში სისტემური ცვლილება აუცილებელია. კაცის კაცით ჩანაცვლება ჩვენი მიზანი არ არის, რადგან ამ ტენდენციას ქვეყნისთვის სიკეთე არ მოუტანია.

— დანარჩენ თანამებრძოლებთან თანამშრომლობა რა ფორმით წარმოგიდგენიათ?

— იმედი მაქვს, რამდენიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან საქმიანი ურთიერთობა შეიქმნება, ყოველგვარი პიარ-სპექტაკლისა და პოლიტიამბიციების გარეშე. ბევრ მათგანთან ადამიანური ურთიერთობა მაქვს, რომელიც ჩემთვის ძალზე ძვირფასია. ერთად ძალიან რთული გზა გამოვიარეთ და აზრთა სხვადასხვაობამ ერთმანეთის მტრად არ უნდა გვაქციოს.

რისი ეზინოდა პატიმრობაში მყოფ ბედნიერ მებრს

ლევან ბერძენიშვილი, ბევრი სხვა პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ყურნალისტებთან საკუთარ ცხოვრებაზე საუბარს არასოდეს გაუბრბს. მორდვეთის ავტონომიური რესპუბლიკის ციხეში გადატანილ ურთულეს დღეებზე ის იუმორით გვიამბობს და ირწმუნება, რომ ცხოვრება მშვენიერა.



„დღას რომ სოცხალი ვარ, ჩემი მეუღლის დამსახურებაა“

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ლევან, პროფესია არაერთხელ შეიცვალეთ. რატომ?

— ჯერ კიდევ ბავშვობაში, სპორტიდან დანწყებული, ლიტერატურით გაგრძელებული და მათემატიკით დამთავრებული, ყველაფერი მაინტერესებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ არჩევანი გავაკეთე და მიუხედავად იმისა, რომ ოქროსმედალოსანი ვიყავი და ჩემთვის ყველა უმაღლესი სასწავლებლის კარი ღია იყო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები. ჩემი ინტერესი ერთ წელიწადში ამოიწურა და უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის სასწავლებლად გადავედი.

— თქვენი ინტერესი ასე უცებ რატომ ამოიწურა?

— იმიტომ, რომ ამ სფეროში საბჭოთა კავშირი ძალიან ჩამორჩენილი გახლდათ (პერსონალური კომპიუტერიც კი არ იყო გამოგონებული) და სასწავლიც რაღა იქნებოდა?! დღეს

ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ კლასიკური ფილოლოგია შევისწავლე. ეს ისეთი საგანია, რომელიც ყველა კრიტიკულ სიტუაციაში გამოგადგება, რომელიც ადამიანს მრავალმხრივ აზროვნებას ასწავლის. მე არ ვარ ისეთი კაცი, რომელიც ერთ სამსახურს, ერთ ოფისს, ერთ სიტუაციას ეჩვევა და გარემოს შეცვლა უჭირს.

— სპორტის რომელ სახეობას მისდევდით?

— ჭადრაკს. მას საკმაოდ კარგად ვთამაშობდი. ერთხელ ბიძაჩემმა, რომელიც ძალიან კარგი მოჭადრაკე იყო, მითხრა, — მთელი ცხოვრება ამ სპორტს უნდა მიუძღვნო. შემდეგ, ჭადრაკის თამაშს საერთოდ დავანებე თავი და ჩოგბურთის თამაში დავიწყე. სხვათა შორის, ამ საქმეში დღემდე არა მიშავს. ერთხანს ფეხბურთსაც ვთამაშობდი და რადგან მსუქანი ვიყავი, შეტევაზე არ მიშვებდნენ, სულ კარში ვიდექი. თავდაუზოგავი მეკარე ვიყავი, მონინაალმდეგებს ფეხებში ვუხტებოდი. ჩემზე ხშირად ხუმრობდნენ, — კარგი მეკარეა, მაგისტვის ბურთის აცილება ძნელიაო.

— ბატონო ლევან, თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად რას მიიჩნევთ?

— რესპუბლიკური პარტიის შექმნას. ამით ყოველთვის ვამაყობ. მართალია, ამის გამო დევნილი გახდი და რამდენიმე წელიწადში დამაპატიმრეს კიდევ, მაგრამ ეს ამად ღირდა. იმ პერიოდში რამდენიმე მეგობარი და ნათესავი მხოლოდ იმიტომ დავკარგე, რომ უშიშროებასთან და კა-გე-ბესთან გაკარება არ უნდოდათ. სამაგიეროდ, ციხეში შევიძინე

ბევრი კარგი მეგობარი.

— დევნის პერიოდი უფრო რთული იყო თუ ციხეში ყოფნა?

— 4 წელი დამდედნენ. ეს პერიოდი გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ის 3 წელი, რომელიც ციხეში გავატარე. ყველას ჰგონია, რომ დაპატიმრების შემდეგ ცხოვრება მთავრდება, მაგრამ ასე არ არის. როცა საკანში აღმოვჩნდი, ერთი პატარა სიმღერა ვთქვი, 3 ლერი სიგარეტი მოვნიე და იქაურობის შესაგუებლად განვენყვე. აღმოვაჩინე, რომ იქაც არიან ადამიანები და იქაც ხდება საინტერესო ამბები. პატიმრობა ისეთი რთული სულაც არ აღმოჩნდა, როგორსაც ველოდი. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ არც უბედურად მიგრძნია თავი.

— დევნის პერიოდში ყველაზე მეტად რა გაგიჭირდათ?

— ყველაზე რთული ის არის, რომ მიდიხარ და იცი, უკან კაცი მოგყვება. დევნა არის ორგანო: ერთი — როდესაც ხედავ და მეორე — როდესაც ვერ ხედავ. მე ორივენი იდევენა მაქვს გამოცდილი. როცა მეგონა, ვილაც მოვიშორე-მეთქი, ამ დროს უკან ისეთი პიროვნება დამდევდა, რომლის არსებობაც არ ვიცოდი.

— ამ პერიოდში ოჯახი უკვე შექმნილი გქონდათ?

— ოჯახი ჯერ კიდევ მაშინ მქონდა შექმნილი, როდესაც პარტიას ვაყალიბებდით. მეუღლე ჩემი თანამებრძოლიც იყო და თანაპარტიელიც.

— თქვენს მეუღლესაც დევნიდნენ?

— რა თქმა უნდა. მასზე მასალებიც იყო გამზადებული, მაგრამ რატომღაც, აღარ დააპატიმრეს.

— პატიმრებთან დამეგობრება არ გაგიჭირდათ?

— არა, ისინიც ხომ ჩემნაირი ადამიანები იყვნენ. ზონაში მე ანტისაბჭოთა აგიტაციასა და პროპაგანდაში



დავითი მაშინ ახალგამრდა და ფიცხი იყო

მსჯავრდადებულებთან ვმეგობრობდი, მაგრამ ჩვენ გარდა, იქ სამშობლოს მოლაღატები, ჯაშუშები, ტერორისტები და სამხედრო დამნაშავეები იყვნენ. ამ ადამიანებს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ციხის ადმინისტრაციასთან, ჩვენ აშკარად, გვჩაგრავდნენ. საბჭოთა კავშირის დროინდელი მოხელეების აზრით, ჯობდა, სამშობლოსათვის გელაღატა, ვიდრე განსხვავებული აზრი გქონოდა.

— პატიმრები ეროვნული ნიშნით თუ ასხვავებით ერთმანეთს?

— არა. ქართველებსა და სომხებს ერთმანეთთან განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა, პირადად მე, რუსი და უკრაინელი მეგობრებიც მყავდა.

— ქართველი პატიმრები სხვებისგან რით განსხვავდებოდნენ?

— კარგი ხასიათით და ოპტიმისტური განწყობილებით. გარდა ამისა, ქართველები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ავად არ ხდებოდნენ.

— ეს როგორ?

— არ ვიცი, 45-გრადაუსიან ყინვაში ყველა რომ ჩანებოდა, ქართველები ვაჟკაცურად ვიდებოთ. მხნეობა ქართველების დამახასიათებელი ნიშანია. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ჩვენ პურმარილიანები ვართ — რაც გვქონდა, ყველას ვაჭმევდით. ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ქართველები კარგი მასწავლებლები არიან, სომხები კი კარგი მოსწავლეები. ისინი დროს სხვისი სწავლებისათვის არავითარ შემთხვევაში არ დაკარგავდნენ.

— თქვენ რას ასწავლიდით?

— ბერძნულ, ლათინურ და ქართულ ენებს.

— ქართული ენით ინტერესდებოდნენ?

— ქართული ენითაც ინტერესდებოდნენ და კულინარიითაც.

— კულინარიაზე განაწილი ხართ?

— რა თქმა უნდა. ბავშვობიდანვე ვკითხულობ სოფერიას წიგნს, კულინარიის შესახებ. ციხეში ეს ინტერესი კიდევ უფრო გამიღრმავდა და იმ მწიერი რესურსებით, რაც იქ გვქონდა, სასწაულებს ვახდენდი. ჩემ მიერ მომზადებულ ბაჭუზე ჩემმა რუსმა მეგობარმა, მიხეილ პოლიაკოვმა თქვა, — „ეჭა ნე ბაუე, ეტა ბოუე!“

— ასეთი რა გააკეთეთ?

— ჩემს ოჯახს უფლება ჰქონდა, ჩემთვის წელიწადში ერთხელ 5 კგ-იანი ამანატი გამოეგზავნა, რომელშიც აუცილებლად იყო ხმელი ქინძი, ნიგოზი, სუნელი, წინავა, ნიორი... ამ მასალით შესანიშნავ ბაჭუს ვამზადებდი. ვინაიდან 3 წლის განმავლობაში ხორცი თვალით არ მინახავს, მასში, ქათმის ნაცვლად, თევზის (სტავრიდის) კუდებს ვანყობდი. ისე, არც კუდებით ვიყავით განებივრებულნი. ყოველ საღამოს თითო

ცალს გვაძლევდნენ, მაგრამ არ ვჭამდით და ბაჭუსთვის ვინახავდით. შენახვა ძნელი არ იყო — დავაგდებდით და გაიყინებოდა. თანაც, ისეთი უგემური გახლდათ, რომ არავინ იპარავდა.

— თქვენ რა ისწავლეთ ციხეში?

— პირველ რიგში, ვისწავლე, რომ ცხოვრება მშვენიერია. თქვენთვის 1 კვერცხი არაფერია, ციხეში ნამყოფმა კაცმა კი იცის, რომ 1 კვერცხი 50 გ შემცველობის პროდუქტია, მასში 11 გ ცილაა და 78 კილოკალორიას შეიცავს.

— თუ თევზის კუდებს არ ჩაეთვლით, ძირითადად, რითი იკვებებოდით?

— ჩვენი კვების რეჟიმი 1929 წელს დაიწერა. მთავარი საკვები იყო „სუპისა“ და ბორშჩის მსგავსი ნარეცხი, მესამე ცხობის პური.

— მესამე ცხობის პური რას ნიშნავს?

— ჩვეულებრივი მოქალაქეების მორჩენილი პური წარმოებაში ბრუნდებოდა და მეორეულ პურს აცხობდნენ, რომელიც ქურდებისა და კაცის მკვლელებისთვის მიჰქონდათ. იმათაც რომ მორჩებოდათ, კიდევ გადაამუშავებდნენ და ეს იყო მესამე ცხობის პური, რომელსაც ჩვენ გვაჭმევდნენ. ერთი ნაჭერიც კი საკმარისი იყო, რომ კუჭის წყლული გაგჩენოდა. ეს პური ისეთი უგემური გახლდათ, მშვიერი ხალხიც კი ვერ ვჭამდით და გვრჩებოდა.

— ციხეში საინტერესო ამბებიც ხდებოდა. რომელიმე მათგანს ხომ არ გაიხსენებთ?

— კი, ბატონო. ერთხელ ჯონი ლაშქარაშვილის დაბადების დღეს აღვნიშნავდით. თამადად მიმა პოლიაკოვი დავნიშნეთ, რომელმაც ერთ-ერთი სადღეგრძელო სომხებისა შესვა და ბოლოს, ასეთი ფრაზა თქვა: „არმიანი — ნაროდ ტრაგინესკი“. სომხებს ეს იამოვნათ. ჩვენ ეს შევსვით, მაგრამ იუბილარს სომხების ზედმეტად ქება არ მოეწონა და გალიზიანებულმა იკითხა, — „ა გრუზინი?“ პოლიაკოვი განათლებული კაცი იყო, არ დაიბნა და ასეთი პასუხი გასცა, — „გრუზინი — გეროი ნაროდ“. თქვენ რომ მაშინ სომეხი რაფიკას სახე გენახათ, ცხოვრებაში აღარ დაგავინწყდებოდათ.

— სადღეგრძელოებს რა სასმლით სვამდით?

— ჩაით, ოლონდ, სადღეგრძელო რაც შეიძლება მოკლედ უნდა გვეთქვა, რათა ჩაი არ გაცივებულყო.

— ციხეში ყველაზე მეტად რისი გემინოდა?

— მეშინოდა, რომ ჩემი ძმისთვის არ გეზარდათ პატიმრობის ვადა.

— ამას საშიშროება იყო?

— კი, იმიტომ, რომ დავითი მაშინ ახალგაზრდა და ფიცხი იყო. როცა ის გათავისუფლდა და მე დავრჩი, ეს შიშიც გამიქრა. ხანდახან გამიეღვებდა აზრი, რომ შეიძლება, შინ ვეღარ დაგბრუნებულყავი და ჩემები ვეღარ მენახა.

— გაქცევაზე არ გიფიქრია?

— ამაზე მხოლოდ ჩემი მეგობარი, ჯონი ლაშქარაშვილი ფიქრობდა, თანაც, ყოველდღე. ეს იყო ზონა, რომელსაც უშიშროება და შს სამინისტრო ერთდროულად აკონტროლებდა. იქიდან არასოდეს არავინ გაქცეულა. ახლა ვუყურებ კინოფილმ „გაქცევას“ — მე-4 სეზონის მე-12 სერიასი ისე ჩანს, რომ ნებისმიერი მკაცრი დაწესებულების ციხიდან შეიძლება გაქცევა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ ზონიდან გაიქცნენ, ბარაშევოდანაც გაიქცეოდნენ, მაგრამ ეს მართლა შეუძლებელი გახლდათ, რადგანაც იქ, დაახლოებით, 500 კმ მანძილზე სულ ციხეები იყო განლაგებული.

„როდენი“ აპარცხაუს სიმსუქნეს!



ერთ თვეში „როდენის“ დახმარებით დიეტის გარეშე დაიკლებთ 3 კგ-მდე! დაჯარგული წონა აღარ აღდგება! დაბალკალორიულ დიეტასთან ერთად „როდენი“ დაგაკლებინებთ 7 კგ-მდე თვეში. „როდენი“ ებრძვის არა შედეგს, არამედ მის გამომწვევ მიზეზებს, აჟვირთებს

მადას, ენერჯის მომატების ფონზე! დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა სამეურნალო მცენარეებისაგან, საფერავის ფუძეზე, ძველი ხალხური რეცეპტის მიხედვით.

თბილისი: რუსთაველის 28
ტელ: 990014, 899 71 97 67 - შიში ჯოორდინაბორო, 899 210232
E-mail: nikosanild@aol.com ან nikosani@mail.ge

ბათუმი: „ნეოფარმის“ აფთიაქაში:
აბუსარიძის ქ. 2 ტელ: 2-03-37,
პუშკინის ქ. 156 ტელ: 1-61-24

— მეუღლე თქვენი პატიმრობის ამბავს როგორ ეგუებოდა?

— პატიმარი მანამდეა ადამიანი, ვიდრე გარე სამყაროსთან აქვს კავშირი — ასეთია ციხის კანონზომიერება. მე რომ დღეს ცოცხალი ვარ, ჩემი მეუღლის დამსახურებაა. ჩვენ მეუღლესთან შეხვედრის უფლებას წელსინადში ორჯერ გვაძლევდნენ. გარდა ამისა, კიდეც გვქონდა პირადი შეხვედრის უფლება, რომლის დროსაც მხოლოდ ერთმანეთის დანახვა შეგვეძლო. ამ ე.წ. შეხვედრებზე, ჩემი ცოლის გარდა, არც ერთი პატიმრის მეუღლე არ დადიოდა.

— თქვენს განსაკუთრებულ სიყვარულზე ბევრს ლაპარაკობენ.

— ამასთან დაკავშირებით მეც ბევრს გეტყვით, მაგრამ ჩვენ უკვე ისეთ ასაკში ვართ, რომ ამ თემაზე საუბრის გვერიდება. ერთს კი გეტყვით, — გამომართლა, რომ ის გავიცანი და ჩემი ცხოვრების მეგობარი გახდა.

— ის პირველი სიყვარული იყო?

— ჩემს ცხოვრებაში სხვა არავინ ყოფილა, თუ ღრმა ახალგაზრდობის დროინდელ გატაცებებს არ ჩავთვლით.

საკავშირის საამებლად, დამცინავად, „მეტრი“ მიწოდა, მე კი მას „მილი-მეტრი“ ვუწოდებ. ჩემი „მეტრობის“ ამბავი ყველამ დაივიწყა, მას კი „მილი-მეტრის“ სახელი მიენება. ჩემი მწარე ენის ამბავი არ უნდა გიკვირდეთ, მე ხომ გურული ვარ.

— თქვენ ძმა, დავითიც ხომ გურულია!

— მასაც კარგი მწარე ენა აქვს. სწორედ მან მოიგონა ისეთი მომაკვდინებელი ლოზუნგი, როგორცაა — „საქართველო შევარდნაძის გარეშე“. ისე, ჩემთან შედარებით, ნაკლებად მხიარულია. მე ნამდვილი ჭკუამხიარული ვარ — რაც უნდა სერიოზული პრობლემა მქონდეს, დილით ბედნიერი და გაღიმებული ვიღვიძებ.

— ძმები დავით და ლევან ბერძენიშვილები ერთმანეთთან რა თემაზე კამათობენ ხოლმე?

— ჩემსა და დავითს შორის არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთხელ დავთვერი და მე-სართულიდან ვხტებოდი, დავითი კი ამის საშუალებას არ მაძლევდა. მაშინ სერიოზულად ვიჩხუბებთ.

— მე-სართულიდან რატომ ხტებოდით?

— ამის ერთადერთი მიზეზი სიმთვრალე იყო. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ჩვენ კიდეც გვყავს ერთი ძმა, მამუკა. მას საზოგადოება ნაკლებად იცნობს, მაგრამ ჩვენზე „ელვარე“ ტიპია.

— რას გულისხმობთ?

— ვინც მასთან ერთად სუფრასთან მოხვედება, იტყვის, რომ ლევან ბერძენიშვილს კი აქვს მოსწრებული ენა, მაგრამ მამუკა სჯობიაო. დავითი ნამდვილი პოლიტიკოსია. ფეხბურთზე რომ დაუნყოფი ლაპარაკი, ბოლოს მაინც, პოლიტიკით დაამთავრებს. მე ყველა საკითხი საბოლოოდ, ძველბერძნულ ამბებამდე მიმყავს, მამუკა კი სიყვარულისა და სიბთბის კაცია.

— თბილისში არ ცხოვრობს?

— არა, უკრაინაშია და თავისი ბიზნესი აქვს.

— როდესაც თქვენ ეროვნულ მოძრაობაში ჩაებით, ის თქვენ გვერდით რატომ არ აღმოჩნდა?

— მამუკა ამ დროს ბათუმში, ერთ-ერთ სამშენებლო კომბინატს ხელმძღვანელობდა. ისე, სამივე შვილის გა-პოლიტიკოსებას დედაჩემი ნამდვილად ვერ გადაიტანდა.

ის სამხატვრო აკადემიის მოღვივების ფაკულტეტს წელს ამთავრებს, დიპლომი ჯერ არ დაუცავს, მაგრამ ცოტა ხნის წინ, როგორც დიზაინერმა, გრანდიოზული ჩვენება გამართა, თანაც მაშინ, როცა 9 აპრილიდან მოყოლებული, საქართველოში კულტურულ სფეროში თითქმის არაფერი ხდება, გარისკა და ადამიანები საკუთარ, პროვოკაციულობით სავსე ჩვენებაზე დაპატიჟა: 8 ახალი მოდელი, უფერო სამოსი, მაკიაჟისა და ვარცხნილობის წყალობით ერთმანეთს დამსგავსებული და 14-სანტიმეტრიან ქუსლებზე შემდგარი მოდელები... და რაც მთავარია, „უსქესო“ სამოსი; თუ რას ნიშნავს ეს, ამაზე — ქვემოთ, მანამდე კი დიზაინერი ბიჭოლა თეთრად, უცნაური სახელის მქონე და უცნაური კოლექციის ავტორი, ჩვენს რუბრიკაში მოდელ კრისტისთან ერთად წარმოგიდგებათ.

ლალი შაშია

ქრანლისტი — კრისტა
რესპონდენტი — ბიჭოლა თეთრაძე

— როდის გაგიჩნდა სურვილი, დიზაინერი გამხდარიყავი?

— 7 წლის ვიყავი, რომ თოჯინებისთვის ტანსაცმლის შეკერვა დავიწყე. 10 წლისას კი უკვე პირველი გამოფენა მქონდა (სულ 7 პერსონალური გამოფენა მაქვს მონაწილეობით). ასე რომ, მქონდა 150 თოჯინა და თავიდან თოჯინებისთვის ვკერავდი სამოსს. ამასთან, ორჯერ პრეზიდენტის სტიპენდიანტი და პრეზიდენტის გრანტის მფლობელიც გავხდი.

— ბიჭოლა ვინ დაგარქვა?

— მშობლებმა. ბავშვობიდან ასე მეძახიან... საქართველოს მასშტაბით ვეძებ და ვერ ვიპოვე ჩემი მოსახელე ანუ მეორე ბიჭოლა. ბევრს ჩემი სახელი უცნაურად ეჩვენება, მაგრამ მე კარგად მაქვს მორგებული.

— ბავშვობაში შენი ნამუშევრების გამოფენებს რომ აწყობდი, თუ ფიქრობდი იმაზე, რომ დიზაინერი გახდებოდი?

— კი, ფიქრობდი და ვხვდებოდი, რომ სწავლისთვის საფუძვლიანად უნდა მომეკიდა ხელი, რათა პროფესიონალად ჩამოვყალიბებულიყავი. ამ მიზნით, 14 წლის რომ გავხდი, გამოფენების მონაწილე შევეწყვიტე. როცა ყველაფერი ავითვისებ, ვეროპასთან დავამყარე კონტაქტი: მოდის სამყაროში, ბელგიასა და პარიზში ძალიან სერიოზული ადამიანები გავიცანი.

— მათთან კავშირის დამყარება როგორ შეძელი?

— ჩემი ნამუშევრები გავგზავნე.



მე და ჩემი მეგობრები ლენინგრადსა და მოსკოვში ხშირად დავდიოდით. ჩვენ შორის თუ ვინმე ისეთ ქალს იპოვიდა, ვინც 7-8 დღე მაინც გაუწევდა მეგობრობას, ბედნიერ კაცად მიიჩნეოდა. ჩემი მეგობრების უმრავლესობა უბედური იყო, მე — ბედნიერი.

— მაშინ ასეთი მწარე საუბარი არ იცოდით?

— (იციან) მწარე ენის გამო არასოდეს, არც ერთი მეგობარი არ დამიკარგავს. თუ ვინმეს დაკარგვა მინდოდა, მწარე ენაც მაშინ გამომიყვია და ეს არასოდეს მინანია. პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ფარისევლობა აუტანელია. მირჩევნია, მწარე სიმართლე ვთქვა, ვიდრე — ტყუილი. ისე, ჩემი მისამართითაც მომისმენია მწარე გამონათქვამები, მაგრამ მათზე პასუხიც გამიცია. ერთხელ ნოდარ გრიგალაშვილმა,

„უსქესო“ საშობაო, იაჟილსომოცაჟი ღოზიწარი ღა ზაჟვარაბუწიწს რიწაბუბი ჰრისტიწს

ტრახბახში არ ჩამომართვა და საკ-
მაოდ კარგად ვხატავ, კონსტრუირე-
ბაც ვიცი, კერვაც და ქსოვაც... მიმ-
იღია მონანილეობა „ფეშენ ვიკებში“.
ცოდნა რომ გავიმყარე და საკუთარ
შესაძლებლობებში დავრწმუნდი,
გასულ ნოემბერს ვენიდან თბილისში
დავბრუნდი და გადავწყვიტე, კოლექ-
ციახე მემუშავა. პარალელურად, სა-
დღებლომ ნაშრომს ვწერდი. რატომ-
ღაც, მალე ჩემით ჟურნალისტები
დაინტერესდნენ...

— **აღნიშნე, რომ ბავშვობიდან
კერავ და ქსოვ. შენი გარემოცვა
ბიჭისგან ამას როგორ აღიქვამდა?**

— ბაბუაჩემი ამბობდა, ეს კაცის
საქმე არ არისო. მაგრამ როდესაც
მიხვდა, რომ ეს წარმატებას მომი-
ტანდა, მერე უკვე ისიც და ყველა
სხვაც ხელს მინყობდა. ახლა ჩემს
მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავეს
უკვე სჯერათ ჩემი და მაგულიანებენ,
რომ ვიმუშაო და არ გავჩერდე.

— **დღეს მოდის სამყაროში პირვე-
ელ ნაბიჯებს დგამ. კოლექციისგან
როგორ დამოკიდებულებას გრძნობ?**

— მათგან დიდი სითბო მივიღე,
თუმცა ზოგიერთისგან შურიც ვიგრძე-
ნი...

— **შენს ჩვენებაზე ზოგიერთმა
კოლექტამ ტაში არ დაგიკრა...**

— ვისაც ტაში არ დაუკრავს, მას
არც მოულოცავს. ეს ელემენტარული
ეთიკის საკითხია. თან, საქართველო-
ში ისედაც ცოტანი ვართ დიზაინ-
ერები, რა საჭიროა, ასე დაბოლმ-
ვა?! ვინ ვინაა, ამას ხალხი უკვეთ
შეაფასებს და მიხვდება.

— **როგორ ფიქრობ — ღირს
დღეს საქართველოში მოდის სფერო-
ში მუშაობა?**


— კი, და გეტყვი, რატომ: თავდა-
ჯერება მომემატა. ფინანსურად წელ-
მაგარი ოჯახის შვილი არ ვარ, მა-
გრამ ყველა იმას ამბობდა, ვინ ჰყავს
ბიჭოლას ისეთი, სერიოზული ჩვენე-
ბა რომ მოაწყობ?

— **მართლაც როგორ მოახ-
ერხე?**

— ამ ეკონომიკური კრიზისის ფონზე
უცნაურია, მაგრამ ჩემით რატომღაც,
ბევრი სპონსორი დაინტერესდა. მოდ-
ელებთან ჰონორარზე საუბარი არც
ყოფილა და მადლობა მათ ამისთვის...

— **ე.ი. მონაცემები გაქვს, სურ-
ვილიც, რომ იმუშაო და თან ფორ-
ტუნაც გწყალობს, ხომ?**

— კი, ასეა. დამთავრდა ჩემი ჩვენე-
ბა, ფიერვერკი გაუშვეს და თბი-
ლისში საშინელი თავსხმა წვიმა წა-
მოვიდა. ყველა მეუბნებოდა, რა ბედ-



ვფიქრობ, ჩემი პროვოკაციუ-
ლობით, სამოგადოებას
ყოველთვის დავაინტერესებ

ნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ და-
ბადებულოი!..

— **შენი ჩვენებით სცადე, რომ
თბილისში რაღაც სიახლე შემო-
გეტანა. „ბიჭოლას უნი-სექსი“ —
ასე დაარქვე კოლექციას. რატომ?**

— ჩემი კოლექციით შეიძლება,
ისარგებლოს როგორც გოგონამ, ისე
— ბიჭმა. ვილაცამ მითხრა: ბიჭების
პალტოები უფრო მოგვეწონა, გო-
გოებისას სჯობდაო. არადა, ბიჭები-
სა და გოგოების სამოსი ერთი და
იგივე იყო, არაფერი გამიყვია.

— **რატომ გავკვეთ ისე, რომ
გოგოსა და ბიჭის სამოსი ერთმა-
ნეთს დაამსგავსე?**

— ეს მართლაც, „უსქესო“ სამო-
სია. ამასთან, ძალიან პრაქტიკულიც.
ასეთი კოლექცია ევროპაში ბევრ ცნო-
ბილ დიზაინერს ჰქონია. თბილისში
ჯერ არ ყოფილა. თან, მეტი ინტერ-
ესი რომ გაჩენილიყო, პროვოკაციუ-
ლიც იყო.

— **გასაგებია, მაგრამ რეალუ-
რად, რამდენად მოსაწონია, რომ
ქალის სამოსი მამაკაცმა ჩაიცვას
და — პირიქით?**

— რატომაც არა?! თუ ის კარგად
არის გაკეთებული, ჩაიცვას ქალმაც
და მამაკაცმაც. ხომ არსებობს ასევე

— სათვალე, სუნამო, რომელიც შეი-
ძლება, ორივემ იხმაროს, რატომ არ
შეიძლება, „უსქესო“ სამოსიც არსე-
ბობდეს?.. თან, თითოეული კოსტიუმი
საკმაოდ რთული კონსტრუქციიაა —
პალტოც არის და ჩინთადაც გადა-
კეთდება. რაც შეეხება ფერს, აქრო-
მატული ანუ უფერო გამა გამოვიყ-
ენე, ის შავისა და თეთრის სინთები

გახლავთ.

— **ზოგადად, რომელია შენი
საყვარელი ფერი?**

— ფერს ძალიან სათუთად ვეპყ-
რობი, რადგანაც ყველაფერი დამოკ-
იდებულია იმაზე, ფერს როგორ გამ-
ოიყენებ, გამოიყვან თუ შეახამებ.
როდესაც კოლექციას ვქმნიდი, იმდე-
ნად მინდოდა, აქცენტი კონსტრუქციე-
ბზე ყოფილიყო გადატანილი, რომ
ფერი საერთოდ მოვსენი და უფერო
კოლექცია გაგავეთე.

— **მოდი, ცოტა წავიოცნებოთ
და წარმოვიდგინოთ შენი კარიერა
5 წლის შემდეგ...**

— რატომ წავიოცნებოთ?! ჩემს
თავს, ცოტა ხანში, ნებისმიერ ევრო-
პულ ბაზარზე საკმაოდ მკაფიოდ ვხე-
დავ... ახლა ლონდონში წასვლას და
ჩემს სფეროში სათანადო განათლებ-
ის მიღებას ვაპირებ. ვფიქრობ, ჩემი
პროვოკაციულობით, საზოგადოებას
ყოველთვის დავაინტერესებ. მაგრამ
აქ არ მექნება ისეთი აღიარება,
როგორიც უცხოეთში.

— **რატომ?**

— იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ
აქ არ არის სათანადო ბაზარი და
გასაქანი. ვფიქრობ, ბევრის გაკეთე-
ბა შემიძლია... შესაძლოა, ჩემი ამ-
ბიციები ასაკობრივიც არის, მაგრამ
ერთის მჯერა: მთავარია, საკუთარი
ძალების რწმენა მქონდეს. თუ ადამი-
ანს საკუთარი თავის გჯერა, მაშინ
სხვასაც დააჯერებ, მიზანს მაინც მი-
აღწევ. ის ჩვენებაც ჩემი შრომისა და
ბევრი უძილო ღამის შედეგი იყო.
მქონდა მეგობრების მხარდაჭერა.
კრისტი, შენიც. ჯიჯი რეჯინმა ბევ-
რი რამ გამიკეთა. მეგობრულად
გვერდში დამიდგა. იცი, რატომ? მათ
ჩემი დაიჯერეს!

— **დღეს ყველა სფეროს უჭირს,
მათ შორის, სამოდელო ბიზნესსაც.
როგორ ფიქრობ, აქვს მას რამე
პერსპექტივა საქართველოში?**

— აგვისტოს ომი რომ არ ყო-
ფილიყო, ბევრად უკეთესი სიტუაცია
იქნებოდა... ჩემს ჩვენებაზე ორი ცნო-
ბილი სტუმარი უნდა ჩამოსულიყო
ევროპიდან, მაგრამ აღარ ჩამოვიდ-
ნენ. არადა, ჩვენი სფეროსთვის მათი
სტუმრობა ძალიან მნიშვნელოვანი
იქნებოდა.

— **როგორც დიზაინერი, რას
ურჩევ ქართველებს?**

— ქალაქში რომ გახვიდე და ად-
ამიანების ჩაცმულობას შეხედო,
გაგიყდები, იმდენად არ იციან ფერ-
ების შესამება. ამიტომ, ჯობია, ისევე
შავ სამოსში გამოწყობილებმა იარ-

ონ. თუმცა გემოვნებიანი ადამიანებიც არიან.

— კი, გეთანხმები. „ეკლექტიკა“ საჭიროა. ფერები უნდა აურო.

— გალიანო იცი, რატომ არის მაგარი ტიპი? რისკავს, 5000 ფერს ერთად იყენებს და მისი ღირსებაც ისაა, რომ გოიმური ანუ უგემოვნო არც ერთი ექსპერიმენტი არ აქვს.

— წარმატებებს გისურვებ, მე მჯერა შენი!

— გმადლობ!

ყველას მოეწონა შენი კოლექცია, მაგრამ მათგან რამდენმა აღიარა ეს, არ ვიცი



ჩემთვის საპატიო და დასაფასებელი იყო, ჩემი ჩვენება სწორედ შენ რომ გახსენი



ქარნალისტი — ბიკოლა თეთრაპი რუსკონუნტი — პრისტი

— კრისტი, გამოცდილი ადამიანი ხარ. რას იტყვი — საზოგადოებამ როგორ მიიღო?

— ყველას მოეწონა შენი კოლექცია, მაგრამ მათგან რამდენმა აღიარა ეს, არ ვიცი. არადა, ჩვენებაზე ბევრი ისეთი ადამიანი იყო, ვინც მართლა ერკვევა მოდაში. თუმცა იყვნენ, ასე ვთქვათ, „სეირის მაყურებლებიც“. ისე, ერთი შეხედვით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ მე მაქსიმალისტი ვარ და უფრო მეტი მიხლოდა.

— გეთანხმები. აკადემიაში ვი-

ლაც კარგ ნახავს რომ გააკეთებდა და ჩემზე მეტ ქულას იღებდა, ვგიუდებოდი, პირადადაც ვეუბნებოდი, — ჩემზე მეტი როგორ მიიღე-მეთქი (იმის გამო, რომ პირში მთქმელი ვარ, ბევრს, ვიცი, არ მოვწონვარ)?!. მერე, სახლში მისული, იმდენს ვმუშაობდი, ღამეს ვათენებდი, სანამ უკეთესს არ გავაკეთებდი და მეორე დღეს უკეთეს ნიშანს მაინც მივიღებდი.

— ვფიქრობ, ადამიანს ასეთი თვისება თუ აქვს, ცხოვრებაში ბევრს მიაღწევს.

— თავად როგორ ურთიერთობ დიზაინერებთან?

— ბევრთან ვმეგობრობ, კარგი ურთიერთობა მაქვს. ზოგჯერ ჩვენებაზე ისეთი სამოსი მცმია, რომელიც არ მომწონება, მაგრამ პრეტენზიის გამოხატვის უფლება არ მაქვს, რადგანაც მოდელი ვარ. თუმცა ყოველთვის ვცდილობ, ისეთი კოსტიუმი შევარჩიო, რომელიც ვიცი, რომ მომიხდება.

— შენ ის მოდელი ხარ, რომელმაც კარგად იცის, სამოსი პოდიუმზე როგორ წარმოაჩინოს.

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია. მაგრამ ჩემთვის ხშირად უთქვამთ, — ქართული სამოდელი ბიზნესის „დედა“ ხარო, რაც ძალიან მეუხერხულეობა. არადა, რომ დავფიქრდე, მართლაც, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ვინც კი გამოჩნდა ასპარეზზე, თითქმის ყველა დიზაინერისთვის დამილოცია გზა. ყველას დებიუტი მახსოვს. შეიძლება ითქვას, რომ ჩემ

თვალწინ გაიზარდა ქართული მოდა. ყოველწლიურად პოდიუმზე 15-16 წლის ასაკის გოგონებთან ერთად გამოვიდვარ და მათაც ვზრდი.

— ეს მე კარგად ვიცი და ამიტომაც, ჩემთვის საპატიო და დასაფასებელი იყო, ჩემი ჩვენება სწორედ შენ რომ გახსენი.

— საერთოდ, უდიდესი პასუხისმგებლობაა, როდესაც ჩვენებას ვხსნი. რა თქმა უნდა, მთლიანად ჩვენება კარგი უნდა იყოს, მაგრამ დაწყება მნიშვნელოვანი ნაწილია. ვეცადე, შენი ჩვენების დასაწყისიც კარგი ყოფილიყო და მგონი, გამოვიდა.

— ბოლო დროს უმოქმედოდ რომ ხარ, დეპრესია ხომ არ დაგემართა?

— მართალია, ჩვენებაზე იშვიათად გავდივარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემზე მოთხოვნა არ არის. საბედნიეროდ, ყველგან მიწვევენ.

— პარალელურად რაიმე სხვა საქმის კეთების სურვილი არ გაქვს?

— კი, და რადიო „უცნობში“, 11 თებერვლიდან 16 მარტამდე დილის გადაცემა მიმყავდა. მერე ჩვენს ქალაქში სიტუაცია დაიძაბა და თავი დავანებე... ისე, მანამდეც მქონდა რადიოში მუშაობის გამოცდილება — ნ თვის განმავლობაში ერთ-ერთ რადიოში მიმყავდა გადაცემა მოდის შესახებ.

— ამ სფეროში მუშაობის გაგრძელებას ხომ არ აპირებ?

— კი, მაქვს სურვილი, მოდის საკითხებზე რადიო ან ტელეგადაცემა გავაკეთო.

— ცოტა რამ შენი შვილის შესახებაც მომიყვი.

— ნატალია ერთ-ერთ ფილმში გადაიღეს, სიმღერაც ჩანერა, „ჯეოსელის“ რეკლამაშიც გამოჩნდა, მაგრამ ოჯახში ამაზე ყურადღებას არ ვამახვილებთ, როგორც ჩვეულებრივ ამბავს, ისე ვუყურებთ, რომ ბავშვს თავში არ აუვარდეს. საერთოდ, დროის უმეტესს ნაწილს ბავშვს ვუთმობ, მით უმეტეს, რომ ახლა სკოლაში ვერ დადის: 1-ელი სკოლის მოსწავლეა. ერთი თვე სკოლა დაკეტილი იყო, ახლა გაიხსნა, მაგრამ მე მაინც მეშინია და ვერ ვუშვებ.

— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— არაფერი ისეთი, ყველაფერი ძველებურად არის. მყავს მეგობარი, შეყვარებული, რომლის რჩევებსა თუ თხოვნას ვითვალისწინებ.

— რაო, მოკლე კაბა არ ჩაიცვავ?

— ...*(იღიმება)*

— მოდელობას შენს შვილს თუ ურჩევ?

— თუ ამის სურვილი ექნება, ხელს არ შეეშული და რჩევებსაც მიცემ. სხვათა შორის, უკვე ვამჩნევ, რომ მონაცემებიც აქვს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი შვილია, მას კიდურებზე ეტყობა, რომ ისეთი სხეული აქვს, რაც მოდელს სჭირდება. იმედი, მერეც კარგი ტანი ექნება. თუ მოინდომა, მხარს დავუჭერ და დავეხმარები, მისი პიარ-მენეჯერი ვიქნები. მაგრამ თვითონ თეატრის მსახიობობა უნდა და, როგორც თავად ამბობს, „ნამდვილ ფილმში“ გადაიღება. ვნახოთ.

— წარმატებებს გისურვებ და დიდხანს ყოფილიყავი ასეთი მოზიბლავი და იმის უნარი გქონდეს, რომ ქართული პოდიუმი დაამშვენო!

რამ განაპირობა ხელისუფლებისა და ოპოზიციის დახეულობა

ანუ როცა მოკავშირეები ერთმანეთს ექიმპებიან, ხოლო მათი მოწინააღმდეგე ფეხბურთის საყურებლად გარბის

გასული თვე პოლიტიკური სპექტრის ცხოვრებაში სკანდალური განცხადებებით გამოირჩეოდა. ჯერ იყო და ძმებმა გაჩეჩილაძეებმა სააკაშვილის გუნდი პატრიარქზე ზენოლაში დაადანაშაულეს, შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა, ეკა ბესელიამ და ზვიად ძიძიგურმა ხელისუფლებას ჯარის, პოლიციისა და საბანკო სექტორის განადგურების მცდელობაში დასდეს ბრალი. სკანდალური ბრალდებები ოპოზიციონერ ლიდერებს არც ერთ მანეთისთვის დაუკლიათ: კონსტანტინე გამსახურდიამ გია მისაშვილზე თქვა, — „კოალიციიდან“ იმიტომ წავიდა, რომ ხელისუფლებისკენ მიიღწეოს, თავად გია მისაშვილმა ოპოზიციის სააკაშვილის აგენტების არსებობა დაადასტურა, ხოლო საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა, ლევან ვეფხვაძემ საჯაროდ განაცხადა — რადიკალური ოპოზიცია რალაც-რალაცებს მიედ-მოედება... 26 მაისს, როდესაც ქვეყანაში ხალხმრავალი აქცია გაიმართა და საზოგადოებაში დიდი ენებათაღელვა განიდა, პრეზიდენტი, არც მეტი, არც ნაკლები, იტალიაში ფეხბურთის საყურებლად გაემგზავრა. როგორც პოლიტოლოგი რამზ ხაჩიძემ აღნიშნა, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების ასეთი ქმედებები მათი დაბნეულობითაა გამოწვეული. ის თვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად 26 მაისს ჩატარებულ სახალხო ალღუმს მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ამ დღეს განვითარებული მოვლენები ერთგვარი გაკვეთილი იყო, როგორც ხელისუფლებისათვის, ისე ოპოზიციისთვისაც.



გამოსავლისათვის 10-პუნქტიანი გეგმა შესთავაზა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, კონსტიტუციურ ცვლილებებს, ახალი საარჩევნო კოდექსის შექმნას და სასამართლო რეფორმის განხორციელებასაც ითვალისწინებს. რამდენად შესაძლებელია, რომ ამ გეგმით პრობლემების მოგვარება მართლაც მოხერხდეს? — ეს შეუძლებელია, რადგანაც ჩემი

გაგრძელება იხ. გვ. 94

ხათუნა ბახტურიძე

— ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან, ხალხი ქუჩაში დგომით დაიღლებოდა და პროტესტს შეწყვეტდა, მაგრამ შეცდა — ისინი ამით არ დადღლილან. ეს ფაქტი ხელისუფლებას აიძულებს, სხვა სტრატეგიაზე იფიქროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩიხში აღმოჩნდება. თავის მხრივ, ოპოზიციამაც დაინახა, რომ მხოლოდ პარლამენტის წინ დგომით და საკნების ქალაქის მოწყობით მიზანს ვერ მიაღწევს, რომ სხვა ხერხს უნდა მიმართოს.

— ოპოზიციამ ახალი სამოქმედო გეგმა უკვე გაგვაცნო და ვიცით, რომ 9 ივნისს კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი აქცია მოეწყობა. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია ხალხის ქუჩაში გამოყვანას ისევ შეძლებს?

— ვფიქრობ, რომ შეძლებს. აქცია 9 ივნისისთვის სწორედ იმიტომ დაიგეგმა, რომ საპროტესტო მუხტი შენარჩუნდეს.

— საკნების ბათუმში გადატანის იდეა რამდენად მართებულად მიგაჩნიათ?

— ჩემი აზრით, ეს „ეროვნული ფორუმის“ იდეის განხორციელებისათვის ანუ რეგიონების ათვისებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯია.

— ბოლო ერთი თვის განმავლობაში ოპოზიციონერ ლიდერებს შორის უთანხმოების ფაქტი გახშირდა. თქვენი აზრით, ეს ოპოზიციის მომხრე ელექტორატს იმედს არ გაუცრუებს?

— ხალხმა უნდა გაითვალისწინოს,

რომ ოპოზიციონერი ლიდერებიც ადამიანები არიან და მათ შორის სხვადასხვა საკითხზე დავა, მსჯელობა ჩვეულებრივი მოვლენაა.

— მსჯელობა და დავა — კი, მაგრამ ჩვენ სშირად ვსდებით იმის მომხრე, რომ ზოგიერთ ოპოზიციონერ ლიდერს თანამოაზრეებთან სერიოზული უთანხმოება მოსდის...

— ასეთი პრობლემები იმიტომ იქმნება, რომ ოპო-

ზიციონერებმა საპროტესტო მოძრაობის დასაწყისშივე არ გათვალეს ყველა დეტალი და ნიუანსი, მაგრამ არა უშავს, დარწმუნებული ვარ, ისინი ამ პრობლემას მოაგვარებენ... სხვათა შორის, ეჭვი არც იმაში მეპარება, რომ ახლა ხელისუფლებაც სიხალისი ძიებაშია.

— გია თორთაძემ ხელისუფლებასა და ოპოზიციას პოლიტიკური კრიზისიდან

2 თვიანი აქცია უფასო კონსულტაცია

თუ თქვენ განუხებთ ნებისმიერი სახის რინიტი, ცხვირით სუნთქვის პრობლემა, სინუსიტი (ჰაიმორიტი, ფრონტიტი). სეზონურად განუხებთ ალერგიული სურდო, ცხვირის ძვიდის გამოუდება, ყელისა და ყურის ნებისმიერი სახის დაავადება (ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, პოლიპები, სმუნის დაქვეითება, გოგირდის საცობი, ნევრიტი...) თუ თქვენი ზავში შენუხებულა ცხვირიდან გაზანგრილივებული გამოზადენით...

ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკაში, მედ. მეც. დოქტორი, პროფესორი ოტოლარინგოლოგი, გაგინვეთ უფასო კონსულტაციას, კონსულტაციისათვის ჩანურა ხდება წინასწარ.

ტელეფონის ნომერი (995 32) 10 31 44

წინა ნომერში მითითებული ტელეფონის ნომერი იცვლება ტექნიკური ხარვეზის გამო

ზნანი უფასო





უკვე რამდენიმე წელია, ლიკა ნალეზაშვილი ტელეკომპანია „კავკასიაში“ საინფორმაციო პროგრამის წამყვანად მუშაობს. სულ ერთი და იგივე სამსახური ალბათ ცოტათი მოსაბეზრებელია. შეიძლება, სწორედ ამიტომ, ლიკა სულ მალე „კავკასიის“ დატოვებას აპირებს. მან გამოიხილა, რომ საკუთარი გადაცემის გაკეთებაზეც ფიქრობს და პოლიტიკური საქმიანობის დანერგვაზეც...

მერი კობიაშვილი

— ლიკა, რამდენი წელია, რაც „კავკასიაზე“ მუშაობ?

— უკვე იმდენი ხანია, რომ სათვალავიც ამერია. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ერთი წელი გაზეთში ვმუშაობდი. 2000 წლიდან „ვარდების რევოლუციამდე“ ერთ-გულად ვემსახურებოდი „კავკასიას“. შემდეგ, აჭარის რევოლუციამდე, „იბერიაში“ ვიყავი. ამ კომპანიაში იმიტომ წავედი, რომ რალაც სიახლე მინდოდა. ჩემი გადაცემის გაკეთება მქონდა გეგმაში. იმ პერიოდში „კავკასიაში“ წამყვანი არ ჰყავდათ და მთხოვეს, ცოტა ხნით დავბრუნებულიყავი. ეს „ცოტა ხანი“, გამოვიდა, რომ დიდხანს გაგრძელდა. კმაყოფილი ვარ ამ არხის, აქ ბევრი რამ ვისწავლე. რთულ სიტუაციაში როცა მუშაობ, ყველაფრის გაკეთება გინევს. სულ ვამბობ, ვინც „კავკასიაში“ მუშაობს, ყველგან, „გრუზიკიდაც“ კი იმუშავენს-მეთქი. ამას სერიოზულად ვამბობ. მაგრამ ბოლო დროს ვატყობ, რომ ერთი ადგილის ტყუპნა მინევს, ამიტომ ბევრი რამ მაქვს დაგეგმილი.

— რა გეგმები გაქვს?

— მინდა, ჩემი საავტორო გადაცემა მქონდეს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუს გაკეთებას ვეგეგმავ. ახლა ტექნიკური დეტალები დარჩა მოსაგვარებელი. ასე რომ, მალე, და არა „კავკასიაზე“ ახალი ამპლუით წარვდგები.

— ეი, ტოვებ „მშობლიურ“ „კავკასიას“?

პოპულარული არხის სამზარეულო, გადაბვირთული დავით აქუბარდია და ბელენამყვანის პოლიტიკური ამბისია

„40 წლამდე, თბილისის მერი გავხდები“...

— ვტოვებ...

— რომელ არხზე გიხილავთ?

— ზუსტად არ ვიცი. ეს საკითხი ჯერ კიდევ განხილვის საგანია. მაგრამ წინასწარ გეტყვი, რომ მართლა საინტერესო გადაცემა შექნება, ახალი და საინტერესო სახეებით და საინტერესო გაფორმებით.

— მითხარო, „კავკასიაზე“ დიდი ხანია, ვმუშაობო. მოგიყვები ამ არხის სამზარეულოს შესახებ...

— სამზარეულო არ გვაქვს. ეს ჩვენი არხის მიწისია. სამსახურში სამზარეულო რომ გვექონდეს, ხომ არ ვივლიდით ჟურნალისტები შორს საკვებად, დროს არ დავკარგავდით და უფრო მეტს ვიმუშავედით... ეს — ხუმრობით. „კავკასიის“ სამზარეულო ზუსტად ის არის, რასაც მაყურებელი ხედავს. დამალული მართლა, არაფერი გვაქვს. ვერც დავიმალებით, იმიტომ, რომ მართლა ძალიან ცოტანი ვმუშაობთ. არც დაცვა გვაქვს. ჩვენი დღე იწყება 10 საათიდან და გვიანობამდე გრძელდება, ზოგჯერ ღამის 4 საათამდე სამსახურში ვართ. ჟურნალისტებს დანესებული რეჟიმი არ გვაქვს. პროდიუსერი არ გვაქვს. ერთმანეთთან მინითათბირი გვაქვს ხოლმე და ვნაილდებით სხვადასხვა სიუჟეტის მოსამზადებლად. უფროსობა ცოტა მოგვიანებით ინტერესდება, ვინ რა გავაკეთეთ. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდის. მინდა გითხრა, რომ არანაირი ცენზურა არ გვაქვს. ისე ვამუშეებთ მოვლენებს, როგორც ვხედავთ. ყოფილა შემთხვევა — სხვა ტელევიზიების ეთერში რომ მიზახავს სიუჟეტი იმავე მოვლენაზე, რომლის მომსწრეც ვიყავი, გამკვირვებია და მითქვამს, — მე სხვაგან ხომ არ ვიყავი ან ჭურში ხომ არ ვიჯექი-მეთქი?.. თავიდან, „ახალი“ რომ ვიყავი, კომპლექსი მქონდა, ვფიქრობდი, — რაიმე ხომ არ გამომრჩა-მეთქი? — მაგრამ მერე მივხვდი, რომ არც არაფერი გამომრჩენია. სხვები თავისებურად ხედავდნენ ან იძულებული იყვნენ, „თავისებურად დაენახათ“...

— ყველა ტელემყვანი ერთხმად აღნიშნავს, რომ ქართულ ტელევიზორში რთული სიტუაციაა. ახლა, როცა „კავკასიიდან“ წასვლა გადაწყვიტე და სხვა არხზე გინდა მუშაობის დანერგვა, არ გეშინია, რომ შენც სხვანაირად დაინახავ მიმდინარე მოვლენებს?

— მეშინია, მსგავსი რამ ჩემს შემთხვევაშიც არ მოხდეს. მაგრამ მე საავტორო გადაცემა შექნება. ამ შემთხვევაში, საშუალება შექნება, მოვლენები სწორად დავანახო მაყურებელს. დარწმუნებული ვარ, შევძლებ, ობიექტური ვიყო. სხვანაირად ვერ გავძლებ, წამოვალ სამსახურიდან.

— და ისევ „კავკასიაზე“ დაბრუნდები?

რუნდები?

— „კავკასიაზე“ დაბრუნების არ მეშინია. ამ არხის ცუდი მხარე ისაა, რომ ტექნიკური ბაზა არ აქვს. მე „კავკასიის“ საინფორმაციო არაფერი მაქვს. ერთადერთი, რის გამოც მივდივარ, ის არის, რომ პარტნიორები ფულს დებენ ჩემს გადაცემაში და ტექნიკური პრობლემები მოგვარებული შექნება. თან, დრო ხომ იცვლება, შეიძლება, მოგვიანებით საკუთარი ტელევიზია შევქმნა.

— ეს არა მგონია, ადვილი იყოს...

— რატომ? იყო დრო, როცა „რუსთავი 2“ რეგიონული ტელევიზია იყო. მაგრამ უცებ ეს ტელეკომპანია აღმოჩნდა იმ სიხშირეზე, რომელზეც ადრე „კავკასია“ მაუწყებლობდა. ასეთი მონაცვლეობა ხშირად ხდება. შეიძლება, ტელევიზიები დაიხუროს ან ახალი სიხშირეები გაჩნდეს. ასე რომ, პერსპექტივაში ყველაფერი შესაძლებელია. ეს ჩემი მთავარი მიზანი არაა. სიმართლე გითხრა, ტელევიზიის „გაქვება“ — ჩემი სარეზერვო გეგმაა. მე უფრო შორს მიმავალი მიზნები მაქვს. არ გაგეცინოს და მინდა, თბილისის მერი გავხდე. ეს ოცნება არაა. დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის მერი აუცილებლად გავხდები. ასეთი წინათგრძობა მაქვს.

— შენი წინათგრძობა მართლდება ხოლმე?

— კი. პირობა მაქვს დადებული, რომ 40 წლამდე, თბილისის მერი გავხდები. თუმცა წინასაარჩევნო კამპანია უკვე დანებებული მაქვს: ყველა ახლობელს ვუთხრები, რომ მისი ხმა აუცილებლად დამჭირდება მერის არჩევნებზე. ოღონდ არჩევნების გზით უნდა გავხდე მერი. სხვაგვარად არ მინდა.

— თბილისის მერი რომ გახდები, რას შეცვლი ქალაქში?

— ძალიან ბევრ რამეს. თბილისის ევროპულ ქალაქად ვაქცევ. კარგ ასფალტს დავაგებ, ისეთს, ერთ წელიწადში ახალი ასფალტის დაგება რომ არ იყოს საჭირო. დედაქალაქის კულტურას უფრო მრავალფეროვანს გავხდი.

— გიგი უგულავას იცნობ?

— კი.

— იცის შენი გეგმები თბილისის მერობასთან დაკავშირებით?

— არ იცის. მისგან კომენტარს რომ ვიღებ, გულში ვფიქრობ, — გიგი, რომ იცოდე, რა აზრები მაქვს-მეთქი!.. მაგრამ გიგი ხომ ერთ დროს ჟურნალისტი იყო. ეი. არაფერი იქნება უჩვეულო. თან, ქალი თბილისის მერი არ ყოფილა... მოკლედ, საინტერესო იქნება.

— ენახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მაგრამ სანამ თბილისის

მერი გახდები, მოდი, დღევანდელ რეალობას დავუბრუნდეთ. „კავკასიაზე“ უფროსობასთან როგორი ურთიერთობა გაქვს? დავით აქუბარდია როგორი უფროსია?

— ზუსტად ისეთი, როგორიც ეკრანზე ჩანს. ჩვენ მასთან მეგობრულად ვართ. მართლა ხშირად მიტყვამს, „კავკასიაზე“ არც მე ვარ ვინმეს უფროსი და არც მე მყავს უფროსი-მეთქი. იერარქიები არ გვაქვს სამსახურში. ჩვეულებრივად ვიცინით და ვხუმრობთ. ვერანაირად ვერ ვგრძნობ, რომ დავით აქუბარდია ჩემი უფროსია. ხანდახან ცდილობს, ჭკუა დაგვარიგოს...

— რასთან დაკავშირებით დაუროგებია ჭკუა?

— მას ძალიან დატვირთული გრაფიკი აქვს. სამსახურში ხშირად გვეკითხება, — რა არის დღის მთავარი თემა, რაზეც შეიძლება, გადაცემა გავაკეთო? ჩვენს აზრებს ვუზიარებთ. დათო ჟურნალისტი არაა, პროფესიით ეკონომისტი. ხანდახან ის თავისებურად ხედავს მოვლენებს. ერთხელ, მასსოვს, გადაღებიდან დავბრუნდი და 5 ადამიანი ჩავხეწე. მოვიდა და მითხრა: რა არის, ლიკა, 5 „რესპუბლიკელი“ რომ ჩაგინერიაო? — არადა, მხოლოდ ერთი „რესპუბლიკელი“ მყავდა ჩანერილი. ამაზე უხეშად ვუპასუხე. ამ ამბის შემდეგ დიდი ხანი არც ველაპარაკებოდით ერთმანეთს.

— როგორ შერიგდით?

— ერთ მშვენიერ დღეს სამსახურში რომ მოვედი, მომესალმა და მეც მივესალმე. აღარ გაგვირჩევია მომხდარი. არ მიყვარს, დაუმსახურებლად შენიშვნებს რომ ვიღებ. მერე თვითონაც ხვდებიან, მოგიბოდიშებენ, მაგრამ „ლიკა, მასპატიე“-ს არ ამბობენ, ისე, ლაითად... ასეთი რაღაცები ხდება ხოლმე.

— მითხარო, ხანდახან შეიძლება, სახლში ღამის 4 საათზე დავბრუნდეთ. ოჯახის წევრები ამაზე რას გეუბნებიან?

— უკვე დიდი ხანია, ვმუშაობ და სახლში მიჩვეულები არიან ჩემს გვიან დაბრუნებას. როცა მივადივარ, ყველას სძინავს. ბოლო დროს, ძალიან რომ დაიძაბა სიტუაცია, მაშინ ნერვიულობდნენ. მაგრამ რას ვიზამ? ეს ჩემი სამსახურია.

— შილი რამხელა გყავს?

— საბა უკვე დიდი ბიჭია. მესამეკლასელია. უკვე ერევა ჩემს ჩაცმულობაში. სულ მეკითხება, — სად მიდიხარ, როგორ მიდიხარ და როდის უნდა დაბრუნდეთ?! — და იმასაც მირჩევს, რა ჩავიცვა.

— ენდობი შვილის გემოვნებას?

— რა თქმა უნდა. კარგი გემოვნება აქვს.

— შენს წამყვანობაზე ოჯახის წევრები რა აზრის არიან?

— ხშირად აქვთ შენიშვნები, განსაკუთრებით — მამაჩემს და საბას. სულ „კავკასიას“ უყურებენ. მერე ყველა ერთად თანხმდება, რომ იმ დღეს განათება არ ვარგოდა ან თმა მქონდა ცუდად. ხან მეუბნებიან, შავი ჩანდი ეკრანზეო, ან პირიქით — თეთრიო. მე ვუსხნი, რომ კარგი განათება არ გვაქვს, ან კარგი კამერა, მაგრამ მაინც მეუბნებიან, — შეიცვალეო.

— საბას უკვე გადანეყვტილი აქვს, ვინ უნდა რომ გამოვიდეს?

— მგონი, დღეში ცხრაჯერ იცვლის ამ მხრივ აზრს: ხან ჯარისკაცობა უნდა, ხან — პოლიციელობა. ვეუბნები, — იქნებ, ბიზნესმენობა გირჩევნია? დამოუკიდებელი იქნები-მეთქი, — მაგრამ აზრს არ იცვლის. საბას იარაღი იზიდავს. ალბათ ყველა პატარა ბიჭს ასეთი სურვილები აქვს. გოგონები უყვარს ძალიან, განსაკუთრებით ისეთები, ვისაც წითელი პომადა უსვიათ. პატარა რომ იყო, მასსოვს, „ყავის სახლში“ დავდიოდით ხოლმე, იმიტომ, რომ იქ ერთი ქალი მუშაობდა, რომელსაც წითელი პომადა ესვა. საბა სულ მასთან მიდიოდა და ფაქტობრივად, ძიძა ჰყავდა. მერე მე და ჩემს მეგობრებს უამრავი დრო გვრჩებოდა საჭორაოდ. მოკლედ, უკვე დიდი კაცია. ცოლი რომ მომიყვანოს, არ ვიცი, რა მეშველება. ძალიან პატარა დედამთილი ვიქნები (იციინის). მაგრამ ჯერ ძალიან ადრეა მისთვის ცოლის მოყვანა. ცოტა მაინც მოიცადოს. რჩენა ხომ უნდა ოჯახს (იციინის)?!

— მეუღლეს რატომ გაყვარე?

— გიორგი უძილაურს უკვე 5 წელია, რაც გავშორდი. გიორგი ახლაც „ახალ თაობაში“ მუშაობს.

— ჟურნალისტებმა რატომ ვერ გაუგეთ ერთმანეთს?

— ძალიან პატარები ვიყავით, როცა ოჯახი შექმენით: მე 18 წლის ვიყავი, გიორგი — 21-ის... ახლა ვმეგობრობთ. ხომ არის შემთხვევები, როცა მეგობრობა გამოგდის, ცოლ-ქმრობა — არა. ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც. საბასა და გიორგის ერთმანეთი ძალიან უყვართ და ერთმანეთს ჰგვანან. სიყვარული გაქრა, მაგრამ მეგობრობა დარჩა. სულ უკვირთ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ჩვენ, როგორც მეგობრები, ისე უფრო ვუგებთ ერთმანეთს.

— ახლა ხარ შეყვარებული?

— სულ შეყვარებული ვარ, მაგრამ კონკრეტულად, არავინ მიყვარს.

— როგორი მეუღლე გინდა, რომ შენ გვერდით იყოს?

— ისეთი, როგორიც შემეყვარდება. ჩემთვის იდეალური მამაკაცი რომ დაგისასიათო, ხომ არარეალური იქნება?! — ასეთს ვერასდროს ვიპოვი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მეორედ რომ გავთხოვდები, მთელი ცხოვრება მასთან ვიქნები, სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს.

— ყოფილმა მეუღლემ ოჯახი შექმნა?

— კი, შვილიც ჰყავს. სიმართლე გითხრა, ცოლს არ ვიცნობ. ბავშვის ფოტოები მაქვს ნანახი. ოჯახებით არ ვკონტაქტობთ. ასეთი ევროპული ურთიერთობაც არ გვაქვს. „ცოტათი“ ქართველები ვართ (იციინის). მე წინააღმდეგი არ ვარ იმ გოგოს გაცნობის. მას ალბათ გაუმართლა. გიორგი ახლა უკვე შეცვლილია. ჩემს შემთხვევაშიც ალბათ ასე იქნება. გამოცდილებას რომ იქნენ, ცდილობ, ყველაფერი გამოასწოროს. საკუთარ შეცდომებზე სწავლობ.

— გიორგი სანაიას ქვრივი შენ ძმის ცოლი გახდა. მათი ოჯახური ცხოვრება როგორ აენყო?



საბა უკვე დიდი ბიჭია. მესამეკლასელია. უკვე ერევა ჩემს ჩაცმულობაში

— ხათუნა ჩხაიძისა და ჩემი ძმის ურთიერთობა ძალიან ჩვეულებრივად აენყო. რატომღაც, საზოგადოების მხრიდან არაჩვეულებრივი შეფასება მოჰყვა: ყველას გაუკვირდა. როგორც ხვდებიან ადამიანები ერთმანეთს და უყვარდებიან, ისე შეუყვარდათ მათაც ერთმანეთი. უღამაზესი გოგონა ჰყავთ. თან, ისეთი „ჭინკა“ გოგოა, როგორიც მე მინდა, რომ მყავდეს. ახლა ძალიან კარგად არიან. ჩემი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ მინდა, რომ ჩემს ახლობლებსაც იგივე დაემართათ და ამას რომ ვერ ვხედავ, ჩემი ძმის ოჯახის ცქერით კმაყოფილი ვარ. ■

Advertisement for 'ახალი დროითი' (New Time) radio show. It features a woman wearing a headset, likely the host. Text includes 'ახალი დროითი', '13:30', 'თეატრონის', 'მთავარი პოლიტიკური მოვლენები', and 'ნიტეხები და პასუხები'. Logos for 'FM 103.9' and 'PALITRA' are also visible.

„ამერიკედ ჰიარმენეჯერებზე უკეთესად ვიცი, რას ფიქრობს გლეხი ჩემს სოფელში“

ის პროფესიით ისტორიკოსია, სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის ფილიალში ლექციებს კითხულობდა. დღეს ყველაზე სწორად პოლიტიკურ ლიტერატურას ეტანება, ხოლო პრესის კითხვა — მისი ცხოვრების ნაწილია. სტუდენტობის წლებში, უშიშროების გადამდგარი გენერლების მემუარებს ეცნობოდა. კონსტანტინე გამსახურდია და გურამ დოჩანაშვილი მისი საყვარელი პროზაიკოსები არიან, პოეტებიდან — გალაკტიონი და მუხრან მაჭავარიანი. ლიტერატურული პერსონაჟებიდან, ტრაგიკული ბედის მქონე მეფე გიორგისთან დამეგობრების სურვილს გამოთქვამს. მას ასე, „ერუდიტის“ სტუმარია **დათო გომიგვილი** — ადამიანი, რომელიც იუმორისტული გადაცემების წყალობით, ციყვის მეტსახელით გახდა ცნობილი.



თამუნა კვინიკაძე

პრეზიდენტის კვირა

— დათო, შენზე მითხრეს, პოლიტიკა ძალიან აინტერესებსო, მართლა ასეა?

— პოლიტიკით VI კლასიდან დავეინტერესე. 1988 წლიდან საინფორმაციო გამოშვებებს ვუყურებ, გაზეთებს ვკითხულობ. „ვარდების რევოლუციაში“ ვმონაწილეობდი, აქტიურად დავდიოდი მიტინგებზე...

— დღეს მიტინგებზე არ დადისარ?

— არა, ვმუშაობ და საამისოდ დრო არ მაქვს.

— სურვილი?

— ხელისუფლების ისევ რევოლუციის გზით შეცვლა მართებულად არ მიმაჩნია. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი — წლების განმავლობაში ხელისუფლების და ოპოზიციის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგია. მიტინგზე, როგორც ცალკე აღებულ მოვლენაზე, შემიძლია ვთქვა, რომ ამაზე დიდი საშინელება კაცობრიობის გონს ჯერ არ მოუფიქრებია. სამწუხაროდ, საქართველოში მიტინგებზე სიარული ბევრი ადამიანისთვის პროფესიად იქცა...

— როგორც ვიცი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყავი. პარტია რატომ დატოვე?

— დიახ. 2 წლის განმავლობაში პარტიის აქტიური წევრი ვიყავი. მერე „ფარულ კამერასთან“ თანამშრომლობა დავინწყე. ეს ორი საქმიანობა შეუთავსებელი იყო.

— შენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ჯერჯერობით ოპოზიციამ მიზანს ვერ მიაღწია?

— ოპოზიციის პოლიტიკური პასუხისმგებლება არ აქვს გააზრებული. ლიდერების ნაწილი ხშირ შემთხვევაში, „პოლიტიკობანას“ თამაშობს, ოღონდ მათ დასახელებას ნუ მომთხოვ.

— სამომავლოდ პოლიტიკაში წასვლას ხომ არ აპირებ?

— ამის დიდი სურვილი მაქვს. მინდა, პოლიტიკაში ჩემი სიტყვა ვთქვა, ჯერჯერობით კი მოვლენებს ვაკვირდები. ხელისუფლება უნდა მიხვდეს იმას, რომ ორჯერ ორი — ოთხია! ამერიკელი პიარმენეჯერები რომ ჩამოჰყავთ, რომლებსაც სოლიდურ თანხებს უზდიან, მათზე უკეთესად ვიცი, რას ფიქრობს გლეხი ჩემს სოფელში. გია თორთლაძეს რომ საპარლამენტო ოპოზიციის დაარქმევ და ალაპარაკებ ადამიანს, რომელმაც ხელისუფლების აპოლოგეტობით, გიგა ბოკერისა და პეტრე ცისკარიშვილს გაუსწრო, ჩათვალეთ, რომ ამ დროს ხელისუფლება საზოგადოებას ატყუებს. ხალხის გაღიზიანებას გიორგი თარგამაძის „ბიბლიური ინსვლენტებიც“ იწვევს. პროტესტულ ელექტორატს ზრდის.

— თუ ხელისუფლება შეიცვალა, შენი აზრით, მოვლენები როგორ განვითარდება?

— თუ ოპოზიციამ თავისი გაიტანა და სააკაშვილი გადადგა, დღევანდელი ლიდერები სათავეში მოსასვლელად იმდენად მოუშვადებლები არიან, 3-4 წელში მორიგი რევოლუცია მოხდება. რევოლუცია ძალიან ჰგავს ქალის წარუმატებელ გათხოვებას. ნაბიჯის გადადგმა პირველად ჭირს (საქართველოში ასეა), თორემ მეორედ და მესამედ პრობლემა აღარ არის.

— რა ჰქვია მეცნიერული ხარისხის მისაღებად წარდგენილ ნაშრომს?

— დისერტაცია.

— რომელი ვულკანის ამოფრქვევამ გაანადგურა ქალაქი პომპეი?

— ვეზუვის.

— რომელი სრუტე აკავშირებს შავ და მარმარილოს ზღვებს?

— ბოსფორის სრუტე.

— რომელ ქალაქში და როდის შეიქმნა ინტერპოლი?

— ვერ გიპასუხებ.

— ვენაში 1923 წელს. დაასახელე თავისებურება, რომლითაც შავი ზღვა სხვა ზღვებისგან განსხვავდება.

— იგი 200 მეტრის სიღრმეში ფსკერამდე, დიდი რაოდენობით მომწამლავ აირს შეიცავს.

— დაასახელე ცნობილი დამპყრობელი, რომელიც შეიჭრა ჩრდილოეთ ჩინეთში, აიღო პეკინი, დაამარცხა ხორეზმის შაჰი მუჰამედი და 1223 წელს მდინარე კალაზე რუსეთის ლაშქარი გაანადგურა. იგი საქართველოში პირველად 1229 წელს გამოჩნდა. რომელ დამპყრობელზეა ლაპარაკი?

— ჩინგიზ-ხანზე.

— ვინ მეფობდა ამ დროს საქართველოში?

— ლაშა-გიორგი.

— ინგლისის მეფე რიჩარდ IV აქტიურად მონაწილეობდა ჯვაროსანთა III ლაშქრობაში, საფრანგეთის მეფე ფილიპ II-სთან ერთად დიდ წარმატებასაც მიაღწია. გასაოცარი მამაცობისა და შეუპოვრობის გამო რა უწოდეს მას მეტსახელად?

— ლომგული.

— რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო იგი და როგორ მოკლეს?

— უინძორების დინასტიის. როგორ მოკლეს, არ ვიცი.

— ცდები, რიჩარდ IV პლანტაგენეტთა დინასტიიდან იყო. იგი 1199 წელს მონაწილეობდა ისრით მოკლეს.

— ამას აუცილებლად დავიმახსოვრებ.

— სიქსტის კაპელაში, საკურთხევის კედელზე არის განთქმული კომპოზიცია, რომელიც 1536-41 წლებში შეიქმნა, მას „განკითხვის დღე“ ჰქვია და ბიბლიურ სიუჟეტს გადმოგვცემს. ვინ არის მისი ავტორი?

— მიქელანჯელო, არა?

— მართალია. რა ფერის იყო პირამიდები სამშენებლო მუშაობის დასრულების შემდეგ?

— არ ვიცი.

— თეთრი. სემირამიდას დაკიდებული ბალები ტერასებზე იყო გაშენებული. თითოეულ სართულზე დედოფლის დასასვენებელი სენაკები იყო მოწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ გარეთ მზე ატყუნებდა, პალატებში მუდამ სასიამოვნოდ გრილოდა. რა ასრულებდა პალატებში

მინებისა და ფარდების მოვალეობას?

- წყალი, რომელიც ტერასებზე ჩამოედინებოდა.
- ჩერნენკო, ანდროპოვი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი: ჩამოთვალე ქრონოლოგიურად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ცეკას გენერალური მდივნები.
- ხრუშჩოვი (1953-1963), ბრეჟნევი (1963-1982 წლის 10 ნოემბერი) ანდროპოვი (1982-1984), ჩერნენკო (1984-1985). აი, ასე, წლებიც კი მახსოვს.
- რა ჰქვია სოსო ჯაჭვლიანის კინოგმირს ფილმში „ნატვრის ხე“?
- (ფიქრობს) ეს ფილმი ძალიან მიყვარს, მაგრამ გმირის სახელს ვერ ვიხსენებ.
- გეგია. „ნატვრის ხე“ ვისი ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა?
- გოგლა ლეონიძის.
- დასახელებული ძველი ბერძნული ეპოსის გმირი, მიკენის მეფე, ტროას ომში ბერძენთა ჯარების მთავარ-სარდალი, რომელიც ომიდან დაბრუნების შემდეგ ცოლმა მოკლა?
- ვერ ვიხსენებ.
- აგაპემონი. გადმოცემით, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული, დასავლეთ საქართველოში მდინარეების ნაპირზე დაბანაკებული არაბთა ლაშქარი წყალდიდობის მსხვერპლი გახდა. ერთმა მდინარემ არაბთა ჯარში მყოფი 23000 აბაში (აბასინელი) წაღება, ხოლო მეორემ — 35000 ცხენი. რას უწოდებენ დღეს ამ მდინარეებს?
- აბაშისწყალს და ცხენისწყალს.
- რა ჰქვია სწრაფ-მაგალ დიდ სამხედრო გემს?
- ვერ გიპასუხებ.
- კრესერო. ეს ქალაქი წერილობით ძეგლებში 1256 წლიდან იხსენიება. იგი გალიჩ ვოლინის მთავარმა, დანელ რომანის ძემ დააარსა და „ლევი“ უწოდა. 1772-დან 1918 წლამდე ავსტრიის შემადგენლობაში შედიოდა და „ლემბერგად“ იწოდებოდა. რომელ ქალაქზეა ლაპარაკი?
- ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.
- ლევი. რომელი ქალაქია ალმასის საბადოებზე გაშენებული? (ფიქრობს) მიგანიშნებ, იგი სამხრეთ აფრიკის დედაქალაქია.
- პრეტორია.
- არგენტინა, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, ეკვატორი — ჩამოთვლილთაგან, ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი ქვეყანა?
- ბრაზილია.
- ანდორა, გვატემალა, ლუქსემბურგი, მონაკო — რა აქვს საერთო ამ ქვეყნებს?
- ტერიტორიით პატარა ქვეყნებია.
- რა ჰქვია ამ ქვეყნების დედაქალაქებს?
- ა, გამოვიცანი: მათი დედაქალაქები ქვეყნების სახელებს ატარებს.
- ამერიკულ დოლარზე გამოსახული პირებიდან რომელი არ იყო აშშ-ის პრეზიდენტი?
- ფრანკლინი.
- 1944 წელს რომელი ორგანიზაციით შეიცვალა ერთა ლიგა?
- გაერთიანი.
- რომელი კომპოზიტორის მუსიკა დაედო საფუძვლად საქართველოს ჰიმნს?



ემუშაობ და საამისოდ დრო არ მაქვს

- ზაქარია ფალიაშვილის.
- რომელმა ქვეყანამ აჩუქა ამერიკას თავისუფლების ქანდაკება?
- არ ვიცი.
- საფრანგეთმა. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, რომელი სახელმწიფოა II ადგილზე?
- ინდოეთი.
- რა ჰქვია თუჯის გამოსადნობ ლუმელს?
- ბრძმედი.
- რამდენი და მღეროდა იშხნელების ვოკალურ ანსამბლში?
- ოთხი.
- „კუკარაჩა“, „დიდი მწვანე ველი“, „სიყვარული ყველას უნდა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ — ჩამოთვალე თანამიმდევრულად ამ ფილმების რეჟისორები.
- „კუკარაჩა“ ვინ გადაიღო, ვერ ვიხსენებ, დანარჩენი ფილმების რეჟისორები არიან: მერაბ კოკოჩაშვილი; გიორგი შენგელაია; მიმიკო ჭიაურელი და ელდარ შენგელაია.
- „კუკარაჩა“ ქეთი დოლიძემ გადაიღო. სპორტის რომელ სახეობაში ტარდება უიზბლდონის ტურნირი?
- ჩოგბურთში.
- რომელ ქვეყანაშია მედიაკორუპრაცია „ბი-ბი-სი“?
- დიდ ბრიტანეთში.
- ვისი აფორიზმია — „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“?
- შოთა რუსთაველის.
- რომელ სახელმწიფოს აქვს სახმელეთო საზღვარი მხოლოდ ესპანეთთან და საფრანგეთთან? (ფიქრობს) სავარაუდო პასუხებს გეტყვი: შვეიცარიას, ლუქსემბურგს, ანდორას თუ იტალიას?
- იტალიას.
- რომელი სახელმწიფოს დროშაზეა გამოსახული თეთრი ჯვარი წითელ ფონზე?
- ვერ ვიხსენებ.
- ამ ქვეყნის დედაქალაქია — ბერნი.
- ე.ი. შვეიცარიის დროშაზე.
- რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ამჟამად ბასიანი, სადაც 1203 წელს დიდი ბრძოლა გაიმართა?
- თურქეთის.
- რომელი მოგზაური იკვლევდა პაპუასების ცხოვრებას?
- მიკლუხო მაკლაი.
- ილია ჭავჭავაძის რომელ ცნობილ ნაწარმოებზეა აქვს წამძღვარებული: „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანო“?
- „კაცია-ადამიანს!“
- ქალაქი, ისე თეთრი ხარ/, როგორც საყდარში კირო/, ლამი-ლამ მომაგონდები/, წამოვგდები და ვტირო-იო“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?
- ამ სტროფს ავტორი ჰყავს?
- მე შენ გეკითხები.
- ხალხურია.
- რომელი სახელმწიფოს დიქტატორი იყო ფრანკო — ესპანეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის თუ იტალიის?
- ესპანეთის.
- დაასრულე გაიბელის ცნობილი გამონათქვამი: „ჭკვიანია იგი, ვინც დროზე მოვა, უფრო ჭკვიანია ის, ვინც...“
- (ფიქრობს) „...ვინც დროზე წავა“.



ოქახი, რომლის ყველა ნიჟარა სერიულ „შუა ქალაქში“ მოხანილემოვს ანუ ჭაბუკილა და მისი მოგზაუბნი

ნათია ქივიციანი

— ქალბატონო ციციწო, რატომ გადამწყვიტეთ, რომ თქვენს სპექტაკლში („წვიმის გამყიდველი“) ერთ-ერთ მთავარ როლში მეუღლე დავკავებინათ?

— იმიტომ, რომ თემური ძალიან კარგი მსახიობია. საერთოდ, მიკვერძობების გამო ქმარ-შვილი კი არა, არც ერთ როლზე არავინ დამიმტკიცებია. ამჯერად მეორე სპექტაკლია, რომელშიც თემური დავაკავებ. მთავარია, რომ როლები სწორად განაწილდება. რეჟისორისთვის ეს მნიშვნელოვანია.

— ბატონო თემურ, როგორ გრძნობთ სცენაზე თავს, როცა რეჟისორი თქვენი მეუღლეა?

— თუ შევეპასუხე, ჩემს ნათქვამზე უფრო მძაფრი რეაქცია აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე მსახიობისაზე. არადა, მეც უფრო მტკივნეულად განვიცდი მის შენიშვნას, ვიდრე სხვა მსახიობი.

ციციწო:

— სპექტაკლზე მუშაობისას თემური ჩემთვის მხოლოდ მსახიობია და არა მეუღლე. ჯაბასთან როცა ვმუშაობ, მასთანაც ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება მაქვს. ჩემთან თანამშრომლობას კი ორივე ძალიან განიცდის.

— ბატონო თემურ, მეუღლემ უკვე შეგაფასათ, რომ კარგი მსახიობი ხართ. თქვენ როგორ შეაფასებთ მას, როგორც რეჟისორს?

— ციციწო ძალიან კარგი ადამიანია. პიროვნული თვისებები კი რეჟისორისთვის მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარს თავისი საქმე და უდიდესი პასუხისმგებლობითაც ეკიდება. ციციწოს ლილი იოსელიანის სკოლა აქვს გავლილი. მიმაჩნია, რომ ქალბატონი ლილი ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგია. მისი აღზრდილები

ყოველთვის პროფესინალიზმითა და სისუფთავით გამოირჩევიან.

— ქალბატონო ციციწო, თუ არ ვცდები, პროფესიით მსახიობი ბრძანდებით. რეჟისურაში როგორ აღმოჩნდით?

— მართალია. ჯერ სამსახიობო განხრით ვსწავლობდი, 14 წლის წინ კი სარეჟისორო ფაკულტეტი დავამთავრე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კათედრაზე დავრჩი და სტუდენტებს დიდხანს სასცენო მეტყველებას ვასწავლიდი. გარდა ამისა, მოზარდების დასიც მყავდა. სტუდენტებს სასცენო მეტყველებას რომ ვუკითხავდი, იმ ლექციებს სპექტაკლის სახეს ვაძლევდი და ყველაფერს ვდგამდი. ამისთვის ყურადღება სხვებმა მიმაქცევინეს, — რასაც შენ აკეთებ, მაგას რეჟისორობა ჰქვიაო. ძალიან მიყვარს პიესების კითხვა და ერთდროულად 6-7 პიესას ვკითხულობ ხოლმე. რომელიმე პიესა თუ მომეწონებოდა, აღმოვაჩენდი, რომ ჩემთვის არაფერი მემეტებოდა, ყველა როლს გუნებაში მსახიობებისთვის ვანაწილებდი. ვატყობდი, ნელ-ნელა რეჟისორობა უფრო მიზიდავდა. ამასთან, „ბერიკეტი“ ვმუშაობდი და პატარებთან ერთი ზღაპარიც დავდგი, რომელშიც 36 ბავშვი თამაშობდა. მერე გავბედე და ქალბატონ ლილის ვთხოვე, ჩემი ნაშრომი ენახა და შეეფასებინა. მას მოეწონა სპექტაკლი და რჩევებიც მომცა, რაც გავითვალისწინე. იმ ბავშვებიდან ბევრი დღეს საკმაოდ ცნობილი მსახიობია. მაგალითად, სერილის „შუა ქალაქში“ მსახიობები — ბაჩო ქაჯაია (ლაშა), ლელა მეზურიშვილი (თიკა), მარიამ ჯოლოგუა (ანანო) და კიდევ ბევრი.

— ახლა მათ რომ უყურებთ, ალბათ სიამაყის გრძნობა გეუფლებათ...

— რა თქმა უნდა. ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ. მაგრამ კიდევ ერთხელ

მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში არის ერთი ასეთი სპექტაკლი — „წვიმის გამყიდველი“, რომლის რეჟისორიც ციციწო კობიაშვილი გახლავთ. მასში ერთ-ერთ მთავარ როლს კი მისი მეუღლე, თემურ კილაძე თამაშობს. ქალბატონ ციციწოსა და ბატონ თემურს მაყურებელი სერიალიდან „შუა ქალაქში“ იცნობს, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟის — „დედას ბუშტის“ — ლაშკარის დედის (ქალბატონი ნელი) როლს ქალბატონი ციციწო ასრულებს; ხოლო ბატონ თემური ტელევიზორში სოლომონი, იგივე ვატო გახლდათ. რეალურ ცხოვრებაში კი ეს ორი ადამიანი მსახიობ ჯაბა კილაძის მშობლები არიან, რომელიც აგრეთვე აღნიშნული სერილის (სანდრო) პერსონაჟია.

გავიმეორებ, რომ მეგობრობისა და ახლობლობის გამო, თუ არ იმსახურებენ, როლზე არავის ვამტკიცებ. მაგალითად, ახლანდელ სპექტაკლში ბაჩო და მარიამი თამაშობენ, დანარჩენები კი — არა.

— სცენა არ გენატრებათ?

— ძალიან. რეჟისორებს რატომღაც ჰგონიათ, რომ რადგან რეჟისორი ვარ, სცენაზე აღარ უნდა ვითამაშო და აღარ მეძახიან. არადა, ლამეც კი მესიზმრება, რომ სცენაზე ვდგავარ. როდესაც სერიალიდან — „შუა ქალაქში“ დამიძახეს, ძალიან ბედნიერი ვიყავი. მართალია, ამ სერიალში დიდი სამუშაო არ მაქვს, მაგრამ იქ დიდი ენერჯით ვივსებ. ვგრძნობ, ძალიან მაკლია სცენა...

— ბატონო თემურ, „შუა ქალაქში“ თქვენი გმირი სულ რამდენიმე სერიაში გამოჩნდა, მაგრამ მან მაყურებლის მოხიზვლა მაინც მოახ-



როდესაც სერიალიდან „შუა ქალაქში“ დამიძახეს, ძალიან ბედნიერი ვიყავი

ერსა. ეს თქვენი პირველი როლი იყო სერიალში?

— არა. ადრე „ყავა და ლუდის“ რამდენიმე სერიაშიც მომიხდა თამაში. „კაგებენიკის“ როლს ვასრულებდი. რაც შეეხება ამ სერიალს, მასში ჯაბას გამო არ მოვხვედრილვარ. ოჯახის წევრებს არ გვჩვევია, რომ ასეთ სიტუაციებში ერთმანეთს დავხმაროთ. როცა მსახიობებს უთხრეს, რომ სოლომონის როლის შემსრულებელი სჭირდებოდა და მათთვის ვინმე ერჩიათ, მარამ ჯოლოგუას უთქვამს, ამ როლს თემურ კილაძე მოუხდებო. ჯაბას ხმაც არ ამოუღია. კილაძე რომ გაიგონეს, მერე გაიკრკვა, რომ ჯაბას მამა ვარ. ციცინოს შემთხვევაშიც ზუსტად ასე მოხდა. ნელ-ის როლის შემსრულებელი რომ დასჭირდათ, მისი კანდიდატურაც მარამა შესთავაზა...

— თქვენი როლი უკვე ამოწურეთ და „შუა ქალაქში“ აღარ გიხილავთ?

— გამოირიცხული არაფერია. როგორც იცით, ბოლოს სოლომონს ამნეზია დემართა და მას მერე აღარ ჩანს. იქნებ გაუაროს ამნეზიამ და კვლავ გამოჩნდეს. დიდი სურვილი მაქვს, რომ ამ სერიალში კიდევ გადამიღონ. გარდა ამისა, ჩემი გმირი ძალიან შემოიყვარდა. სოლომონი საკმაოდ სახასიათო გმირია.

— ქალბატონო ციცინო, ლასას „დედას ბუშტი“ ვინ შეარქვა?

— ეს სცენარისტების მიერ მოფიქრებული ხუმრობაა. უნდა აღვნიშნო, რომ ამ სერიალს ძალიან კარგი სცენარისტები ჰყავს. მიხარია, ამ კოლექტივს რომ ვიცნობ. გადაღებიდან ყოველთვის კმაყოფილი ვბრუნდები. ხანდახან იმპროვიზაციის უფლებასაც გვაძლევენ, თუმცა მათ მიერ დაწერილ სცენარს არაფრის დამატება არ სჭირდება.

— ქალბატონო ციცინო, ალბათ სერიალმა პოპულარული გაგხადათ, არა?

— კი. ამის გამო ხშირად ჩავვარდნილვარ უხერხულ მდგომარეობაში... ტრანსპორტში ხშირად მიხდინან მგზავრობის საფასურს და ამის ძალიან მრცხვენია.

— ჯაბა „დედას ბუშტია“?

— ჩვენ დემოკრატიული ოჯახი გვაქვს. ყველა ჩვენ-ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, თან ერთმანეთს ვეხმარებით. უკვე მესამე დღეა, ჩემი შვილი ნორმალურად არ მინახავს. ეგ ერთი შვილი გვყავს და, რა თქმა უნდა, ყველაფერი მისთვის გვინდა, ვანებივრებთ, თუმცა „დედას ბუშტი“ ნამდვილად არ არის.

— ერთ ოჯახში სამი ხელოვნის თანაცხოვრება რთული არ არის?

— რთულია.
თეზური:

— ერთად ცხოვრება რთული ნამდვილად არ არის. ხშირია კამათი ჩვენს ოჯახში, მაგრამ ეს კამათი ჩხუბში არ გადადის, უბრალოდ თითოეულს ჩვენ-

ჩვენი აზრი გვაქვს, რასაც გამოვხატავთ კიდევ. ძირითადად, ერთმანეთს რჩევებს უფრო ვაძლევთ. თამამად შემოძლია ვთქვა, რომ ჩვენმა ოჯახმა ამდენი წელი დიდი სიყვარულის გამო გაძლო. პირადად მე, ოჯახის გამო კარიერას ბევრი რამ დავაკელი.

ციცინო:
— ჯაბა ჩვენგან რჩევებს იღებს. გულდასმით გვისმენს და რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებს.

თეზური:
— მე ცოტა ემოციური ვარ. ამიტომ თუკი რაიმე არ მომეწონება, ციცინოს ვუბნები და ჯაბას ის ელაპარაკება. ისიც ყოველთვის უსმენს.

— როცა ჯაბამ მსახიობობა გადაწყვიტა, თქვენ წინააღმდეგობა არ გაგინევიათ?

თეზური:



ჯაბას საშუალება ჰქონდა, რომ სხვა პროფესია აერჩია

— ჯაბას საშუალება ჰქონდა, რომ სხვა პროფესია აერჩია. ის ყოველთვის კარგად სწავლობდა. როდესაც თქვა, რომ მსახიობობა სურდა, რჩევის სახით ვუთხარი: მსახიობს დიდი ხელფასი არ აქვს, ხომ ხედავ, ცხოვრება როგორ გვიჭირს-მეთქი. არ დამიჯერა და მაინც ეს პროფესია აირჩია. 12 წლის იყო, როცა რეჟისორი მედგა კუჭუხიძე სპექტაკლს დგამდა. ერთ-ერთ როლზე ბავშვი დასჭირდა და მთხოვა, რომ მისთვის ჯაბა მიმეყვანა. ბავშვობაში ჯაბა ძალზე მორცხვი იყო და ძლივს დავითანხმე ამ სპექტაკლში თამაშზე. ვერ ვიტყვი, რომ მსახიობობაზე ბავშვობიდან აცნებობდა, რადგან მაშინ ყოველი სპექტაკლის წინ ტიროდა.

ციცინო:
— მაშინ ჯაბა ფეხბურთით იყო გატაცებული და ფეხბურთელობაზე ფიქრობდა, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო და გაგრძელება ვეღარ შეძლო. სკოლას როცა ამთავრებდა, მაშინ თქვა, რომ მსახიობობა სურდა. არ გამხარებია,

მაგრამ სხვის შვილებს ვამზადებდი და საკუთარ შვილს ვერ მოვამზადებდი? თუმცა მისაღებ გამოცდებზე ნამდვილად არ დავხმარებივარ. თეატრალურ ინსტიტუტში თავისი ნიჭისა და ცოდნის წყალობით ჩაირიცხა და გიორგი შალუტაშვილის ჯგუფში მოხვდა. ჯაბა მეორე კურსზე იყო, სრულიად შემთხვევით დოიმ „ჯინსების თაობაში“ რომ მიიწვია. მიმანია, რომ მაშინ ჯაბას ძალიან გაუმართლა. ეს ნამდვილი იღბალი იყო, თორემ ხომ შეიძლება, ადამიანი ნიჭიერი იყოს, მაგრამ ის ვერავინ შეამჩნიოს?! ჯაბა საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა. „ჯინსების თაობას“ სხვა უამრავი სერიალი თუ სპექტაკლი მოჰყვა და ვგრძნობ, რომ ჯაბა, როგორც მსახიობი, ძალიან გაიზარდა.

— როცა ცოლის მოყვანა გადაწყვიტა, არც მის არჩევანში ჩარეულხართ?

— ცოლის მოყვანა მისი სურვილი იყო და ჩვენ მხოლოდ მხარში დავუდგეთ.

— სერიალში უარყოფითი დედამთილის როლს ასრულებთ. ცხოვრებაში როგორი დედამთილი იყავით?

— შემოძლია დავიფიცო, რომ მე და თემური დედამთილ-მამამთილი არასოდეს ვყოფილვართ. ამას თამთაც (თამთა ქელიძე, ჯაბას ყოფილი მეუღლე. — ავტ.) იტყვის. ჩვენ ის პირველ დღესვე შვილად მივიღეთ და დღემდე ძალიან გვიყვარს.

თეზური:

— მაშინ ჯაბა 21-22 წლის იყო. თქვა, რომ ცოლი უნდა შეერთო და ასეც მოიქცა. მის არჩევანში არ ჩავრეულვართ. მომავალში თუ ისევ გადაწყვეტს ცოლის მოყვანას, არც მაშინ ჩავერევით.

ციცინო:

— ძალიან მწყდება გული, თამთა და ჯაბა ერთმანეთს რომ დამორდნენ და შვილიშვილი ჩვენთან არ იზრდება.

თეზური:

— მათი დამორება რთულად გადავიტანე...

— მიამბეთ თქვენს შვილიშვილებზე...

ციცინო:

— ჩვენს შვილიშვილს ლიზიკო ჰქვია და სამწლიანხევრის არის. ციციის მეძახის და სულ უკან დამდევის, — მიმღეო.

თეზური:

— მე კი ლიზიკოს ცხენი ვარ. ოთხზე ვდგები, ზედ შემომაჯდება და ასე დავაჭენებ.

ციცინო:

— ჯერ ძალიან პატარაა და ამიტომ ჩვენთან ვერ რჩება ხოლმე. ამის გამო, სულ გვენატრება. ლიზიკო ძალიან საყვარელი ადამიანია...

არის თუ არა ლაკვი ლომის სწორი და როგორ ესმით განდარული ბალანსი საქართველოში

სულ რამდენიმე წელია, რაც საქართველოში სიტყვა „გენდერი“ გაისმა. ბოლო პერიოდში ქალები შედარებით გააქტიურდნენ, საზოგადოებრივ ასპარეზზეც მეტად გამოჩნდნენ და ხშირად წუწუნებენ იმაზე, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ბევრი მამაკაცური საქმის კეთება, ოჯახის რჩენა ითავსებს და მუშაობას გააზარმაცეს. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენ გამოკითხვა ჩავატარეთ და გარდა საზოგადოებისთვის უცნობი სახეებისა, გენდერულ ბალანსზე მსახიობებმა — გივი ბერიკაშვილმა, თავო აბაშიძემ და იუმორისტმა ირაკლი ვახტანგიშვილმა ისაუბრეს.

უფლება გაქვთ, ჩვენ რატომ არ უნდა გვეკონდესო? ახლა იმას ჩივიან, — კაცები შეიცვალნენ, აღარაფერი აინტერესებთ და არაფერს გვითმობენო. ხომ უნდაოდ თანასწორობა? ჰოდა, არ მესმის, ახლა რატომღა წუწუნებენ?! კარში თუ პირველი არ გაატარე, შეიძლება, თავში ჩანთა „ჩაგაფარონ“. და კიდევ, თურმე მათ ტრანს-

„ვისაც თანასწორობა სურს, ავტობუსში ავტობუსსაც ნუ მომთხოვს“

ელენე ბასილიძე

ნაპრი, 54 წლის:

— გენდერული ბალანსი? — ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოში პრობლემა არც არასოდეს ყოფილა. კაცო, ღმერთმა თითოეული ადამიანი, გინდ ქალი იყოს და გინდ — მამაკაცი, თანასწორი შექმნა! ქართველები ვართ, ტრადიციები გვაქვს, მანდილოსნის პატივისცემა სისხლსა და ხორცში გავგიჟდა! არა, შეგეშალა — გვერდით გააქვდა, თორემ რაც მე ამ ორიოდ დღის წინ ვნახე, რომელ პატივისცემასა და მოკრძალებასაც ლაპარაკი?! ავტობუსში ერთი ახალგაზრდა მუტრუკი სკამზე გაჭიმულიყო და ყბას კილომეტრზე იქნევდა, იქვე კი მ ქალბატონი იდგა და ბიჭვს არ ინამუსა, არც ერთ მათგანს ადგილი არ დაუთმო! ახლა ეს უნამუსობა როგორ დავაბრალო გენდერულ ბალანსს? როგორ ვთქვა, რადგან ქალი და კაცი გენდერულმა თანასწორობამ გაათანაბრა, ამიტომაც, კაცი ვალდებული სულაც არაა, მანდილოსანს ადგილი დაუთმოს-მეთქი?! ჯერ კიდევ რუსთაველი ამბობდა, — ლეკვი ლომისა სწორია... ქართველი კაცი ქალის მანდილს ყოველთვის პატივს სცემდა, ახლა კი ისეთი დრო დაგვიდგა, რომ მალე, ქალები კაცების როლში აღმოჩნდებიან!

რას გულისხმობთ?

— ქალების 90% ოჯახს თავად ინახავს მამინ, როცა მისი მუშაობა დივანზე ნამოკოტრიალებული სერიალს უყურებს. ფუნქციები თითქოს შეიცვალა და ამ ცვლილების დროს, მამაკაცი უფუნქციოდ დარჩა.

თქვენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— ტრადიციების მოშლის! მესმის, რომ მამაკაცების დასაქმება გაცილებით რთულია, ვიდრე ქალების, მაგრამ ეს არც ერთ მამაკაცს არ აძლევს იმის უფლებას, რომ მუშაობის კისერზე იჯდეს. კაცებო, თუ არ გინდათ, ჩემს მეზობელ მიტოს დაემსგავსეთ, საკუთარი ფუნქცია არ დაკარგოთ!

თქვენს მეზობელს რა შეემთხვა?

— 8 წელია, ცოლის კისერზე ცხოვრობს. ქალი მუშაობს, თვითონ კი საოჯახო საქმეებს აკეთებს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ დიასახლისობა არ გამოხდის. ყოველ საღამოს ცოლი



ისეთ კონცერტს უმართავს, მათი ყვირილი მ ვკარტალის იქითაც ისმის. გუშინაც თავშეხვეული გამოვიდა, — ცოლმა უთო მსროლოაო (იციანის). უთოს ვინ ჩივის, თავი აქვს მოსაკლავი — ცოლს „პარადი“ მიჰყავს, თავად კი ვიშვიშებს.

მათა, 25 წლის:

— არა მგონია, იმის მტკიცება გეჭირდებოდეს, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორუფლებიანები არიან. თუმცა, ბოლო დროს, ქალებს უდიდრად გვეპყრობიან და რატომღაც, მამაკაცებს პგონიათ, რომ ჩვენ მოფრთხილება, სითბო აღარ გეჭირდებოდა.

თქვენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— არ ვიცი, შეიძლება, სოციალური მდგომარეობის ბრალიც იყოს: ადამიანს, რომელსაც ელემენტარული საარსებო წყაროც საძებარი აქვს, ძნელია, ამაღლებულ განწყობილებზე ყოფნა და რევერანსებით ლაპარაკი მოსთხოვო, მით უმეტეს, ასეთ დროს — როცა ყველანი დაძაბული ვართ და მომავალს ეჭვის თვალით ვუშვებთ. რაც მართალია, მართალია, ქალები მამაკაცებს გაფუთანასწორდით და თუ მეტი არა, ნაკლები პრივილეგია ნამდვილად არ გვაქვს. ქართველებს არც ადრე გვანსუხებდა უთანასწორობის პრობლემა, მაგრამ იმას, რაც ახლა ხდება, მივესალმები.

ურა, 24 წლის:

— ეს ქალები ჯერ იმაზე წუწუნებდნენ: თუ თქვენ ამა თუ იმ რაღაცის გაკეთების

პორტში ადგილიც უნდა დაუთმო, კიბზე მძიმე ჩანთები აატანინო... სიმართლე გითხრა, მძიმე ჩანთის ტარებაში გოგონები თავად რომ მომეხმარონ, ამაზე უარს არ ვიტყვი. აბა, თუ მძიმეა და მისი ზიდვა მიჭირს, დახმარებაზე უარი რატომ უნდა ვთქვა?! ქალები ხომ, თავიანთი აზრით, არაფერით ჩამოგვივარდებიან...

ჩემი აზრით, ეს ყველაფერი, რაც ჩამოთვალე ფენტომენტობა და სხვა არაფერი.

— კარგი, რა, სადღა არიან ფენტომენტები?! ნამდვილი რაინდები XIX საუკუნის შემდეგ აღარ გვყოლია (იციანის)! დაფუშვით, დალილი ვარ და ტრანსპორტში ვზივარ. სანტერესოა, რატომ უნდა დაფუთო ადგილი ვიღაც გოგონას?!

მერე, შენც ნუ დაუთმობ...

— ააა... არ დაფუთო, არა? მერე, შენ დამიხსნი იქ მსხდომი ხალხის წყევლა-კრულვისგან?. კაცო, თუ თანასწორნი ვართ, იდგეს ის ფეხზე, ამით რა დაშავდება?!

რატომღაც, გალიზიანებული მეჩვენები...

— (იღიშება) ახლა ცოტა „ორთქლი გამოვუშვი“. მინდა ვთქვა, რომ ხანდახან, ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, თქვენი საქციელი მაღიზიანებს, ქალებს ზედმეტი მოგვით.

შენი აზრით, იმის გამო, რომ მანდილოსნები და მამაკაცები თანასწორნი არიან, სუსტი სქესის წარმომადგენლებს პატივისცემა აღარ სჭირდება?

— პატივს ყველა ქალს ვცემ, მაგრამ არ მომწონს ის, რომ ზოგჯერ, ბევრი რამის დათმობა მინევს...

თუნდაც სკამის, არა?

— ჰო, თუნდაც მაგის. ვისაც თანასწორობა სურს, ავტობუსში ადგილის დათმობასაც ნუ მომთხოვს (იციანის).

ვინწეს თუ მოუთხოვია შენთვის ადგილის დათმობა?

— არა, მაგრამ ხომ შეიძლება, მსგავსი რამ მომავალში მოხდეს? ამიტომაც, თადარიგს ვიჭერ. ქალებო, დიდ პატივს გცემთ, მაგრამ ადგილს მაინც ვერ დაგიტოვებთ (იციანის).

ნუსა, 20 წლის:

— რაც თავი მახსოვს, მშობლებთან სულ იმის გამო მქონდა პრეტენზია, რომ მე და



ჩემს ძმას თანაბარი უფლებები არ გვქონდა: თუ მას მეგობართან წასვლა ნებისმიერ დროს შეეძლო, მე 9 საათზე სახლში უნდა ვყოფილიყავი! მოკლედ, მშობლების შეგონებებითა და აკრძალვებით გული მქონდა შელონებული: „ეს არ შეიძლება“, „იქ არ წახვალ“, „ასე არ ქნა“... როცა მათ ვეკითხებოდი, — თუ ეს ჩემი ძმისთვის შეიძლება, მე რატომღა მიკრძალავთ-მეთქი? — მპასუხობდნენ, — შენი ძმა ბიჭია, შენ გოგო ხარ და ასეა საჭიროო! მოკლედ, ძალიან მხაგრავდნენ! ბოლოს და ბოლოს, ყელში ამომივიდა ეს ყველაფერი და ერთ დღესაც სახლში სერიოზული ისტერიკა მოვანყვე. არ ვიცი, იმ დღის შემდეგ ჩემმა მშობლებმა რა მოილაპარაკეს, მაგრამ უაზრო აკრძალვები ამკარად შეწყდა, სამაგიეროდ, სხვაგვარად „დამგრუხეს“...

რას გულისხმობ?

— ადრე თუ მალე იმაში მხოლოდ ჩემს ძმას გზავნიდნენ, ახლა მეც დამაკისრეს პროდუქტების საყიდლად მარკეტში წონილი, თან, როგორია — დატვირთული ცელოფანის პარკებით მესამე სართულზე ასვლა? მე შენ გეტყვი და, ლიფტი მუშაობს... ადრე თუ ნაგავს მშობლები და ძმა ყრიდნენ, ახლა ეს საქმეც მე გადმომაბარეს და 12-სანტიმეტრიან ქუსლებზე ამხედრებული, ბუნკურისკენ ნაგავს „ამაყად“ მივათრევი. ერთხელაც, ჩემი ძმა სახლში არ იყო და მამამ მითხრა, — სახურავზე ადი, ანტენა გაასწორეო. როცა ეს გაპაროტესტე, მან თვლები დამიბრიალა, — შენ და შენი ძმა თუ თანასწორები ხართ, ვითომ, რატომ არ უნდა გააკეთო ის საქმე, რომელსაც ნიკა აკეთებსო? ჰოდა, სხვა რა გზა მქონდა, სახურავზე ავედი, ანტენა გავასწორე და როცა იქიდან ფეხებაკანკალეული ჩამოვედი, მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, რომ მშობლებმა მაგრად „გამაბეს“ (იციანის)!

გამოსავალი იპოვე?

— ერთხელ, მამამ დედას ახალი სარეცხი მანქანა უყიდა და როცა მითხრეს, — ამის ატანაში უნდა მოგვეხმარო, აღვშფოთდი: აღარ ვაპირებ იმის კეთებას, რაც ჩემი გასაკეთებელი არაა და მხოლოდ მამაკაცების



საქმეა-მეთქი. — აბა, გენდერი და თანასწორობა რომ გინდოდა, ეგ მარტო აქეთიქით სიარულსა და დაგვიანებაში არ გამოიხატებაო! სწორედ მაშინ ვალიარე, რომ არც თანასწორობა მინდოდა და აღარც არაფერი...

— ასე მალე დაყარე ფარსმალი?

— (იციანის) სხვა გზა არ მქონდა. თანასწორობა კარგია, მაგრამ მამაკაცური საქმის კეთებამ ბოლო მომიღო და ასე გაგრძელებას აღარ ვაპირებ!

— ეი, მიიწე, რომ არსებობს საქმე, რომელსაც მხოლოდ მამაკაცები უნდა აკეთებდნენ?

— ჩემთვის ასეა, მაგრამ ამას ჩემს მეზობელ მარტოხელა ქალზე ვერ ვიტყვი. მან სახლში კაფეი საკუთარი ხელით დააგო, გუშინ კი დავინახე, მანქანას საბურავიც თავად გამოუცვალა... მე მსგავსი რაღაცების კეთება არ შემიძლია!

— ბატონო გივი, როგორ ფიქრობთ, შეინიშნება თუ არა საქართველოში გენდერული ბალანსი? მინი ბერიკაშვილი:

— სიმართლე გითხრა, ამაზე არ მიფიქრია. ისე, ბოლო დროს ქალები ცოტა გააქტიურდნენ და აგრესიულებიც გახდნენ (იციანის), მაგრამ მათ ამის საბაზი აქვთ, თორემ უმიზეზოდ, რა, გიყუბი ხომ არ არიან?!

— როგორ ფიქრობთ, საქართველოში გენდერული ბალანსი დაცულია?

— იცი, რაშია საქმე? მამაკაცებმა ქალები, ფაქტობრივად, ქუჩაში გაგვადეთ და ისინი იძულებული არიან, მალაჩისა და ბაზარში იმუშაონ. დღეს უამრავი ქალი ინახავს ოჯახს.

— ბატონო გივი, ბაზარში დგომა და ვაჭრობა მამაკაცებს არ შეუძლიათ?

— რა თქმა უნდა, შეუძლიათ, მაგრამ მათ ჭიქა ღვინის დაღვევა და ტახტზე წამოგორება ურჩევიათ. თან, მამაკაცი ბაზრობაზე „ტრუსიკ-მაიკებს“ გაყიდვას ვერ შეძლებს, სხვა რაღაცებს კი ყიდიან... დღესდღეობით, ისეთი სიტუაციაა, რომ მამაკაცების უმეტესობა ოჯახს ვეღარ არჩენს! ხალხი სოფლიდან გამოიბრუნეს, დაცარიელდა იქაურობაც, თოხი აღარავის უნდა... მოკლედ, ყველას „გულაობა“ სურს.

— ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ქართულ ტრადიციებს ხომ არ ეწინააღმდეგება?


— ხომ გაგიგონიათ, — ლეკვი ლომის სწორიაო. საქართველოში ქალს არასდროს ჩაგრავენ, მანდილოსანი ყოველთვის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ჩვენში.

თბაკო აბაშიძე:

— ბოლო დროს, გენდერულ ბალანსზე ხშირად ლაპარაკობენ და შესაბამისად, ქალებიც უფრო გააქტიურდნენ. ადრე ისინი მამაკაცებზე იყვნენ დამოკიდებულნი, ახლა კი სიტუაცია ამკარად შეიცვალა. ფეიქრობ, ქალსა და მამაკაცს შორის სრული თანასწორობა შეუძლებელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქალი არის ქალი, ხოლო მამაკაცი — მამაკაცი! მე, რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, რომ მანდილოსანს საპასუხისმგებ



ბლო თანამდებობაზე მუშაობა არ შეუძლია, მაგრამ კაცებს შესწევთ იმდენი ძალა, რომ საკუთარ თავზე მეტი ვალდებულება აიღონ.

— ამობენ, ქალებმა მამაკაცის ბევრი ფუნქცია შეითავსესო...

— ეს, რა თქმა უნდა, გენდერული ბალანსის ბრალი არაა. უბრალოდ, არსებობს მამაკაცების ისეთი კატეგორია, რომელსაც ცოლების ხარჯზე ცხოვრება არ რცხვინია. ისინი უთავმოყვარეო კაცები არიან, მაგრამ რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ისეთ მამაკაცებს, რომლებიც დიდი მცდელობის მიუხედავად, სამუშაოს ვერ შოულობენ. გენდერული თანასწორობა იმ შემთხვევაში შესაძლებელი, თუ ქალსა და მამაკაცს ერთმანეთის პატივისცემა ეწევათ. საერთოდ, ქართველ კაცს ურჩევნია, ცოლი სამზარეულოში ეგულეობოდა და არა — საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ჩემი აზრით, საკუთარი თავის რჩენა და გადარჩენა ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს.

— „შენს ოფისში“ სექსთა ბალანსი თუ შეინიშნება?

— როგორ არა! ჩვენთან გენდერული ბალანსი ნამდვილად დაცულია (იციანის).

— ზოგჯერ, თანამშრომელ ბიჭებს ჩაგრავენ...

— უი, რას ამბობ, ხანდახან ისინი თავადვე მჩაგრავენ (იციანის)! მე ლმობიერი უფროსი ვარ. ისე, არა მგონია, რეალურ ცხოვრებაშიც ასეთი უფროსი ვყოფილიყავი...

ირაკლი ვახტანგიშვილი:

— საქართველოში არსებობს სფეროები, რომელშიც განსაკუთრებული აქტიურობით ქალები გამოირჩევიან და არსებობს სფეროები, სადაც მამაკაცები არიან მთავარ როლში. სასურველია, ოჯახში ეს. შემომტანი ქალიც იყოს და მამაკაციც, მაგრამ მათ შორის აბსოლუტური თანასწორობა ვერ იქნება, რადგანაც ტრადიციების მიმდევრები ვართ.

— თქვენს გუნდში ქალები რატომ არ არიან?

— ნამდვილად გქონდა სურვილი, რომ გუნდში მანდილოსანიც გვეყოლოდა, მაგრამ ქალი სცენარისტი ვერ ვიპოვეთ.

— როგორ ფიქრობ, ქართულ ტრადიციებს სექსთა შორის ბალანსი ეწინააღმდეგება?

— კი. ქართული ტრადიციის მიხედვით, ქალი სამზარეულოში უნდა ტრიალებდეს, რეცხავდეს, ბავშვებს ზრდიდეს, მაგრამ მე ამას არ ვეთანხმები და იმედია, ჩემნაირად ბევრი ფიქრობს.

„ჩემი აზრება ქნა...“

დიპლომის მომღერადს საკუთარ თავზე დაპარაკი არ უყვარს

მომღერალი მარიკა მხელიძე, მიუხედავად იმისა, რომ გათხოვებაზე ჯერ არ ფიქრობს, ჩვენს რუბრიკაში სტუმრობას მაინც დათანხმდა. მარიკა 21 წლისაა, შეყვარებული არ ჰყავს და როგორც ამბობს, მისი რჩეული თბილი, ყურადღებიანი, მორწმუნე (მართლმადიდებელი) და ჯანსაღი იუმორის მქონე ადამიანი უნდა იყოს.



მარკს ჭონიჭვილი

— მარკა, შენს შემოქმედებაში რა სახელებაა?

— მე და თიკა ჯამბურამ ახალი დუეტი ჩავწერეთ. მას ჩვენი მსმენელი რადიოს საშუალებით ძალიან მალე მოისმენს. მე და თიკა მეგობრები ვართ და უკვე ბევრი დუეტიც დაგვიგროვდა. მოგესვენებათ, მუსიკალურ კარიერაში დიდი პაუზა გამომივიდა, რადგან რამდენიმე წელი სწავლაზე ვიყავი გადართული. ახლა კი ამისთვისაც მოვიცალე და ვცდილობ, მსმენელს რაღაც ახალი შევთავაზო.

— მარკა, როგორ ფიქრობ, რა დადებითი თვისება გაქვს?

— ოოო... მე ძალიან კარგი გოგო ვარ და ბევრი დადებითი თვისებაც მაქვს. რაც მთავარია, დიპლომიანი საპატარძლო ვარ (იციინის). ეს ხუმრობით, ისე კი საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. მიჩვენებ, სხვამ შემაფასოს.

— შენი ოჯახი გაგვაცანი.

— მყავს დედა (მამა კი მოგესვენებათ, აფხაზეთის ომში დამედღუპა), ბებიია, ბაბუა. ასევე — ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მეგობრები, რომლებიც ჩემი უახლოესი ადამიანები არიან და ამიტომაც, მათ ოჯახის წევრებად მივიჩნევ.

— ჰოროსკოპით ვინ ხარ და გვერა თუ არა ვარსკვლავების

წინასწარმეტყველების?

— თევზები ვარ. საერთოდ, ჰოროსკოპს ყურადღებას არ ვაქცევ და შესაბამისად, მისი წავითხვის სურვილიც არასოდეს გამჩენია.

— რა განათლება გაქვს?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული; მომავალი დიპლომატი ვარ, მაგრამ ჯერჯერობით არ ვმუშაობ.

— საოჯახო საქმეების გაკეთება თუ გეხერხება?

— საშარეულოში ტრიალი, სახლის დალაგება და უთიობა არ მიწევს. ამ მხრივ, დედას და ბებიას ბავშვობიდანვე განუბივრებული ყავარ. მე ხან გადაღუბაზე ვარ, ხან — ჩანერაზე და ისინიც ყველანაირად ხელს მიწყობენ, მესმარებიან.

— ახლა კი განუბივრებენ, მაგრამ გათხოვების შემდეგ ამ ყველაფრის გაკეთება რომ დაგჭირდეს, რას იზამ?

— რაღაცების გაკეთება ვიცი. თან, ზარმაცი ნამდვილად არა ვარ და როცა დამოუკიდებელ ცხოვრებას დავიწყებ, ყველაფერს თანდათან ვისწავლი.

— შეყვარებული თუ გყავს?

— არა.

— არც არასდროს გყვარებია? საინტერესოა, ამ დროს როგორია მარიკა თხელიძე?

— ვფიქრობ, ეს ძალიან პირადული თემაა, პირადულზე ლაპარაკი კი არ მიყვარს.

— მაშინ ის მაინც მითხარი, როგორი ბიჭები მოგწონს?

— ბიჭი, რომელიც მომეწონება, უნდა იყოს მაღალი, უხვი, მდაბალი და ლამაზი (იციინის). შეიძლება, ახლა გითხრა, — ქერა, ცისფერთვალა ბიჭები მომწონს-მეთქი, მაგრამ ხვალ სულ სხვანაირი ტიპი მომეწონოს. ეს — რაც შეეხება გარეგნობას... ისე კი ჩემი რჩეული თბილი, ყურადღებიანი, მორწმუნე (მართლმადიდებელი) და ჯანსაღი იუმორის მქონე ადამიანი უნდა იყოს. დაბლვერილი ტიპები არ მიყვარს.

— ალბათ, თავყანისმცემლები განუბივრებენ სოლმე...

— თავყანისმცემლები მართლა არ მაკლია და ისინი ბევრ სასიამოვნო სიურპრიზსაც მიკეთებენ. მაგალითად, ბევრჯერ დამხვედრია სახლში ულ-

ამახესი ვარდები. ასეთი ყურადღება ქალს ყოველთვის სიამოვნებს და სტიმულს აძლევს.

— მარკა, შენი გაბრაზება იოლია?

— ძალიან მომთმენი ვარ. ყოველთვის ვცდილობ, განონანსწორებული ვიყო, მაგრამ ზოგჯერ რთულია.

— მტირალა ხარ?

— ჩემი ატირება ძნელია. თუმცა, ძალიან ემოციური ვარ.

— ეჭვიანობა გრვევია?

— თუ ადამიანი გიყვარს, ზომიერების ფარგლებში, მასზე უნდა იეჭვიანო კიდეც.

— შენი მომავალი მეუღლის მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები?

— ადამიანს, იმის მიხედვით, თუ ანგარიშზე რამდენი თანხა აქვს, არასოდეს ვაფასებ. ურთიერთობაში ფული მთავარი არ არის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დამანახვოს, საყვარელი ადამიანისათვის რისი გაკეთება შეუძლია, რამდენად მონდომებული და მიზანდასახულია.

— ქართულ ტრადიციებზე რას იტყვი?

— ქართულ ტრადიციებს პატივს ვცემ, მაგრამ მათში ბევრი რამ არ მომწონს და არც ვიზიარებ.

— მაგალითად, ქართული ტრადიციის მიხედვით, ბიჭი საცოლის ოჯახში უნდა მივიდეს და მშობლებს მისი ხელი სთხოვოს...

— ეს ტრადიცია ძალიან მომწონს და მივესალმები კიდეც. გამიხარდება, თუ ჩემი რჩეული ოჯახში გვესტუმრება და მშობლებს ჩემს ხელს სთხოვს.

— ასევე, ქართული ტრადიციის მიხედვით, როცა გოგო თხოვდება, მშობლები მას მზითვეს ატანენ. შენ თუ გაქვს მზითვენი?

— არა (იციინის). ვერ ვხვდები, ეს რა საჭიროა და ამიტომაც, მზითვეს არ ვაგროვებ.

— ოდესმე თუ გიფიქრია, როგორი ქორნილი უნდა გქონდეს?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ



დაბლვერილი ტიპები არ მიყვარს

ბერლუსკონი აბოზოქრდა



ერთი ყველაზე ავტორიტეტული ლიდერი“ გახდეს, ხმების მოგროვებაშიც კი დაეხმარება. „მე ისეთი ცომისგან ვარ მოზელილი, რომ რაც მეტად მესხმინ თავს, მით მეტად ვრწმუნდები ჩემი მოსაზრებების სისწორეში და იმაშიც, რომ ამ პოსტზე ჩემი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმყოფები“; — განაცხადა ბერლუსკონიმ CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ოპოზიციის ბრალდებებს კი მან ასე უპასუხა: „დარწმუნებული ვარ, ეს თავდასხმები მემარცხენეებს ბუმერანგით მიუბრუნდებათ. ჩემი პერსონალური რეიტინგი 74,8 პროცენტია და ამიტომაც, სრულიად მშვიდად ვარ“. როგორც ჩანს, იტალიის პრემიერს სიმშვიდე ნოემი ლეტიციას მამის ინტერვიუშაც შემატა, რომელშიც ის ირწმუნება, რომ მისმა ოჯახმა ბერლუსკონი 2001 წელს, სრულიად შემთხვევით გაიცნო.

როგორც ყოველთვის, კოლორიტული იყო პარტია „წრდილოეთის ლიგის“ ლიდერის, უმბერტო ბოსის კომენტარებიც. „ეს ხელოვნურად გაბერილი ხმაურია, — განაცხადა მან, — ამის მიზეზი კი ისაა, რომ ახლოვდება არჩევნები, მაგრამ მემარცხენეებს სათქმელი ბევრი არაფერი აქვთ. არა მგონია, პოლიტიკოსებს ქალებთან ღლაბუცის დრო ჰქონდეთ. პირადად მე, საპირფარეოშიც ვერ ვახერხებ მარტო დარჩენას. გარდა ამისა, ბერლუსკონი უკვე ასაკშია. კარგი, დაუშვით, „ვიაგრაც“ არსებობს, მაგრამ მე ამის ნაკლებად მჯერა...“

იტალიის პრემიერის საქციელზე კომენტარი კათოლიკურმა ეკლესიამაც გააკეთა. „ადაშიანებს, რომლებიც უმადლესი დონის საზოგადოებრივ პოსტზე არიან, უფლება არ აქვთ, ყურადღება არ მიაქციონ იმას, თუ რა გავლენას ახდენს მათი საქციელი საზოგადოებრივ აზრზე“, — განაცხადა ერთ-

იტალიის პრემიერ-მინისტრმა, სილვიო ბერლუსკონიმ „უღირს საქციელში“ იტალიური პრესა დაადანაშაულა, რომელმაც საზოგადოებას პრემიერის განქორწინების გამო გამოწვეული სკანდალის ცენტრში მოქცეული, 18 წლის ფოტომოდელის — ნოემი ლეტიციას უძრავი ქონების შესახებ აუწყა. იტალიური ფინანსური გაზეთ Il Sole 24 Ore-ის ცნობით, 2003 წლიდან, ნეაპოლის მახლობლად, პორტიჩიში მდებარე ლეტიციების ბინა ნოემის სახელზე ირიცხება. ასევე, მის სახელზე გაფორმებული ნეაპოლში მდებარე 2 სხვა ბინაც და გარეუბან სეკონდილიანოში არსებული პატარა საოჯახო მაღაზიაც. გაზეთს არც იმის აღნიშვნა დავიწყნია, რომ ქონების შვილებზე გაფორმების პრაქტიკა იტალიაში ფართოდაა გავრცელებული და რომ ნოემი ლეტიციას სახელზე გაფორმებული არც ერთი უძრავი ქონება ლუქსის კლასს არ მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, იტალიის პრემიერი აღშფოთებას ვერ ფარავს და ამასწინანდელი მიწისძვრის ეპიცენტრ ლაკუილაში ვიზიტისას, კიდევ ერთხელ, მრისხანედ გაიმეორა, რომ „გოგონა სრულიად მიუღებელი სახით გახდა ჟურნალისტების სამიზნე“. „რა უფლებით ერევით მის პირად ცხოვრებაში? — ჯიუტად უტყვედა პრემიერი ჟურნალისტებს. — რა უფლებით უთვალთვალებთ პატივსაცემ ოჯახს?“

ბერლუსკონი დარწმუნებულია, რომ მას, როგორც პოლიტიკოსს, ნოემი ლეტიციასთან დაკავშირებული ამბავი მხოლოდ სიმტკიცეს შემატებს. მეტიც, თურმე, ეს სკანდალი, ევროპარლამენტის არჩევნებში, რომლის შედეგადაც ის შეიძლება, „ევროკავშირის ერთ-



ნოემი ლეტიცია

— აუცილებლად თეთრი კაბა მეცმება და ქორწილში ყველა ჩემი საყვარელი ადამიანი შეიკრიბება.

— **ოჯახის შექმნის შემდეგ ქმრის ოჯახთან ერთად თუ იცხოვრებ?**

— უკონფლიქტო ვარ, ადამიანებთან ურთიერთობა არ მიჭირს. კარგია, როცა წყვილი ცალკე ცხოვრობს და იმ პრობლემებსა თუ სიხარულს, რაც ახალდაქორწინებულებს აქვთ, დამოუკიდებლად ხვდებიან; მაგრამ თუ იმის საშუალება არ იქნება, რომ ჩემს მეუღლესთან ერთად მართო ვიცხოვრო, რა პრობლემაა?! — მის ოჯახსაც სიაშინებთ შევეგუები.

— **დედამთილთან ცხოვრება არ გაგიჭირდება?**

— გააჩნია დედამთილს (იცინის).

— **დედამთილს „დედას“ თუ დაუძახებ?**

— ყველა ადამიანს პატივის ვცემ, მაგრამ მე დედა უკვე მყავს!

— **ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდე ურთიერთობის შესახებ რა აზრის ხარ?**

— არავის განსჯას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემთვის ქორწინებამდე ურთიერთობა მიუღებელია. საერთოდ, სიყვარულში ყველა ეტაპს თავისი სილამაზე აქვს და ეს სილამაზე არ უნდა დაამახინჯო.

— **როდესაც მამაკაცი მოგწონს, რას აკეთებ იმისთვის, რომ თავი მოაწონო?**

— ასეთი სიტუაცია ჯერ არ მქონია და ალბათ, არც მექნება. მიმაჩნია, რომ ურთიერთობაში პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადადგას, ქალმა კი თავი დაიფასოს. ვფიქრობ, კაცისთვის რაც უფრო მიუწვდომელი ხარ, მით უფრო ეცდება, შენი ყურადღება დაიმსახუროს. თუმცა არიან ისეთი მამაკაცებიც, რომლებსაც იმისათვის, რომ დაგინახონ, „გამოლვიძება“ სჭირდებათ.

— **მარიკა, შენმა რჩეულმა კარიერასა და ოჯახს შორის არჩევანის გაკეთება რომ მოგთხოვოს, რომელს აირჩევ?**

— თუ ვუყვარვარ, ასეთი არჩევანის წინაშე არ დამაყენებს. მას წინასწარ ეცოდინება, რომ ჩემთვის ორივე მნიშვნელოვანია.

— **ამ ინტერვიუს შემდეგ თავიანთსმცემლები გამოგეხმაურებიან და შენთან შესვედრას მოინდომებენ. რომელიმე მათგანს თუ შესვდები?**

— ყველა ის ადამიანი მიყვარს და პატივს ვცემ, ვისაც მარიკა თხელიძე უყვარს. თუკი ჩემთან შესვედრის სურვილი ვინმეს გაუჩნდება, შევხვდები და გავუსაუბრები, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

P.S. აი, ასეთი მომხიბვლელი, ჭკვიანი და თანაც, დიპლომათი საპატარძლო გვყავს. მარიკას თავიანთსმცემლებს საშუალება გექვებათ, გამოეხმაუროთ ტელეფონის ნომერზე: 8(55). 45-48-50. მარიკა საუკეთესო მესიჯის ავტორს შეხვდება. წარმატებას გისურვებთ!

ერთი იტალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში პიზის ყოფილმა არქივისკოპოსმა, ალესანდრო პლოტიმ. პოპულარული კათოლიკური ყოველკვირეულის — Famiglia Cristiana-ს რედაქტორი მამა ანტონიო შორტინო კი მიიჩნევს, რომ „იტალიას ყელში



ამოუვიდა მანკევენის, ტელენამყვანების კულტურა და კრიზისის პერიოდში მას ახალი რალაც სჭირდება“.

ოპოზიციის კრიტიკისგან განსხვავებით, ეკლესიის მსახურთა შენიშვნები ბერლუსკონის მართლა აშფოთებს. ზოგიერთი ცნობით, 72 წლის პრე-

მიერი შიშობს, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი იგნისში გასამართავი ევროპარლამენტში არჩევნების დროს, კათოლიკური ელექტორატის გადანყვეტილებზეც აისახოს.

იტალიის პრემიერი, რომელსაც თურმე, ნოემი ლეტიცია „მამიკოს“ ეძა-

ხის, ბოლომდე მხოლოდ შვილებმა არ განირეს. მეტიც, იტალიური ოპოზიციის ლიდერ დარიო ფრანჩესკინის გამოსვლას, სადაც ის იტალიელებს ეკითხებოდა: „ისურვებდით თუ არა, რომ თქვენი შვილები ამ ადამიანს ალეზარდა?“ — ბერლუსკონის უფროსმა ქალიშვილმა, მარიამ ასე უპასუხა: „ჩვენ წესიერ ოჯახში, მაღალ ღირებულებებზე ვიზრდებოდით“. მარიას — რომელიც ბერლუსკონის პირველი ცოლისგან ჰყავს — სიტყვები, მეორე ცოლთან შექნილმა ბარბარამ, ელეონორამ და ლუიჯიმაც დაადასტურეს.

სარკოზიმ ბრიტანეთის სამეფო ოჯახი გაანაწყენა

ბუკინგემის სასახლე აღშფოთებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ ნორმანდიაში მოკავშირეების გადასხდომის 65 წლისთავის ზეიმზე სამეფო ოჯახის წევრები არ მიიწვიეს, — იტყობინება The Daily Mail. მეტიც, თურმე, ფრანგულ მხარეს ამ ზეიმზე ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრების მიწვევა არც კი დაუგეგმავს. პარიზი თავს იმით იმართლებს, რომ პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მთელ ენერჯიას „პროგრამის მთავარი პუნქტის“ — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მიღებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებას ახმარს.

ბრიტანეთის სამეფო კარმა ისიც აღნიშნა, რომ ამ ღონისძიების ორგანიზებაში დახმარების სურვილი სამეფო ოჯახის უფროსმა წევრებმაც არაერთხელ გამოთქვეს. ბუკინგემის სასახლე უკმაყოფილოა ბრიტანეთის მთავრობის უუნარობითაც, რომელმაც ფრანგული მხარისგან ზეიმზე მიწვევას ვერაფრით მიაღწია. „ის ფაქტი, რომ ბრიტანეთის დედოფალი ზეიმზე არ მიიწვიეს, იმ 17556 ბრიტანელი და 5316 კანადელი სამხედრო მოსამსახურის ხსოვნის შეურაცხყოფადაც აღიქმება, რომლებმაც



სამეფო კარი აღშფოთებულია

დეგ კი გერმანიაში გაიქცა. მესამე რაიხის კაპიტულაციის შემდეგ, ის კვლავ სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკუთარი სამფლობელო — ჩამორთმეული, ხოლო ქვეყანა ნანგრევებად ქცეული ნახა, უმალ ბადენ-ბადენში გადაიხვეწა. იქ შარკოზიმ უცხოურ ლეგიონში დაიწყო სამსახური, მაგრამ ბრძოლებში არ მონაწილეობდა და როგორც კი გაიგო, რომ ინდოჩინეთში მივლინებით გაგზავნას უპირებდნენ, მაშინვე გადადგა. თავად ნიკოლა სარკოზი კი, ავტორის თქმით, სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობდა, მაგრამ საბრძოლო ოპერაციებში არ მონაწილეობდა. მთელი ამ ხნის მანძილზე ის ადმინისტრაციულ შენობაში, დამლაგებლად მუშაობდა და ამის გამო მეტსახელად „ლაპლაპა დერეფნების გონდოლიერიც“ კი შეარქვეს.

ფრანგი პრეზიდენტის უნგრელი მამა

საფრანგეთის დამოუკიდებლობას სიცოცხლეს შესწირეს და იქვე არიან დაკრძალულნი, — წერს გამოცემა, — დაღუპულთა ამ რაოდენობაში არ იგულისხმება ბევრი ის მფრინავი და მეზღვაური, რომელთა გვაგებიც დღემდე არაა ნაპოვნი. მეტიც, ზეიმის დღეებში საფრანგეთის ტელევიზიით საჩვენებელი გადაცემის — „ბარაკ ობამა დესანტის ნაპირებზე“ — ანონსებში ბრიტანელი და კანადელი სამხედროები საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი“.

The Daily Mail-ის ცნობით, ვაშინგტონისთვის თავის მოქონის მცდელობებისთვის „სარკო ამერიკელად“ შერაცხილ საფრანგეთის პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ ბოლო დროს საგრძნობლად გაუარესებული ამერიკულ-ფრანგული ურთიერთობების გამოსწორებას ზეიმის დღეებში შეძლებს. ამასობაში, სარკოზის საქციელით გულდანყვეტილი პუბლიკაციის ავტორი საფრანგეთის პრეზიდენტის ოჯახის საიდუმლოსაც ხდის ფარდას. მისი ცნობით, სარკოზის მამა, უნგრელი არისტოკრატი პალ ნადბოჩა შარკოზი უნგრეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლამდე დარჩა, შემ-



„პროგრამის მთავარი პუნქტი“ — ბარაკ ობამა

„ონისეს ჰიჯაღაგ ბაჰსნოჰის სუჰიდი უოჰჰელთჰის ჰჰონღა...“

„მე და სალომე უკვე დავმეგობრდით. ერთმანეთის ნახვა ყოველთვის გვიხარია, მაგრამ ამ ეტაპზე ისეთი მეგობრებიც არ ვართ, რომ ერთმანეთს ყოველდღიური წვრილმანი გავანდოთ“, — მითხრა მსახიობმა **ონისე ონიანმა**, რომელიც მონაწილეობს მუსიკალურ პროექტში „იმღერე რამე“. მისი პარტნიორი „ჯეოსტარელი“ სალომე ბაკურაძეა. მათი ტანდემი დიდ სიმპათიას იმსახურებს. რაზე კამათობს ეს ორი ადამიანი და რა რჩევებს აძლევს ერთმანეთს, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ინტერვიუ ორიგინალური დუეტის წევრებთან

მარკს ჭონიშვილი

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

ონისე:

— „ჯეოსტარს“ სახლში, ტელევიზორთან მოკალათებული, ყოველთვის სიამოვნებით ვუყურებდი, მაგრამ როდესაც ამ პირობებში სალომე გამოჩნდა, ისე მომეწონა, რომ კონცერტებზე სიარულის სურვილი გამიჩნდა. სალომე სწორედ „ჯეოსტარის“ ერთ-ერთი კონცერტის დასრულებისას გავიცანი.

სალომე:

— კარგად მახსოვს ის დღე, დუეტამ ონისე კონცერტზე მოსული რომ დაინახა და უთხრა: შენ ალბათ, რა თქმა უნდა, ქუთაისის მოაკითხეო. პროფესიით თეატრმცოდნე ვარ. ადრე თეატრში ხშირად დავდიოდი. ონისეს მონაწილეობით არაერთი სპექტაკლი მაქვს ნანახი და პირადად მისი ტაცნობის სურვილი ყოველთვის მქონდა.

— ახლა კი უკვე „რუსთავი 2“-ის პროექტში „იმღერე რამე“ ერთად მღერით...

— მისხარია, რომ ამ პროექტში ჩემი პარტნიორი სწორედ ონისეა. თავიდან სიას რომ გადავხედე და მასში ონისე აღმოვაჩინე, ვიფიქრე, ნეტავ, მასთან ერთად მოვხვდეთ-მეთქი.

ონისე:

— ამ პროექტში მონაწილეობა რომ გადავწყვიტე, ვიფიქრე, მივალ, ერთს ვიმღერებ და წამოვალ, რადგან მაინც გამომაგდებენ-მეთქი. თან რომ მოვდიოდი, გულში ვფიქრობდი, ნეტავ ჩემი პარტნიორი სალომე იქნებოდეს-მეთქი. ისე, ორივეს ერთნაირი სურვილი გვქონდა და როდესაც გვითხრეს, ერთად იმღერებთო, ძალიან გაგვიხარდა და ერთმანეთს გადავხვით.

— როგორც პარტნიორებს, ერთმანეთს როგორ შეაფასებდით?

— საერთოდ, ასეთი ინტერვიუების დროს ხშირად ერთმანეთის ქება გვიხდება და ეს ბუნებრივიცაა, იმიტომ, რომ თუ ადამიანი არ მოგწონს და ის საქებარი არ არის, მის გვერდით ვერ იქნები. სალომე არაჩვეულებრივი პარტნიორია. მე არ ვარ

მომღერალი და უნდა გამოვტყდე, ცოტა მიჭირს, მაგრამ სალომე მესმარება. დარწმუნებული ვარ, თუ რამე შემეშლება, ის აუცილებლად გამომიყვანს სიტუაციიდან.

სალომე:

— ონისე თავმდაბალი და ნიჭიერი ადამიანია. ის საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნია. სულ უკან დამდევს, აზრს მეკითხება. მუდმივად მთხოვს, ტექსტი კიდევ ერთხელ გავიმეოროთ. მიმაჩნია, რომ ეს პროფესიონალის ჩვევებია. ხელოვანი სწორედ ასეთი უნდა იყოს! ვცდილობ, ონისესგან საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება მეც ვისწავლო.

— მოდი, ახლა ერთმანეთის უარყოფით თვისებებზეც ილაპარაკეთ...

სალომე:

— ონისეს უარყოფით თვისებას ვერ ვამჩნევ. იმიტომ კი არა, რომ ანგელოზია! არა, უბრალოდ ჩემთან ჯერ არ გამოუშვლავნებია, ისევე როგორ მე — მასთან.

ონისე:

— ჩვენ ვცდილობთ, ერთმანეთს მხოლოდ კარგი თვისებები დავანახოთ. თორემ უარყოფითი თვისების მეტი რა მაქვს (იცინის)?!

— თუ დამეგობრდით?

— რა თქმა უნდა, სხვანაირად არც შეიძლება, იყოს. თუ შენი პარტნიორი არ გიყვარს და მას არ ენდობი, არაფერი გამოვა.

ონისე:

— სალომეს ვეთანხმები, პარტნიორს უნდა ენდო, რომ დუეტი შედგეს. რა თქმა უნდა, ვმეგობრობთ. ყოველთვის გვიხარია ერთმანეთის ნახვა, მაგრამ ისეთი მეგობრებიც არ ვართ, რომ ერთმანეთს ყოველდღიური წვრილმანები გავანდოთ. ყველაფერი წინ გვაქვს და დარწმუნებული ვარ, გულთაძი მეგობრები გავხდებით.

სალომე:

— დარწმუნებული ვარ, თუ ონისეს რჩევა და დახმარება დამჭირდება, ის ყოველთვის ჩემ გვერდით იქნება, ისევე როგორც — მე მის გვერდით.

— შემოქმედებით რჩევებსა და შენიშვნებს თუ უზიარებთ ერთმან-



ნეთს?

ონისე:

— სალომემ როგორც გითხრათ, თეატრმცოდნეა. ამიტომ მას ხშირად ვურჩევ, რომ თავის პროფესიას მიხედოს, იაროს თეატრში, დაეცნოს სპექტაკლებს და წეროს. დარწმუნებული ვარ, ამასაც პროფესიონალურ დონეზე შეძლებს.

სალომე:

— ერთმანეთის მოსაზრებებს, რჩევებს ყოველთვის გულმოდგინედ ვისმენთ და ვიზიარებთ კიდევ.

— არსებობს მოსაზრება, რომ ქალისა და მამაკაცის მეგობრობა არ შეიძლება, რადგან ყოველთვის თავს იჩენს სხვა გრძნობა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

სალომე:

— მეგობარს სქესი არა აქვს. მეგობრობაში დაყოფა — ეს ბიჭია და ეს გოგო, ჩემთვის მიუღებელია.

ონისე:

— ბევრი მეგობარი ქალი მყავს. ისინი ჩემთვის ისეთივე ახლობლები არიან, როგორც საკუთარი დედამიშვილები.

— მეგობრებს რას ურჩევთ?

ონისე:

— მეგობრობასა და საერთოდ ყველანაირ ურთიერთობაში ტყუილი დამღუპველია. ჩემი რჩევა იქნება, არასოდეს მოატყუონ ერთმანეთს, არ უღალატონ და უყვარდეთ ერთ-ერთი.

სალომე:

— მეგობარს როგორც სიხარული, ასევე შენი წუხილი და განცდა უნდა გაანდო. უშეცდომო არავინაა, ამიტომ ერთმანეთს მიუტყუონ და ბოლომდე გაიტანონ თავიანთი მეგობრები. ■

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეოსა დვალის უბის წიგნაკრან:

1. ბზუბზუ სოფელია აჭარაში.
2. დღეს მშვიდობას ომის მოგების ფასი აქვს.
3. „ნახევრად სიმართლეს ტყუილზე დიდი ძალა აქვს“, — ამბობდა იოზეფ გებელსი.
4. რუსებმა კოსმოსშიც კი მოახერხეს თავიანთი განთქმული რუსული აბანოს მონყოლა.
5. საქართველოში ყაზანური თეთრი გიორგაული თეთრით გიორგი ბრწყინვალემ შეცვალა.
6. „რისხვას აქვს საფუძველი, მაგრამ იშვიათად — დამაჯერებელი“, — ამბობდა ბენჯამინ ფრანკლინი.
7. „მთას ხუმრობა არ უყვარს. მომზადებული თუ არა ხარ, აუცილებლად დაისჯები“, — ამბობენ ალბინისტები.



8. „სუღბა — ეტა ტო, შტო ნამ ნავიზივაიუტ, ა შტო პალუჩაეტსა — ეტა ნაზივაეტსა ბიოგრაფია“, — ამბობს მიხაილ შვანციკი.
9. ზრდასრული კაშალოტი 18 მეტრს აღწევს სიგრძეში. იგი დაახლოებით კვებლანის ბილიკის სიგრძისაა.
10. ლონდონის ერთ ოჯახში სადღესასწაულო დღეებში განუწყვეტლივ ისმის ზარის წკრიალი. ამ ოჯახის უფროსი გვარად **ტაკსი** გახლავთ.
11. 12 წლის ასაკში თამარი გიორგი III-ის თანამეფედ გამოცხადდა, 18 წლისა კი (გიორგის გარდაცვალების შემდეგ) — მეფედ ეკურთხა.
12. ნიკო ფიროსმანს დუქანში რაიმეს მოხატვის დროს, ყველა სუფრასთან ეძახდნენ მოქეიფენი და ყველა მაგიდასთან თითო ჭიქის დაღვევა უწევდა. ამის გამო ხშირად მთვრალი ამთავრებდა სამუშაო დღეს.
13. „მსახიობები და მხატვრები დროდადრო დატუქსვასა და ყურის აწევას საჭიროებენ“, — ამბობდა ადოლფ ჰიტლერი.
14. რომელი ლუციუს ვერაციუსი თავისებურად ირთობდა თავს. რომელიმე გამვლელს ქუჩაში სილას უთავაზებდა, ხოლო მისი მონა მაშინვე უხდიდა დაზარალებულს ამგვარი დანაშაულისათვის დაწესებულ ფულად ჯარიმას.
15. ერაყელები ერთმანეთს მარცხენა ხელის აწევით არ ესალმებიან, რადგან ამ ხელით ისინი უკანალს იწმენდენ და ამგვარი მისალმება მათში შეურაცხყოფად მიიჩნევა.
16. „დელიკატურობა ერთობ უცნაური რამ არის. ჩემთვის ნაპოლეონის სადღეგრძელოს თქმა რომ ეთხოვათ, ბევრ კარგსა და საინტერესო რამეს ვი-

როკით განჯინი ქართული გენი

ირმა სურციძე უკვე 15 წელია, ოჯახთან ერთად, ოდესაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ის და მისი მეუღლე ქორეოგრაფიულ ანსამბლს ხელმძღვანელობენ, სადაც ქართველ ემიგრანტებთან ერთად, „მითუ-ლურს“, „ნევსურულს“, „სვანურსა“ და „აჭარულს“ სხვა ეროვნების გოგო-ბიჭებიც ცეკვავენ. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, თურმე, ქერა, ცხვირაპრესილი უცხოელი ბავშვები ქართველს გარეგნობითაც რომ დაემსგავსონ, მზად არიან, სხვადასხვა სახის პლასტიკური ოპერაციათა კი გაიკეთონ...

ანუ ომრუი, მიის უაქაჲ ქართულაჲ აცაჲაზუნი უცხოელაჲი



ანი აბულავა ქართული ცეკვით ოდესაში

რუსთაველი დაბადებულს ბავშვობიდანვე ქართული ცეკვა იზიდავდა. მან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიც დაამთავრა, გამოთვლით ცენტრშიც მუშაობდა, მაგრამ ცეკვას მაინც ვერ შეეღიბა. ირმა ცოლად ასევე მოცეკვავეს, აკაკი იაკობიშვილს გაჰყვა. ისინი 1990 წელს შეუღლდნენ და ახლა შვილებიც ჰყავთ — ბექა და ბაჩანა. აკაკის საქართველოში ქორეოგრაფიული წრე ჰქონდა ჩამოყალიბებული, სადაც მომავალი მეუღლე, ირმა გაიცნო. მართალია, ეს ჯგუფი მალევე დაიშალა, მაგრამ ლამაზი ოჯახის შექმნას ჩაეყარა საფუძველი... მოგვიანებით, არასტაბილურმა მატერიალურმა მდგომარეობამ წყვილი აიძულა, სამუშაოდ საზღვარგარეთ წასულიყო. 1994 წელს ისინი

უკრაინაში დასახლდნენ და გარკვეული პერიოდის შემდეგ, აკაკი სათავეში იქაურ ქართულ დიასპორას ჩაუდგა. უნდა აღინიშნოს, რომ ის ბევრს აკეთებს იმისათვის, რათა ემიგრანტ თანამემამულეებს სამშობლოს ნოსტალგია შეუმსუბუქოს.

მრავალროვნული ქართული ანსამბლი

— თავიდან ბევრ სიძნელეს წავეწყადით, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაეყარეთ. ბოლოს, გაგვიმართლა — ოდესაში ის საქმე წამოვიწყეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოგვწონდა და გვიყვარდა — ქორეოგრაფიული ანსამბლი ჩამოვაყალიბეთ. საქმით უცხო ქვეყანაში ფეხის მოკიდება თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, დარბაზს ვერ ვშოულობდით, მერე კი როგორც იქნა, ერთ-ერთ გიმნაზიაში, უკრაინელი გოგონებისაგან მოცეკვავეთა ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ, შემდეგ ქართველებიც შემოგვემატნენ და ანსამბლიც შეიკრა. მის გახსნაზე სტუმრად მოვიწვიეთ ჩვენი სასიქადაულო მამულიშვილი — პაატა ბურჭულაძე, რომელიც სიმბოლური თანხითაც დაგვეხმარა. ამის წყალობით კიევში გასტროლებზე გავმგზავრეთ, რომელმაც ანსამბლს დიდი წარმატება მოუტანა, მაგრამ შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის (ძირითადად, დაუფინანსებლობის) გამო ჯგუფი დაიშალა, — გვიამბობს ქალბატონი ირმა.



ირმამ და აკაკიმ იმდენი იბრძოლეს, რუსთაველზე, ჯორჯ ბალანჩინის ქანდაკებასთან

რომ 2001 წელს ოდესის უნივერსიტეტის ბაზაზე ქართული ცეკვის ახალი ანსამბლი ჩამოაყალიბეს, რომელიც დღეს ფეხზე მყარად დგას. ანსამბლში ცეკვავენ არა მარტო უკრაინელები და ქართველები, არამედ ებრაელები, სომხები, რუსები, დაღესტნელები, ბერძნები, მოლდაველები, ქურთები... დღეს ანსამბლი სამოცამდე წევრს ითვლის და მოცეკვავეთა მშობლებიც კმაყოფილი არიან.

„აურნოსა“ მხიერი ქართული ფაფახის ფოხა

— ანსამბლში ერთი მოლდაველი გოგონა, გვარად გლები გვყავს, რომელიც საოცრად თეთრია და „კურნოსა“ ცხვირი აქვს. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ დედამისს ვუთხარი: რა კარგი სანახავი იყო გლები „მთიულურის“ სოლოში, შავი ფაფახიდან „კურნოსა“ ცხვირი საყვარლად მოუჩანდა-მეთქი. ეტყობა, დედამისმა ჩემი ნათქვამი ცუდად გაიგო და მიპასუხა: თუ საჭიროა, პლასტიკურ ოპერაციას გავუკეთებ და ქართული ცხვირი ექნებაო. სიცილისგან კინაღამ გავიგუდე, — ამბობს ქალბატონი ირმა და დასძენს: — კიდევ ერთი შემთხვევა გამახსენდა: ერთ-ერთი ფესტივალის დროს, ჩვენი ანსამბლი ცეკვავდა და გამოუცდელმა ოპერატორმა მუსიკა ნაადრევად გამორთო. ერთმა მოცეკვავემ თვლა დაიწყო და ასე, მუსიკის გარეშე, გამოსვლა ტაშის გრი-ალში დაასრულეს.

აონცარბი ღაბოზილ გორგი და ქართული ბაზის სითბო

ანსამბლი დიდი პოპულარობით სარგებლობს და ამიტომაც, საზღვარგარეთ ხშირად იწვევენ. საფრანგეთი წარმატებით მოიარეს, თურქეთში „ჩვენებურების“ ფესტივალზეც გააოცეს მაყურებელი... გასული წლის ოქტომბერში კი ომგადახდილ გორში იცეკვეს. ეს იყო კონცერტი, რომელიც არც მოცეკვავეებს და არც გორელ, საშინელებამოყვლილ ხალხს არასოდეს დაავიწყდება. ანსამბლის წევრები აღტაცებას ვერ ფარავდნენ: ქართველი მაყურებელი სულ სხვაა! ბევრი გასტროლი გვქონდა, მაგრამ ასეთი სითბო არსად გვიგრძნიაო. ბევრ მათგანს გაუჩნდა სურვილი, რომ სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა საქართველოში განაგრძოს...

ბოგბაზის გრიადში გამოვლილი გზა

არასოდეს დამავიწყდება 2008 წლის 8 აგვისტო. ჩვენ მაშინ საქართველოში

ვიყავით, ლეჩხუმიდან რუსთაში მანქანით ვბრუნდებოდით. როცა გორი გამოვიარეთ, ვხედავდით, ჩვენ უკან ბომბები როგორ ცვიოდა. ეს საშინელება იყო... უკრაინა საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, ოდესაში კი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, საშინლად პრორუსული განწყობილებაა. აქ რომ დავბრუნდით, აკაკიმ მითხრა: — ხომ ხედავ, ამთ მინც ჩვენ გგონივართ დამნაშავეებიო. ოდესაში მცხოვრები ქართველები, რუსეთის საელჩოსთან აგრესიის სანიშნაღმდეგო აქციებს ვანწყობდით. იყო შემთხვევები, როცა ე.წ. „სკინჰედები“ ქართველ ახალგაზრდებს ესხმოდნენ თავს, — გვიამბობს ირმა ხურციძე.

„შვიდ ზვიან ხვისბარს ერთი სულაღი მავა სჯობია“...

საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალს ყურადღებით ვადევნებ და მიმაჩნია, რომ ხელისუფლების ასეთი მეთოდებით შეცვლა არასწორია. „გარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. თანაც, ხალხი მიტინგებითა და აქციებით უკვე დაიღალა. სხვათა შორის, რუსეთი ქართული შინაარეულობის კულმინაციას ელოდება, რათა თავისი ავი ზრახვები სისრულეში მოიყვანოს. ოპოზიციამ ვერ ვხედავ ერთიანობას და დარწმუნებული ვარ, მათ შორისაც ატყდება ქიშპობა. კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს მოვიშველიებ: „შვიდ ჭკვიან ხვისბერს ერთი სულაღი მავა სჯობიაო“... — ამბობს ქალბატონი ირმა და იმასაც დასძენს: — თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს, მე ყველანაირად მომნიძღეს საქართველოს ამჟამინდელი ყოფა...



მენატრება საქართველო, ძალიან მენატრება

ინფორმაციულ-ჟეიქსნაიტი კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკრძან:

ტყოდი, მაგრამ ვერ ვიტყოდი ყველაზე მთავარს, კერძოდ იმას, რომ კაცობრიობისთვის გაცილებით აჯობებდა, იგი ამქვეყნად საერთოდ არ გაჩენილიყო“, — განაცხადა ბერნარდ შოუმ ერთ-ერთ ნვეულებზე.

17. გრეგორიანული კალენდარი 1582 წელს, რომის პაპ გეორგ XVIII-ის დროს შემოიღეს. მანამდე კეისრის კალენდარი მოქმედებდა, რომელიც 13 დღით ჩამორჩებოდა თანამედროვე ვარიანტს. ახალ, გრეგორიანულ კალენდარში 1-ელ თებერვალს 14 თებერვლი ეწოდა. ასე გაგრძელდა ჟამთაღრიცხვა.

18. ზელასთან მომხდარი ბრძოლის ანაზღეულობა რომ ეუნყებინა, იულიუს კეისარმა თავის მეგობარს, ამანტუსს სამი სიტყვა მისწერა: „მივედი, ვნახე, დავამარცხე“. (ვენი, ვიდი, ვიცი). P.S. კეისრის ეს სიტყვები დღეს სიგარეტ „მალბოროს“ კოლოფს ამშვენებს.



19. რიჩარდ ლომგულმა ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქალების ნაყვანა აკრძალა. გამონაკლისს მრეცხავი ქალები წარმოადგენდნენ, რომლებზეც ჯვაროსნები ამბობდნენ: მრეცხავი ქალი არც ტვირთია და არც ცდუნებაო.

20. ქალაქ ღაზის აღების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა ნადავლის უდიდესი ნაწილი დედას, ოლიმპიდასს გაუგზავნა. თავის აღმზრდელ ლეონიდას კი ხუთასი ტალანტის გუნდრუკი და კიდევ ასი ტალანტის სხვა საკმეველი გაუგზავნა. ერთხელ, ბავშვობაში, ალექსანდრეს, როგორც ამბობენ, მსხვერპლშენივრის დროს ორივე ხელით მოუბოჭავს გუნდრუკი და ცეცხლში ჩაუყრიდა. ლეონიდას უთქვამს: როცა ნელსურნელებით მდიდარ ქვეყანას დაიპყრობ, ასე გულუხვად გუნდრუკი მაშინ აკმიეო. სწორედ ეს გაისხენა მთავარსარდალმა და ლეონიდას მისწერა: „აი, სამყოფად გიგზავნი გუნდრუკსა და სხვა საკმეველსაც, რათა ღმერთთა წინაშე ძუნწი აღარ იყო!“

21. „მოუკრეფავნი“ — ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ გამოცემული ქართული სკაპრეზული ფოლკლორის ნიმუშთა კრებულია. ეს ხალხური გამოცანაც ამ კრებულშია შესული: „მოდი, ბიჭო, დავიძინოთ, ხუჭა-ხუჭა ვწნათო, ბანჯგელიანი, ბუნჯგელიანი ერთმანეთსა ვკრათო“. ამ გამოცანის პასუხი „წამწამებია“ და არა ის, რაც თავდაპირველად გაიფიქრეთ.

ხის კიჩეპში გასოსხლეული სახეები და ფესვეზე შეყვარებული „ნატვრის ხის“ ავსოში

ვაზისუბნის მე-4 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი — ნელი ბრბაშული ხის ძირებისაგან სხვადასხვა კომპოზიციას ქმნის, ბისერებით ულამაზეს სურათებს აკეთებს და ლექსებსაც წერს. მას მრავალ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული, ორჯერ კი პერსონალური გამოფენაც მოაწყო. სულ ახლახან, ქალბატონი ნელი პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა, მაგრამ როგორც თავად აღნიშნა, ყველაზე ძვირფას ვიღვდოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადების 75 და აღსაყდრებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებული ხალხური რენვის ნამუშევრების გამოფენაში მონაწილეობისათვის უწმინდესის მადლობა მიაჩნია.



„მინდა, საქართველო გაძიერდეს, მე კი ბევრი ფუნჯი და საღებავი მქონდეს“...

მარეს ჭონიშვილი

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ხატვა ბავშვობიდანვე მიყვარდა და სკოლის დამთავრების შემდეგ ნიკოლაძის სახელობის სამხ-

ეს უნიკალური ფესვია — წინა მხარეს ვაჟა-ფშაველას სახეა გამოსახული, უკანა მხარეს კი — შელის ნუკრის



ატვრო სასწავლებელში ჩავაბარე, მერე კი სახვითი ხელოვნების აკადემიაში გავაგრძელე სწავლა. 1989 წლიდან სკოლაში ხელოვნების მასწავლებლად ვმუშაობ.

— ქალბატონო ნელი, თქვენი

მარჯვე ხელების შესახებ მოსწავლეები ბევრს ლაპარაკობენ.

— მიხარია ამის მოსმენა. დამერწმუნეთ, მასწავლებლისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე ისაა, როცა ის მოსწავლეებს უყვართ... ჩემი მთავარი მიზანი ახალი ტალანტების აღმოჩენა და მათთვის გზის მიცემაა. მოსწავლეებს გამოფენა-გაყიდვის მოწყობაში ვესმარები და ამით ვცდილობ, მათ შრომისა და ხელოვნებისადმი სიყვარული სკოლის ასაკშივე ჩაეფუნერგო.

— როდის გაგიჩნდათ სურვილი, რომ ფესვებით სხვადასხვა კომპოზიცია შეგექმნათ?

— ფესვებში სახეების დანახვა ყოველთვის შემძლო და ამიტომაც, მათ ვაგროვებდი კიდეც. ერთხელ ბისერებით სურათი — „ნატვრის ხე“ გავაკეთე და როცა ჩარჩო დამჭირდა, სახლში მოტანილი ფესვები მოვიძიე. მინდა გითხრათ, რომ ხის ფესვისგან შეკრულმა ჩარჩომ სურათი კიდე უფრო გაალამაზა. შემდეგ „არტ გენში“ ელგუჯა ჯოსაძის გაკეთებული მაგიდეები ვნახე. ამ ნამუშევრებმა სტიმული მომცა და ამ საქმეს სერიოზულად მოვვიდე ხელი.

— ფესვებზე სახეები როგორ გამო-

გყავთ?

— თვითონ ფესვი მკარნახობს, რა უნდა გავაკეთო. მაგალითად, ხის იმ ფესვს, რომლითაც ვაჟა-ფშაველას პორტრეტი დავამზადე, დიდი დამუშავება არ დასჭირვებია. უბრალოდ ცოტა გამოვკვეთე, რომ ყველასათვის შესამჩნევი ყოფილიყო. ეს უნიკალური ფესვია — წინა მხარეს ვაჟა-ფშაველას სახეა გამოსახული, უკანა მხარეს კი — შელის ნუკრის. ვაჟას პორტრეტი ერთ-ერთ გამოფენაზე გავიტანე და მისი შექმნის სურვილი ბევრმა გამოთქვა, მაგრამ ეს ფესვი იმდენად მიყვარს, რომ გასაყიდად ვერ ვიმეტებ.

— სურათებს ბისერებითაც ქმნით. ჯერ ხატავთ და მუშაობას შემდეგ იწყებთ?

— არა არ ვხატავ. რაც გონებაში მაქვს, ფურცელზე ბისერებით პირდა-

„არტ გენში“ ელგუჯა ჯოსაძის გაკეთებული მაგიდეები ვნახე ამ ნამუშევრებმა სტიმული მომცა და ამ საქმეს სერიოზულად მოვვიდე ხელი





თავისთავად იბადება. სხვა-თა შორის, უკვე საკმაოდ ბევრი ლექსი დამიგროვდა და წიგნის გამოცემა მინდა, მაგრამ ფული არა მაქვს. ბევრი დამპირდა, წიგნის გამოცემაში დაგეხმარებო, მაგრამ ჯერჯერობით, დანაპირები არავის შეუსრულებია.

— სახელოსნო თუ გაქვთ?

— სახელოსნო არ მაქვს. ძირითადად, სკოლაში ვმუშაობ. 25 წელია, რაც იქ ვარ დასაქმებული და ცხადია, იქაურობა ძალიან მიყვარს. თანაც, ჩემი სკოლა სახლთან ახლოსაა, და როცა მუზა მომივა, იქ ჩავრბივარ ხოლმე.

— თქვენს ოჯახზე რას იტყვი?

— 54 წლის ვარ. 3 შვილი და 3 შვილიშვილი მყავს, მეოთხეს ველოდები. 2 შვილი ჩემს კვალს გაჰყვა და მხატვარია.

— ოჯახი, სკოლა, კარიერა — ამ ყველაფერს ერთმანეთს როგორ უთავსებთ?

— დრო არასოდეს მყოფნის, სულ გადარბენაზე ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი გახლავართ. ადრე, როცა მარტო ვრჩებოდი, უკმაყოფილების გრძნობა მეუფლებოდა. ვფიქრობდი — ვარ კარგი მეუღლე, დედა, მასწავლებელი და ამით ვამაყოფ, მაგრამ მე ხომ კიდევ ბევრი რაღაცის თქმა შემიძლია-მეთქი!


და დავწერე: „ღამე ათენე, არ დაიძინო, იყავი ცოლი, დედა, მასწავლებელი, ნათესავი, მეგობარი, მაგრამ არ დაივიწყო საკუთარი „მე“, სულის ძახილი. შენი იარაღია ფუნჯი, კალამი, მახვილი, ჰოდა, ამ მრავალ „მეში“ იბოვებ, რომელია შენი“. ჰოდა, ცოტა ხანში ვიპოვე ჩემი „მე“ და დავრწმუნდი იმაში, რომ თუკი ადამიანი მოინდომებს, ოჯახსა და საყვარელ საქმეს ერთმანეთს მშვენივრად შეუთავსებს. მთავარია, ყველაფერი გულწრფელად აკეთო და შრომა აუცილებლად დაგიფასდება. ბევრი მეუბნება, — წადი საზღვარგარეთ და იქ, შენი საქმიანობის წყალობით, ცხოვრებას აიწყობო, მაგრამ მე მირჩევნია, აქ ვიმუშაო, ქართველი ხალხისთვის შევქმნა

რაღაც. აბა მითხარით, ვაჟას პორტრეტს რომ გააკეთებ, ვინ უნდა იყიდოს, თუ არა ქართველმა?! მიყვარს ჩემი ქვეყანა თავისი ტკივილით, სიხარულით და წასვლას არსად ვაპირებ.

— ნამუშევრების გაყიდვა არ გიჭირთ?

— ძალიან მიჭირს და ამ დროს ჩემი თავი მეცოდება ხოლმე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იმ ნამუშევრებს, რომლებსაც ლექსი მივუძღვენი, არ ვყიდი.

— ქალბატონო ნელი, ახლა რაზე მუშაობთ?



„ნატვრის ხის“ შესაქმნელად 9 თვე დამჭირდა

— ბისერებით ლამაზ კომპოზიციას ვქმნი. სურათზე მუშაობა აღდგომის წინადაღეს დავინწყე და მასზე საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა იქნება ასახული. სურათს „თავისუფლება“ დავარქვი. როგორც ყველა ქართველს, დღევანდელი მდგომარეობა მეც მანუხებს. ჩვენ ყველანი სვალინდელი დღის შიშით ვცხოვრობთ, რადგან არ ვიცით, რა მოხდება. არადა, ძალიან მინდა, უშვიდად ვიცხოვრო და ჩემი საქმე ვაკეთო. გვეუბნებიან, — ხელი გაანძრიეთ და გეშველებათო. ბევრი ვიცი, ხელებით კი არა, მინას ფრჩხილებით რომ ფხოჭნის, სამუშაოს ეძებს, მაგრამ ვერაფერს შოულობს. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ლოთები და ნარკომანები მომრავლდნენ. ეს თემა ნამუშევრებში 1992 წელს ავსახე და გული მწყდება, რომ ამდენი ხნის შემდეგ, კვლავ იმავე პრობლემის წინაშე ვდგავართ.

იმ ნამუშევრებს, რომლებსაც ლექსი მივუძღვენი, არ ვყიდი

პირ გადამაქვს. ბისერებით მუშაობა, ცოტა არ იყოს, რთულია და ბევრი დრო სჭირდება. მაგალითად, „ნატვრის ხის“ შესაქმნელად 9 თვე დამჭირდა.

— თქვენ რა ნატვრა გაქვთ?

— ისევე, როგორც ყველა ადამიანს, ნატვრა მეც მაქვს. მინდა ჩემი ახლობლები კარგად იყვნენ, საქართველო გაძლიერდეს, მე კი ბევრი ფუნჯი, საღებავი და დრო მქონდეს იმისთვის, რომ ჩემი საყვარელი საქმე ვაკეთო.

— როგორც ვიცი, ლექსებსაც წერთ.

— როცა რაიმე კომპოზიციაზე ვინწყებ მუშაობას, ამ დროს ლექსი

რაც გონებაში მაქვს, ფურცელზე ბისერებით პირდაპირ გადამაქვს



40 წელს გაყვანილი პარსკლავი ელევი

ოვრების განმავლობაში ნიკოლს შვილი არ ეყოლა, მაგრამ მეორე ქორწინებაში, მუსიკოს კიტ ურბანთან გოგონა — სანდვი როუზი შეეძინა. მაშინ კიდმანი 41 წლის გახლდათ.

გალონა

პოპდედოფალი 38 წლის იყო, როცა პირველი შვილი — ლურდესი გააჩინა, ხოლო 42 წლის ასაკში (რეჟისორ კაი რიჩისგან) ვაჟი შეეძინა.

ჰოლი ზაი

წარმატებული კარიერისა და მილიონების დაგროვების შემდეგ „ოსკაროსანმა“ მსახიობმა შვილის გაჩენა გადაწყვიტა. ის მრავალი წელი აგროვებდა ტესტებს უარყოფითი პასუხით, შემდეგ კი 40 წელს გადაბიჯებული მსახიობი 10 წლით უმცროსი მოდელის — გაბრიელ ობრისგან დაფხმძიმდა. გოგონას გაჩენის შემდეგ ჰოლიმ საყვარელ მამაკაცს „მერსედესი“ აჩუქა.

ბასია კროს

„სასონარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავმა 45 წლის ასაკში, ტყუპი გააჩინა.

კიბ ბაინფაი

მსახიობი 42 წლის იყო, როცა გოგონა — აილენდი ეყოლა.

ჯოელი ფოსტარი

მსახიობმა პირველი ვაჟი — 36,



ხოლო მეორე 39 წლის ასაკში გააჩინა. ჯოდის შვილების მამის ვინაობა დღემდე უცნობია.

ჯულია როზარტსი

ხელოვნური განაყოფიერების შემდეგ, 37 წლის ჯულია როზარტსის ტყუპი ეყოლა, სამი წლის შემდეგ კი — გოგონა.

ჯანიფარ ლოკასი

2008 წლის თებერვალში, 39 წლის ჯანიფარ ლოკასი ტყუპის დედა გახდა. ■



სელა ჰაიკი

2007 წელს, 41 წლის მსახიობმა ფრანგი მილიარდელი ფრანსუა ანრი პინოსგან გოგონა, ვალენტინა პალომა გააჩინა. წყვილმა 14 თებერვალს, ვალენტინობა დღეს პარიზის მერიაში მოაწერა ხელი, 25 აპრილს კი ვენეციაში, XVII საუკუნის სასახლეში დაინერა ჯვარი. ქორწილს ევროპის უმდიდრესი ადამიანები და პოლიციუდის მსახიობებიც ესწრებოდნენ.

ნიკოლ კიდმანი

ტომ კრუზთან 11-წლიანი თანაცხ-

უსნაური კონკურსები

ალბათ, გულიანად გაგეცინებათ ებაც ახლა მოგიტხრობთ, მაგრამ ორგანიზატორები და მონაწილეები წლიდან წლამდე, გულმოდგინედ ემზადებიან.

ვიკინგების ფესტივალი

ყოველწლიურად, ესპანეთის პატარა სოფელ კატორში „ვიკინგების ფესტივალი“ ეწყობა. მისი მიზანია, წარმოაჩინოს ესპანელი ხალხის გმირობა დამპყრობელი ვიკინგების წინააღმდეგ. ფესტივალის ბოლოს იმართება თეატრალიზებული ბრძოლა ვიკინგებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

„წვერებიანი“ კონკურსი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, უცნაური ფორმის წვერულვანი კაცები ალასკის დედაქალაქ ანკორიჯში ჩაფრინდნენ, რათა „წვერებიანი“ კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა. წელს კონკურსის გამარჯვებული ანკორიჯელი დევიდ ტრევერი გახდა, რომელსაც წვერი ბადისებურად ჰქონდა დაწნული. გამარჯვებულს ოქროს თეფში და თევზაობის ნებართვა გადაეცა.

ჩვილებზე სტომა

ყოველწლიურად, ივლისში, ესპანელე-

იმ კონკურსებზე, რომელთა შესახებ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მათთვის



ბი მეტად უჩვეულო დღესასწაულს მართავენ — მინაზე ჩვილებს აწვენენ და ბოროტი სულების განსაფხვანად, ემპაკის ფორმაში გამოწყობილი მამაკაცები ბავშვებს ახტებიან (ამ დღესასწაულს ესპანელები 1620 წლიდან მართავენ).

ყვალის გორება

ბრიტანეთში, გლოჩესტერშირის საგრაფოში, მასის დასაწყისში ყველის გორების ფესტივალი ეწყობა: 4-კილოგრამიან ყველს გორავიდან აგორებენ და მას პატრონ-

იც უკან მისდევს. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულს დიდი ყველით აჯილდოებენ.

ტალახის ფესტივალი

სახრეთ კორეაში უამრავი ტურისტი ჩადის, ტალახის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. წესი მარტივია — ტალახში თავდაც თავიდან ფეხებზე უნდა გაითხოვნო და მასში სხვაც უნდა აგორაო.

მხრება შესული ცოლი

ფინელი კაცები ცოლებს მხრებზე ისვამენ და ერთმანეთს სირბილში ეჯი-



ბრებიან. გამარჯვებული იმდენ ბოთლ ლუდს მიიღებს, რამდენ კილოსაც მისი ცოლი იწონის.

გაიშვანების პანაქა

ტალიანდში, ღმერთ რამას პატივსაცემად, წელიწადში ერთხელ მაიმუნებს ბანკეტს უწყობენ და სხვადასხვა დელიკატესით უმასპინძლებიან.

შოხველი მამაკაცების დღესასწაული

ყოველწლიურად, ზამთარში, იაპონიის სხვადასხვა სოფელში შიშველი მამაკაცების დღესასწაული იმართება — ხის ქოშებში გამოწყობილი, თავნაკრული მამაკაცები ქუჩებში გამოდიან და ერთმანეთს ეხუტებიან. სინტოისტების რწმენით, ადამიანი, თუ ის სხვას, შიშველს შეეხება, თავის ავადმყოფობასა და უბედურებას გადასცემს, თავად კი მთელი წლის განმავლობაში ბედნიერად იცხოვრებს.

ბოლოკის მანდაკაზა

XVI საუკუნეში, სამხრეთ ამერიკაში ბოლოკი შეიტანეს და მყიდველების მიზიდვის მიზნით, მისგან სხვადასხვა ფიგურის გამოჭრა დაიწყეს. 1897 წლიდან, ყოველწლიურად, „ბოლოკის ღამე“ ეწოდა და მისგან დამზადებული საუკეთესო ფიგურისთვის ფულადი ჯილდოა დაწესებული.

ბროკოლი ფორთოხლით

ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ივრეაში, თებერვალში, ფორთოხლებით ბროკოლი ეწყობა. დღესასწაულს XII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. პერცოგს პირველი ღამის უფლებით უნდოდა ესარგებლა, მაგრამ პატარძალმა თავი მოჰკვეთა. ფორთოხალს, რომელიც პერცოგის თავის სიმბოლოა, ადგილობრივები ერთმანეთს ესვრიან.

ლორული ღრეობა

ფრანგები სიამოვნებით აღნიშნავენ „ლორულ“ დღესასწაულს. მონანილეები ღორის ხორცისგან დამზადებული სოსისის შეჭმამში, ამ ცხოველის განსახიერებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს და ამ დღესასწაულისთვის გამართულ ღორების რბოლას აკვირდებიან.

სოფლური თაავაზი

ჯორჯიის შტატში ადგილობრივ ოლიმპიურ თამაშებს აწყობენ. პროგრამაშია ტალახში სტომა და უნიტაზების შორ მანძილზე სროლა.

ბროკოლი ღიღი თითავით

ბრიტანეთის საგრაფო დერბიშირში უჩვეულო, ფეხის დიდი თითებით „ბროკოლი“ ეწყობა. კონკურსში მონაწილეობა ყველა ფეხდაბანილს შეუძლია.

ქანონი ქანონია, სუდეურის კი...

- მიჩიგანში ქმრის ნებართვის გარეშე ცოლი თმას ვერ შეიჭრის.
- კალიფორნიის ქალაქ კარმელში დაგაჯარიმებენ, თუ ტროტუარზე ნაყინს მიირთმეო. ამავე ქალაქში, რაც უნდა დააშავოთ კვირასა და დამოუკიდებლობის დღეს, პოლიცია არ დაგაპატიმრებო.
- არიზონის შტატში, თუ ვინმე საპნის ქურდობისას დააკავეს, იმდენ ხანს ბანენ, სანამ ნაქურდალი საპნი არ გაილევა.
- ქალაქ მობილში (ალაბამა) მამაკაცებს ქალებისთვის დასიგნალება ეკრძა-



- მანდილოსნებს კი — მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სეირნობა.
- ტომბსოუნში (არიზონა) 18 წელს გადაცილებულ ახალგაზრდას გალიმება აკრძალული აქვს, თუ წინა კბილი აკლია.
- მონტანაში ქალს დააპატიმრებენ, თუ დაუკითხავად ქმრის ფოსტას გახსნის. ამავე ქალაქში კანონი ქმარს ნებას ერთავს, ცოლს თვეში ერთხელ სცემოს.
- ფლორიდის შტატის ქალაქ კეიპ კორალში დისასხლის მავთულზე თეთრეულის გაფენა ეკრძალება.

აგზაში „მაკდონალდსიან“

- 1970 წელს „მაკდონალდსში“ ამერიკელებმა 6 მლრდ დოლარი დახარჯეს. 2001 — წელს 110 მლრდ-ზე მეტი.
- თითოეული ამერიკელი საშუალოდ, ყოველ კვირას 3 ჰამბურგერსა და 4 ულუფა კარტოფილს მიირთმევს.
- სტუდენტობისას ყოველი მერვე ამერიკელი „მაკდონალდსში“ მუშაობდა. 1958 წელს მომსახურე პერსონალისთვის 75-გვერდიანი წესების კრებული გამოიცა. დღეს 750-გვერდიანი ინსტრუქციას „მაკდონალდსის ბიბლიას“ ეძახიან.
- 25 წლის წინ სპეციალურად ფასტ-ფუდის ქსელებისთვის გამოიყვანეს ქათმების ჯიში „მკ“. მათი თეთრი ხორცისგან საფირმო კერძს — „ჩიკენ მაკნაგეტს“ ამზადებენ. ამავე პერიოდში დაიწყეს ქათმის ნაჭრებად დაფასოება და გაყიდვა.
- „მაკდონალდსის“ კაფეებიდან მსუბუქი (ზოგჯერ სერიოზული) დაზიანებებით ყოველწლიურად 200 ათასი თანამშრომელი მიჰყავთ საავადმყოფოში.
- აშშ-ში სიმსუქნისგან ყოველწლიურად

28 ათასი ადამიანი კვდება. ევროპელთაგან, სწრაფი კვების ობიექტებს ყველაზე ხშირად ინგლისელები სტუმრობენ. ამის გამო, ბრიტანეთში მსუქანთა რიცხვაც ორჯერ იმატა.

• ძროხებს, რომელთა ხორცსაც ფასტ-ფუდებში იყენებენ, დაკვლამდე 3 თვით ადრე სპეციალურ შენობებში მარცვლეულითა და ანაბოლიკებით კვებენ.

• „მაკდონალდსის“ შემწვარი კარტოფილი ძალზე პოპულარული კერძია. ადრე კარტოფილს 7-პროცენტთან ბამბის ზეთსა და 93-პროცენტთან საქონლის ცხიმში წვავდნენ. 1990 წლიდან ბოსტნეული მცენარეულ ცხიმში იწვება.

• ცნობილი ფაქტია, რომ ფასტფუდის თანამშრომლები არ მიირთმევენ „მაკდონალდსის“, საკუთარი ხელით მომზადებულ კერძებს. 2000 წელს ნიუ-იორკის „ბურგერ კინგის“ 3 ახალგაზრდა თანამშრომელი დააკავეს. ისინი ყველა კერძში აფურთხებდნენ. ლოს-ანჯელესის კაფეების ვიდეოჩანანერებში აღბეჭდილია „მაკდონალდსის“ თანამშრომელთა ქცევები. ისინი სიგარეტის ნაწვევებს საჭმელზე აქრობენ, იჩიქნიან ცხვირს და ძირიდან აკრებილ პროდუქტებსაც ისევ ულუფაში აბრუნებენ. გარდა ამისა, ნაჩვენები იყო კადრები, სადაც ტარაკანები და ვირთხები თავისუფლად დასეირნობდნენ საკვებ პროდუქტებზე.

• ყველა კერძი ქიმიურადაა დამუშავებული და არომატულ დანამატებს შეიცავს. „მაკდონალდსის“ გემოს მიმნიჭებული დანამატების გარდა, კომპანია „ინტერნეშენლ ფლევიორ ენდ ფრეგრანსი“, „ესტე ლაუდერისა“ და „ლანკომის“ სუნამოების, აგრეთვე შამპუნების, საპნებისა და სარეცხი საშუალებების არომატებს ქმნის.



რჩევები დაღებს



არავინ შემედავება იმაში, რომ ავადმყოფობის დასამარცხებლად მთავარია, პაციენტს დროულად დაესვას დიაგნოზი და დაენიშნოს მკურნალობა. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ექიმის დანიშნულების სწორად შესრულებას ანუ წამლის თავის დროზე მიღებას; იმის გათვალისწინებას, ქამის წინ უნდა მივცეთ ავადმყოფს პრეპარატი თუ ქამის შემდეგ; ინექციის დროულ გაკეთებას და ა.შ. თუ ცხვირის, თვალის ან ყურის წვეთები ენიშნება პაციენტს და თან ეს პაციენტი ბავშვია, მაშინ ზედმინწევით კარგად უნდა იცოდეთ ჩანვეთების ტექნიკა, თორემ ვერ მიიღებთ სასურველ შედეგს და თან, ზედმეტად ანერვიულებთ პატარას. ამიტომ გადავწყვიტეთ, ცხვირში, თვალსა და ყურში ჩანვეთების ტექნიკაზე ვისაუბროთ.

სხვირუი ჩანვეთების ტექნიკა

იმისათვის, რომ ცხვირში ჩანვეთებულმა წამალმა სათანადოდ იმოქმედოს, აუცილებელია, ჩანვეთება გასუფთავებულ და გამომშრალ ცხვირის ღრუში მოხდეს.

ჩვილს და უმცროსი ასაკის ბავშვს მშობელმა თავად უნდა ჩაუტაროს



ცხვირის ღრუს გასუფთავების პროცედურა. საამისოდ გამოიყენეთ სპეციალური ჩხირები, რომლებსაც ორივე მხარეს ბამბა აქვს დახვეული.

რაც შეეხება მოზრდილებს, მათ ასწავლეთ, თვითონ გამოისუფთაონ ცხვირი ერთჯერადი ხელსახოცით. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება პიპეტით ცხვირში ჩანვეთებული ხსნარი სარგებლის მომტანი.

ბავშვის მდგომარეობა

ცხვირში ჩანვეთებული წამალი „დანიშნულების ადგილზე“ ვერ მოხვდება, თუ ბავშვმა ჩანვეთების პროცედურის დროს, სათანადო მდგომარეობა (პოზა) არ მიიღო:

ჩვილი და უმცროსი ასაკის ბავშვები დაისვით მუხლზე, ოდნავ გადაინჯინეთ მარცხენა მკლავზე, მარჯვენ-

ით კი თავი დაუკავეთ და შესაბამის მხარეს მიუბრუნეთ. აუცილებლად დაგჭირდებათ დამხმარე ადამიანი. მან ბავშვს ორივე ნესტოში უნდა ჩაანვეთოს 2-3 წვეთი ხსნარი 1-2-წუთიანი ინტერვალით;

მოზრდილი ბავშვი დასვით სკამზე და თავი საზურგეზე დაადებინეთ ან ზურგზე დაანჯინეთ და თავქვეშ პატარა ბალიში ამოუდეთ. ჩანვეთით ასევე 1-2-წუთიანი ინტერვალით, ორივე ნესტოში.

ცხვირში ჩანვეთების პროცედურა გაიმეორეთ დღეში 3-4-ჯერ, რა თქმა უნდა, ექიმის დანიშნულებისამებრ.

ყურში ჩანვეთების ტექნიკა

ყურში ჩანვეთებელი სამკურნალო საშუალებები ხშირად, შუა ყურში მიმდინარე ანთებითი პროცესის დროს ინიშნება. აღსანიშნავია, რომ

ზედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირაციულ დაავადებებს შუა ყურის ანთება (ოტიტი) მოსდევს ბავშვებში, განსაკუთრებით — წლამდე ასაკში. მაგრამ ექიმის კონსულტაციის გარეშე

ყურში რაიმე წამლის ჩანვეთება ყოველად დაუშვებელია მაშინაც კი, როცა ბავშვს ყურიდან გამოინადენი აქვს.

ასლა რაც შეეხება ჩანვეთების ტექნიკას: ჩანვეთებამდე აუცილებელია, სხეულის ტემპერატურამდე ხსნარის გათბობა. ამისთვის შეგიძლიათ, ბოთლი ჩადგათ თბილ წყალში ან ხელში დაიჭიროთ, ვიდრე ხსნარი სასურველ ტემპერატურას მიაღწევს. შემდეგ, პიპეტით ამოიღეთ და ხელისგულზე ან წინამხრის შიდა ზედაპირზე დაწვეთებით შეამონმეთ ტემპერატურა. უნდა გახსოვდეთ, რომ ცივი ხსნარის ჩანვეთებამ შესაძლოა, თავბრუსხვევა გამოიწვიოს ან კიდევ, უფრო გააღრმავოს ანთებითი პროცესი. ჩანვეთების წინ პატარას ყურები ბამბიანი ჩხირით გამოუსუფთავეთ და მანიპულაციას შეუდექით.

ბავშვის მდგომარეობა

ისევე, როგორც ცხვირის შემთხვევაში, ყურში ჩანვეთების დროსაც მნიშვნელოვანია ბავშვის მდგომარეობა: დააწვინეთ ზურგზე და თავი ისე დაუჭირეთ, რომ მტკივანი ყური ზევით იყოს. გარეთა სასმენი არის (სადაც უნდა გაიაროს წამალმა დაუბრკოლებლად) გასწორების მიზნით, მცირე ასაკის ბავშვს ყურის ნიჟარა ოდნავ ჩამოუწიეთ, ხოლო მოზ-

აირჩიე და შეიძინე სასტიდან გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge

გამოცემის დასახელება	1ჯგზ. დატი	3 თვე
1. GEO / GEO	8.00	27.99
2. LIZA	2.50	32.50
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.99
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.99
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.50
6. HELLO! ХЭЛЛО!	4.00	52.99
7. ОДРОЖИ	2.00	26.99

არასის და წიგნების გაყიდვების სააგენტო „ელვა.ჯი“
კ. თბილისი, თბილისის ქ. 2648
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

რდილს მალა აუნიეთ და უკან გადაუნიეთ. პიპეტი დაიჭირეთ მარჯვენა ხელში, ყურის ხვრელის მიმართ ვერტიკალურად და ჩაანვეთეთ 5-6 წვეთი. გახსოვდეთ, ჩვილ ბავშვებს, პროფილაქტიკის მიზნით, წამალს ორივე ყურში ანვეთებენ, მოზრდილებს კი — მხოლოდ დაავადებულ მხარეს! ჩანვეთების შემდეგ, ბავშვი 15-20 წუთს გააჩერეთ ზურგზე მწოლიარე (ესეც მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან თუ ბავშვი ვერტიკალურ მდგომარეობას მიიღებს, შეიძლება, წამალი გადმოიღვაროს). პროცედურის დამთავრების შემდეგ ბავშვს გარეთა სასმენი ხვრელი მშრალი ბამბის ტამპონით გაუწმინდეთ. აღსანიშნავია, რომ ჩვილებში, ყელ-ყურ-ცხვირის ანატომიური აგებულების თავისებურებათა გათვალისწინებით, ყურისა და ცხვირის წვეთები ერთდროულად ინიშნება.

თვალში ჩანვითების ბაქტერია

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცედურის ჩატარებამდე და მის შემდეგ, ხელები კარგად უნდა დაიბანოთ. თუ პიპეტში ხსნარი დარჩა აუცილებლად უნდა გადაასხათ — ძველი ხსნარის ჩანვეთება დაუშვებელია. პროცედურისთვის დაგჭირდებათ დამხმარე, რომელიც ბავშვს თავსა და ხელ-ფეხს გაუკავებს.

ბავშვი დაანვიანეთ ზურგზე, დამხმარეს სთხოვეთ მისი გაკავება, თქვენ კი მარჯვენა ხელში პიპეტი დაიჭირეთ, მარცხენა ხელით ჩამოუნიეთ ქვედა ქუთუთო და თვალის გარეთა კუთხეში ჩაანვეთეთ 1-2 წვეთი, სხეულის ტემპერატურამდე შემთბარი ხსნარი. აქვე გეტყვით, რომ ამგვარ მანიპულაციას მოითხოვს თვალის მალამოს ნასმაც. მალამო ესმება გარეთა კუთხიდან, სპეციალური მინის ჩხირით. შემდეგ საჭიროა თვალის დახუჭვა და მალამოს შეხელა, მსუბუქი მასირებით.

გახსოვდით:

- თვალში, ყურსა თუ ცხვირში ჩასანვეთებელი, ნებისმიერი სამკურნალო საშუალება ექიმის დანიშნული უნდა იყოს — ის, რაც უხდება ერთ პაციენტს, შეიძლება, მეორისთვის უეფექტო და საზიანოც კი აღმოჩნდეს;
- გახსნილი წამლის გამოყენება მხოლოდ მკურნალობის დასრულებამდე შეიძლება და რამდენიმე თვის შემდეგ მისი გამოყენება საშიშია;
- პიპეტში დარჩენილი წვეთები უნდა გადაღვაროთ და მეორე ჯერზე (თუნდაც იმავე დღეს) არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჩაანვეთოთ ბავშვს.

აქციისის სიასლაეაი

რითი იხეხეაი ბრიტანელები კბილებს

სტომატოლოგიური ორგანიზაციის — British Dental Health Foundation — მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ქვეყნის მოსახლეობის 60% კბილებს შორის მოხვედრილი საკვების მოსაცილებლად, ხელში მოხვედრილი ნებისმიერი საგნის (მაკრატილის, სახრახნისის, საკერავი ნემსის, დანის) გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა 23% ამჯობინებს, კბილებს შორის გაჩხერილ საკვებს საერთოდ არ ახლოს ხელი, რითაც ზრდის ღრძილების ანთებისა და პირის ღრუში უსიამოვნო სუნის გაჩენის ალბათობას.

გამოკითხულებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც პირის ღრუს გასაწმენდად იყენებენ სარქსს, ქანჩს, ფრჩხილების ქლიბს, საყურეს, ფანქარს, ჩანგალსა და პლასტიკურ ბარათებს. გამოკითხვის შედეგებით აღშფოთებულმა სტომატოლოგებმა საგანგებოდ აღნიშნეს, რომ კბილების გასაწმენდად, მხოლოდ სპეციალური ძაფი უნდა იქნას გამოყენებული, თანაც, ღრძილების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, კბილების განწმენდისას დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ.

კიბოს სუნი

ამერიკელმა მეცნიერებმა საზოგადოებას ამცნეს, რომ შეძლეს კანის სიმსივნის ყველაზე გავრცელებული ფორმის — ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის — სუნის განსაზღვრა, რაც სამომავლოდ, „ელექტრონულ ცხვირს“ კანის ავთვისებიანი სიმსივნის სხვადასხვა სახესხვაობის იოლად ამოცნობის საშუალებას მისცემს: საქმე ისაა, რომ კანი სპეციფიკური სუნის მქონე აიროვან ორგანულ ნივთიერებებს გამოიმუშავებს.

ფილადელფიის ქიმიური კვლევის ცენტრის მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ სიმსივნის სუნი განსხვავდება ჯანსაღი კანის სუნისგან და ამ თეორიის დასაბამებლად, კვლევები ჩაატარეს. მათ აიღეს ჰაერის ნიმუშები ბაზალურუჯრედოვანი კარცინომით დაავადებული კანიდან და ჯანმრთელი ადამიანების კანის იმავე უბნიდან და აირული ქრომატოგრაფიის საშუალებით, ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა შეისწავლეს. მეცნიერებს განზრახული აქვთ, განაგრძონ ჰაერის ნიმუშების კვლ-



ევა კანის კიბოს სხვადასხვა ტიპისა და სახეობის (მათ შორის, მელანომის) შესასწავლად და ცდილობენ, შექმნან სუნის „ამოცნობი“ დანადგარი, რომელიც ექიმს კანის კიბოს ადრეულ დიაგნოსტიკაში დაეხმარება. სპეციალისტების აზრით, ახალი მეთოდიკა საინტერესო და პერსპექტიულია, მაგრამ სირთულეებთანაც არის დაკავშირებული, რადგან კანის სხვადასხვა უბანს სხვადასხვა სუნი აქვს.

მამაკაცური გენის გაქრობის გამო მამაკაცთა მოღვაწე მალაუნეა ემუქრება

The Daily Mail ავსტრიის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორის, ჯენიფერ გრეივისის მოხსენებაზე დაყრდნობით, საზოგადოებას აფრთხილებს, რომ მამაკაცის Y-ქრომოსომა და მასთან ერთად, მამაკაცთა მთელი მოდგმა გადაშენების საფრთხის წინაშე დგას.


იქიდან გამომდინარე, რომ 300 მილიონის წლის წინ მამაკაცთა Y-ქრომოსომა შედგებოდა 1400 გენისგან, ახლა კი ის მხოლოდ 45 გენს შეიცავს, მკვლევარმა დაასკვნა, რომ შეიძლება, დროთა განმავლობაში ყველა გენი გაქრეს. მეცნიერი არ აკონკრეტებს, თუ რა მოუვით ასეთ შემთხვევაში მამაკაცებს.

The Daily Mail ამშვიდებს მკითხველს, რომ უახლოეს 5 მილიონ წელიწადში ეს საშიშროება არ მოხდება. ამასთან, ძლიერი სქესი შეიძლება დაადგეს ზოგიერთი მღრღნელის გზას, რომელსაც არ აქვს Y-ქრომოსომა და მამაკაცის გენის ფუნქციას სხვა გენი ასრულებს.

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



**2 ჩანაწერი
ქურნალები**



ბალი და ალუბალი

ღვიძლისა და თირკმლის პრობლემების დროს კარგია ალუბლის წვენი – 1 ჭიქა ყოველ დღით. თუ პატარას შეკრულობა აწუხებს, სასარგებლოა ნაყოფიც და წვენიც.

ბალი შეეძლიათ შეუზღუდავად მიიღოთ გასტრიტისა და კუჭის წყლულის დროს – ის, ალუბლისგან განსხვავებით, არ იწვევს გულმარვას და კუჭის წვენის მჟავიანობის მომატებას.


პროსტატის დაავადებები

– პროსტატის აღენომა კეთილთვისებიანი დაავადებაა. აღენომის ზომების მატებას მოსდევს ზეწოლა შარდსადენზე, რაც არღვევს შარდვის პროცესს. პაციენტს უვითარდება მოშარდვის დარღვევა ანუ დიზურია, ხშირი შარდვა განსაკუთრებით შემაწუხებელია ღამით, შარდი გამოიყოფა წვევტილი ნაკადით

საბავშვო ფიტნესი

ოთხი თვიდან ქვემო კიდურების მომხრელი და გამშლელი კუნთების გაწონასწორება იწყება, ამიტომ ვარჯიშთა კომპლექსში უნდა შევიტანოთ ქვედა კიდურების პასიური მოძრაობები – ფეხების აწევა, მონაცვლეობითი მოხრა. ვარჯიშის დროს რიტმული მოძრაობისთვის აუცილებელია ხმამაღლა დათვლა: ერთი, ორი, სამი, ოთხი.

თქვენთვის მკვლევარების კვლევა



საქართველოს მკვლევარების კვლევა

„მასთან ყოფნა ღირსების საკითხია“

მარინა ბაბუნაშვილი

ესმა 10 წელია, საბერძნეთში ცხოვრობს. აქვს ენ. „მწვანე ბარათი“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის ლეგალური მიმოსვლის უფლება აქვს.

პირველი ინტერვიუ მისი მეგობრის ოჯახში ჩავწერე („შვილებთან ყოფნა მინდოდა, მაგრამ...“ „კვირის პალიტრა“, 2008 წ. 18 თებერვალი). შემდეგ ხშირად მესმიანებოდა საბერძნეთიდან... ამ ერთი კვირის წინაც დამირეკა, თბილისში ჩამოვედი, ცოტა ხანში ისევ უნდა წავიდეთ, — და კვლავ მეგობრის ოჯახში მიმიპატიჟა.

ესმას საბერძნეთში გამგზავრებას კი წინ ეს ამბავი უძლოდა:

ამბავი პირველი „ქაჩაშა შაიქულა, აქაურობა დამუფთვებია“

1990-91 წლებიდან საქართველოში ცხოვრება ძალიან გაჭირდა. მიუხედავად ამისა, ესმა არც ფიქრობდა აქაურობის დატოვებას. ქართველი

წარმოების დირექტორი გახლდათ. მოხდენილ გოგოს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ მას რეზო უყვარდა.

ამონარიდი წერილიდან: „ბევრ ბიჭს მოეწონდა, მაგრამ ყველაზე გულწრფელი და სუფთა რეზო მეგონა. დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვები მამაჩემის ქონების გამო დამტრიალებდნენ თავს... სკოლა დავამთავრე თუ არა, მე და რეზო გავიპარეთ. მის ოჯახს ძალიან უჭირდა, 2-ოთახიანი ბინაში 6 სული ცხოვრობდა, ამიტომ რეზომ „შემომთავაზა“, იქნებ, მამაშენმა ბინა გვიქირავოსო. იმდენად მიყვარდა, მაშინვე ავიტაცე მისი წინადადება და მამას ვთხოვე, ერთოთახიანი

მიქირავე-მეთქი... ცოტა ხანში, მამამ მართლაც დაგვიქირავა ჩვენს სახლთან ბინა“.

ესმას სხვებში ეპარებოდა ეჭვი, ანგარება ამოძრავებთო, მაგრამ რასაც უფრთხოდა, იმას ვერ ასცდა. რეზომ მალე გამოამყლავნა თავისი ზრახვები... რასაც მოისურვებდა — ბინა იყო ეს თუ სამსახური, მანქანა თუ დროსტარება, — ყველაფერში სიმამრის იმედი ჰქონდა. მისი ხელშეწყობით, ახალ ბინაშიც შევიდა სამსახურიც დაიწყო, მანქანაც იყიდა და არც დროსტარებას იკლებდა... მაგრამ დადგა დრო, როცა ქვეყანაში ყველაფერი მოიშალა. ესმას მამამაც დაკარგა სამსახური.

ქალები უცხოეთში (ძირითადად, თურქეთსა და საბერძნეთში) მიდიოდნენ ლუკმაპურის მოსაპოვებლად. ესმას კი ერჩივნა, თავის გალატაკებულ ქვეყანაში, თავის ოჯახში ყოფილიყო და შვილებისთვის ეცქირა. ფიქრობდა ხოლმე: — რა ვქნა? ნათქვამია — საბანი სადამდეც გაგწვდება, ისე უნდა დაიფაროო სხვებსავით ვერ გავიქცევი უცხოეთში, ჩემს შვილებს ვერ მივატოვებო.

არავინ იფიქრებდა, ესმას ასე თუ გაუჭირდებოდა. მდიდარი ოჯახის შვილი იყო, მამამისი ერთ-ერთი



რეზომ ლილინ-ლილინის ნაცვლად, ცხვირი ჩამოუშვა. მიხვდა რომ ოჯახის ტვირთი ანი მას უნდა ეზიდა. ორ შვილს — ქეთის და ლუკას — ათასი რამ სჭირდებოდა...

ამონარიდი წერილიდან: „რეზო შემომიჩნდა, — შანსი არაა, მამაშენს ფული არ ჰქონდეს გადანახული, 2.000 დოლარი გამოართვი, მე და სოსო (ძმაკაცი) „რაფს“ ვიყიდით და ყოველთვიური შემოსავალი გვექნებაო. — მამაჩემს აღარაფერი აღარ აქვს, ბინას ხომ არ გავაყიდვინებ-მეთქი, — ვუპასუხე. ძუნწი და უნახავი მეძახა. ის ღამე თეთრად გავათენე და ჩემი სიყვარული საბოლოოდ გამოვიგლოვე“.

ლომბარდში ჩააბარა შემორჩენილი ოქროს სამკაულები, ცოტა ისესხა და ქმარს მისცა ფული. ბევრი დრო არ გასულა, დასავლეთში ქორწილში წავიდნენ იმ „რაფით“ რეზო, სოსო და მათი კიდევ რამდენიმე ძმაკაცი. იქიდან წამოსულებს კი ავარია მოუხდათ. ყველა გადარჩა, თუმცა „რაფი“ აღარაფრად ვარგოდა.

რეზო ისევ ესმას მიადგა: ყველა ქალი რალაცას ჩალიჩობს და შენ რა დამბლა დაგეცაო?!.. ერთი სიტყვით, თავის საკეთებელს ცოლს ავალებდა.

ქალს სხვა რა გზა დარჩენოდა? ადგა და წავიდა.

აზავი გორი გვიან მიუხვდი, რომ ანგარიშით შემიჩიო

თავდაპირველად გაუჭირდა იქ ყოფნა. სულ ტიროდა, შვილები ენატრებოდნენ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მის შვილებს ანი ის თუ დაეხმარებოდა შორი ქვეყნიდან...

— ესმა, როგორც ვიცი, ახლა კმაყოფილი ხარ.

— 5 წელია, ერთი შეძლებული კაცის ოჯახში ვცხოვრობ, მენდობიან, ოჯახის წევრად

მთვლიან, მათ პატარა გოგონებს ვზრდი. უჩემოდ დიდხანს ვერ ძლებენ. ახლა, საქართველოში რომ მოვდიოდი, გამომეტირნენ. უფროსი 7 წლისაა, უმცროსი — 5-ის. მათ ოჯახში რომ მივედი, მეორე მერე გაჩნდა, „დედას“ მეძახის, მეც ძალიან მიყვარს ორივე, მაგრამ გული მწყდება — სხვის შვილებს ვუვლი, ჩემები კი ღვთის ანაბარად დავტოვე...

— რატომ ღვთის ანაბარად? მამაც აქ ჰყავთ და ბებიებაბუბაც...

— ეჰ, ჩემო კარგო, ყველას მაინც დედა ურჩევნიათ, მაგრამ სხვა გზა არ იყო და შევეგუეთ ბედს. ჩემი ქეთი 12 წლის იყო, რომ დავტოვე. 16 წლისა გაიპარა და გათხოვდა თავისზე 2 წლით უფროს ბიჭს გაჰყვა ცოლად. აქ რომ ვყოფილიყავი, ეს არ მოხდებოდა. სიძეს არ ვემდური, კარგი ბიჭია. კიდევ კარგი, ამით მაინც გამიმართლა, თორემ თავი მექნებოდა მოსაკლავი. ჩემმა შვილმა ორ ბავშვზე ისე იმშობიარა, აქ არ ვყოფილვარ. ამ დროს, გოგოს დედა როგორ არ უნდა ჰყოლოდა გვერდით?! მაშინ არ შემეძლო ისე თავისუფლად სიარული, როგორც ახლა. მკითხე, კმაყოფილი ვარ თუ არა დღევანდელით? აბა კმაყოფილი როგორ ვიქნები, როცა ასე შორს ვარ ჩემი შვილებისგან, თანაც გოგომ ამდენი რამ გამოიარა უჩემოდ. მაგრამ საბერძნეთში ყოფნის პირველ წლებს თუ გავისხენებ იმასთან შედარებით, მართლაც ძალიან კარგად ვარ. თავიდან, ერთ ბერიკაცს ვუვლიდი, ათასგვარ სისულელეს აკეთებდა, ვერ გაუჭიქელი და წამოვედი. 6 თვეში 22 კილო დავიკელი. მერე კაფეში ვიმუშავე 1 წელი, ჭურჭელს ვრეცხავდი, საკმაოდ მძიმე სამუშაო იყო, ამის შემდეგ ცოტა ხანს ძაღლების მომვლელადაც

კი ვიდექი, მერე ავადმყოფ ქალს ვუვლიდი. ბოლოს, იმ ოჯახში მოვხვდი, სადაც ახლა ვარ. მათთან ვიგრძენი ადამიანური სითბო და პატივისცემა. ხელფასს ხომ მაძლევენ (1.000 ევროს მიხდინან), ცხოვრებითაც მათთან ვცხოვრობ, როცა დასასვენებლად მიდიან, მეც მიყვარ. ამას წინათ, პარიზში წავიდნენ, უფროსი გოგო თან წაიყვანეს, უმცროსი მე დამიტოვეს. ისე მენდობიან, როგორც საკუთარ სისხლსა და ხორცს. როგორ შეიძლება ასეთ ადამიანებს ვუღალატო?! ხელფასის გარდა, არც საჩუქრებს მაკლებენ და როცა საქართველოში ჩამოვდივარ, ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ათას რამეს მატანენ.

— რეზო რას გეუბნება, ხომ არ დაიღალა მარტო ყოფნით?

— დამცინი?! ვიცი, რომ საყვარელი ჰყავს. საერთოდ არ მინდა მასთან ურთიერთობა, მაგრამ შვილების გამო, ძალაუნებურად მიწევს; ერთი სული მაქვს, ხოლმე, როდის მოვშორდები.

— „მოშორებული“ არ ხართ? ის თბილისშია, შენ — ათენში

— ჰო, მაგრამ აქ ყოფნის დროს ხომ უნდა გავუძლო ცოტა ხანი. ეგეც კი მიჭირს. ადრე ვფიქრობდი, მოვაგროვებ თანხას და დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. ჩემი ვაჟი, ლუკა საზღვარგარეთ აპირებს სწავლის გაგრძელებას, ქეთის თავისი ოჯახი აქვს, ჩემს მშობლებს სისტემატურად ვეხმარები, როცა მინდა მაშინ ჩამოვდივარ, მათ პატრონი ჰყავთ, ჩემი ძმისა და რძლის სახით, რისთვისღა დავბრუნდე! ვიცი, ნერვები უნდა ამიშალოს თავისი მოთხოვნებით, ამიტომ იქ მირჩევნია, სადაც პატივს მცემენ და ვუყვარვარ.

— სიცოცხლის ბოლომდე იქ აპირებ ყოფნას?

— არა, სიბერეში ჩამოვალ ჩემს შვილიშვილებთან ვიქნები, რეზოსთან კი ერთი დღეც არ გავჩერდები. სწორედ მის გამო, საუკეთესო წლები გადასაკარგავში, უცხო ადამიანების გარემოცვაში გავატარე, ამას კი ვერასოდეს ვაპატიებ. ასეთი კაცის გვერდით ყოფნა ღირსების შელახვად მიმაჩნია, ვისაც უნდა, გამამტყუნოს.



ჩვეყნად ერთადერთი ჯანსაღი მშენიანის დასაღებოლი. ომ მას ვერ იპატი, რ.ი. გავიძნობის.

„ის სხვა“ იმიტომ ვერ მიუყვო, რომ ადამიანი მკვია

„თქვენს რუბრიკაში ბევრ წერილს ვკითხულობ ბედნიერ თუ იმედგაცრუებულ სიყვარულზე და ვრწმუნდები, რომ ადამიანი სიყვარულისთვის არის დაბადებული, თუმცა ამ გრძნობის გამო შეიძლება, მთელი ცხოვრება დაიტანჯო. მე თუ მკითხავთ, ეს ტანჯვაც სასიამოვნოა, თუკი მთელი გულით გიყვარს.

მაია მესამე კლასში იყო, როცა პირველად ვნახე. მასზე გაცილებით უფროსი ვიყავი. იმ დღიდან მარტო იმად მიღირდა სკოლაში მისვლა, რომ მისთვის მომეკრა თვალი. ისე არ ჩამივლიდა ჩემთვის არ გაეღიმა თავისი ულამაზესი, ციმციმა თვალები არ შემოენათებინა. სკოლა რომ დავამთავრე, გარკვეული დროის მანძილზე აღარ მინახავს. გავიდა წლები და ბედმა ისევ შეგვახვედრა. მაია კიდევ უფრო გალამა-

ზებული და დამშვენებული იყო. მაშინ მივხვდი, რომ ის ძალიან, ძალიან მიყვარდა და არც ის გახლდათ ჩემ მიმართ გულგრილი.

ჩვენს მომავალთან დაკავშირებით გეგმებს ვანყობდით, ოცნებით ცაში დაფორინავდით, მაგრამ ცხოვრებამ მწარე გამოცდა მომიწყო და ეს გამოცდა, ოროსანი ბავშვივით, ვერ ჩავაბარე... ოჯახი შევქმენი ისეთ ადამიანთან, ვინც არასოდეს მყვარებია და ვერც ვერასოდეს შევძლებ მის შეყვარებას. სამწუხაროდ, ახლა გვიანია ამაზე ფიქრიც და სინანულიც, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ, მინდა, გულახდილად გაგიზიაროთ ის, რაც აქამდე მანუხებდა. რაც მახარებს ამქვეყნაზე ჩემი შვილებია და კიდევ... მიხარია, რომ სადღაც ცხოვრობს მაია, რომელიც იმავე გრძნობით მიყვარს, როგორც ადრე და

მეყვარება მანამ, სანამ ამქვეყნად ვიქნები. ვიცი, მაია ამას წაიკითხავს. მას ვერ ვთხოვ პატიებას, არ ვიმსახურებ მისგან შენდობას, მაგრამ გეფიცებით, გულითა და სულით ვუსურვებ ოჯახურ სითბოს, უღევ სიხარულს, ქალურ ბედნიერებასა და ჭეშმარიტ სიყვარულს. შეიძლება, ბევრს გაუკვირდეს: ასე თუ უყვარდა სხვა რატომ შეირთო? იმ სხვამ ყველა ღონე იხმარა, რომ ჩემი ცოლი გამხდარიყო (სლენგით თუ ვიტყვი, „გამიჩალიჩა საქმე“). წესით და რიგით, ასეთი ქალი კი არის მიტოვების ღირსი, მაგრამ ასე ვერ მოვიქეცი, იმიტომ, რომ ადამიანი მქვია... ხოლო რაც შეეხება სიყვარულს, ჩემზე კარგად იცით, რომ ის სხვათა კარნახით არც მოდის და არც მიდის.

გოგა, 33 წლის, თბილისი“.

„ნება მიეცით, იყოს ზედნიერი“


„გზის“ №21-ში რუბრიკით „ცხოვრება“ დაიბეჭდა წერილი „ადამიანი სხვისი უბედურების ხარჯზე ვერ იქნება ბედნიერი“, სადაც ერთი ქალბატონი ძმის სიყვარულზე მომითხრობდა. მას საბერძნეთიდან გამოეხმაურნენ:

„მარინა, მინდა, თქვენს სტუმარს ქალბატონ ნანას მივმართო: მართლაც, საშინელებაა, ჩემო კარგო, როცა ოჯახი ინგრევა. თქვენი ანუ დის პოზიციაც სრულიად გასაგებია ჩემთვის, მაგრამ ზოგჯერ გატეხილს აღარაფერი ამთელებს. ვთქვათ, თქვენმა მეორე სარძლომ, ნათიამ, რომელიც ახლა საბერძნეთში იმყოფება და ასე ძალიან უყვარს თქვენს ძმას, წაიკითხა ეს წერილი და თქვენივე თხოვნით, უარი უთხრა ლევანს (თუმცა ძალიან მეეჭვება,

ამდენი წლის სიყვარული რამემ შეაჩეროს). ლევანმაც ძალა აღარ დაატანოს და დაუბრუნდეს

ცოლ-შვილს, განა ამ ოჯახს ოჯახი ერქმევა ისევ? ან თუნდაც, ლევანის ცოლი ისურვებს ისეთი კაცის გვერდით ცხოვრებას, ვინც გამუდმებით სხვაზე ფიქრობს და ოცნებობს?! არა მგონია, მათი ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდეს. ის მაინც განწირულია და განა, არა სჯობს, ლევანი იმასთან წავიდეს, ვინც მთელი გულით უყვარს?

აბა, დაფიქრდით, ქალბატონო მანანა, აწონდნონეთ ყველაფერი და დასკვნა ისე გამოიტანეთ. თქვენ ამბობთ, ძმაზე დიდი ამაგი გაქვთ და არ გინდათ გაუბედურდეს. ნება მიეცით, იმოქმედოს გულის კარნახით და იბრძოლოს საკუთარი ბედნიერებისთვის. პატივისცემით, „გზის“ მუდმივი მკითხველი მარია, ათენიდან“.




„იცი, რა ზედნიერი ვარ?“

„გწერთ 42 წლის მამაკაცი ქუთაისიდან. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ნამდვილად ასეა, არასოდეს არავისთვის წერილი (არც მესიჯი) არ მიმიწერია, თქვენ კი გწერთ. და იცი, რატომ? იმიტომ, რომ თქვენი წერილების მუდმივი მკითხველი ვარ, მიყვარს ცხოვრებისეული ამბების გაცნობა და თანაც, სულ ახლახან ისეთი რამ მაცნობეს, მინდა, თქვენც გაგიზიაროთ ჩემი სიხარული...“

აფხაზეთის ომში ვიბრძოდი. იქიდან რომ დავბრუნდი, საშინელ დეპრესიაში ვიყავი. არც სამსახური მქონდა და ძალაუნებურად სულ ის საშინელი დღეები მაგონდებოდა. ძველი მეგობარი, გელა შემეხმინა კალინინგრადიდან: ჩამოდი ჩემთან, სამსახურსაც დაგაწყებინებ და დეპრესიიდანაც გამოხვალ. ნავედი. ოთხი წელი ვიცხოვრე კალინინგრადში. იქ ერთი ახალგაზრდა რუსი ქალი გავიცანი, ტანია ერქვა. თბილი და სასიამოვნო გარეგნობის გახლდათ. ერთად ვცხოვრობდით. მას არ ჰქონია არანაირი პრეტენზია ჩემ მიმართ, მე — მით უმეტეს. ნამოსვლა რომ დავაპირე, შევატყვე, აწრიალდა მთხოვა — ნუ დამტოვებო. ავუხსენი, რომ ჩემები მენატრებოდნენ და აღარ მინდოდა რუსეთში ყოფნა. ჩემს გამომგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მითხრა: რადგან მტოვებ, იძულებული ვარ, აბორტი გავიკეთო. არ მესიამოვნა ეს ამბავი და ვუთხარი, — ჰო, ასე აჯობებს-მეთქი. მერე გელაც აღარ გაჩერდა იქ და ისიც ცოტა ხანში ჩამოვიდა, ასე დავკარგე ტანია. ქუთაისში რომ დავბრუნდი, 2000 წელი იდგა. მერე პატარა ბიზნესი წამოვიწყე, საქმე კარგად ავანწყვე. გელა დაოჯახდა, მე კი ვერა და ვერ მოვაბი თავი ცოლის შერთვას.

ერთი თვის წინ გელას რაღაც საქმეზე ისევ კალინინგრადში მოუწია წასვლამ. იქიდან დამირეკა. გაჰყვიროდა, მეგონა, რამე ცუდი შეემთხვა... თურმე, ტანია უნახავს, მასთან ერთად კი — ჩემი 9 წლის ბიჭიც. ტანიას

შვილსაც ველაპარაკე. გიორგი დაურქმევია დედამისს. შენი ნახვა მინდაო — მითხრა. გავგიჟდი. შევთანხმდით, რომ ტანია შვებულებას აიღებს და მესტუმრება. გადაწყვეტილი ამბავია, აქედან აღარც გავუშვებ. მამა



უთქვამს, კახი მიყვარდა და აბორტი ვერ გავიკეთე, მინდოდა, მისი შვილი გამეჩინა და გამეზარდაო. მარინა, ვერ აღგიწერთ, რა დამემართა, გული ლამის ამომვარდა... გელამ ტანიას ახალი კოორდინატები ჩამომიტანა. თან მაცნობა: შენი შვილის დედამ მითხრა, თუ კიდევ ვუნდივარ, დამირეკოსო. რა თქმა უნდა, დავურეკე, ჩემს

3 წლის წინ გარდამეცვალა და საწყალი სულ იმას მსაყვედურობდა, როდის მალირსებ შვილიშვილსო?! ნეტავ, იცოდეთ, დედაჩემი, ჩემი უმცროსი და და ნათესავეები როგორ ემზადებიან ტანიასა და გიორგის დასახვედრად. არ ვმალავ, რომ ბედნიერი ვარ და თქვენც, როგორც ახლობელ ადამიანს, გაგიმუღავნეთ ჩემი ბედნიერების ამბავი. კახი. დ.“



ქალაქში ლოგიკა ჯერ უნდა,
ამ ამბავს და მომრეც —
მყვე დაჯდე!

ჟურნალისტს შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით
babunamarina@yahoo.com

მთახში მთელი სისწრაფით შევარდა, ჩანთა და ფეხსაცმელები დერეფანშივე მოისროლა.

— დავაგვიანებ, დავაგვიანებ, — ბურტყუნებდა თავისთვის მარი. ოთახში აქეთ-იქით ეხლებოდა და ძირს დაყრილ სათამაშოებს წარა-მარა წამოედებოდა ხოლმე, — ეს სახლი კი არა, მსოფლიო ქაოსია, — ღიმილით ამბობდა ის. ქვედაბოლო გაიძრო და დივანზე მოისროლა, — ქურთუკს მიაყოლა.

ოთახის დალაგების დრო არ ჰქონდა. დრო საერთოდ არ ჰქონდა ისე, როგორც ყოველთვის.

მაისური ნაჩქარევად გადაიძრო და უეცრად, იატაკზე, სათამაშოებს შორის დაგდებულ, გადაშლილ ალბომს თვალი მოჰკრა. სურათები იატაკზე გადმოყრილიყო.

— ოჰ, ეს საძაგელი, სურათებამდეც მიაღწია, უკვე. — თავზე გადასაძრობად გამზადებული მაისური კისერზე შერჩა. რას უყურებდა მამამისი? სურათებთან ჩაიშხლა და ერთ-ერთს დასწვდა. ფოტოს მეორე მხარეს ბავშვურ ხელს ვარდისფერი ფლომასტერით ასოები გამოეყვანა. აი, ის... მოგონება... ძირს გდია და მასზე გამოსახული ნაცნობი სახეები ღიმილით შემოსცქერნიან.

„აი, ახალდაბადებული ელენიკო დედას უჭირავს ხელში, აი, მე და ალექო სამეჯლისო ცეკვების ჩემპიონატზე... ამ სურათზე მთლად ახალგაზრდები ვართ... ეჰ, რამდენი წელი გავიდა“...

მარიმ მაისური გადაიძრო და კუთხეში მიაგდო. ბავშვის მიერ დახეული და დაჭმუჭნილი სურათების დალაგებას შეუდგა. ძველი შავ-თეთრი ფოტოდან მარის პ გოგონა შემოსცქეროდა. ჭრელკაბიანი, თმაგაშლილი გოგონები მინდორში იყვნენ გადაღებული. ისინი სურათიდან ახალგაზრდობას, ამბიციებსა და მომავალს უღიმოდნენ. მა-



რომანი

— მარი ჯაფარიძე

საში აშბაში

რიმაც გაულიმა პასუხად. ყელში კი ბურთივით გაეჩხირა რაღაც. ყველაზე ახლობელი და ყველაზე საყვარელი მეგობრები...

ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ და ერთად ბევრი რამ გადაიტანეს. რა თქმა უნდა, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ახალგაზრდობაში კი ყველაფერი ლამაზად მოჩანს, ურთიერთობები გაცილებით უბრალოა. მხოლოდ მეგობრული კი არა, ყველანაირი ურთიერთობა მარტივია. წლებთან ერთად მათმა მეგობრობამ გამოცდას გაუძლო. ისინი ძველებურად მეგობრობენ და იკრიბებიან, მაგრამ ახლა იშვიათად. შესაძლოა, თვეში ერთხელ. ისიც მაშინ, როდესაც ყოველდღიურ

ორომტრიალს რამდენიმე საათს გამოგლეჯენ: სამსახური, ოჯახი, საქმე... და მხოლოდ მაშინ, როდესაც მარი დაურეკავს გოგოებს და შეხვედრისთვის ყველასთვის ოპტიმალურ დღეს შეარჩევს. ის ორგანიზატორად არავის დაუნიშნავს, მაგრამ რატომღაც თავიდანვე ასე აწეწო. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც პ მეგობარი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სხვადასხვა ცხოვრებაში მოხვდა. მარი დროდადრო მათ ერთად უყრიდა თავს. შემდეგ გათხოვდნენ და შეხვედრების სიხშირემ იკლო. ყველას თავისი საზრუნავი და პრობლემა გაუჩნდა. თუმცა, დროს მაინც გამოინახავდნენ ხოლმე და მარის ეჩვენებოდა, რომ გასული წლები არ არსებობდა და რომ ისინი ისეთივე ახალგაზრდები და პატარები იყვნენ. სამი მეგობარი, მუდამ ერთად იყო და გარშემომყოფთა ყურადღებას იპყრობდა. მხიარულები, უზრუნველები, ლამაზები... ერთმანეთს კედელივით ედგნენ მხარში და მეგობრობას უფრთხილდებოდნენ. ქალური მეგობრობის არარსებობის შესახებ არსებული მითი კი სულაც არ ადარდებდათ. იცოდნენ, რომ მათი მეგობრობა გამონაკლისი იყო, მეგობრები კი საიმედო



ზურგი. მერე რა, თუ ისინი ასე განსხვავებულები არიან? იქნებ სწორედ ამიტომაც მათი მეგობრობა ასეთი მყარია?

„მგრძობიარე და მიხვედრილი ინგა, რომელმაც 2 თვე შეგვიფარა მე და ალექო, როდესაც ჩვენს ძველ სახლში რემონტს ვაკეთებდით. თუმცა, მაშინ სულ არ იყო ჩვენს გუნებაზე. მისმა ქმარმა, კარგა ხნის შესვენების შემდეგ, ისევ სმა დაინყო (ისინი მაშინ ჯერ კიდევ ერთად ცხოვრობდნენ). ამ დროს კი მე და ჩემი ქმარი, ჩვენი ჩემოდნებით მივადექით... მერე რა? მაინც გაგვიმართა ხელი. მისი ქმარი კლინიკიდან კლინიკაში დაგვყავდა. ინგა კი სამსახურის საძებნელად დაეხეტებოდა, ვიდრე ლიკამ საიუველირო მაღაზიაში ნაცნობობით ადგილი არ უშოვა“.

ლიკა თავიდანვე ასეთი იყო. ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ხისტი და ძლიერი ქალი გახლდათ, პროფესიით — ადვოკატი. ერთმანეთისგან ვერ აცალკევებდა სამსახურსა და პირად ცხოვრებას. იქნებ სწორედ ამიტომ მოხდა ისე, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელ მის პირად ცხოვრებად სამსახური იქცა... მარტო ზრდის შვილს და სახლსა და საადვოკატო ბიუროს შორის დარბის. თუმცა, ამ ყველაფერს ძალზე ღირსეულად და ამაყად აკეთებს. მისთვის საკუთარი აზრის გარდა სხვა ავტორიტეტი არ არსებობს. საკუთარ ცხოვრებას თავად მართავს. მარის ყოველთვის ალაფრთოვანებდა ის სიძლიერე, რომელიც ქალს ჰქონდა.

ჯერ კიდევ მაშინ ვერ მალავდა ალფრთოვანებას, როდესაც ლიკა, დირექტორის კაბინეტისკენ, მტკიცე ნაბიჯით მიემართებოდა, რათა „შატალოს“ გამო დასჯის მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე აეღო. არავინ იცის, რას ეუბნებოდა დირექტორს ისეთს, რომ დაუსჯელი რჩებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ ეტყობოდა, რომ ცხოვრებაში არ დაიკარგებოდა.

„ის ჩემს სამეჯლისო ცეკვას ხუმრობით „ტლინკაობას“ ეძახდა, მაგრამ ყველა შეჯიბრებას ესწრებოდა და მთელი გულით გვითანაგრძობდა. როცა მე და ალექომ ცეკვის საკუთარი სკოლის გახსნა გადავწყვიტეთ და ფული არ გვეყო, სწორედ მან მოგვცა საჭირო თანხა. ისიც კი არ უკითხავს, როდის დავუბრუნებდით ვალს. ჩემი „რკინის ადვოკატი“... მომენატრეთ, გოგონებო“...

მარი ადგა. სურათისთვის ხელი არ გაუშვია, ისე დასწვდა ტელეფონის ყურმილს...

ინგა

ინგამ ტელეფონის ყურმილი ადგილზე დააბრუნა. აპარატმა დაინკარუნა და გაითიშა. ამოიოხრა, თმაზე ხელი გადაისვა, ერთ-ერთ ბიგუდს დასწვდა და ჩამოსწია. თმა გათავისუფლდა და კულული კისერზე ჩამოცურდა.

— მერე?

თავი დივანის საზურგეზე გადააგდო და კიდევ ერთხელ

ამოიოხრა.

— ამჯერად ალბათ თავის დაძვრენა არ გამოვა... წასვლა მომიწევს. მხოლოდ, ლიკას ზარს დაველოდები.

ლიკა ალბათ მალე დარეკავდა. ასე ხდებოდა ყოველთვის. როგორც კი მარი მათ შეკრებას მოინდომებდა, ის და ლიკა ერთად ცდილობდნენ, მოეფიქრებინათ, როგორ დაეძვრინათ თავი, რომ მარი ჰორიზონტიდან კიდევ 2-3 კვირით გამქრალიყო. არა, არც ერთს მეგობრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. უბრალოდ, ძალიან დიდი დრო გავიდა და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

არადა, იყო დრო, როდესაც გვერდიგვერდ სადარბაზოში მცხოვრები 2 მეგობარი ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებდა. რალა თქმა უნდა, ლიკაც მათი მეგობარი იყო, მაგრამ რატომღაც ინგას მარი უფრო მკაფიოდ ახსოვდა. იქნებ იმიტომ, რომ ლიკა მათთან შედარებით გაცილებით სერიოზული იყო და ისე ვერ უგებდნენ, როგორც ერთმანეთს? ან იქნებ იმიტომ, რომ ლიკა ქალაქის სხვა უბანში ცხოვრობდა, ის და მარი კი გაკვეთილების შემდეგაც ერთად იყვნენ. ეზოშიც ერთად თამაშობდნენ? გარეგნულადაც დებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ამას ყველა აღნიშნავდა და გოგონებს უხაროდათ, რომ მათი მსგავსება ასეთი აშკარა იყო.

ერთმანეთს ავსებდნენ და ბავშვურ სისულელეებსაც ერთად ჩადიოდნენ.

შემდეგ უფრო იშვიათად

მოკლე ჩართვა

რომის ვიბუაზი?

• ძირითადად მაშინ ვიტყუები, როცა მწარე სიმართლეს ტკბილი ტყუილი ვთბია. კიდევ მაშინ ვიტყუები, როცა რაიმე ჩამჭრელ კითხვას მისვამენ. ლი ჰარვი ოსვალდი.

• ეი. ტყუილი რომ ცუდია კი ვიცით, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, ტყუილი რომ არ თქვას. მაგალითად, მე როდის ვიტყუები და... ბებიანჩემი რომ იკითხავს, ჩურჩხელები ვინ შეჭამაო, თავს ხომ არ გავცემ? რა თქმა უნდა, უარს ვამბობ. ან როცა საქმე სხვის პირად საიდუმლოს ეხება, მე ვითომ ამწეზია მაქვს (ესეც ერთგვარი ტყუილია). ჩუბი.

• როდის ვიტყუები იი? ო, ეგ რთული კითხვაა. საერთოდ, ტყუილი არ მიყვარს, მაგრამ ხანდახან საჭიროება მოითხოვს და აი, მაშინ კი ნამდვილი გუდა ვარ. ნუ,

რა ვქნა ახლა, თუ ლექციაზე დამაგვიანდა და ვიცი, რომ აუდიტორიაში ლექტორი კი არა, ნამდვილი ჯალათი მელოდება? რა თქმა უნდა, ტყუილია საჭირო. რა ვქნა? ლექტორებო, ეს ჩემი უცოდველი ტყუილები უნდა მომიტევოთ... SWEET-GIRL.

• არც ისე ხშირად ვიტყუები ამ ბოლო დროს, მაგრამ მაშინ, როცა ძალიან მჭირდება, რა ტქმა უნდა ტყულის გარეშე ვერ გამოვძვრები.

• როცა აუცილებლობა მოითხოვს, ლამაზი ტყუილი სჯობს, არსებულ, სასტიკ რეალობას. კეთილი საქმისთვის მოგონილი უწყინარი ტყუილი ნაკლებად მძიმე და აშაულია და ხშირად ფატალურ შედეგებსაც კი გვაცილებს თავიდან. იკუშკები.

ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს ერთმანეთს უზიარებდნენ.

ინგამ ამოიოხრა და მის საფეთქელთან კიდევ ერთი, სპირალივით დახვეული კულული ჩამოიშალა.

როდესაც მომავალი ქმარი გაიცნო, გოგონები მაშინაც ერთად იყვნენ. ინგა უკვე სტუდენტი იყო და უნივერსიტეტის დავალებით, მისაღებ გამოცდებზე შესატან საბუთებს იღებდა აბიტურიენტებისგან. ზაფხული იყო, ცხელოდა, დარბაზში უამრავი ადამიანი ირეოდა და მისი მომავალი ქმარიც მათ შორის იყო. ინგამ ის მაშინვე შენიშნა. ბიჭი მის მაგიდას მიუახლოვდა და რატომღაც ინგას გვერდით მჯდარ მარის გამოელაპარაკა.

— ლამაზო, როგორ უნდა მოვხვდე უნივერსიტეტში?

— განცხადება დანერე, — გაიცინა მარი.

ინგამ მეგობარს იდაყვი გაჰკრა და ბიჭს ბლანკი მიაწოდა.

ბიჭი იქვე, მაგიდასთან ჩამოჯდა და ის იყო, შევსება დაიწყო, რომ მობრუნდა და იკითხა:

— რომელ ენაზე უნდა შევავსო?

— სახელმწიფო ენაზე, ქართულად, — ამოიოხრა ინგამ. ამ კითხვას დღის განმავლობაში მეთასედ უსვამდნენ.

— მე ვ ენა ვიცი, — ქართული, რუსული და „სიყვარულის ენა“ — მარის მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

გოგონებს გაეცინათ და ისე გამხიარულდნენ, სიცილისგან ლამის სკამებიდან გადაცვივდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ეს ბიჭი ინგას ქმარი გახდა. თუმცა, გოგოს სულ ახსოვდა, რომ მას პირველად მარი მოეწონა. იმ მამაკაცს, რომელიც ინგას დანახვისას გულში ჩაუვარდა, მისი მეგობარი მოეწონა და ეს მთელი ცხოვრება არ ავიწყებოდა.

საერთო შეხვედრების დროს ინგა ყურადღებით აკვირდებოდა ქმრის მზერას და თუ მას მარის სახეზე შეჩერებულს შენიშნავდა, გულში ტკივილს გრძნობდა. როდესაც მარი ქმართან ერთად მასთან 2 თვით დარჩა საცხოვრებლად, ლამის ჭკუიდან შეიშალა. ესმოდა, რომ ეს ყველაფერი პარანოია იყო, მაგრამ დავინყება და მოდუნება არ შეეძლო. სწორედ ამის გამო დაიკარგა ის, რაც ერთ დროს მეგობრებს შორის არსებობდა — წმინდა

მეგობრული გრძნობა.

თუმცა, ქმარს მაინც გაშორდა და ამაში ლომის წილი მარის მიმართ ინგას გამოგონილ, ქმრის სიყვარულს მიუძღოდა.

როდესაც ბოლო ბიგუდიც კალათისკენ გაფრინდა, ტელეფონმა სწორედ მაშინ დარეკა.



ლია

— დაგირეკა? — ჰკითხა ლიკამ და ეშმაკურად ჩაიცინა.

— კი, დამირეკა, — უპასუხა ინგამ.

— მოკლედ, ახლა საჭესთან ვზივარ და ბევრს ვერ გელაპარაკები. უცებ გადავწყვიტოთ, მარი 2 დღის წინ გასტროლებიდან დაბრუნდა.

— ჩემთვის არ უთქვამს, — ჩაილაპარაკა ინგამ.

— მე მითხრა, წაიტრაბახა. აზიაში ყოფილა. რომელ ქვეყანაში — ზუსტად არ ვიცი. ასე რომ, უარი არ გაგვივა, არ მოგვეშვება. წავიდეთ და მოვუსმინოთ, როგორი კმაყოფილი დაბრუნდა, როგორ მოეწონა იქაურობა. სხვათა შორის, ისიც მითხრა, ჩვენთვის საჩუქრები ჩამოუტანია.

— წარმოგიდგენია? — გაურკვეველად ჩაილაპარაკა ინგამ.

— მოკლედ, 6 საათზე ჩემთან, ოფისში მოდი და ერთად მივიდეთ.

— კარგი.

— აბა, დროებით, — მიაძახა ლიკამ და ტელეფონი გათიშა.

მობილური გვერდით სავარძელზე, „პირლია“ ჩანთაში ჩაუძახა და მისი ჯიპი დანარჩენი მანქანების მდინარეს შეუერთდა.

თითებით ნერვიულად აკაკუნებდა საჭეზე.

„ეს რა დღეა? და განა მართო ეს დღე? ლამის მთელი ცხოვრება გავიდა და ეს შავი ზოლი არა და არ მთავრდება. ეშმაკმა დალახვროს ეს საცობიც, მომბებრებელი, გულის არევაზე ბედნიერი მარიც, თავისი მეგობრული სიყვარუ-

ლით. მას ყველაფერი გამოსდის და რატომღაც ყოველთვის სხვაზე უკეთაა. როგორ შეიძლება, ან სადამდე შეიძლება ამ ფსევდომეგობრობის თამაში? როგორც იქნა, მიაღწია იმას, რომ ხშირად აღარ ხვდებიან ერთმანეთს და საკმარისია, მობილურის ეკრანზე დაინეროს — „მარი“, რომ ყველაფერი თავიდან იწყება.

„ის თუ მდიდარია და ფუფუნებით ცხოვრობს, მე უნდა მიმადლოდეს. მე რომ მისთვის ფული არ მესესხებინა, რას იზამდა, ნეტავ? ის დღე არასოდეს დამავინყდება. როგორ მოვიდა ცხოვრებისგან განეზვიერებული გოგო და თავდახრილმა და შერცხვენილმა ფული მთხოვა. დაუფიქრებლად მივეცი, რომ ჩემი უპირატესობა დამენახებინა და ისიც კი არ მიკითხავს, ვალს როდის დამიბრუნებდა.“

ლიკამ ავტომობილი ოფისთან გააჩერა. ინგა ამ დროს ვარცხნილობას იკეთებდა, მარი კი საიუველირო მაღაზიის დახლთან იდგა და ბავშვობის მეგობრებისთვის განკუთვნილი საჩუქრებისთვის შესაფუთ კოლოფებს გულმოდგინედ, ღიმილით არჩევდა და წინასწარ ტკებოდა იმის წარმოდგენით, როგორ გაახარებდა ერთგულ მეგობრებს, საჩუქრებით.

გაოგნაობა "ჩვენი ხეხია ვარ, მაგრამ ჩავჩქოხის დროინდელი სიყვარული ვის დაჰკარგა?"

„გზის“ №22-ში დაიბეჭდა 18 წლის მტირალას მესიჯი, რომლის შეყვარებულმაც ცოლი მოიყვანა, მაგრამ მალევე გაშორდა და ახლა, კვლავ მტირალასთან დაბრუნება სურს. „დამირეკა: მიყვარხარ, შენთან ყოფნა მინდა და ცოლად გამომყევით. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე მე ის ისევ მიყვარს და თან, არ მასვენებს კითხვა: მე თუ ვუყვარდი, სხვა რატომღა შეირთო? ახლა ცოლად თუ გავყვები, რა გარანტია მაქვს, რომ მეც არ მიმატოვებს?“



„ის ბიჭი ჯერ უიღვე ჩამოუყალიბებულ და „დაუღვინებელია“

ლიპა ქაჩია

გალო:

„შემოგველე, ასე ხელალებით ვერავინ გეტყვის, მომავალში რა და როგორ იქნება. თუ არ გარისკავ, ვერასდროს გაიგებ, მას ნამდვილად უყვარხარ თუ შენ მიმართ რაღაც სხვა გრძნობა აქვს. ასე რომ, საკუთარ გულისთქმასა და გონებას მიენდე“.

ათანი:

„ახლა უკვე ბებია ვარ, მაგრამ ბავშვობის დროინდელი სიყვარული მეც დავკარგე. ჩემო კარგო, თუ იმ ბიჭს ნამდვილად უყვარხარ, ცოლადაც უნდა გაჰყვე! შენ გეშინია, — ვაითუ, მიმატოვოსო, მე კი იმის შიში მქონდა, რომ გავყვე, ხალხი რას იტყვის-მეთქი? მოკლედ, ღირებულებები შეიცვალა... მტირალა, შეყვარებულს ხელს ნუ ჰკრავ! დაგლოცოთ ღვთისმშობელმა და წმინდა ნინოს მადლი გფარავდეთ“.

იკუშკაძე:

„რას ნიშნავს, მერე გავახსენდი? საინტერესოა, ვიდრე ცოლს მოიყვანდა, თუ უყვარდი? ნუთუ, ეს კითხვა საკუთარი თავისთვის არასდროს დაგისვამს? დარწმუნებული ვარ, ის ბიჭი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და „დაუღვინებელია“. ჰოდა, თუ ცოლად გაჰყვები, შენც მიგატოვებს... საყვარელო, ცხოვრებას რატომ ირთულებ? სიყვარულისთვის ბრძოლა ყველას გვინევს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ღირს, თუ ობიექტი ღირსეული პიროვნებაა. ის ბიჭი რამდენიმე ცოლს კიდევ გამოიცვლის და ნუთუ გინდა, ერთ-ერთი მათგანი შენც იყო?.. დამიჯერე, ნამდვილი კაცებიც არსებობენ“.

ლუნა:

„ჰოოოოდა... თუ ხვდები, რომ

შესაძლოა, შენც მიგატოვოს, თავს რატომღა იტანჯავ? ასეთი ტიპი შენს სიყვარულს არ იმსახურებს. მაპატიე, მაგრამ რომ ჰყვარებოდი, ცოლად სხვას კი არა, შენ მოგიყვანდა. თავს ნუ გაისულელებ! აგრძნობინე, რომ შენთვის აღარაფერს ნიშნავს, ჯერ კიდევ მაშინ დაგკარგა, როცა სხვა შეირთო ცოლად. ირგვლივ კარგად მიმოიხედე და დაინახავ, რომ ამქვეყნად უამრავი კარგი ბიჭია, მათ შორის ერთ-ერთი კი აუცილებლად შენი საბედო იქნება. ნულარ იტირებ და გულს გაუფრთხილდი. იცოდე, თუ ის ერთხელ მაინც გაგებზარა, ველარ გაამრთელებ“.

პანკუშკა:

„შენი „ლოვე“ ბიჭების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც ნამდვილი სიყვარული არ შეუძლია. მართლაც, რა გარანტია გაქვს, რომ არ მიგატოვებს? გირჩევ, ოჯახის შექმნის გადანივებით ნაჩქარევად არ მიიღო. დარწმუნებული ვარ, მის შეცნობაში დრო დაგეხმარება... ისე, ჩემი აზრით, უმჯობესია, მისგან თავი შორს დაიჭირო, შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ“.

ლი ჰარვი ოსვალდი:

„მას რომ ჰყვარებოდი, სხვას არ შეირთავდა. საინტერესოა, მაინცდამაინც მაშინ რატომ გაახსენდი, როცა ცოლს გაშორდა? მერწმუნე, ის ბიჭი შენი ღირსი არაა. წარმატებებს გისურვებ!“

ირმა 9:

„აჯობებს, მასთან ურთიერთობა შეწყვიტო. მისნაირი მამაკაცი ცხოვრების მეგზურად არ გამოგადგება. მან მგონი, ისიც კი არ იცის, თუ რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული“.

ბრუზინა:

„მისნაირი ტიპები სანდოები

არ არიან. ეჭვი არ მეპარება, რომ შენც მალევე მობეზრდები და მიგატოვებს. ნაცოლარს რატომ უნდა გაჰყვე ცოლად? ყველაფერს ჯობია, შენი შესაფერისი ტიპი შეიყვარო“.

გლემორი:

„სწორად აზროვნებ — არანაირი გარანტია არ გაქვს იმისა, რომ შენი ერთგული იქნება. გირჩევ, ის ბიჭი მანამ დაივინყო, ვიდრე არ გაუმწარებიხარ. ხომ იცი, სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია“.

ქნოპა:

„რომ ჰყვარებოდი, ცოლს არ მოიყვანდა. მან იმ გოგოსაც დაუნგრია ცხოვრება და ახლა შენც ამოგიღო მიზანში. ძალიან ცუდია, მის მიმართ გრძნობა რომ გაქვს... თუ გარისკავ და ცოლად გაჰყვები, წარმატებებს გისურვებ!“

ნინო:

„რა გარანტია გაქვს, რომ ის ტიპი შენც ისე არ მოგექცევა, როგორც პირველ ცოლს? დაფიქრდი, ჩემო კარგო, ხომ შეიძლება, მალევე გადაუყვარდე და მიგატოვოს? მის გამო ცხოვრებას ნუ გაიუბედურებ. წარმატებები!“

რაი-მ:

„დაუსვი „ლოვეს“ კითხვა: თუ ადრეც გიყვარდი, სხვა რატომღა შეირთე-თქო? და თუ ის მიზეზი, რომელსაც დაგისახელებს, შენთვის მისაღები იქნება, მაშინ ცოლადაც უნდა გაჰყვე. ბედნიერებას გისურვებ! გკოცნი“.

ლალკა:

„გირჩევ, მას ცოლად არ გაჰყვე. რომ ჰყვარებოდი, სხვას არ მოიყვანდა. კარგად დაფიქრდი, ჯერ პატარა ხარ, ცხოვრება წინ გაქვს და აუცილებლად შეხვდები ისეთ მამაკაცს, ვისაც ნამდვილად ეყვარები, ვინც შენი ღირსი იქ-

ნება. მოკლედ, მასზე არ დაქორ-
წინდე“.

ძალი ცდუნება:

„კარგად აზროვნებ. ეჭვიც არ
შეგეპაროს იმაში, რომ თუ მასთან
ყოფნას გადაწყვეტ, უბედური იქ-
ნები. „ლოვემ“ გული გატკინა და
არ მესმის, ისევ მასზე რატომ ფიქ-
რობ? არ ენდო, თორემ მაგრად
ინანებ. ჩემო კარგო, შენ ნამდვილი
სიყვარული, ბედნიერება მალე

გენვევა და წარსულის გახსენებაზე
გაგეცინება. აბა, შენ იცი!“

პაცატუნა:

„არ მინდა, იმედი ჩაგიკლა,
მაგრამ მერწმუნე, მასთან ერთად
ცხოვრება ბედნიერებას ვერ მო-
გიტანს. მას მხოლოდ იმიტომ
გაახსენდი, რომ მარტო დარჩა“.

პოპი:

„საკუთარ თავს კარგ კითხვას
უსვამ და პასუხიც ეჭვგარეშეა —

ოდესმე შენც მიგატოვებს!.. ვფიქ-
რობ, რჩევა არ გჭირდება, ისედაც
ყველაფერს ხვდები“.

შოკოლადა:

„კარგად მსჯელობ. არ ვიცი,
მან ოჯახი რატომ დაანგრია, მაგ-
რამ ფაქტია, რომ სიყვარული არ
შეუძლია. არ ენდო, შესაძლოა, ყო-
ფილი ცოლის გასამწარებლადაც
გიყენებდეს. ღმერთი შენვენ“.

„სიყვარულის გამო მსხვერპლის გაღება აუხილავალია!“

„გზის“ №22-ში დაიბეჭდა ერთი ბენოს მესოჯი შე-
გახსენებთ, ის გვწერდა, რომ შეყვარებული გამუდმებით
საყვედურობს, — ზედმეტად ბავშვური ხარო და ამის
გამო სწორად კამათობენ. „მას უნდა, რომ 16 წლის გოგომ
ქალივით ვიაროვნო. იქნებ, ნაწილობრივ მართალიცაა,
რადგან ძალიან ბუტია და მესაკუთრე ვარ“. ერთი ბენო
ცდილობს, „ლოვეს“ გული არ ატკინოს და არაფერში შეზ-
ღუდოს, მაგრამ საკუთარ ხასიათს ვერაფერს უხერხებს.



**„ბავშვობის წლებს რას მიტანს
შინარჩუნებ, მით უკეთესია“**

ირაბ 9:

„მგონი, შენგან წასვლის მიზეზს
ეძებს და იძულებულს გხდის, „პაკა“
თავადვე უთხრა. ისე, ბუტიანობა
დიდ სიყვარულსაც სჩვევია“.

სა:

„შენ მართლა პატარა ხარ იმის-
თვის, რომ სერიოზული ქალის რო-
ლი ითამაშო. ჩემი აზრით, მას ისეთი
უნდა უყვარდე, როგორიც ხარ“.

მზა:

„დღეს 16 წლის გოგონები ისე
ჩაცმული და გადაპრანჭულები და-
დიან, 25 წლის გეგონება. კარგია,
ბავშვური რომ ხარ, დაქალებას
მერეც მოასწრებ. შენმა „ლოვემ“
ისეთი უნდა მიგიღოს, როგო-
რიც ხარ. მეც მყავდა რამდენიმე
წლით უფროსი შეყვარებული და
ჩემგან განსხვავებით, დიდივით
აზროვნებდა, მაგრამ როცა ჩემ-
თან იყო, ცელქობდა. ერთმანეთს
რალაცები დაუთმეთ, სიყვარულს
გაუფრთხილდით. წარმატებებს
გისურვებთ!“

ძალი ცდუნება:

„არ გენყინოს, მაგრამ ეჭვი
მეპარება, 16 წლის ასაკში სერიო-
ზულად გიყვარდეს ვინმე. ალბათ,
ეს მხოლოდ გატაცებაა და ყველა-
ფერი მალე გადაგივლის. შეარჩიე
და შეიყვარე ისეთი ადამიანი, ვინც
გაგიგებს, ბედნიერს გაგხდის. ნუ
იფიქრებ სიყვარულზე. როცა
დრო მოვა, ის თავისთავად გენვე-
ვა. წარმატებებს გისურვებ!“

გრუზინა:

„ბუტიანობას უნდა შეეშვა,
რადგან ბიჭებს ეს არ მოსწონთ.
თუ გიყვარს, ისე უნდა მოიქცე,

როგორც მას უნდა. სიყვარულის
გამო მსხვერპლის გაღება აუცი-
ლებელია!“

პანკუშა:

„ვიდრე ამ ასაკში ხარ, ცხოვრე-
ბას ვარდისფერი სათვალით უნდა
უყურო. „ლოვეს“ დაელაპარაკე და
შენი მოსაზრებები გაუზიარე. არ
მესმის, თავი რატომ უნდა შეიზ-
ღუდო?.. სხვათა შორის, თითქმის
ყველა შეყვარებული ადამიანი
ბუტია და მესაკუთრეა, ეს ასაკის
ბრაღი ნამდვილად არაა“.

ლუნა:

„დაიკო, იცი, რას გეტყვი? თუ
უყვარხარ, ისეთი უნდა მიგიღოს,
როგორიც ხარ და თუ შენს ბავშ-
ვურ აზროვნებას ვერ ეგუება, ის-
ეთი ვინმე იპოვოს, ვინც ქალურად
აზროვნებს. ნუ შეიცვლები, დარჩი
ისეთად, როგორიც ახლა ხარ“.

ღამაპო:

„მეც შენს დღეში ვარ. ძალიან
ეგოისტი გახლავართ, მაგრამ
ჩემს ამ თვისებას საყვარელ
ადამიანს საგულდაგულოდ ვუ-
მალავ. ჯერ კიდევ ბავშვი ხარ და
ქალურად აზროვნებას სიბერეშიც
მოასწრებ... P.S. ისე, სულელი ბავშ-
ვივით ნუ მოიქცევი“.

იკუშაპი:

„მიუხედავად იმისა, რომ მე და
ჩემი „ლოვე“ უკვე ზრდასრული და
სერიოზული ხალხი ვართ, სწორად
ვჩხუბობთ. მოკლედ, შეყვარებუ-
ლებს შორის გაბუტვა ასაკის კი
არა, დიდი სიყვარულის ბრაღია.
მორიგი ჩხუბის დროს დაფიქრ-
დი, თუ რა იყო თქვენ შორის
შეკამათების მიზეზი და აღმოაჩენ,

რომ ერთერთს არაფრის გამო
ებუტებით. დარწმუნებული ვარ,
ერთმანეთი ძალიან გიყვართ. სწო-
რედ შენი ბავშვური ხასიათის
და ბუტიანობის გამო უყვარხარ.
ეჭვიანობა და ჭირვეულობა ყვე-
ლა ქალისთვის დამახასიათებელი
თვისებაა და ეს კაცებს მოსწონთ,
მაგრამ ბუზის სპილოდ გადაქცევა
არ ივარგებს. შეეცადე, მოსიყვა-
რულე, მზრუნველი იყო და ყველა-
ფერი იდეალურად გექნებათ. ჩემო
პატარა, სიყვარული მშვენიერი
გრძნობაა და შეეცადე, ის კიდევ
უფრო გააღამაზო“.

შოკოლადა:

„ადამიანი ისეთი უნდა გიყვარ-
დეს, როგორიც სინამდვილეშია...
მართალი ხარ, მესაკუთრეობა ცუდი
თვისებაა და ამიტომაც, შეეცადე,
ამ მხრივ შეიცვალო. ჰოდა, როცა
დაინახავს, რომ მის გამო რალაცას
ცდილობ, ურთიერთობა აგწყობათ.
ბავშვობის წლებს გაუფრთხილდი,
დაქალებას ყოველთვის მოასწრებ.
წარმატებები!“

პატარა ძალუკა 20:

„რა თქმა უნდა, როცა გიყ-
ვარს, მესაკუთრე ხარ (ამაზე ორი
აზრი არ არსებობს). ბავშვობის
წლებს რაც მეტხანს შეინარჩუნებ,
მით უკეთესია :)). დიდობას მოეს-
წრები, ბავშვი კი ველარასდროს
გახდები“.

უცნობი:

„ჩემო კარგო, მას ისეთი უნდა
უყვარდე, როგორიც ხარ. დამიჯე-
რე, თუ შეიცვლები, მერე გეტყვის,
— რა დიდი ქალივით ლაპარა-
კობო...“

აოთხედი დღა:

„გამარჯობა. დიდი მადლობა ყველას, განსაკუთრებით, ჩუქჩას, უნიკოდს და მარიას (ათენიდან)... მინდა გითხრა, რომ ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობა ნელ-ნელა ლაგდება. მან სიყვარულის გამოხატვა ისწავლა. აუუხსენი, რომ თუ ისევ მცემდა, მისგან საბოლოოდ წავიდოდი... ნათქვამია, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. ჰოდა, ჩემი პატარას გამო მეც ყველაფერს გავეუძლებ. თუ ჩემთან მეგობრობა მოგინდებათ, skype-ის ნიკი ან ტელეფონის ნომერი დატოვეთ. ძალიან მიყვარხართ და თუ კიდევ დაჭირდა, დახმარებისთვის აუცილებლად მოგმართავთ“.

იკუზკაზი:

„ძალიან მინდა, ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით ერთი-ორი სიტყვა ვთქვა. რატომღაც, ბავშვებს ოჯახის შექმნა მხოლოდ სანოლში ნებივრობა და ალერსით ტკბობა ჰგონიათ. არადა, ქორწინება ხომ ცხოვრებაში გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, რომელმაც წესით, სიყვარული, სიხარული უნდა მოგიტანოს, დიდ ბედნიერებას გაზიაროს. შვილები მომავალია და ჩვენ, მშობლები ვალდებული ვართ, მათ ყველანაირი პირობა შეუქმნათ იმისათვის, რომ ბედ-

ნიერი ბავშვობა და წარმატებული მომავალი ჰქონდეთ, ერთიანი, მყარი ოჯახი კი სწორედ ამის საწინდარია. იმედი მაქვს, ჩემი სიტყვები თუნდაც ერთ წვეილს მაინც დააფიქრებს და ისინი მიხვდებიან, რომ სიყვარულს გაფრთხილება სჭირდება. შეყვარებულეო, იბედნიერეთ და იხარეთ, გაამრავლეთ ქართველი ერი, გიყვარდეთ ერთმანეთი და იყავით ბევრად უფრო ყურადღებიანი, მოსიყვარულე და მზრუნველი მშობლები, ვიდრე თქვენი დედ-მამა არიან. იცოდეთ, ცოლ-ქმრულ სიყვარულს ფეხქვეშ ნუ გათელავთ“.

ანიკო:

„რჩევისთვის ყველას დიდ მადლობას ვუხდი. იცით, ერთ დღეს ნიკას სიმართლე ვუთხარი, მან კი არ დამიჯერა და დამშორდა, მაგრამ შემდეგ, მისი დამპალი ძმაცაცის ლაპარაკი მოისმინა — ის ვილაცას უყვე-



ბოდა, თუ რა მოხდა სინამდვილეში ჩვენ შორის და ისიც უთქვამს, რომ ჩემ გარდა კიდევ ერთი გოგო გაუპატიურებია. ნიკამ ყველაფერი გაიგონა, ძმაცაცის სცემა, შემდეგ კი ჩემთან მოვიდა, პატიება მთხოვა და მეც, რა თქმა უნდა, ვაპატიე. ახლა ის ნაბიჭვარი ციხეშია, მე კი შაბათს ქორწილი მაქვს. ყველანი მაგრად მიყვარხართ“.

„მიყვარს ადამიანი, რომელიც „სპეცნაზელია“ და თანაც, ცოლიანი“

უცნობი:

„რამდენჯერმე სხვას მივეცი რჩევა, ახლა კი ის თავადვე მჭირდება. მიყვარს ადამიანი, რომელიც სამწუხაროდ, „სპეცნაზელია“ და თანაც, ცოლიანი. ახლა, საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო მასზე ვნერვიულობ, მაგრამ უფლება არ მაქვს, დაეუბნო და მოვიკითხო. მან

განშორებისას დამაფიცა: ჩემ თავს გაფიცებ, აღარ დამირეკო და ერთმანეთს აღარ შევხვდეთ მანამ, ვიდრე ოქროს დაბადების დღე არ მექნებაო, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მხოლოდ 4 წლის შემდეგ თუ შევხვდები. ვიყავით ერთად ბედნიერები, ახლა კი ის უჩემოდაა ბედნიერი“.

„ძმაცაცთან შეხვედრას თავს ვარიდებ, მისთვის თვალეში ჩახედვის მრცხვენია“

დათო 15:

„მხოლოდ თქვენი რჩევის იმედი მაქვს. არ ვიცი, როგორ მოვიტყე. ერთი წლის წინ დაგწეი თანასოფლელ გოგოსთან, რომელსაც ნინი ჰქვია. ეს ამბავი არავისთვის გვითქვამს. 2 თვის წინ ძმაცაცმა დამირეკა (ახლა თბილისში ვარ) და მითხრა, — აქ რომ ჩამოხვალ, ჩემი შეყვარებული უნდა გაგაცნოო. ჩავედი და... ის გოგო ნინი აღმოჩნდა. დავიბენი, რაღაც მოვიმიზეზე და წამოვედი. 3 დღეა, რაც ძმაცაცთან შეხვედრას თავს ვარიდებ, მისთვის თვალეში ჩახედვის მრცხვენია.

დავიბენი, არ ვიცი, სიმართლე უნდა ვუთხრა თუ არა. ვიცი, მას ნინი ძალიან უყვარს... საკუთარი თავი მეზიზღება და თითქოს, ორად გავიხლიჩე. არ მინდა, მათი სიყვარულის დანგრევის მიზეზი გავხდე, არადა... ერთი ღამის შეცდომამ ცხოვრება ამირია, საქციელს ძალიან ვნანობ“.

P.S. მაშ ასე, თუ უცნობისა და დათო 15-ის წერილების ნაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

ბრაუნი მარხანი

— ალბათ მლაღატობს...

— ისევ გვიან დაბრუნდა შინ

— მითხრა, რომ სამსახურის საქმის გამო შეაგვიანდა...

ასეთი არგუმენტებით მსჯელობენ ქალები, როდესაც ქმარზე ეჭვიანობენ. ცნობილია, რომ ქალების უმეტესობა ძალზე ეჭვიანია და შეუძლია, სულ მცირე საბაბიც კი სკანდალის საფუძველი გახადოს. ამ კვირაში უამრავი მესიჯი მივიღე, რომელიც სწორედ ეჭვიანობის თემას ეხებოდა. გადავწყვიტე, ამ ქალბატონებს რჩევა მივცე-



ყველაფერი ნათელია, მაგრამ დაშაშვლებული საბუთი ან აჩსებობს!


— ჩემი ქმარი ხშირად ბრუნდება შინ გვიან. ამასთან, არასოდეს ამბობს, სად იყო და, რატომ დააგვიანდა. დამოუკიდებელი ადამიანია და როდესაც თავს ვერ ვიკავებ კითხვებისგან, მეუბნება, რომ არ არის ვალდებული, ანგარიში ჩამაბაროს. ვგრძნობ, რომ ჩემი ეჭვები ძაბავს, მაგრამ თავს ვერ ვერევი. გვიან მოსვლის უკან ღალატსა და ტყუილს ვხედავ. როგორ ვაიძულო საკუთარი თავი, რომ არ ვიეჭვიანო?

— ყველა ურთიერთობა რისკთანაა დაკავშირებული და არჩევანის წინაშე დგები. ან უნდა გარისკო და მიიღო სიამოვნება და იმედგაცრუება, რომელიც ამ რისკთანაა დაკავშირებული, ან უბრალოდ, იცხოვრო ყოველგვარი სიამოვნებისა და რისკის გარეშე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტო, ენდო თუ — არა. ამ დროს კი თქვენი ურთიერთობის კონკრეტულ ფაქტებს უნდა დაეყრდნო და არა ადრინდელ, ნეგატიურ ამბავს ან ფარულ ეჭვს. შემდეგ უნდა გადაწყვიტო და ქმარს დაელაპარაკო. ამ შემთხვევაში შენც გათავისუფლდები ეჭვებისგან და ქმარსაც აარიდე დაძაბულობას. ამ ლაპარაკის მიზანი უნდა იყოს მხოლოდ გრძობების გამხელა და არა — მისგან თავის მართლება. წინააღმდეგ

შემთხვევაში შესაძლოა, იკამათოთ კიდევ. იმისათვის, რომ თავი მშვიდად იგრძნო, აუცილებელია, ქმარს შენი ეჭვების შესახებ გაუმხილო. თუ გადაწყვეტ, რომ ენდო, მაშინ ქმრის მიერ ნათქვამმა, გონიერმა არგუმენტებმა უნდა დაგაკმაყოფილოს. თუ უნდობლობისთვის საფუძველი არ გაქვს, მაშინ პათოლოგიურ ეჭვიანობასთან გვექონია საქმე. სიმართლე რომ ვთქვათ, პათოლოგიური ეჭვიანობა ბოლომდე შესწავლილი არ გახლავთ. ეს არის მტანჯველი გრძობა და ხშირ შემთხვევაში, ასეთ დროს სპეციალისტებს პაციენტის მდგომარეობის მხოლოდ შემსუბუქება შეუძლიათ, მთლიანად განკურნება — არა.

— გამარჯობა, გრაფო. ხშირად ვამჩნევ, რომ ჩემი ქმარი სხვა ქალებს თვალს აყოლებს. მაგალითად, როდესაც შუქნიშანზე ჩერდება და გადასასვლელზე ქალი გადაადის, თვალს მანამ აყოლებს, ვიდრე ის თვალს არ მიეფარება. მე კი ამ დროს ეჭვიანობით ვკვდები. როგორ მოვიქცე?

— ვფიქრობ, ასეთ დროს ეჭვის მიზეზი დაბალი თვითშეფასებაა. თავდაჯერებული არ ხარ და ამიტომაც, რომ შენივე სქესის ყველა წარმომადგენლის მიმართ ეჭვით ხარ განმსჭვალული. საკუთარ თავს მათ ადარებ და შენს სასარგებლოდ არგუმენტებს ვერ პოულობ. შესაძლოა, ეჭვი გარეგნულად არ გამოხატო, მაგრამ გულის სიღრმეში ქარიშხალი ბობოქრობს. თუ ამ ყველაფერს ქმრის თვალით შეხედავ, მიხვდები, რომ ყველა მამაკაცი ტკბება ქალის ყურებით. ასეთია მათი ბუნება. შესაძლოა, მას სულაც არ სურდეს ის ქალი და უბრალოდ, მისი სხეულის რომელიმე ნაწილზე გააკეთოს აქცენტი. მისი მზერა კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის მზადაა, თავისი საყვარელი ქალბატონი მასში გაცვალოს. მიეცი უფლება იყოს ნამდვილი მამაკაცი და საკუთარი თვითშეფასება აიმაღლე. უნდა გჯეროდეს, რომ საჭირო და ფასდაუდებელი ადამიანი ხარ. საკუთარი თავი მეტად



შეიყვარე, არც სხვებს შეადარო და ხშირად უნდა შეაქო. დროულად მიხვედი სამსახურში? — „რა ყოჩალი ვარ“; დაგაგვინდა? — „ქარაფშუტა ვარ, მაგრამ ნამდვილი ქალი“

— გამარჯობა, გრაფო. ჩემი ქმარი ყოფილ შეყვარებულთან ურთიერთობს. თავიდან ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან მიმაჩნდა, რომ ეს დროებითი იყო. შემდეგ თავი ვერ შევიკავე და სკანდალი მოვუწყე. მითხრა, რომ იმ გოგოს პრობლემები აქვს... შემდეგ მობილურიდან ზარებსაც შლიდა. მიუხედავად ამისა, ხანდახან მაინც, მის ნომერს ტელეფონში ვნახულობ. რა ვქნა?

— ყველა ქალმა უნდა დაიმახსოვროს ერთი დაუნერეელი კანონი: არასოდეს მოაწყოს სკანდალი ეჭვიანობის ნიადაგზე. ნუ აიძულებ ქმარს, თავისი კავშირები დაგიმალოს. თუ რაიმეს არ გაგიმხელს, თქვენ შორის უკვე ბზარია გაჩენილი და ვერ მოახერხებ, მის ქმედებებს თვალყური ადევნო. სთხოვე, შენთან ერთად შეხვდეს ყოფილ შეყვარებულს და პრობლემების დაძლევაში ერთად დაეხმაროთ. გაიგე, კერძოდ, რა პრობლემაზეა ლაპარაკი და ქმარი შეაქე კიდევ — „რა კარგი ბიჭი ხარ, რომ ქალი გასაჭირში არ მიატოვე და ეხმარები“. ასე და ამგვარად, შენ აძ-

ნუ აუკრძალავ ქმარს ნურაფერს. ის შენგან მალულად ეცდება სხვა ქალთან ურთიერთობას და მთავარი მოვლენები გამოგრჩება.


— გამარჯობა, გრაფო. დიდი ხანია ერთი კითხვა მანუხებს და გადაწყვიტე თქვენგან მივილო კომპეტენტური რჩევა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი ქმარი საერთოდ არ ეჭვიანობს ჩემზე. საგანგებოდაც კი მოვანყვე საქმე ისე, რომ ეეჭვიანა, მაგრამ სულ ტყუილად... ეს ნიშნავს, რომ არ ვუყვარვარ?

— რატომ გაღელვებს მისი ასეთი საქციელი? სიყვარული ხომ სწორედ ნდობაში გამოიხატება. ქმარი გენდობა, შენ კი სპეციალურ სცენებს აწყობ, რათა აეჭვიანო. ხომ შეიძლება, ამით მისი ნდობა დაკარგო? მოსალოდნელია მსგავსი ექსპერიმენტები ცუდად დასრულდეს. ექსტრემალური სიტუაციების ნაკლებობას ხომ არ განიცდი? მაშინ დროა, ცხოვრება შეცვალო და პარაშუტით გადმოხტე და არა — ოჯახური სიმყუდროვე დაარღვიო და რისკის ქვეშ დააყენო.

— გრაფო, შესაძლოა, ცოტა უცნაურად მოგჩვენოთ, მაგრამ მყავს მეგობარი მამაკაცი, რომელზეც ვეჭვიანობ... არა, ამაში უცნაური არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კომპიუტერზე ვეჭვიანობ. თვალი მოვკარი, პორნოსაიტებზე დაძვრებოდა. თან, ინტერნეტში ხომ ამდენი ჩათი და გაცნობის საიტია... რა ვქნა?

— თავდაპირველად ერთმანეთისგან განვასხვავოთ პორნოსაიტებისა და ჩათის სიყვარული. ეს სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. პორნოსაიტები ქალებისთვის უფრო შფოთვის მიზეზია, ვიდრე ეჭვიანობის. თუ ის მთელ ღამეებს არ ათენებს პორნოსაიტების თვალთვლებაში, მაშინ შიშის საფუძველი არ გაქვს. რაც შეეხება ჩათსა და გაცნობის საიტებს, არც აქაა რაიმე დანაშაული. შენც ხომ არ ხარ წინააღმდეგი, ვინმესთან ვირტუალური ფლირტის გასაბმელად? ეს უბრალოდ, ნდობის საკითხია. ქალების უმეტესობას ჩვევად აქვს ქმრის ჯიბეების შემოწმება და ამ გზით კომპრომატების მოძიება. არასოდეს უთხრა, რომ მის ჯიბეში იქექებოდი. მამაკაცები „თავის ტერიტორიას“ უფრთხილდებიან და ქალისგან იცავენ, თუნდაც იქ არაფერი კრიმინალური არ იყოს. ჯერ ერთი, მის ნდობას დაკარგავ, მეორეც, გაიმიჯნება შენგან არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ, ემოციურ დონეზეც.

დაბოლოს, რამდენიმე გამონათქვამი, ეჭვიანობის შესახებ: „ეჭვიანობა იმ ადამიანზე, რომელსაც უყვარხარ, ლოგიკას მოკლებულია. არსებობს ორი ვარიანტი: ან უყვარხარ ან — არა. ორივე შემთხვევაში ეჭვიანობა არაფრის მომტანია“ (ონორე დე ბალზაკი). „უმიზეზოდ ეჭვიანობა სისულელეა, ხოლო თუ მიზეზი გაქვს, უკვე — გვიანი“. „ან ეჭვი კლავს სიყვარულს, ან სიყვარული — ეჭვს“. „საკუთარი თავის სიყვარული, ეს რომანის დასაწყისია, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება“ (ოსკარ უაილდი).



ლიერებ შენი და შენი ქმრის ურთიერთობას და მეორე ქალს მთხოვნელის როლში აყენებ. ასევე შეგიძლია გამოთქვა შენი უკმაყოფილება, მის მობილურზე შემოსული ზარების გამო. ოღონდ, ამ დროს მხოლოდ საკუთარ გრძნობებზე უნდა ილაპარაკო და აუხსნა, რატომ არ მოგწონს ეს ფაქტი. შესაძლოა, მან მიიღოს გადაწყვეტილება და იმ ქალთან ურთიერთობა შეწყვიტოს. თუ ზარები გახშირდება და საფრთხეს იგრძნობ, აუცილებლად გადადი თავდაცვაზე, მაგრამ ეს ნეგატიური ემოციების გარეშე უნდა გააკეთო.


ქალი თუ მოინდომებს...

მარი ჯაფარიძე

ახალ რეალურ ამბავს — „ქალი თუ მოინდომებს“, საკმაოდ ბევრი მკითხველი გამოეხმაურა. ვაგრძელებთ ამბის თხრობას, მანამდე კი ერთ-ერთი მკითხველის მესაჯეს გთავაზობთ:

„ქალი თუ მოინდომებს“, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ახლობლის ამბავია. ვაგრძელება ასეთია: დათოს მეუღლემ შემთხვევით წაიკითხა მესაჯი, იჩხუბა და დათო ცხოვრებაში პირველად ხელით შეეხო მეუღლეს.

ყველას ვთხოვ, ნურც თვითონ დაანგრევს ოჯახს და ნურც სხვა კაცს ჩააგდებს განსაცდელში. მარი, ძალიან გთხოვ, შემეხმიანე. იქნებ თქვენს გმირ ქალს ჰკითხოთ, რატომ ანგრევდა სიყვარულით საფსე ოჯახს?“



დათო: მინდა გითხრა, რომ ჩვენი პირველი ღამე უფრო მშფოთვარე იყო, ვიდრე წუხანდელი. თუმცა, მოსვენებას მაინც არ მაძლევდი.

კატო: რომელ პირველ ღამეზე მელაპარაკები? ხომ არ შეგეშალე ვინმეში?

დათო: შენზე ფიქრისა და ოცნების პირველ ღამეზე გელაპარაკები.

კატო: წუხელ ნასვამი იყავი... ალკოჰოლმა მოგადუნა...

დათო: ეს ყველაფერი ვირტუალურ სიყვარულს ჰგავს, იდუმალებით მოცულს.

კატო: მე მომწონს და რაც გინდა, ის ერქვას...

დათო: გინდა, გითხრა როგორი ხარ? იმპულსური, გადანყვეტილებებს მომენტალურად იღებ. ზოგჯერ — მცდარსაც. არ გიყვარს და ვერ ეგუები მარცხს. ეს შესაძლოა აგრესიაში გადადიოდეს და ამავე დროს სენტემენტალური და მოსიყვარულე ხარ.

კატო: ეს მხოლოდ ნაწილია, ჩემი დადებითი თვისებების...

დათო: დანარჩენი შენ მითხარი. ნათელმხილველი ხომ არ ვარ, ყველაფერი ვიცოდე შენს შესახებ?

კატო: ძალიან თბილი... ერთგული... ლამაზი... მოხდენილი... გადანყვეტილების მიღებამდე ბევრს ვფიქრობ... თუმცა, შესაძლოა, ბოლო მომენტში უცებ შეეცვალო და გავრისკო... ხშირად მიმართლებს... ღმერთის რჩეული ვარ, მწყალობს. ცუდ ადამიანებს არ მახვედრებს არასოდეს. ლალატი, ორგულობა, არასოდეს გამომიცდია. ვნებიანი... ჭკვიანი (არა მხოლოდ განათლებული). ცუდი თვისებებიც ბლომად მაქვს. არ გეგონოს, ჩემს თავს მხოლოდ კარგი მხრიდან ვაფასებდე...

დათო: ე.ი. შევცდი, შენზე რომ ვთქვი, იმპულსური და აგრესიული.

კატო: კი, შევცდი... აგრესიის ნატამალიც არ მაქვს... იმპულსურობა ცოტა შეიძლება მექონდეს... გააჩნია, რა შემთხვევაში და რას გააფუჭებს... ჩემი

გონება თითქმის ყოველთვის იმარჯვებს გულზე... ალბათ იმიტომ, რომ არ მყვარებია... რომ შემეყვარდეს, შესაძლოა, გულმა გადაწონოს, რადგან თუ ისევ გონება ჯობნის, ეგ სიყვარული აღარაა, მე ამის მჯერა.

დათო: თეორიულად გადასარევად ხარ მომზადებული.

კატო: ჰო, არა მიშავს... :))) შენ? თუმცა, შენ რას გეკითხები...

დათო: რატომ?

კატო: მაინც არ მიპასუხებ... ყველა კითხვას ოსტატურად არიღებ თავს და ახლაც ასე იქნება... წავიკითხავ ანკეტას და გავიგებ, არ შენუხდე.

დათო: მერამდენედ წაიკითხავ?

კატო: სხვა რა გზაა?

დათო: შენ ზევითა ხარ, მე — ქვევით...

კატო: მთლად მასე არაა.

დათო: ცოლ-შვილიანი კაცის შეყვარებას ხომ არ აპირებ?

კატო: საინტერესო კითხვაა... ნამუსზე მაგდებ? მორალის კითხვას ნუ დამინყებ... თუ ნასვლა გინდა, წადი.

დათო: წასვლა არ მინდა.

კატო: იმის მიუხედავად, რომ შენ ამის დიდი სურვილი გაქვს (ამაში დარწმუნებული ვარ) მე რომ შემეყვარდებ, ეგ კაცი შენ არ იქნები... და საამისოდ მაქვს არგუმენტები... თუ გაინტერესებს, გეტყვი ჩემს აზრს შენზეც და ამასთან დაკავშირებითაც პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე...

დათო: არ მომეწონა შენი პასუხი.

კატო: ვიცოდი, რომ არ მოგეწონებოდა... ხომ გითხარი, უარყოფითიც მაქვს-მეთქი... ხომ უნდა დაგანახვო?

დათო: მე შენთან ლალი და გახსნილი ურთიერთობა მომწონს და ნუ „დამგრუზავ“.

კატო: კარგი, არ „გგრუზავ“... ძველ კალაპოტში გავაგრძელოთ... შენ ჭკვიანი ადამიანი ხარ და მიხვდები, რამ გამოიწვია ჩემი ასეთი რეაქცია.

დათო: ყველაფერს ცოტა ირონიით შეხედე.

კატო: გინდოდა გეთქვა — იუმორით? თუ სწორად თქვი, რაც გინდოდა?

დათო: ამ შემთხვევაში ირონია და იუმორი ერთ კონტექსტში იგულისხმება.

კატო: ეგ უნდა აღგენიშნა, თორემ ცუდად გავიგე და...

დათო: დღეს ვერ გცნობ. ეტყობა ბათუმის ჰავამ იმოქმედა.

კატო: სიყვარულმა იცის ასე... :))

დათო: გავდივარ 1 საათით და რომ მოვალ, იმედია შენი სასიყვარულო მესიჯები დამხვდება.

კატო: კარგი. ისა და... სიტყვა „სასიყვარულო“ ბრჭყალში რომ არ ზის, ეგ იმას ნიშნავს, რომ მართლა სასიყვარულო უნდა გამოგვზავნო? ასეა? კარგი...

კატო: მე ალბათ დიდხანს მემახსოვრება, მე ახლაც რწმენით და შვებით მავსებს, რომ ჩემი წილი გზა და ცხოვრება აინტერესებს ვილაცას ასე...

სამაგიეროდ, დრო გაქრა ფუჭად, დანატრებული შენს ცეცხლს და სურნელს, ისევ მარტო ვარ და თვალებს ვხუჭავ, მე უშენობა მტანჯავდა, თურმე...

და მე ვარ ჯვარიც და ეზაფოტიც და ჩემი სულის ყველა ნაფოტი იმ კოცონისთვის გროვდება ახლა, რომელზეც შენი სურვილით ახვალ.

დათო: დავბრუნდი. შენ მომწერე, სიყვარულმა იცის ასეო, უბრჭყალოდ და...

კატო: და სულ ესააააა შენი კომენტარი ჩემს მონადინებაზე???

დათო: გადავირიე და თან შემაშინე.

კატო: რატომ? არ მინდოდა...

დათო: მსგავსი სასიყვარულო გზავნილი ჩემთვის არ მოუძღვნიათ. შენ სიყმანვილე დამიბრუნე და ჩემს სიცოცხლეს ხალისი მიეცი. რაც შეეხება შიშს, ეზაფოტი ტყუილად არ გიხსენებია.

კატო: შენ ახლა მე სიყვარული ამიხსენი. ხვდები?

დათო: ვხვდები და სასიამოვნოდ გავოცდი. ძალიან გთხოვ, ჩემს ნათქვამში ეჭვი არასოდეს შეიტანო.

კატო: და მე შენი სხეულის გასანაწილებელი ნაწილებიდან..... გულს ვირჩევ.

დათო: ეტყობა დაგავინყდა, იქ რა ეწერა.

კატო: არ დამავინყდა, მახსოვს, თან — კარ-



გად... ნუ ჯიუტობ... კარგი, ვხუმრობ, არ დაიჯერო...

დათო: უნდა დავიჯერო.

კატო: როგორც გინდა, მაგრამ ეგ სხვისი ადგილია. მე მტაცებელი არ ვარ.

დათო: არა, ვერ გამიგე, უნდა დავიჯერო, რომ შენს გულს დავეპატრონე.

კატო: ააა... ჰოოოოო... ნეტარ არიან მორწმუნენი... მხოლოდ სისხლი სისხლისა წილ და გული — გულისა...

დათო: როგორც მოგესტენება, „ნეტარ არიან მორწმუნენი“ ახალი აღთქმიდანაა, „კბილი კბილის წილ“ — ძველი, რომელიც უფალმა შეცვალა და თქვა — გიყვარდეს მტერი შენი.

კატო: მე მტრად მიმიჩ-

ნევ?

დათო: კარგი ახლა, ასეთს არ გიცნობ, პირდაპირი მნიშვნელობით რომ იგებდე ნათქვამს.

კატო: :))) სახიფათო კაცი ხარ...

დათო: ვგავართ ერთმანეთს.

კატო: ჰო... თან ისე ვგავართ, რომ სულ მგონია, იცი, რას ვფიქრობ...

დათო: შენ არ მეუბნებოდი დილით, მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვი ყველაფერს შენს შესახებო?

კატო: ჰო, მე ვიყავი. გინდა, რომ გითხრა ჩემი აზრი?

დათო: იცი, მე ვცდილობ, ყველაფერი შენი სურვილით მოხდეს და არაფერს ვითხოვ.

კატო: გასაგებია. მაგრამ მერე ისე არ გამოვიდეს, ვისთვისაა ვყბედობდი-მეთქი, რომ ვთქვა...

დათო: სისულელეებს ნუ ამბობ.

კატო: კარგი, კარგი, აღარ ვიტყვი. სიყვარულმა მე კი არა, გადარია ტარიელი...

დათო: ახლა ისევ მიწვევს გასვლა, ოღონდ, არ ვიცი, მოვბრუნდები თუ არა სავარაუდოდ, 18:30-ზე მოვალ.

კატო: O.k. დროებით.

1 საათის შვადეა

კატო: რა გჭირს?

დათო: რატომ მეკითხები?

კატო: ჩემს წერილებს აღარ ხსნი.

დათო: ეჭვიანი ხარ.

კატო: არა... ეჭვიანი არა. მგონია, რომ უგუნებოდ დაბრუნდი...

დათო: ჰო, ეგრეა.

კატო: ცუდია.

დათო: არა უშავს, შენ როგორ ხარ?

კატო: არა მიშავს... თუ გინდა, აღარ გაგებურლავ ტვინს... ხვალ გავაგრძელოთ, არ მენწყინება. მეც ვარ ხოლმე ისეთ ხასიათზე, არავის ნერვი რომ არ მაქვს.



სკოლის განყოფილება
შეუძლიერებია. სამსჯიროდ,
მისი დაზინყება იოლი.



ემპაჯის მოქიჯი

დასაწყისი — „გზა“, №38-22

მარი ჯაფარიძე

საკმაოდ დაძაბული ველოდი, რა მოხდებოდა. უკვე ვნანობდი, ამ ინტრიგაზე რომ დავთანხმდი, მაგრამ ახლა გადათქმა აღარ ღირდა. რადგან გავრისკე, ჩათრევეს ბოლომდე ჩაყოლა ვამჯობინე. ფეხის ხმა მიახლოვდებოდა და ვგრძნობდი, როგორ მეძაბებოდა ყველა კუნთი. კისერზე ვიგრძენი შეხება. სველი ტუჩებით მკოცნიდა ვილაც. ლამის გავგიჟდი. სურვილი მქონდა, თვალებიდან შარფი მომეხსნა, ამ ქალს დავტაკებოდი და ერთიანად შუაზე გამეგლიჯა.

მიუხედავად ამისა, მოთმინებით ვიჯექი და ველოდი, რა მოხდებოდა. ხელები მიცახცახებდა. სავარძლის სახელურებს ჩავებლაუჭე, ჩემი გრძნობები ნაკლებად რომ ყოფილიყო გამოხატული. ვიგრძენი, როგორ მომიარა იმ „ვილაცამ“ წინიდან, შემდეგ მუხლზე ჩამომიჯდა და მთელი ტანით მომეკრა. ხელები მოვხვიე. რასაც შევეხე, ძალიან მომეწონა. ტუჩებში მკოცნიდა. კოცნით ვპასუხობდი და ხელებს მის ტანზე ვაფათურებდი. ვცდილობდი, ხელებით „დამენახა“ ის, რისი დანახვაც ასე ძალიან მსურდა. თითოეულ ღრმულსა და ამობურცულ ადგილს ვსწავლობდი თითებით და კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ეს თამაში არ შევწყვეტე და სახვევი არ მოვიხსენი. ბრმა მოფერება განუმეორებელ შეგრძნებებს მანიჭებდა და სიამოვნების მწვერვალზე აყვავდი. თუნდაც ყველაზე მახინჯი ქალი ყოფილიყო, ამას აღარ დაგიდევდით. მე მას თამაშში ავყევი და ეს მომწონდა. მომწონდა კი არა, ჭკუაზე არ ვიყავი...

ქალი ხელში ავიყვანე და ვარაუდით წავედი სანოლისკენ, რომლის ადგილმდებარეობაც ჯერ კიდევ მაშინ დავიმახსოვრე, სანამ თვალებს ავიხვევდი. მუხლებით სანოლის კიდეს მივებჯინე და მივხვდი, რომ სწორად გამოვიარე მთელი ოთახი.

ქალი ხმას არ იღებდა. მხოლოდ ღრმად სუნთქავდა. ნელა დაფუშვი სანოლზე და ტანისამოსი თვალის დახამხამებაში გახვადე. შემდეგ ყველაფერი ერთმანეთში აირია და ბუნდოვნად მახსოვს, რა ხდებოდა „ბრძოლის ველზე“. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა და რამდენ ხანს გასტანა ჩვენმა ალერსმა, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცოდი, რომ მსგავსი რამ პირველი და ალბათ უკანასკნელი იყო...

მივხვდი, რომ სანოლიდან ადგა. სახვევის მოხსნა გადავწყვიტე, მაგრამ ხელი დამიჭირა. მერე ორივე ხელი თავქვეშ შემიცურა და კვანძის გახსნას თავად შეუდგა. ნელა, აუჩქარებლად იქცეოდა. ეს კიდევ ერთი ინტრიგით სავსე მომენტი იყო, რომელმაც სექსზე არანაკლები სიამოვნება მომანიჭა.

როგორც იქნა, კვანძი გახსნა და შარფი ნელა გამოაძრო. სიბნელეს შეჩვეულ თვალებს გარემოს გარჩევა გაუჭირდა. ჯერ ქალის კონტურები გამოიხსნა, შემდეგ ნაკვთებიც გამოჩნდა...


ჩემ წინ საოცარი სილამაზის ქალი იჯდა და მიღიმოდა. თვალები დავხუჭე და თავი გავაქნიე. მეგონა, მეჩვენებოდა. სირინოზს ჰგავდა, ქერა, გრძელი თმით, ლურჯი თვალებითა და ულამაზესი ტუჩებით. მოზრდილი მკერდი აუდ-ჩაუდიოდა და თითქოს თავისკენ მიხმობდა.

— რატომ მომაკელი ამ სილამაზის ნახვის ბედნიერება? — ამოვიღე ხმა, როგორც იქნა.

— ახლა ხომ არავინ გიშლის, რომ უყურო? — ჯადოქარით გამიღიმა.

ერთი ნახვით შემეყვარდა „რუსალკა“ და მზად ვიყავი, მისი გულისთვის თუნდაც ურჩხულს შევბრძოლებოდი.

იმ ღამით სასტუმროში დავრჩით, დილით მასთან განშორება ისე გამიჭირდა, თითქოს დიდი ხნის შეყვარებულს ვშორდებოდი. ვთხოვე,



— მოძლი სავსიან?
— მოხმასთი.
— ჯაშაა! ძალი ზაფხული იწებს!

ტელეფონის ნომერი მოეცა, მაგრამ უარი მივიღე. თავად დაგირეკავო, შემპირდა, მაგრამ იმის მერე აღარ გამოჩენილა.

ეს ყველაფერი მელანოს რომ მოვუყევი, კარგა ხანს დუმდა.

— ჰმ, გული გწყდება? — მკითხა ბოლოს და ადგა.

— რა თქმა უნდა... შენ კი აღარ შემანუხო, არ იხმაურო და გამოძინება მაცადე, — გავძახე და ძილისთვის მოვემზადე.

გოგამ გამაღვიძა და წასვლის დროაო, მითხრა. არკადისთან წასვლის დრო იყო. ჩემს ოთახში გაკეთებული სამალავიდან იარაღი ამოვიღე და პიჯაკის შიგნითა ჯიბეში ჩავიდე. გოგას ჩემი საქციელი არ გამოპარვია. ვანიშნე, წავედით-მეთქი და კარი გავიჯახუნე.

მანქანა არკადის სახლიდან მოშორებით გავაჩერე და გოგასთან ერთად ეზოში შევედი. სადარბაზო კატასავით, უხმაუროდ ავიარეთ და კარზე დავრეკე.

— ვინაა? — იკითხა ქალის ხმამ კარს მიღმა.

— მე ვარ, — სასხვათაშორისოდ ვუპასუხე.

— ვინ — შენ? — მივხვდი, ასე იოლად არ გააღებდნენ კარს.

— სედოი ვარ, — პირდაპირ თქმა ვამჯობინე.

საკეტი გაჩხაკუნდა და კარი ოდნავ გაიღო, ალბათ იმისთვის, რომ კარგად შევეთვალეირებინეთ.

— გამარჯობა, — თავაზიანად დავუქნიე თავი,

— არკადი გიორგივერთან ვართ.

როგორც ჩანს, გაჭრა ჩემმა მეგობრულმა, მშვიდობიანმა ტონმა და კარი ბოლომდე გავიღეს.

არკადი დივანზე იჯდა. ჩემს დანახვაზე სახეზე უსიამოვნება დაენერა.

— სამსახურში არ მიმიღეთ, მაგრამ სახლში მაინც მოგინათ ჩემთან შეხვედრამ, — გავუღიმე, რომ არ შეშინებოდა.

— დაბრძანდით, — მაშინვე შინაურივით მიმილო.

— ეს ჩემი მეგობარია, — გავაცანი გოგა.

— რამ შეგანუხათ?

— 2 საინტერესო საკითხი მაქვს თქვენთან გასარჩევი. პირველი — ჩემი ახლობელი და ნათესავი ქალი უნდა მიიღოთ სამსახურში, თანაც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

— კარგი, ჩათვალეთ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. მეორე?

— მეორე კი ის, რომ უკვე რამდენიმე თვეა, „სანევრო“ არ გადაგისდიათ. რას მივანეროთ თქვენი ურჩობა?

— იცი, მე...

— არა, არ ვიცი, — ლაპარაკი გავანწყვეტინე, — და არც მინდა, რომ ვიცოდე. ურჩობისთვის უნდა დაისაჯოთ, ბატონო არკადი და თუ აქამდე თვეში 50 ათასი მოგქონდათ, ახლა მაგ „სტავკას“ 50%-ით გიზრდით.

— ე.ი. თვეში 75 ათასი? — უცებ გამოიანგარიშა.

— დიას, ზუსტად მაგდენი.

— მაშინ ჩემს მუშაობას აზრი არ ჰქონია. ხელფასზე ვიჯდე? — თვალეზი სასაცილოდ აახამხამა.

ავდექი და არკადის მივუახლოვდი. ნიკაპქვემ თითი ამოვდე, თავი ავანევირე და თვალეზი ჩავხედე.

— ახლა არ მითხრა, რომ მეტს ველარ ქაჩავ. ფულს აღარ ათეთრებ, შე ბებერო? — კბი-

ლები გავაღრჭიალე. უცხოეთიდან ნახევრად გამშრალი და გამზადებული ქოთნები რომ შემოგაქვს, აქ ბოლომდე რომ აშრობ და უკანვე აგზავნი, ეგ რისთვის ხდება? ხომ არ გინდა, კიდევ გავზარდო „სტავკა“? გგონია, გარედან არ ჩანს, მარტო მეთიხე რომ არ ხარ? ჩაკეტილხარ იმ შენს კაბინეტში და გგონია, არავინ არაფერი იცის, არა?

— კარგი, — ნიკაპიდან ჩემი თითი მოიშორა და ფრთამოტეხილი ჩიტივით ჩამოყარა მხრები.

— ხვალ მოვალ და ფულს წამოვიღებ.

— არა, ხვალ არა, ხვალ ფულს ვერ მოგცემ. ამდენი ფული ასე უცებ არ მაქვს.

— აბა, როდის მომცემ?

— ამ დღეებში.

— არკადი, შენ ალბათ დაგავინწყდა, რომ მე ზოგადი პასუხები არ მიყვარს.

— 3 დღეში. ხუთშაბათს მოგცემ ფულს.

— კარგი, შევთანხმდით.

გოგას ვანიშნე, წავედით-მეთქი და კარისკენ დავიძარით.

როგორც კი მანქანას მივუახლოვდი, 3 „ვერზილა“ წამოგვადგა თავს.

— თქვენია მანქანა? — გვკითხეს.

— კი, ჩვენია, — ვუპასუხე და გულმა მიგრძნო, რომ სასიკეთოდ არ იყვნენ მოსულები.

— მერე, უბანში მანქანას რომ აჩერებ, ვის ჰკითხე?

— ბიჭებო, შარზე ხართ? — ვკითხე და იარაღი შეუმჩნევლად მოვსინჯე.

— ვინაა შენი ბიჭები? — ახლა ამაზე ავარდნენ.

აშკარად ჩხუბი უნდოდათ.

— არკადიმ გამოგზავნათ? — ერთში თითქოს მისი მძლოლი ამოვიცანი.

— ჰმ, — თქვა ერთმა და მუშტი მომიქნია. ყბაში მომხვდა და ვიგრძენი, ტუჩის კუთხეებიდან სისხლი როგორ წამსკდა.

გოგა დანარჩენ ორს ებრძოდა. ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული. ის, რომელმაც მე დამარტყა, ისეთი სახით წამოვიდა ჩემკენ, მივხვდი, ცოცხალი ვერ გადავურჩებოდი. იარაღი ამოვიღე და ვესროლე. თან გოგას გავხედე. ამ დროს კიდევ გაისმა სროლის ხმა...

მუცელში წვა ვიგრძენი, ხელი მივიჭირე და სისხლმა თითებს შუა გამოყოხა.

— დამჭრეს, ამათი ახვარი დედაც! — უნმანურად შევიგინე და მანქანისკენ წავედი.

ისინი გაიქცნენ. ასფალტზე გოგა ეგდო, გაუნძრევლად. მოვბრუნდი და მისკენ წავედი.

მის წინ დავიჩოქე და სახეზე დავაკვირდი. სახე ერთიანად გაფითრებოდა და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ჩვენს ჯიბრზე, ქუჩაში ხალხიც არ ჩანდა, რომ დახმარებისთვის მეხმო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

იცი, წყალში დახმარებას მოვამ უნდა ვადაამჩინო ჩვენი ჰმეზიდენცი და მინისტრები? აშა. ჰმდა, დასთიანაც ყაშვი.





04.06.- 10.06.2009

მუსიკონილები

მარი ჯაფარიძე

დაბადული ანაფური რეაქცია



გამარჯობა, ჩემო მგზავნელებო... დაუფერებელია, მაგრამ ზაფხულიც დაიწყო... თითქოს ჩუმად მოგვეპარაო, ისე მოვიდა და დაიწყება ახლა სიცხეები და ოფლის ღვრა. ვისაც დასვენების საშუალება აქვს, ხომ გაუმართლა და ვისაც არა — ვიზიარებ. ახლა კი თქვენი მუსიკები, თემაზე — დამალული არაფერი რჩება.

გაპარაფაზი, უსმოზი სტაქაზი და მოხატვა იფარაფად

მატყუარა

„ტყუილებიო? ეგ მე მკითხეთ! არა, ცუდი არაფერი იფიქროთ, ხალხო! ვიტყუები, როცა „ლოვე“ უნდა ვნახო, როცა ველაპარაკები, ვახსენებ და ჩემები გაიგონებენ. ანუ ჩემი თითქმის ყველა ტყუილი (თუ დავალებებს არ ეხება) ლოვეს უკავშირდება. მათ შორის „ყველაზე დიდი ტყუილი“ მინდა მოგიყვებ: სკოლიდან დაქალთან ერთად დავბრუნდი და დედიკოს ვუთხარი, თითქოს ერთმა უბნელმა ჩვენზე იჭორავა და უნდა გვენახა ის გოგო. ჩემმა უძალიანმაგრესმა დედიკომ, წადით, რა პრობლემააო და... ჩვენ სად წავედით? „ლოვეების“ სანახავად! ძაან მაგრად გავერთეთ და დედას

რომ არ ენერვიულა, სახლში დათქმულ დროზე ადრე მივედი. რა თქმა უნდა, „იმ გოგოს“ ჭკუა ვასწავლეთ! — დედას ასე ვუთხარი. მთავარი წინ გველოდა. ცოტა ხნის მერე მაკუნა მესტუმრა. როგორც ყოველთვის, სამზარეულოში ვისხედით და ვჭუჭყუკებდით. სახლში არავინ იყო და ჩვენც „ლოვეებზე“ დავინყვებო ჩორაობა, ის დღეც გავიხსენეთ, მაგრამ ვაი, მაგ გახსენებას! თან მუსიკას ვუსმენდით ჩორაობის პარალელურად და დედაჩემის მოსვლა ვერ გავიგეთ. თურმე კართან იდგა და მაინცდამაინც იმ დღის ამბები მოისმინა. თან მე იმას ვამბობდი, ჩემი სანდრიკას გამო, დედა, ვინ იცის, რამდენჯერ მოვატყუე-მეთქი. ნუ, ახლა იმ დეტალებს არ მოგიყვებით, როგორ გვლანძ-

ღავდა მე და მაკუნას (დედა მაკას ნათლია), მაგრამ იმას გეტყვით, რომ ტელეფონი 3 კვირით „ოკუპირებული“ იყო! ასე ვიტყვები „ლოვეს“ გამო. მადლობა დაქალს და, რა თქმა უნდა, პატრულს. დიდი სიყვარულით, პატარა მავნე“.

მოტაცება იმერულად

„ლაშა იმერელია. ისეთი მშვიდი და გულში ჩამწვდომი ხმა აქვს, შეუძლებელია, არ მოიხიბლო. ფიზიკურადაც სიმპათიური ბიჭია. მარი ტელეფონით გაიცნო და წამსვე თავბრუ დაახვია მისმა ხმამ. გოგოსაც თბილი ხმა ჰქონდა და ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს, დიდიდან სალამომდე ლაპარაკობდნენ ტელეფონით. დიდი მონდომებით უმაღლავდა მეგობრებს ლაშა ამ ამბავს, მაგრამ დიდხანს ვეღარ დამალა და ამის მერე დაიწყო მისი ტანჯვა. ძმაკაცები იმერული კილოთი, ფხუკუნ-ფხუკუნით დასცინოდნენ, — იმდენს ლაპარაკობთ, სანამ ყურის კიბო არ დაგემართებათ ორივეს, არ მოისვენებთო. ერთ-ერთმა ძმაკაცმა სიცილით გული რომ იჯერა, მეგობარს რჩევა მისცა, ან თავს რას იტანჯავ, ან მას რას სტანჯავ, მიეყვანე ცოლად, ჩვენც დევისვენებთ და თქვენცო. მართალია, მართალიო, დაეთანხმა უმრავლესობა ამ აზრს. ლაშას ეს სიტყვები გონებაში ჩაუჯდა. იმ დღესვე დაუნიშნა შეხვედრა ვირტუალურ სატრფოს. ისიც დათანხმდა. ლაშა სიხარულით ცას ეწია. არანაკლებ გაუხარდათ მის ძმაკაცებსაც. შეხვედრის დროს ლაშა ჩვეულებრივზე მეტად აწრიალდა. იმის მიუხედავად, რომ წვიმდა და ციოდა, წყვილს საშინლად სცხელოდა, სისხლი უდუღდათ, ერთმანეთის შემხედვარე. მარი სუნთქვაშეკრული, დაძაბული იყო, ბიჭიც უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ არც ახლა მიატოვეს ძმაკაცებმა და უზარმაზარი თაიგულით მიუახლოვდნენ. ლაშას მათი დანახვა გაუხარდა. მარი ძალიან გაამხიარულა მათმა იუმორის გრძნობამ. როგორც ჩანს, ლაშას მარი მოეწონა და ძმაკაცებს თვალების პაჭუნით მიახვედრა, რომ მოტაცების დრო იყო. ბიჭების უცნაურმა დუმილმა მარი ძალიან შეაშინა და შინ წასვლა მოინდომა. ნაბიჯის გადადგმაც არ აცალეს საბრალოს, რომ მანქანაში ამოაყოფინეს თავი. მისი განწირული კვილი მანქანის ხმასაც კი ფარავდა. რის ვაივა-გლახით მიიყვანეს ოჯახში. მანქანიდან მის გადმოსვლაზეც ომი გაიმართა. ლაშამ ხმას აუწია, რას დამტანჯე გოგო, ასე მოტაცებაზე არ გაჯიუტებულხარ, ახლა რაღა დაგემართაო? მარი მიხვდა, ტყუილად ჯიუტობდა და თავისი ნებით შევიდა თავის ახალ სახლში. P.S. ეს რა არის? იქ ამბები მოხდა?! რომ დავწერო, სიცილით გაიგუდებით, მაგრამ მეშინია, ლაშამ არ წაიკითხოს, სიკვდილი არ ამცდება. მე კი ნამდვილად არ მსურს, ეს ჩემი ბოლო გზავნილი იყოს. გკოცნით, თქვენი ლუნა“.

ყცნობი შვილი

„გამარჯობა. რაღა დროს ჩემი მესიჯების წერა და გზავნაა, მაგრამ თემამ ერთი ამბავი გამახსენა და თავი ვერ შევიკავე, რომ არ მომეწერა. ჩემს სადარბაზოში ერთი ჩვეულებრივი ოჯახი ცხოვრობდა. ცოლი, ქმარი და 2 შვილი. გოგონები უკვე მოზრდილები იყვნენ, როდესაც ერთ დღეს ამ წყნარ და ტკბილ ოჯახში ალიაქოთი და ჩხუბი ატყდა. ვიფიქრეთ, მამა შვილებს ერჩუბებოდა, მაგრამ ჩხუბი არა და არ დამთავრდა. თითქმის მთელი თვის განმავლობაში, ყოველ სალამოს წივილ-კვილის ხმა გამოდიოდა. მარტო კაცის ხმა ისმოდა, ქალი ჩუმად იყო. როცა ლილის გარეთ ვხედავდით, თავჩალუნული გაივლიდა ხოლმე და გამარჯობასაც ისე ჩუმად ამბობდა, ვერც კი გაიგონებდი. გავიდა დრო და ყველაფერი გაცხადდა. აღმოჩნდა, რომ ლილის ახალგაზრდულმა ცოდვამ უწია და თავი იჩინა შეყვარებული ჰყოლია. მისგან ორსულადაც ყოფილა. იმ ბიჭს ეს რომ გაუგია, მიუტოვებია და უბრძანებია, ბავშვი მოეშორებინა. ლილის ბავშვი გაუჩენია და იმ ბიჭის კართან დაუტოვებია. რაღა თქმა უნდა, მიმხვდარა ის ბიჭი ვისიც იყო პატარა გოგონა და შინ შეუყვანა. ბავშვი მამამ გაზარდა. ლილი კი მდიდარ კაცზე მოტყუებით გათხოვილა. იმ კაცს უფიქრია, დრო მოვიდა, ყველაფერს ფარდა აეხდოსო. ლილის მისამართი დაუდგენია და ერთ სალამოს შვილთან ერთად ოჯახში სწვევია. ლილის ამ კაცისა და გოგონას დანახვაზე გული წასვლია. ამ დროს გოგონა უკვე 20 წლის იყო და მამისგან სიმართლევც იცოდა.“

მოკლედ, ამ ამბის გამო, ლილის ქმარი კინალამ შეიშალა. როგორია, ამდენი წელი ცხოვრობ ქალთან, შენი ცოლი პქვია და აზრზე არ ხარ, რომ შვილი ჰყოლია. აბააა... ცოტა ხანში ყველაფერი ჩანწნარდა, ქმარმა ლილის ყველაფერი აპატია და ის გოგონა შვილად მიიღო. ახლა ხშირად მოდის დედასთან სტუმრად და დებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. გუდამაყრელი“.

მწერს მავნეშელია,
დალოკვა — საზიზღამბა,
ჯანმშთიყოლი სიყვდილი
ყი საცოდამბა.



ყცნობი სტყმხი

ჩემი ჯგუფელი თეო 9-სართულიანი კორპუსის მეოთხე სართულზე, მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მეზობლებს ვერ გაეგოთ მათ ზევით ახალგადადმოსული ქერათმიანი თამარა რა მოხელე-ნაჩაღნიკი იყო. ერთ ღამეს, თეოსთან კარზე ზარის ხმა გაისმა, ვინაიდან და რადგანაც, თეო მონოდებით „ბაიყუშია“, ეღვიძა და მამასთან ერთად ფილმს უყურებდა. ამიტომ კარის გასაღებად მამა-შვილი ერთად გაემართა. კართან კი არყის სუნით აქოთებული, „ჩაკოსტუმებული“ კაცი დახვდათ, რომელიც მათკენ ზურგით იდგა, იღლიაში ყვავილები ჰქონდა ამოჩრილი და ძაან სექსუალური ხმით კითხულობდა: რაო, ვერ მცნობ უკნიდან, თუ არ იცი, რისთვის მოვედიო? თეოს მამა ხანდახან „ჭედავს“. ჰოდა, ეტყობა იმ კაცის დანახვაზე მორიგი შეტევა დაემართა და ისეთი ეცა თამროს ნაშას, თეოს და, ხმაურზე გაღვიძებულ მეზობლებს, ძლივს გაუწინკნიათ ერთმანეთისგან. ბოლოს, ცოტა რომ დანყნარდა სიტუაცია, ეს კაცი მიხვდა, რომ სართული შეეშალა და დიდსულოვნად ითხოვა პატიება. მეზობლებმა კი ასე გაიგეს ახალი მეზობლის „საქმიანობა“. ახლა ყველა იცნობს ბოზ თამარასა და მის კლიენტურას. ფეშენა“.

„ოქროსგულიანი“ ბიჭი

„მეცხრე ცაზე დაფრინავდა სიხარულით ლილიკო, „ოქროსგულიანი“ ლევანი რომ გაიცნო. ბიჭი მიხვდა, რომ გოგო მის მიმართ გულგრილი არ იყო. ამიტომ მის შემებას შეუდგა. თუმცა, ბევრი ნვალეა არც დასჭირვებია, უცებ მოიმწყვდია გოგო თავის კლანჭებში და რომ დარწმუნდა, ველარსად გაექცეოდა, „ახალი ხილის“ დაგემოვნებაც გადაწყვიტა. ღალატობდა და წამითაც არ ანუხებდა სინდისი. კაცი ვარ და ქალებში თუ გავიარე, ღალატი სულაც არააო, თავს იმშვიდებდა ხოლმე. მერე ლილიკო ცოლადაც მოიყვანა და ამის მერე დაიწყო საწყალი გოგოს ტანჯვა. ჭორიკანა მეზობლებისგან ერთი-ორჯერ მოისმინა ლე-

ვანის ქალებში ძრომიალის ამბავი. ერთ საღამოს ყველაფრის გარკვევა გადაწყვიტა. შინ დაბრუნებული „ოქროსგულიანი“ ქმარი ისე მიესიყვარულა, ყველაფერი დაავიწყა და სულაც აღარ ეპარებოდა ეჭვი მეუღლის პატიოსნებაში. იმ საღამომ მშვიდობით ჩაიარა, მეორე დღეს კი ლევანმა ძველი სატრფო გაიხსენა ან როგორ დაავიწყდებოდა ცეცხლოვანი და მხურვალე ნინიკო? არც ნინიკოს ფაფუკი თმა ავიწყდებოდა და არც ცოლის ვნებიანი ალერსი (უყურე ამას შენ!). სად გინდა გაექცე სურვილს? ადგა და უღალატა ლილიკოს ნინიკოსთან, ნუგემს კი ნინიკოსთან ეძებდა. თანაც, ამ ყველაფერს „სუფთად“ აკეთებდა. ყოველ საღამოს სად დაძვრებოდა არც მისმა „ნაშებმა“ იცოდნენ და არც მისმა ცოლმა. ნუ, ნებივრობდა ბიჭი ცხოვრებით და უცებ, თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, ისეთი შფოთი და ალიაქოთი ატყდა. აყაყანდა ნინიკო, შე უნამუსო, იმ ნამუსგარეცხილთან როგორ მღალატობო? აქეთ ნინიკო განიწმატდა, ვინაა ნამუსგარეცხილი, შე ჯოჯოო და წავიდა დაკა-დაკა. ლევანს მოსწყინდა მათ მიერ ატეხილი აყალ-მაყალი და ორივე მიატოვა და სახლის გზას გაუყვა. ცოლს თბილ გულზე მიადო თავი. იმანაც ჩაიხუტა მეუღლე, თმაზე მოეფერა და მხოლოდ ახლა მიხვდა ლევანი, რომ მისი ცოლი ყველას სჯობს და ღალატს არ იმსახურებს. თუმცა, გვიანი იყო, ლილიკოს ყურამდეც მივიდა ეს ამბავი. საბრალოს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავზე დაენგრა ყველაფერი. გაშორდა კიდეც ქმარს, რადგან არც ერთი მოღალატე კაცი არ იმსახურებს სიყვარულს. გაცოცხლებული თოჯინა“.

გაპარულები

„როდის რა დამალულა, ეს ამბავი რომ დამალულიყო? განსაკუთრებით მაშინ, როცა გარს სუპერჭორიკანები გახვევია. ზურას ერთი თვის მოყვანილი ჰყავდა ცოლი, როდესაც ერაცში გაიწვიეს. მისი წასვლიდან რამდენიმე კვირაში ხმა გავარდა, ზურას ცოლი კახასთან (ზურას ძმა) დაეთრევაო. ამ გოგოს ისეთი სპეტაკი „როჟა“ ჰქონდა, ხალხის უმეტესობამ იფიქრა, ნინა პატიოსანი გოგოა და ესეც მორიგი ჭორი იქნებაო. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ კი ზურას გააგებინეს, შენი ცოლი და კახა გაიპარნენ და რუსეთში წავიდნენ საცხოვრებლადო. ზურამ როგორ მიიღო ეს ამბავი არ ვიცი, მაგრამ ძაან რომ არ გაუხარდებოდა, მაგდენს მივხვდი. დამავოი“.

სიძის ვინაობა გაცხადდა

„მე და ჩემს მომავალ მეუღლეს 3 წელი გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ მისი მშობლები აზრზეც არ იყვნენ, ვინ იყო მათი შვილის რჩეული. თუმცა, ერთიც და მეორეც ძალიან კარგად მიცნობდა. ჩემი სიმამრი ჩემზე 13 წლით უფროსია, მე კი ჩემს მეუღლეზე — 5 წლით ვარ. ერთხელ, ჩემმა მეგობრებმა საზღვარგარეთიდან 5 ათასი დოლარი



ნუ გაღაღებ ხვალისთვის იმას, მისი დალოჯაც ღელს შეიძლება.

იღო

„მე იღო ვარ, 50 წლის. ამ სიბერეში ავტუნდრუკდი კაცი და 23 წლის გოგოს დავადგი თვალი. რა გეძალბა, შე ბებერო? შვილიშვილები გახვევია თავსა... მაგრამ როგორც ჩანს, გული არ ბერდება დაფინყე ამ გოგოს შებმა. მის ხელში ჩასაგდებად რას არ ვაკეთებდი. ის გოგო თავდაპირველად დამცინოდა, ბებერს მეძახდა, შემდეგ ნელ-ნელა მოტყდა და თბილად დამინყო ლაპარაკი. თუმცა, პაემანზე ვერ ვითანხმებდი. ათას სისულელეს ჩავდიოდი, მისი გულის მოსაგებად. ისიც ვუთხარი, ცოლთან გაცილებული ვარ-მეთქი. 15 წლის ბიჭივით მის ფანჯარასთან ვაჩერებდი მანქანას და ვთხოვდი ერთი წუთით გამოეხედა. მოკლედ, როგორც იქნა, პირველი პაემანი დაფუნიშნე. მოვემზადე, დავიბანე, გავიპარსე, სუნამო ვიპკურე და გულაჩქარებული დანიშნულ ადგილზე მივედი. პირდაპირ რესტორანში ველოდი. ფანჯრიდან დავინახე, ტაქსიდან რომ გადმოვიდა. საგანგებოდ იყო გამოპრანჭული და ისეთი მშვენიერი გახლდათ, სუნთქვა შემერა ლამაზი და ძვირფასი კაბა ეცვა. საუბარს შევეყვით, შამპანურმაც თავისი ქნა და გადავწყვიტე, მოდის სფეროში ჩემი ცოდნა გამოიმეულაფებინა და თან კომპლიმენტიც მეთქვა: ძალზე ლამაზი კაბა გაცვია ეს „გური“, ხომ? მაშინვე მივხვდი, როგორც კი შემოგხედე-მეთქი... აქ დავიბენი და დავამატე: — სად იყიდე? — გაოცებულმა შემომხედა და მითხრა: რაში გაინტერესებს? შენ რა, კაბას იცვამ? — სახეზე მკვდრის ფერი დამედო. რა უნდა მეთქვა? ცოლისთვის მინდა-მეთქი, ხომ ვერ ვეტყვოდი? ჰოდა, უარესი წამოვროშე: — არა, მე კაბა რად მინდა? კაცი ვარ... ვაჟკაცი... ძალბები მომწონს... მინდა, დედაჩემს ვუყიდო-მეთქი. ამ დროს გამახსენდა, რომ ლიზი ნამყოფი იყო მამაჩემის გასვენებაში, ვანის რაიონში და ჩემი 75 წლის, საკმაოდ მოტყხილი დედაც ნანახი ჰყავდა. მოკლედ, ყველაფერი გაფაფუჭე. ლიზი სიცოლისგან ჩაბვირდა, წარმოიდგინა დედაჩემი ზურგამოჭროლ, დეკოლტირებულ, ვერცხლისფერ კაბაში... რაღას ვიზამდი, იძულებული გავხდი, მეღიარებინა, რომ ცოლი მყავდა“.

გამომიგზავნეს. მაშინვე ბინა ვიყიდე ისე, რომ ჩემმა მშობლებმაც არ იცოდნენ. დედისერთა ვარ, ბინაც მქონდა, მაგრამ დაოჯახების შემდეგ ცალკე ცხოვრება მქონდა გადაწყვეტილი. ჰოდა, რადგან ბინის პრობლემა მოვაგვარე, ახლა ცოლის მოყვანა დადგა დღის წესრიგში. ერთ მშვე-

ნიერ დღეს ჩემს სასიამოროს მანქანა ვთხოვე, მთელი დღით. უარი არ უთქვამს. მე კი კარგი „შტუკა“ გავუკეთე — საკუთარი მანქანით ქალიშვილი მოვტაცე. რაღას იზამდა? ადგა და მანქანაც და შვილიც სამუდამოდ დამიტოვა. ვალში არც მე დავრჩენილვარ. იმავე მარკის, უფრო ახალი მანქანა ვუყიდე და 2 შვილიშვილიც „დავაჯახე“. მამუკა“.

ხუმრობა

„ჩვენმა მეგობარმა ვანომ ახალი მანქანა იყიდა — „07“, მთლად ცინცხალი. ერთიანად ტაოტიანი იყო და გარეცხვაში ჩვენ მივეხმარეთ. მოკლედ, დადიოდა ეს ვანო და დაიჯგიმებოდა. ქვეყანა თავისი ეგონა. ერთ დღეს მეგობარმა ქორნილში დაგვპატიჟა, რაიონში. იმედი გვქონდა, ვანო თავისი „ჟიგულით“ წაგვიყვანდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — სოფლის ოღროჩოღრო გზებზე მანქანა გამიფუჭდებაო, იძახა და იძულებული გავხდით, მატარებლით წავსულიყავით, მაგრამ ვანოს ასე დაუსჯელს ხომ არ დავტოვებდით? ავტოსადგომის დარაჯს ფული გადავუხადეთ, იმანაც შეგვიშვა და ვანოს მანქანა გუაშის საღებავებით ერთიანად ავაჭრელეთ. მისი სახელი დავანერეთ, გული მივახატეთ და თეთრი მანქანა ერთიანად შევცვალეთ. დილით ვანომ თავისი ავტო ველარ იცნო. ჩვენ კი იქვე ვიდექით და ვუყურებდით, როგორ უტრიალებდა გარშემო, ნომერს ამოწმებდა, საღებავს ხელით სინჯავდა. ჩვენ კი სიცილით ვიხოცებოდით. მერე ერთ-ერთ ჩვენთაგანს მობილურზე დაურეკა და უთხრა: — ვიცი, თქვენი გაკეთებულია და იცოდეთ, მაგრად განანებთო. ჩვენი საქციელი მართლა ვინანეთ, რადგან გუაში თეთრ საღებავში ისე ჩაჯდა, სულ ლაქებად დააჩნდა და იძულებული გავხდით, მისი მანქანა გადაგვეღება“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები.

„არც ჩემთვის დარჩა დამალული, როგორ ეკონტაქტებოდა ჩემი ქმარი ინტერნეტით ვილაც ქალს. სავარაუდოდ იმ ქალს, რომლის დიალოგსაც ჟურნალში ბეჭდავთ. ფაქტობრივად, ამ ქალმა დაუნგრია ოჯახი. ახლა დგას და ჟურნალში აბეჭდინებს თავის სისულელეებს. დათომ მოატყუა, ბიზნესმენი ვარო. ბიზნესმენი კი არა, რიგითი მძღოლია“.

„მარი, როგორ ხარ? დამალული რომ არაფერია, სწორედ ეგ მტკენს გულს. ადრე თუ გვიან ჩემს საიდუმლოსაც აეხდება“

ჩემივე გამაღმამი
ქალის, მამკლმაც ზუსტად
იცის, მისი ქმარი ხადაა.



ლიბრისტიკის დასჯილი

„დედისერთა ვარ. ჩემს მშობლებს გართულებული ურთიერთობა ჰქონდათ. სულ ჩხუბობდნენ და ხშირად მუშტიკროვზეც გადადიოდნენ. ამ დროს საბანი მქონდა თავზე წაფარებული და ჩუმად ვტიროდი. ღამით ტუალეტში გასვლა რომ მომინდებოდა, შიშით ვალებდი აბაზანის კარს, თვალებს ვხუჭავდი, შუქს ვანთებდი და შემდეგ ნელ-ნელა ვახელდი თვალებს. რატომღაც მეგონა, რომ იატაკზე დედის დასისხლიანებულ, უსულო სხეულს აღმოვაჩინდი. იატაკი სუფთა რომ მხვდებოდა, შვებით ამოვისუნთქავდი ხოლმე. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. როცა წამოვიზარდე, დედის დახმარებისა და დაცვის სურვილი გამიჩნდა, მაგრამ მშობლების კამათისას მათ ოთახში შესვლას და ჩხუბში ჩარევას ვერ ვებედავდი. სკოლას ვამთავრებდი, როდესაც შემთხვევით დედაჩემისა და მისი მეგობრის ლაპარაკს მოვკარი ყური. თავზარი დამეცა, რადგან დედა თავის საყვარელზე ლაპარაკობდა. თან ამბობდა: — რა ვქნა, უკვე ვეღარ ვუძლებ ქმრის გვერდით

ყოფნას, მეც ხომ მაქვს ბედნიერების უფლება? გადავწყვიტე, მის გვერდით ვიყო, ვისაც ვუყვარვარ. გურამი კი მეტის ღირსია, ან აქამდე რატომ ვიყავი მისი ერთგულიო. ვერც მაშინ გავბედე, დედისთვის რამის თქმა. გავიდა წლები. 22 წლის ვიყავი. მამას ღამით უწევდა მუშაობა. ერთ დღით ისე დაბრუნდა, დედას არ გაუგია, ეძინა. ჩაი დავალევი. დივანზე წამოწვა, დასაძინებლად, როცა ტელეფონმა დარეკა. დედამ უპასუხა საძინებლიდან. მამამ პარალელური აპარატის ყურმილი აიღო და ლაპარაკს თავიდან ბოლომდე მოუსმინა. ვხედავდი, სახე როგორ ეცვლებოდა. ცოტა ხანში დედა საძინებლიდან გამოვიდა, გაემზადა, მეგობართან მივიღივარო, — დაგვიბარა. მივხვდი, საყვარელთან მიდიოდა პაემანზე, მაგრამ ვერ გავბედე მეთქვა, რომ მამამ მათ საუბარს მოუსმინა. ცოტა ხნის შემდეგ მამაც წავიდა. იმ საღამოს სახლში დარეკეს და მითხრეს, პოლიციიდან ვრეკავთ, მამათქვენი დაპატიმრებულიაო. იქ მისულმა აღმოვაჩინე, რომ მამაჩემი დედაჩემის მკვლელობისთვის დაუჭერათ. დღემდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის, რომ დედას ვერ ვუთხარი, არ წასულიყო“.

ფარდა და მეშინია. ღმერთო, დამიფარე ტრაგედიისგან“.

„ეს ამბავი იმ ბედნიერ ჟამს მოხდა, როცა ძველი მგზავნელები ვიკრიბებოდით. ელენე მორიგმა გაცნობის მსურველმა შეანუხა, განუწყვეტილად ურეკავდა. ელე დროდადრო პასუხობდა და „თავაზიანად“ უყვიროდა. მე, როგორც ევროკავშირის წარმომადგენელი, შევშფოთდი და სამშვიდობო მისია ვიკისრე, კონფლიქტის მოგვარებაში. ელეს მობილური გამოვართვი და მშვიდად ვუპასუხე აბეზარ უცნობს. მალე დავრწმუნდი, რომ ელენე ტყუილად არ ამბობდა, ვილაც გოიმიანო. ჯერ შემომთავაზა, მუსიკას მოგასმენინებო, მერე ნახევარი საათი ისე მესაუბრა, ვერ მიხვდა, სხვა რომ ვიყავი. აი, თუ არაფერი რჩება დამალული! იმ ბიჭმა დღემდე არ იცის, რომ ილინმა და პარიჟანკამ გაასულელეს. ელ, პანუს უყვარხარ! პარიჟანკა“.



სიყვარული — თანაცხობის
გამაჩვენებელი ინტელექტზე.

„გამარჯობა მარი, თქვენი ჟურნალის ერთ-ერთი რიგითი მკითხველი ვარ. ძალიან მომწონს და ძალიან მიყვარხართ. წერილს კი პირველად გწერთ. რატომ? მარი, მე იმ ამბავს ვეხმაურები, სადაც თქვენი დასაოჯახებელი მეგობრის ექსპერიმენტი იყო აღწერილი. კიდევ კარგი, ბოლოში ასე ამთავრებ, ეს მხოლოდ გოგონების უმცირესი ნაწილი იყო, თორემ ნამდვილად აღვშფოთდებოდი, რადგან ასეთი გოგონები ნამდვილად არსებობენ, მაგრამ უამრავი ისეთი გოგონაც არსებობს, რომლისთვისაც ნამდვილი სიყვარული უფრო ძვირფასია, ვიდრე რომელიმე ბოლო მოდელის მანქანა. ალბათ იფიქრებთ, გასათხოვარია და ასე იმიტომ გამწარდაო. კი, გასათხოვარი ვარ, მაგრამ არ გავმწარებულვარ... მარი, მაპატიე, მაგრამ თქვენმა მეგობარმა თავისი ამბიციურობა დაამტკიცა, — მდიდრებს ყველაფრის უფლება აქვთ, ყველა ქალს თავის ჭკუაზე ატარებენ და ზუსტად ასეთი კაცი შეირთავს ხოლმე ისეთ ქალს, რომელიც ექსპერიმენტის დროს დაიწუნა და ამ ქალს დაჰყავს თავის ნებაზე. ასეთ კაცებს ასე მოუხდებათ... მაპატიეთ გულახდილობისთვის. გთხოვთ, თქვენს მეგობარს წააკითხეთ... პათივისციემით, 6638. P.S. ჰარმონიულ ურთიერთობას რა სჯობია“.


დიდუბის ფლაჟირი

წითელი ბორშის პერიოდი

ლამარას გაბრაზების ცხრა ბალიანი სისტემა ჰქონდა. ექვს ბალზე სიო უბერავდა, შვიდზე ძლიერი ქარი, რვაზე ქარიშხალი და ცხრაზე ისეთი გრიგალი ამოვარდებოდა ხოლმე, წინასწარ ვერავინ იტყოდა, ნგრევა მოჰყვებოდა ამას, მსხვერპლი თუ მატერი-ალური ზარალი, დიდი ოდენობით...

როცა აღმოჩნდა, რომ სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს პურის ყიდვა დაავინწყდა, სუსტი სიო ამოვარდა და ალბათ მალევე ჩადგებოდა, მაგრამ როცა მალაზიისკენ მიმავალს ფანჯრიდან თვალი გააყოლა და დაინახა, როგორ მიესალმა მისი თანამეცხედრე ნანას და უფრო მეტიც თავხედობა ეყო — მძიმე ჩანთა გამოართვა და თვითონ იტვირთა. სიო მომენტალურად გადაიზარდა გრიგალში და სხეულში დაგროვილი ბრაზი გარეთ რომ გამოეშვა, სათვალე და წინსაფარი ერთდროულად მოიძრო, ნესტოები ღრმად დაბერა

და ჰაერი მთელი ძალით გამოუშვა გარეთ. ამ პროცედურისთვის ხმაც რომ მიეყოლებინა, ორთქმავალის სრული იმიტაციას მივიღებდით. ოთახში არსებულ ჰაერის მარაგს ბრაზის მარაგი შეერია და ახლა ზუსტად ვერავინ იტყოდა, ოთახში ბრაზი უფრო მეტი იყო თუ ჰაერი. პირველი შემთხვევა რომ არ იყო, ეგ კიდევ უფრო მეტად აბრაზებდა. ამას წინათ ნანას წყლის ამოტანაში მიეხმარა. ვითომ თვითონ ვერ აიტანდა... მერე როგორ ჰქონდა



აბზუებული ცხვირი იმ ქალბატონს, როცა მისი ქმარი წყალს ეზიდებოდა?! „სულ დაგვაჯდა თავზე“, — გაიფიქრა მაშინ ლამარამ. ნანა ლამარას ზედა სართულზე ცხოვრობდა და ბინის სართულების გამანაწილებელი უხილავი ღვთაებისთვის დღემდე ვერ ეპატიებინა ის ფაქტი, რომ ნანა „თავზე დაასვა“. უყურებდა, ახლაც როგორ მიჰქონდა მის ქმარს ჩანთა და სიარულში, ლაპარაკში, სუნთქვაშიც კი ქმრის ღალატს ხედავდა.

ლამარამ უჯრა გამოალო და დიდი დანა ამოიღო.

— თავს წავაცლი, მაგ უბედურს! კომბოსტოს დანა დაარტყა და შუაზე გააპო, — დავანაკუნებ, წვრილ-წვრილად დავჭრი!

კომბოსტოს თავი სწრაფი ტემპით იკუნებოდა და წამებში აღმოჩნდა ქვაბში.

— რომ ჰკითხო, ქალს თუ არ მივეხმარე, რა კაცი ვარო? მაგას ვაჩვენებ, რა კაციც არის! — თქვა ლამარამ და რალაცნაირი, შინაგანი სიამოვნებით წააცალა თავი მოგრძო სტაფილოს.

— თუ იმ ქალბატონის სისხლი არ დავლიო, ლამარა არ ვიყო! — ჭარხალს მთელი ძალით დასცხო დანა და წითელი წვეთები სახეზე შეესხა.

● საერთოდ, ყველაფერს ძალიან გემრიელად ამზადებდა, მაგრამ ახლა ისე ყრიდა ქვაბში პროდუქტს, როგორც სანაგვეში ნაგავს.

● — მთელი ცხოვრება უმარილოდ გამატარებინა, ახლა ესლა მაკლდა! — თქვა ლამარამ და იმდენი მარილი ჩაყარა ქვაბში, ცოტალა დარჩა კოლოფში, — ხომ უნდა გამამწაროს, ისე როგორ იქნება? — ამის თქმაზე ერთი პარკი წინაკა ჩაცალა, მერე ქვაბს მოურიხა დაახლოებით ისე, ბოროტი ჯადოქრები თავიანთი შელოცვებით გაჯერებულ ნაყენს რომ ურევენ ხოლმე და რალაცნაირად, დაიცალა ემოციებისგან, დაიცალა და სკამზე ჩამოჯდა.

● საჭმელად რომ დასხდნენ, ლამარამ უსიტყვოდ დაუგდო ქმარს წინ ბორშით სავსე თევში. ბორში იყო წითელი... წითელი...

● — მომშიებია, — თქვა ქმარმა და ბორში შეხვრიბა. — ჰოო, მართლა, მალაზიაში რომ მივდიოდი, ნანა შემხვდა.

ნანას ხსენებაზე ლამარამ ყურები ცქვიტა და ბრაზი ამჯერად გარეთ კი არ გამოუშვა, უკან შეხვრიბა. გადამწყვეტი იერიშისთვის მოემზადა.

— რალაცნაირად მეცოდება, ეგ ქალი... რა კარგი ქალია და გაუთხოვარი...

გაუთხოვარი არ გაუგონია ლამარას, მარტო — „კარგი ქალი“ — მოხვდა ყურს და ის იყო, რალაცა უნდა ეთქვა, რომ ქმრის გაღიებულ სახეს შეასკდა.

— რამდენი ხანია, ასეთი გემრიელი ბორში არ გაგიკეთებია, —

● უთხრა ქმარმა და ხელი მოუსვა ლოყაზე.

● ხელის მოსმა იყო და ლამარა რალაცნაირად მოტყდა, ის ბრაზი სადღაც გაუქრა, ის ეჭვებიც სადღაც მიეფანტა და მარტო თავისი ქმარი შერჩა ხელში, რომელთანაც უკვე 25 წელი ცხოვრობდა.

● ტელევიზორით გადმოსცემდნენ, მექსიკის სანაპიროზე გრიგალი ჩამდგარიყო, მზე გამოსულყო, ოკეანე მშვიდად ირწეოდა და ცაში თოლიები დაფრინავდნენ...

● ი. ჯიბლაშვილი.

„გზავნილების“

მომდევნო თემად გთავაზობთ — „ამბავი, რომელიც მინდა, რომ კიდევ განმეორდეს“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „რას გამოვასწორებდი ჩემს ხასიათში?“

დათო: არა, შენთან საუბარი მსიამოვნებს. თუმცა, 20 წუთში უნდა წავიდე. გეწყინა?

კატო: არა, არ მწყენია. ჯობია... იქნებ, ხვალ კარგ გუნებაზე დაბრუნდე.

დათო: O.K. გკოცნი ბევრს.

კატო: კარგად...

25 აპრილი 16:43

დათო: ძლივს მოვალნიე შენამდე. როგორ ხარ, ძვირფასო?

კატო: კარგად... მე კი მეგონა, უკვე აღარ მოხვიდოდდი.

დათო: და იფიქრე...

კატო: და ვიფიქრე, რომ დღეს შაბათია და არ მუშაობდი, რადგან შუადღისას არ გამოჩნდი...

დათო: დღეს საგიჟეთი მაქვს.

კატო: ვერ იცლი ჩემთვის... ვიტყვი...

დათო: უნდა წავიდე, ვერ ვისაუბრეთ. სამწუხაროა. ზეგამდე ვერ შეგხვებიანები. აბა, შენ იცი, ახლა კაციც შენ ხარ და ქალიც. მომენატრები. არ

დათო: მე მომენატრე. შენ? მოვიარე აღმოსავლეთ საქართველო და ჩამოვედი, შენთან სასაუბროდ.

კატო: მე ხვალ მივდივარ, აღმოსავლეთში.

დათო: ცოტა არ იყოს, ნაბახუსევი ვარ. P.S. ასეთ დროს მიმძაფრდება შენი ნახვის სურვილი.

კატო: მარტო ნახვის?

დათო: მოფერების, კოცნის... რატომ მინვევ?

კატო: ნაბახუსევიდან გამოგიყვანს, ცოტა... :)

დათო: რა?

კატო: გამონვევა.

დათო: არა მგონია, უფრო — პირიქით. საქმე — ლაპარაკის ნაცვლად.

კატო: და საქმეს რას ეძახი? ახლა უსაქმურად თუ ხარ, რამე გამოძებნე.

დათო: კარგი ახლა, ნუ გადამრიე...

კატო: რა იყო, გაგაბრაზე?

დათო: არა. მეთამაშები შენს თამაშს.

კატო: მერე, ცუდია? თუ გინდა, დავსერიოზულდები და დეილ კარნეგის „როგორ მოვიპოვოთ მეგობრებზე“ ვილაპარაკოთ...

დათო: გაბრაზდი?

კატო: არა... შენ კი არ გგავარ, რომ ვბრაზობდე... მეთამაშებიო და... საინტერესოც ხომ მაგიტომ ვარ, რომ გეთამაშები... ეგ იმას არ ნიშნავს, რომ გატყუებ ან ვმსახიობობ... გეთამაშები, როგორც ქალი მამაკაცს...

დათო: რა გჭირს, შენც ხომ ატყობ, რომ მეც მსიამოვნებს. არ მიყვარს, როცა „იგრუზები“.

კატო: არც მე... ცოტას ვეშმაკობ... ვცუღლუტობ... ნელან გამიბრაზდი, — „მარტო შეხვედრა-მეთქი“, რომ გითხარი. რატომ მინვევო? მუშტი დააბრაზხენე. არადა, როგორ საყვარლად ვაფახულებდი წამწამებს მაგ დროს...

დათო: ღმერთი, რჯული, რა მუშტი, რის მუშტი, მე შენთან მხოლოდ სიყვარული მინდა.

კატო: დავიმორცხვე... გაქვს სიყვარულის ვაკანსია ჩემთვის? მაგას ვერ დავიჯერებ.

დათო: რატომ?

კატო: რა ვიცი, აბა... შენ თვითონ არ მითხარი?

დათო: არა, მე ეგ არ მითქვამს.


კატო: აბა რა მითხარი? შეიძლება არასწორად გავიგე...

დათო: რა გაიგე, აბა მითხარი...

კატო: მე ასე გავიგე: შენი სული (ანუ შინაგანი სამყარო) ღმერთს ეკუთვნის... გული (ანუ სიყვარული) — ოჯახს და მხოლოდ სხეულის განაწილება შეგიძლია... სხეულს კი სიყვარული არ შეუძლია. სხეულს (ნუ, გარკვეულ ნაწილს) მხოლოდ შეუძლია სექსი, გრძნობის გარეშე. ჟინის მოკვლა... შენ ეგ მეორედაც შემახსენე (როცა გითხარი, შენი სხეულის ნაწილებიდან გულს ვირჩევ-მეთქი), არ დაგავინწყდეს, მაშინ რა მოგწერეო... ჰოდა... 2 ადამიანის ურთიერთობა მაშინაა ლამაზი, როცა გულიცაა ჩართული საქმეში... გულის ერთი მცირე კუნჭული მაინც...

დათო: ჩემთვის სექსი გრძნობის გარეშე აბსოლუტურად მიუღებელია. ძალიან კარგად იცი, რომ გრძნობა შენ მიმართ გამიჩინე და ინტერესი გამიღვიძე.

კატო: ეგ ვიცი... ვხვდები, ბავშვი აღარ ვარ.



მოიწყინო. P.S. იმედია, სმს-ით დამიტოვებ შენს ყოველდღიურ ნაფიქრალს.

დათო: უკვე მივდიოდი, მაგრამ ცოტა ხანს გავჩერდები. მომწერე რამე სასიამოვნო.

კატო: ზეგ მე არ ვიქნები, მარტო დილით ვიქნები... მაზეგ — სულ ვერა...

დათო: რა მასიამოვნე?!

კატო: რა ვენა, აბა... ორშაბათს სამსახურში მივდივარ, სამშაბათს — რაიონში.

დათო: ე.ი. ველარ გვისაუბრია.

კატო: ოთხშაბათს — კი.

დათო: შენ არ მეუბნებოდი, პარალელურად საქმესაც ვაკეთებ და შენთანაც ვსაუბრობო? დამაგვიანდა. კარგად, ჩემო კარგო.

კატო: კარგად.

დათო: დღეს ცოტა ვიეჭვიანე!

კატო: ნუ ეჭვიანობ...

27 აპრილი 10:27

დათო: როგორ ხარ, ძვირფასო?

კატო: მოვიდა ჩემი ოცნების მამაკაცი? კარგად ვარ. შენ?

მაგრამ ამის აღიარებას ველოდი... შენ კი ჯიუტობ... დი... :) გკოცნი.

დათო: მუაა.

კატო: ძალიან საინტერესო ადამიანი ხარ... წინასწარ დასკვნების გაკეთება არ მიყვარს ხოლმე, მაგრამ... მართლა კარგი ადამიანი ხარ... მართალი ადამიანი.

დათო: ეს სიტყვები უნდა ამოვჭრა და თან ვატარო. განკითხვის უამს იმედია, დამეხმარება.

კატო: :) უკეთესს მოგწერ მაშინ, თუ ამოსაჭრელად გინდა.

დათო: ის კი არ მაინტერესებს, მე რა მინდა, არამედ მაინტერესებს, შენ რას გრძნობ. ძალიან სასიამოვნოა.

კატო: მე ვგრძნობ, რომ შენთან მინდა... კარგი გაგებით გეუბნები... :)

დათო: შენ ჩემი სიტყვები მომწერე.

კატო: ანუ ის, რისი თქმაც შენ გინდოდა?

დათო: ჰო.

კატო: უცნაური იცი, რა არის? ხომ ასეა, ხომ გინდა ჩემთან, ხომ მოგწონვარ და გაინტერესებს და ახლოს არ მიშვებ შენთან... თითქოს ზღვარს ავლებ... „მატორმუზებ“. არ ვიცი, ეს რისი ბრაღია... შენ გეშინია თუ ჩემ გამო შიშობ... ან იქნებ — კომპლექსი? ბევრს ვფიქრობ ამაზე და პასუხს ვერ ვპოულობ.

დათო: რატომ, იმიტომ რომ შეხვედრას არ ვითხოვ?

კატო: არა... მაგას არ ვგულისხმობ... ეგ მომწონს კიდევ... აქ, აქ არ მიშვებ ახლოს. ცოტა მოგიახლოვდები და ზღარბივით ეხვევი ეკლებში.

დათო: გეჩვენება. შენს სურნელს ვგრძნობ და შენს სუნთქვას ძალიან ახლოს. საცაა ხელს მოგკიდებ ხელზე, თვალებში ჩაგხედავ და გეტყვი.....

კატო: მეც...

დათო: შენ მე მგონი მართლა გამომიყვან „პახმელიაზე“.

კატო: კარგი, რადგან არ მოგწონს... რა გზაა... გაფრთხილება. სულ არ ამოვიღებ ხმას... და რაო, რა ხდებაო მიტინგზე, გადადგება სააკაშვილი, ნეტავ? ჰა?

დათო: ასე მგონია, რომ შენ ელოდები, მე როდის გეტყვი — შევხვდეთ. მე კი მეშინია, არ დაგაფრთხო და ყველაფერი არ გავაფუჭო.

კატო: არა, მე ველოდები იმ დროს, როცა მეტყვი, რომ უჩემოდ ველარ ძლებ... და მე გიპასუხებ, რომ მეც შენი სურვილით ვინვი... როცა უშენობა გაუსაძლისი გახდება... არ ვიცი, რამდენად ჰგავს ეს ნათქვამი ნორმალური ადამიანის ნათქვამს, მაგრამ...

დათო: ნუთუ ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ მე უზომოდ მინდა შენთან?

კატო: რა ყველაფერი? რას გულისხმობ? ნუთუ არ გაინტერესებს, როგორი ვარ გარეგნულად? მე ინტერესით ვკვდები... ძალიან მინდა, მომეწონო... ჰო, ისევ შევედი და ნავიკითხე შენი ანკეტა მეთა-სედა... მერე რა?

დათო: ანკეტაში სრული სიმართლე წერია. რაც აკლია, გეტყვი: ხორბლისფერი, შავი თმით, მწვანე თვალებით...

კატო: ჩემმა მეგობარმა ცოლი მოიყვანა. საერთო ახლობელს ვკითხე, როგორი გოგოა პატარძალი-მეთქი? მაღალი, ქერა და ცისფერთვალეაო... ნუ, გულში გავიფიქრე, ყოჩაღ-მეთქი და პატარძალი რომ ვნახე, ქერაც იყო, ცისფერთვალეაც, მაღალიც, მაგრამ... იმის დანახვას მოჩვენება დამენახა, ის ჯობდა... :) მითხარი, როგორ გამოიყურები... სიმპათიური ხარ თუ — არა...

დათო: მინდა მოგწერო, მაგრამ ჩემს თავზე ვერ ვლაპარაკობ. ვფიქრობ, რომ ფიზიკურად მოგეწონები.

კატო: ახლა დავმშვიდდი... კარგია, ცოტა რამ მაინც გავიგე... ამდენ ლაპარაკს, მარტო ის რომ გეთქვა, სიმპათიური ვარო, დამაკმაყოფილებდა...

დათო: ახლა ჩვენ რას ვაკეთებთ?

კატო: მე შენს სიყვარულს ვსწავლობ... შენ — არ ვიცი.

დათო: მეც არ ვიცი, ამას რა ჰქვია. თანამშრომლები ალბათ ფიქრობენ ჩემზე, რამ შეცვალა, რა მოხდაო. ოთახიდან არ გამოვდივარ, მოჯაჭვული ვარ შენზე და ჩემთან ვინც შემოდის, მოკლე პასუხით, სასწრაფოდ ვისტუმრებ.

კატო: მინდა მითხრა, ჩემ მიმართ ინტერესი რამ გამოიწვია... არ ხარ აქაურობის ჭია, როგორც ვხედავ და რა მოხდა მაშინ? თან ვფიქრობ, არ შეიძლება, ასე იდეალურად ენყობოდეს ყველაფერი და ცოტა მეშინია კიდევ... 2 თვეა, ამ საიტზე ვარ და უამრავ ადამიანს დავლაპარაკებოვარ... ასეთი ურთიერთობა კი პირველია, როცა მეჯერა, რომ კარგ ადამიანს ველაპარაკები და არც პრეტენზია მიჩნდება რამე... არ გეშლება არაფერი. რატომ? თუ სიმპათიურიც ხარ... ანკეტაში გინერია, რომ არც მატერიალურ მხარეს უჩივი... მაშინ შენ გარშემო ისედაც უამრავი ქალი უნდა იყოს... და... რა ხდება? შენ თუ იცი?

კატო: ნახვედი ნეტავ თუ აქ ხარ და ფიქრობ? რთული კითხვა დავსვი, როგორც ჩანს.

დათო: საქმე მქონდა. უკაცრავად. ვირტუალური ურთიერთობა ჩემთვის ახალია. უბრალოდ, დროის მოკვლის მიზნით დავრეგისტრირდი და ვატყობ, თავს ველარ ვაღწევ. დამაბი. უფრო სწორად, „მიმაბი“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოკლე ჩართვა

რომის ვიხუაზი?

<<<6

• საერთოდ ტყუილი არ მიყვარს. ტკბილ ტყუილს მწარე სიმართლე მირჩვენია. ამის მიუხედავად, მე თვითონ ძაან უკიდურეს და გამოუვალ სიტუაციაში თუ ვარ, მაგ შემთხვევაში ვიტყუები. ამასთანავე, ერთ სიკვდილს ვათავებ. იასამანი.

• ხშირად არ ვიტყუები, მაგრამ დედა მაკონტროლებს ჭამაზე და მხოლოდ მაშინ მინევს ტყუილის თქმა, მაგრამ ჩემი ტყუილი სახეზე მეტყობა და იძულებით მაჭმევს საჭმელს. გრუზინკა.

• ტყუილი ჭირვით მეზობლება და მატყუარებიც. მოკლედ და კონკრეტულად. ქალი ცდუნება.

• როდის ვიტყუები და ყოველთვის, როცა სიტუაცია მოითხოვს. ზოგჯერ ვამბობ სიმართლეს, ზოგჯერ კი სულაც საჭირო არაა. სერიოზულად კი არასდროს მომიტყუებია და რა ვი, იმედია, გამოვსწორდები. სოფი19.


• ვიტყუები მაშინ, როცა მწარე სიმართლით არ მინდა გული ვატკინო საყვარელ ადამიანებს და თუ ეს ტყუილი ზიანს არ მიაყენებს არავის. თინეიჯერი შინაბერა.



მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ფრცვლი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

საქართველო



1. 36 წლის, დასაოჯახებელ, სულით ლამაზ მანდილოსანს სურს ოჯახის შექმნა. ვისაც სურვილი ექნება გამოეხმაურეთ, მხოლოდ ნამდვილი, ქართველი მამაკაცები.

2. ვარ 18 წლის. მაქვს სურვილი, გავიცნო 19-20 წლის ბიჭი. გამოეხმაურეთ, თვა.

3. გავიცნობდი ნორმალურ და სერიოზულ ადამიანს, 42 წლამდე. ვარ 35 წლის.

4. გამარჯობა მარი, მინდა გავიცნო ჩემი შესაფერისი პიროვნება. ვარ ქმარს გაცილებული და სასურველია, ქვრივი და ბავშვიანიც იყოს. მე ბავშვი არ მყავს. ვარ 26 წლის.

5. ვარ 33 წლის ქალი. ვცხოვრობ ქუთაისში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი მაღალ, სიმპათიურ, სულით ლამაზ მამაკაცს. თუ არსებობს საერთოდ ასეთი...


6. ვარ ქვრივი, 40 წლის, დადებითი პიროვნება, სიმპათიური, მაქვს ბინა, მყავს გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, ყურადღებიან მამაკაცს.

7. ვარ ლამაზი გარეგნობის, 21 წლის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 22-30 წლის,

სიმპათიურ ბიჭს. დაბლები ნუ გამოემხმარებინან.

8. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო სერიოზული მამაკაცი, ვინც გამიგებს, 37-48 წლამდე. მყავს ერთი შვილი. მაქვს ბინა და სამსახური. გასართობად არ შეწუხდეთ.

საქართველო




9. გამოემხმაროს 33 წლამდე ასაკის მანდილოსანი. დავებმარები ფინანსურად.

10. გავიცნობ მარტოხელა, სიმპათიურ მანდილოსანს. ვარ 35 წლის, საკმაოდ სიმპათიური. დანარჩენი პირადად გავარკვიოთ. ბაჩო.

11. ვარ 8 თვის სიმპათიური მამაკაცი. მყავს ჩოჩიალა, კალიასკა და მაქვს ბევრი სათამაშო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 7 თვემდე ასაკის, პატიოსან ქალიშვილს. გიორგი.


საქართველო



12. ვეძებ რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებ თათას. ის მცირე დრო, როცა

გაგიცანი შარშან, საკმარისი იყო, რომ არ დამვიწყებოდი. გახსოვს? მე 24 მაისს ვარ დაბადებული.

საქართველო



● ათენი23, არ გამოგივიდა, პანუ? რა გეგონა სიხ, მაგას ვჭამდი? :-)) აბეზარავ, პატარა ქალო, რა სიხარული ხარ. დედუცი ენაცვალოს ჩემს ეშმაკუნას. დუჩი.

● ნათათოო, ქალი, რავა ხარ? ასე უნდა დაკარგვა? NON STOP, გაბედნიერებას გილოცავ ლიმონ, მიყვარხარ... აპალონ, ჩემი, უსაყვარლესი ძმა ხარ. მოხუცის გაცნობა მინდაა. დუჩი.

● ჩემი ნაკლი ფარულია, ჩემი ხიბლი — მყვირალა, ოცნება მხიარულია, რეალობა — მტირალა. დათო. P.S. ჩემი დევიზია: ლამაზი სული, კეთილი გული და იუმორი — გემოვნებით.

● აქ გაცნობების და სერიოზული ურთიერთობების არ მჯერა, რა... უბრალოდ, ერთობიან. ჯოკონდა.

● აუ, ეს ყურნალი მაგარი დამევასა. ადრე გადაშლილიც არ მქონდა, ისე გამოვუტანე განაჩენი — არ მომწონს! ახლა კი ყველა ნომერს ვკითხულობ. გაიხარეთ, მგზავნელებო. ჯოკონდა.

● ბერბიჭავ, შენმა მესიჯმა მთლად გამიფანტა დარდი, მართლაც რომ კარგი ვინმე ხარ, მაგ ნიჭით შემეყვარდი, ერთგულ მეგობრად მიგიღებ, მეც მიყვარს წერა ლექსის, ხუმრობაც ვიცი, მოლხენაც, ავიც და კარგიც მესმის. სევდიანი ქალი.

● მე შენმა ლექსმა მაცდუნა, ლამაზო ქალო ცდუნებავ, შენი გაცნობა მწადა, ნუ გამიფუჭებ გუნებას, შენი ნომერი მაჩუქე, გამომიკეთე გუნება. სევდიანი ქალი.

● გაიხარე სიკვდილავ, დიდ მადლობას გიხდი გამოხმაურებისთვის. გავიცნოთ ერთმანეთი, დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებ შენთან. სადაური მთიული ხარ? მე გუდამაყრელი ვარ, ჩოხიდან ვარ... შავი პანტერა.

● გაცოცხლებული თოჯინა მეც მომენატრა. ბერბიჭავ და შინაბერავ, თქვენი რითმები მენატრება. ვაა, ნიკას ლამაზმანო, შენ რა მაგარი ყოფილხარ?! მოკითხვა ლუნას. კისკისა. ცნობისათვის, ლუნას უკვე შევეურიგდი. ენიგმასთან ნაჩხუბარი არ ვარ. უბრალოდ, ორივენი კახელები ვართ და არ ვთმობთ. შენს ჯიბრზე შევეურიგდები. ამდენი გესლი საიდან? გრუზინკა. ქალო ცდუნებავ, დაო, უბრალოდ, რითმები დამინუნეს და თქვენს გათბობას ველარ ვახერხებ. მაპატიე! ძალიან მიყვარხართ და გკოცნით ყველას, უსასრულოდ. გაცოცხლებული თოჯინა.

● რატომ მიყვარხართ თუ ვიცოდე, დამექცეს სახლი; რატომ ვწერ შენზე თუ ვიცოდე, გამიხმეს ხელი; ორი სიბი ქვა მიჭირავს და საფეთქლებს ვახლი...

● კუსკუსელა, მადლობა გულთბილი მოკითხვისთვის, მეც მოგიკითხავ სიხარულით. ლიმონ, მაგარი ხარ. გრუზინკა, გაიხარე. კამი, მომენატრე. ჯეჯე, სად ხარ? გენაცვალეთ, გაიხარეთ, იასამანი.

● არ ვიცი, გასაღების კრიტიკა ვისთვის ჯანსაღია და ვისთვის უსამართლო, მაგრამ რელიგიური მრწამსი და ეროვნება ხელშეუხებელი მტრები და მოყვრები მორიგდებიან. ტირიფი73.

● ბერბიჭ, ექსპრომტისთვის დიდიდი მადლობა. ძალიან მომეწონა. გაიხარე. სევდიან ქალს: დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებ შენთან. ენიგმა, გაიხარე, ძალიან კარგი ხარ. იასამანი.

● მარი, დიდ ბოდიშს გიხდის შენ, ყველა მგზავნელს და ჩვენს მკითხველებს, იმ უსიამოვნო მესიჯების გამო, რისი გამოგზავნაც მომიხდა სხვისი გრძელი ენის გამო. „მობილი-ზაცია“ სირცხვილის ასპარეზად იქცა. საშინლად მრცხვენია, იძულების გამო მეც რაღაც წვლილი შევიტანე ამ უმსგავსობაში. როგორ შეიძლება, ასეთი სიბინძურის წერა? ნუთუ ღირსება ასეთი ძვირია?

მსგავსი უპატივცემულობა ერთმანეთის მიმართ დაუშვებელია! ხომ შეიძლება, უბრალოდ, გვიყვარდეს ერთმანეთი? იკუშვები.

● გასაღებო, ჩემი ჩხუბი თუ მოფერება შენნაირი პაიკების გასარჩევი არ არის და ნუ ათამაშებ. გრუზის კი ვკით-

მომმართოთ. ბერბიჭა.

● ქალო ცდუნებავ, დაი, რაღაც არ მახსოვს, ბერბიჭას ლუნასთვის სიყვარული აეხსნას... და მაინც, ასე რომ იყოს, შენ რატომ უნდა იეჭვიანო, დაიკო? სევდიან ქალს პაჩი. ლუნა.

● გასაღებო, რას იზამ?



ხავ: მე არსად მითქვამს და გასაღებმა საიდან იცის ჩვენი ვითომ ჩხუბის ამბავი? რაც შეეხება მეგობრად არჩევას, ასეთ არჩევნებში კენჭი არ მიყრია, რადგან მეგობრობა სულის საკითხია. P.S. მეგობრებს მოგიკითხავთ. ენიგმა.

● ქალო ცდუნებავ, გავოცდი, ეჭვი არ მიყვარს, დამალე! მე ვუხსნი ლუნას სიყვარულს? სად? როდის? რატომ მაბრალებ? არა ნუ, ამ მხურვალე გულს ეჭვებით დაასამარებთ. ბერბიჭა.


● გაუჭირდება ვითომ ბერბიჭას, ლექსის რითმათა მონოპოლია? დავლოცავ „გზაში“ შენს მობრძანებას, ამ სერენადით, ჩემო თოლიავ. P.S. ასეთი თხოვნით აღარ

ბევრი ბოროტი ადამიანია ამქვეყნად... თუმცა, მე ადამიანებს არ ვკარგავ. ბექა, მე უკვე გითხარი სათქმელი და ნულარ იწუხებ თავს. ლუნა.

● ვიცი ლუნა სიხარულო, მეც ყველანაირ შოკოლადს ვჭამ, თუნდაც — მწარეს. მაგიტომაც ვარ შოკოლადა. ყველანი კარგები ხართ, რა გაჩხუბებთ, არ მესმის. გაიხარეეთ.

● ყველას დიდი მადლობა, ვინც გვერდით დამიდგა. ასევე მათაც, ვისაც ვახსოვარ და ვუყვარვარ. მეც ძალიან მიყვარხართ. გკოცნით, მუდამ თქვენი ლორელაი.

● ტირიფო, სიკვდილ, ელექტრა, აე! იკუშვები, გასაღებო, ბოა, ლიმონ, თანად-



გომისთვის დიდი მადლობა. იკა ბიძია,

● ძალიან მიყვარხარ. ლანკა, ლელუ, ილინ, აპოლონ, გკოცნით. ლორელაი.

● მოვიკითხავ ყველას. განსაკუთრებით მათ, ვინც ჩემდამი დადებითად განწყობილია და ვისაც არ ვევალები, ჯომოლუნგმადან გამოექანოს! დათო. P.S. ლუნა, რას გულისხმობ?

● ენიგმა, რა არ მოგეწონა ჩემში? აბა, ყველაფერი ასე ყოფილიყო, როგორც გასურდა, აღარ ნახვიდოდი. მალე მაინც გათენდეს, რითი მჯობია ის ღლაპი? ინანებ და იქნება გვიან. გესმის?

● კუსკუსელა და თოლია, გაიხარეთ, მეგობრებო! კაჭკაჭო, მომენატრე. კამი, უმაგრესად მიყვარხარ! მოხუცო და გრუზი, თქვენც მიყვარხართ! ტირიფო, უამრავი გაკოცე. ლუნა. მოხვედი და გაგვახარე ჩემო თოლიაა, ეს რა მართლა საყვარელი ნიკი გქონიაა.. სესი, გამოჩნდი, რაა... უუუ... აუ, მოვიჭყინე... მანიუმ ნააგო, ლა ჩუდათ ვააალ... ლიმონა.

● ვოჰოჰოჰო, იდუმალო ქალო, ლემონჯავა ხარ გვარად, ხომ? გვენათაღე თენაა. დუუჩ, ჩემი სიხარული ხარ, სიცოცხლევე. მიყვარხარ, სიხუ. ბოა, ნიკოლ, ბაო, მომენატრეთ. ბელ, მჰუაჰ. ლიმონა.

● „სულ ცოტა ხანში კიდევ რამდენიმე ათასი ღირსეული აბიტურიენტი შეემატება სტუდენტთა რიგებს. ჰოდა, დაუნერელი რჩევები „დამწყებ“ სტუდენტებს, უკვე სტაჟიანი სტუდენტისგან:

1. „უნივერსი“ რომ შეხვალ, ეგრევე ნუ დაიწყებ შენი გენიოსობის გამოვლენას. ჩუმადა და წყნარად იყავი მანამ, სანამ არ იგრძნობ, რომ შენი მოქმედების ჟამი დადგა.

2. როცა იგრძნობ, რომ ჰაერში უხერხული სიტუაციის სუნი ტრიალებს, რა გამოგად-

გება? რა თქმა უნდა, ღიმილი, არაფრისმთქმელი სიტყვების ნაცვლად.

3. მაგრამ როცა ხედავ, რომ დგება აუცილებლობა იმისა, ღიმილს თან რამე სიტყვები მიაყოლო, არ შეშინდე, დამშვიდდი და ღიმილით უთხარი „რატომ გინდა იცოდე ეს?“

4. გამოცდაზე სანამ ბილეთს აიღებ, თხასავით წინ ნუ გახტები. დაჯექი და მოიფიქრე, თუ რამე იცი. თუ არაფერი არ იცი, ბუზები მაინც დაითვალე. გახსოვდეს, თვით ლუარსაბ თათქარიძეც კი ბუზებს ითვლიდა. ლიმონა.

5. ღმერთი არ გაგიწერეს და არაფერზე წამოგცდეს, არ ვიცით. რაც არ იცი, იმას უშენოდაც კარგად გაიგებენ.

6. ნურც ჯორზე შეჯდები და ნუ დაიჟინებ, ყველაფერი ვიცით. ყველაფერი მარტო ღმერთმა იცის, იცოდა და ეცოდინება.

● როკო (ვერმახტი), იციი, დამალული არც არაფერი რჩებაო და მეც მინდა გითხრა, რომ შენი ნახვის შემდეგ თავი პატარა ბავშვი მგონია. რალაცნაირი ხარ, სიტყვები არ მყოფნის — საყვარლობა.

● შენი მზერა, შენი სუნთქვა, სიახლოვე და სიშორე, ეს ჩემშია... მე არაფერი მესმის, მე არაფერი მინახავს, მე რა? მე რა შუაში ვარ? უნდობლობა, სულელური კითხვები, შეხვედრის მოლოდინში დათვლილი წამებიც კი, ეს ყველაფერი არაფერია? მე არა მგონი, არაფერს ვმალავ, ვჩუმდები. მაგნე.

● გამარჯობა მარი... არც ვიცი, რა მოგწერო, არ ვიცი, თემა რა გაქვს, ვინაიდან ახლა საზღვარგარეთ ვარ. თან, პირველად გწერ. დღეს ვკითხულობდი 1 წლის წინანდელ „გზავნილებს“, ლამის დავიზებირე და უცებ, ძალიან მომიხდა, მომეწერა და მეთქვა, რომ ძალიან მიყვარხარ, ძა-

ლიან მაგარი ხარ და ალბათ ამ ეტაპზე რასაც ვინატრებდი, შენი გაცნობაა... წავედი ახლა და თუ გინდა, დამბლოკე მარ, მაინც ვერ გავიგებ, დამიბეჭდავ თუ არა... და თუ მართლა გინდა, რომ ათასობით კილომეტრზე ერთი ნალვლიანი ქართველის გული გაახარო, მომწერე, დაბეჭდვაზე მეტად გამახარებ. აბა, წარმატებები და ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს შენი თავი. ბუზი.


● მარ, როგორ ხარ? მომენატრე. ჩემი მესიჯი რომ არ იყო „გზაში“, გულმა არ მომიტმინა და ისევ მოგწერე.

● გამარჯობა მარი, როგორ ხარ? ახლა ათენიდან გწერ. ადრეც ვამესიჯებდი, მაგრამ რალაც მიზეზების გამო ვეღარ მოგწერე. მოვიკითხავ ლიმონას, თუ რა თქმა უნდა, ვახსოვარ და კიდევ, ნაცნობ და უცნობ მგზავნილებს. მარი, დიდი ხანია, არ მომიწერია და მაგრად გამიხარდება, თუ დამიბეჭდავ. კობრა.

● ზედმეტი მოფერება და სიყვარული წყენს თურმე ადამიანს. პოპულარობა თავში ავარდნით და ძირს დანარცხებით მთავრდება, ხშირად. ასე სჭირს ბევრს, როგორც ვატყობ. ამიტომ, „ძალიან მაგრებო“, ფრთხილად! ასტერი.

● ბერბიჭ, ოზონი რომ ჟანგბადი არაა? ერთი ვიცოდე, როგორ სუნთქავ? ასე მალლა ნუ დაფრინავ, თორემ ჩამოვარდები. ჰი... ჰი... ჰი...

● მე თვალს დავხუჭავ და ვიოცნებებ, გავისეირნებ გზის ბილიკებზე, გავუვლი ჩემს ძმას, მოხუც მებალეს, ვესაუბრები ჩვენს ცხოვრებაზე. ისევ შევუვლი მე გზად ლიმონას, ჩემს გულისტკივილს გავუზიარებ, შემეგებება ჩემი გრუზინკა და დამიამებს წლების იარებს. ჩავივლი ბილიკს და იქ დამხვდება ბერბიჭა, ლალად ხელებგაშლილი, მე კი ნაწყენი და გულნატკენი, გადავხვევი ნერვებაშლილი. სხვებს რომ გულს უშლის და აიმედებს, ჩემზე არ ფიქრობს, სხვას უწერს ლექსებს, მზის სხივს აბნელებს ჩემს ცხოვრებაში, ყოველ ხუთშაბათს ატირებს ვერხვებს. ირმა 91-ს ვიღებ სასტავში, მობრძანდი დაო, ღია მაქვს კარი, მე თქვენთან ყოფნა როგორ მნადია, ნეტავ იცოდე, მერწმუნე მარი. სანამ ოცნების შუქი ჩაქრება, მოვიინახულებ იდუმალ



ყველაფერი ვენიცლოთქმის
მამოცვას!

ქალსაც, „გზის“ ბილიკებში ყველას ვენევი, არ ვანყენინებ არავის სხვასაც. მე თვალს ავახელ, აი, მზის სხივიც ჩვენს ფანჯარასთან ამობრწყინდება და ჩვენი მარი, „გზის“ დედოფალი, ხუთშაბათ დილას მოგვევლინება. ქალი ცდუნება.


● ლაშა გვარამაძე, საქართველოში რომ ნახვედი და არ გაგვაგებინე, მაგრად გაგვიტყდა. კერასინზე ქეიფი არ ჯობდა? გიო და სულო.

● მარი, ჩემო კარგო, ძალიან გთხოვ, ბერბიჭას და სიკვდილას ტელეფონის ნომრები მინდა და თუ შეგიძლია, მომცე, თუ არა და, როგორ გავიგო, მირჩიე, ძალიან გთხოვ. წინასწარ დიდი მადლობა.

● ლიმონ, დედით ქართლელი ვარ და მამით დუშელი (ქართლ-ოსი). ბახტრიონზე დაბადებულ-გაზრდილი სესტრა. ამჟამად ბათუმში ვიმყოფები, საქმიანი ქალის როლს ვთამაშობ. რომ ჩამოვალ, ჩაგეხუტები, იმედია. ქალი ცდუნება.

● მარ, მე ახალი ვარ. იმედია, თქვენს სასტავში შემომიშვებთ. დღეს დაბადების დღე მაქვს. 1995-იანი.

საქართველო



● მამუკა, მიყვარხარ. არ ვიცი, როგორ გავძლებ უშენოდ. ყველაფერი აზრს დაკარგავს. კიდევ 2 თვე დამრჩა. ნეტავ განახავ, ოდესმე? ამ ქვეყნად ჩემთვის შენ ერთი ხარ, ათასი ქვეყნად. შენი ბაჭია.

● მ-თვარიან ლამეს, შენზე ფიქრმა იმეფა გულში, ცრემლმაც თავისით გზები მოძებნა, ი-ის სურნელი შენს თავს მახსენებს და შენით ცოცხლობს ყველა ოცნება.

რ-ადგან სურს ასე არსებას ჩემხას, რადგან ვმოქმედებ გულის კარნახით,

ა-მ სილამაზეს მე ქედს მოვუხრი და მოწინებით თავს დაბლა დავხრი.

ნ-იმფა ხარ წყალთა, სიცილი ყვავილთ, ლალი, ნარნარი, ეშმაკი კარის,


დ-ა ამ ყველაფერს გვირგვინი ხურავს, დამტყვევებელი ღიმილი ქალის,

ა-მურის ისრით გულდაკოდილი, შენი ღიმილი მხვდება მალამოდ,

ა-მ გრძნობისათვის ღირდა სიცოცხლე, რადგან მიყვარხარ დაუსაბამოდ.

ჯოკერ.

ბილიკები



● ალე, 3 ივნისს შენი დაბადების დღეა. გილოცავ, სიხ. ეს თარიღი ჩემთვის ლამაზი და დაუვინყარი იქნება მუდამ. მინდა, ბედნიერი გნახო. ღმერთმა დაგლოცოს. შენი თათ!

● ბალდათის რაიონში, წითელხევში, ერეკლე ნიორაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს და გაბედნიერებას. სიხარული, სიყვარული იყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. გფარავდეთ უფალი. იზო, მზია, ელზა, შორენა.

● ელენიკო ნანობაშვილს ვულოცავ ელენობას და ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. შენი დედიკო.

● ზვიად და ხათუნა ბოჭორიშვილებს ვულოცავ გაბედნიერებას. ზღვა სიყვარული და სიხარული არ მოგაკლოთ ღმერთმა. მაია ლომიძე.

● ნინო კუჭიაშვილს ვულოცავთ შვილის გაბედნიერებას. ვუსურვებთ ლამაზ სიყვარულს და გამრავლებას. ულოცავენ მეგობრები, ათენიდან.

● ჩვენს უსაყვარლეს ადამიანებს, ლორეტას და ლევანს ვულოცავთ გაბედნიერებას. სულ გახარებულები, გამრავლებულები, ბედნიერები და გაბრწყინებულები მენახეთ, ორივე. დეიდები, მზია და ნელი, დეიდაშვილი, ლირა სანაია.

● 4 ივნისს დაბადებულ

ლევან სანაიას ვულოცავთ 16 წლის შესრულებას. სულ ჯანმრთელი, გახარებული და ბედნიერი გვენახე. ბედნიერებათა შორის ბედნიერებას გისურვებთ, ჩვენო სიხარულო. ღვთის წყალობა და მადლი არ მოგკლებოდეს. დედიკო მზია და შენი დაიკო, ლირა სანაია.

● ქუთაისში, კერძოდ, ავანგარდში მცხოვრებ კობას და ხათუნას ვულოცავთ პატარა ვაჟკაცის დაბადებას. ღმერთმა გაგიზარდოთ. რაც მთავარია, თქვენი გული გაეხარებინოს. პატარავ, გფარავდეს უფალი. ბიცოლა მზია და ბიძაშვილი, ლირა სანაია.

● ჩემს საყვარელ და მონატრებულ ცირა გედევანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი. ნათელა ბაზუაშვილი.

● დაბადების დღეს ვულოცავ ბაბულაშვილ თამროს. ღმერთი გფარავდეს. ნათელა.

● 5 ივნისს, დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ტყუპისცალ ძმას, — იური ბარამიძეს და მაზლს, — გივი ქისტაურს. გისურვებთ ჯანმრთელობას და უღვევ სიხარულს. მზია.

● ჩემო სიცოცხლე, სიხარულო და ჩემი ცხოვრების იმედო, დედის ერთო შვილო, ბესიკი ავალიშვილო, 8 ივნისს გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, შენი ცოლ-შვილით. უფალი იყოს შენი მფარველი. გწერ ახლა და თვალები ცრემლებით მევსება, ისე მინდა შენს გვერდით ყოფნა. გკოცნის შენი მონატრებული დედა.


● 1 ივნისს დაბადების დღეს გილოცავ, აჩი. ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას გისურვებ ჩემთან ერთად, სიხარულო. მენატრები და მიყვარხარ სიგიჟემდე. შენი უ..თ.

● ჩვენს საყვარელ რძალს, მადონა ქველიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ

მამსურს ამის შთაბრუნებელი მომცეს
ვაშკინებამდე ვაცხვივო.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



მიდით ბიჭებო, ზურგს მე გაგიმავრებთ...

vasi.net

ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას. გფარავდეს უფალი. ლალი, ნინო და ედიკა.

- ნათია გორგოძეს ვულოცავ 31 მაისს, დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და უღრეს სიყვარულს. გფარავდეს უფალი. დიდი სიყვარულით, ძაკო.

- ხარაგაულში დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ დედას და მამას, ბებოს და ბაბუას, მედეა და გივი ლოლაძეებს. გისურვებთ ჟანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ლია და მაკა ლოლაძეები.

- ტყიბულში ირმა გოგილიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს. ფიქრია.

- ჩემს საყვარელ ნათლულს, ნინო ხმელიძეს ვულოცავ ნინოობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მიყვარხარ და გეფერები. დარეჯან ნათლია.

- საყვარელ დედა-შვილს და ნათლულს, შორენა და ვასო ლებანიძეებს ვულოცავ დაბადების დღეს და ნინოობის ბრწყინვალე დღესასწაულს. დარეჯანი.

- თამთა ბერაიას ვულოცავ დაბადების დღეს, 28 მაისს. სულ ბედნიერი და გახარებული იყავი, ჩემო ანგელოზო.

- მაგდა ბაჯელიძე, გილოცავ 4 ივნისს, შენსავით ღამაზ დღეს. გისურვებ კარგ ბავშვობას და საუკეთესო მომავალს. ნიკოლეტა.

- ნესტან ტვილდიანს ვულოცავ შვილის, მაგდას დაბადების დღეს და ვუსურვებ საუკეთესო წლებს. ნესტან, მიყვარხარ და გაფასებ. ნინი.

- ნესტან, შენ ახლა ჩემგან ძალიან შორს ხარ, ხმას ვერ მოგანვდენ, თუნდაც ვიყვირო, ჰოდა ნიავემა თუ კი გაკოცა, ჩემგან იქნება, არ გაიკვირო. მპა. ვერო.



თუ დილით ცალი ამ ვულოცავს, მამ, ვუძინ ყამუი დღე გქონია.

ფოტო, როგორც ნაწარმო დაკარგა

● — „დამეხმარე, სისხარულოო...
— ააა, ახლა გავხდი სისხარულიიიი?“
ჩუპი.

● — „რას აკეთებ, ქალო, მანდა?
— მიშველე, ფიცხელ, ვილუბები.
— რა ვენა, რა გიყო, ვერ უყურებ, აქეთა ვარ საშველი“. ცალთვალა მგელი.

● „ინგა: — დედას გაფიცებ, კუკარაჩა, მიშველეს

კუკარაჩა: — მურტალომ გიშველოს!
ეპილოგი: შვიდჯერ გამოუნია სვენწით ყელი იმ ავბედით დღეს ინგამ კუკარაჩას და შვიდჯერვე გაატარა კუკარაჩამ. მეორე დღეს კი მდინარემ გამოორიყა მათი სხეულები, მაგრამ ვიდეოპატრულს მათთვის აღარ ეცალა, რადგან ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციამ ვერაგული უბირთვულ-უატომ-ბეისბოლისბიტანი საპროტესტო აქციები წამოიწყო“. ენიგმა.



● „გოგო: მე სიცოცხლე აღარ მინდა, ნუ მიშველი, გამეცალეს!

პატრული: ცურვა მაინც არ ვიცი და ხსოვნა იყოს, გენაცვალე“. ბერბიჭა.

● „ქალი: მიშველე, პატრული ბიძია, გთხოვოვ.

კაცი: შენ რა გიშველო, ბიძია, თავად საშველი და დასახმარებელი ვარ“. შოკოლადა.

● „მკვდარი მკვდარს ეკიდებოდაო“. შოკოლადა.

● „გალმით შენა ხარ, გამოღმით მე, შუაში სარის ლობუო“. გრუზინკა.

● „ტყუალად მიწვი მაგ ტალახთან ხელეხს. ვერ ხედავ, ხელები სუფთა მაქვს. ნუ, სინდისზე ნუ ვიდავებთ, კარგი?“ გრუზინკა.

● „შენა, შენა, რას მიპარტყავ ხელებსა“. გრუზინკა.

● „არ ვიცი ცურვა, ვერ ხედავ, ჩემი თავისთვის ვერ მიშველია და ნაპირზე ვერ გამოვსულვარ. შენი მშველელი ვარ?“ გრუზინკა.

● — „მიშველე, ფიცხელ, ვილუბები.
— გიშველო რა, წრუნუნა კი არა ვარ, პატრული ვარ“. ჩუმლაყელი.

● — „პატრულო, ჩემო მშველელო, ასეთ დროს სანატრებელი, მთელი თბილისის ქუჩების გულის გამხარებელი.

— შემეგებეთ ღიმილით, სიცილით“.

● „რა ვენა ნეტავ, რა სიკვდილი, რა გიყო, ჩემი გული დარდით ორად გაიპო. დავგრეხ ბანარს და გიშველი, მაიკო, ნუ კივი, მეიცადე, რა იყო“. ლიმონა.

● — „მიშველეს!
— მოდი და გიშველი“.

● — „მიშველეთ!
— რა გიშველო, მეც ჩემი გამჭირვებია“. ანუკიები.

● — „მიშველე, ბიძიაააა...
— ბიძია კი არა, სიცოცხლე დამიძახე, თორემ მიგაიგნორებ“. დათო.

● — „პატრულო, მალე მიშველე, სანამ ჩამძირა ტალახმა.

— ვეცდები, მაგრამ ვაი თუ, თავისთან გიხმო ალაჰმა?“ დათო.

● — „სადამდე, გოგონი?!
— მკვრდამდე, მე მგონი“ დათო.

● — „დამეხმარე“ პატრულო, რას გაშალე ხელი?

ჩქარა, შევლა მჭირდება, გადმომიგდე რგოლი.

— შენს საშველად წამოსულს, ამერია გზები,

ახლა თვითონ მინდა შევლა, ვილუბები, მგონიიი“ ლიკუნა.

● — „მიშველე, ჯოო, ვილუბები“— პუპი.

● „ბიჭი: შენი სიყვარულით ვინვი, გადავეში ამ ცივ წყალში, შენამდე ვერ გამოვცურე, ლობე დამხვდა შუა გზაში.

გოგო: შენმა ლალატმა, ძვირფასო, სულ



ამომსვარა ლაფში, იქნებ გადმოძვრე ლობეზე და წამიყვანო სახლში, ხელგამონვდილი შევლას გთხოვ და ნუ დამტოვებ გზაში“.

● „გოგო: მე ის თამრო აღარა ვარ, მაგრამ მაინც, ბიძია, დამეხმარე, სანამ მოვა ჩვენი ტელევიზია“.

● „პატრული: არ მომიპარავს, მიპოვია, ახლა ჩემია, ახალი თამროს სიყვარული ოპ, რა ძნელია. ამ მდინაროს ხმა ჩემს ყურებში ტკბილად ზუზუნებს, გადაგარჩენ და ჩემს ბაითში წაგაცუნცუნებ“. ბერბიჭა.

● „და როცა მდინაროს მორევში ვვარდები, პატრულო, საშველად ნუ დაგვიანდები, ვისზედაც მიტხარით, ჩავუში მაშინვე, კვლავ ხელი მომხვიეთ, კვლავ გადამარჩინეთ“. ლიმონა.

ამას წინათ გადავწყვიტე, სატელეფონო მინიგამოკითხვა ჩამეტარებინა. ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც რალაცის შეცვლა უნდება — ჩვეულებრივი ყოველდღიურობიდან გაქცევა, ზღვის ტალღებზე ქროლვა, გრძნობებისთვის თავისუფლების მინიჭება ან ახალ სასიყვარულო რომანში თავით გადაშვება. მაგალითად, კრისტიან დიორმა უამრავი პროფესია გამოიცვალა, 42 წლის ასაკში ტანსამოსის პირველი კოლექცია შექმნა და ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კუტიურიედ გადაიქცა. ბერნარდ ვერბერმა 7 წელი ჟურნალ „ნუველ ობსერვატორში“ იმუშავა. შემდეგ სამსახური მიატოვა და სცენარისტების უმაღლეს სკოლაში შევიდა. მისი პირველივე წიგნი — „ჭიანჭველები“, მსოფლიო ბესტსელერად იქცა. თქვენ თუ გსურთ რაიმეს შეცვლა საკუთარ ცხოვრებაში? სწორედ ეს კითხვა დავუსვი ალაღბებულ ამორჩეულ რესპონდენტებს.

ხას მეცსკდილი ჩემს ცხოვრებაში



მარიამი, 41 წლის, ექ-
თანი:

ყოველ დილით ვუყურებ ფანჯრიდან კორტებს, რომელიც ჩემი სახლის წინაა და გული მწყდება, რადგან მთელი ბავშვობა ვოცნებობდი, ჩოგბურთელი ვყოფილიყავი. წლები გავიდა, ერთი შვილი გავზარდე, კარგი სამსახურიც მაქვს, მაგრამ ვერა და ვერ ვიყიდე ჩოგანი, რომ ჩოგბურთის თამაშით გულის ჭია მაინც გავახარო. ჩემს ცხოვრებაში სწორედ ამ კუთხით შევიტანდი ცვლილებას. ჩოგბურთის დედოფალი გავხდებოდი.

ელენე, 50 წლის, ბუღალ-
ტერი:

ძალიან მინდა, რომ ერთ დილით 30 წლით ახალგაზრ-
დამ, მეგობრების გარემოცვაში გავიღვიძო, ისევ სტუდენტი ვიყო და ყველაფერი თავიდან დავიწყო. ეს რომ ამიხდეს, სულ სხვანაირად ვიცხოვრებდი და ყოველ წუთსა და დღეს მაქსი-
მალურად გამოვიყენებდი.

მანანა, 29 წლის, ბანკის
თანამშრომელი:

მესამედ გავთხოვდებოდი. ერთმა ესპანელმა ბიზნესმენმა ცოლობა მთხოვა და მითხრა,

რომ თუ მის წინადადებას დავთანხმდები, ჩემს ანგარიშ-
ზე ნახევარ მილიონ ევროს დადებს.

ნატო, 49 წლის, მთავარი
ბუღალტერი:

ერთი დანგრეული ავტო-
მობილი მყავს და რომ შემეძ-
ლოს, ახალს შევიძენდი. კიდევ,
სადმე, ქალაქგარეთ კერძო სა-
ხლს ავიშენებდი და ჩემთვის,
ცალკე ვიცხოვრებდი.

ზანო, 39 წლის, მშენებე-
ლი:

მინდა, სულიერი სიმშვიდე
მოვიპოვო. ახლა ცოლთან
განქორწინებული ვარ. ერთად
10 წელზე მეტი ვიცხოვრეთ,
2 შვილი გვყავს, მაგრამ ბედ-
ნიერები არ ვართ. ვოცნებობ
საკუთარ სახლზე, სადაც ჩემი
საყვარელი ცოლ-შვილი იც-
ხოვრებს და საღამოობით,
სამსახურიდან დაბრუნებულს
ოჯახური სიმყუდროვე და
სიყვარულით სავსე ადამიანე-
ბი დამხვდებიან.

მამუკა, 40 წლის, „მარშ-
რუტკის“ მძღოლი:

დღეში 18 საათს ვმუშაობ,
მთელი დღის განმავლობაში
ათას ადამიანთან მაქვს ურ-
თიერთობა და ძალიან დავილა-
ლე. დავისვენებდი სადმე, კარგ
კურორტზე, სადაც მაგარი
ნაშები იქნებოდა. ან დიდი სია-
მოვნებით მივატოვებდი სამსა-
ხურს, წავიდოდი სოფელში და
მინათმოქმედებასა და მესაქონ-
ლეობას მივყოფდი ხელს.

ნინო, 38 წლის, დიასახ-
ლისი:

უკვე 17 წელია, ქირით
ვცხოვრობ და ერთი მისამარ-
თიდან მეორეზე გადავდივარ.
ძალიან მინდა, ჩემი ბინა მქონ-
დეს და სულ ჩემოდნებით არ
დავდიოდე აქეთ-იქით.

ბურაბი, 42 წლის, სატ-
რანსპორტო კომპანიის თა-
ნამშრომელი:

რამდენიმე წლის წინ უწმინ-
დესი გავიცანი და ვესაუბრე.
ამან ჩემს ცხოვრებაზე უზარ-
მაზარი გავლენა მოახდინა და
სულ სხვა ადამიანად ვიქეცი.
ალარ ვსვამ, არ ვენევი და
ტყუილსაც ალარ ვამბობ.

გალინა, 42 წლის, დი-
ზაინერი:

ძალიან მინდა, კარგ მამა-
კაცს შევხვდე, რომელიც ის-
ეთს შემეყვარებს და მიმიღებს,
როგორც ვარ. თუ მოახერხე
და რომელიმე ადამიანისთვის
ახლობელი გახდი, ტყუილად
არ გიცხოვრია.

ნატა, 34 წლის, დიასახ-
ლისი:

მე მთავრობას შევცვლიდი,
დიდი სიამოვნებით. ალარ
მინდა ეს მიტინგები და არუ-
ლობა. ჯადოსნური ჯოხი
რომ მქონდეს, მოვიქნევი,
მიშას გავაქრობდი და კარგ
პრეზიდენტს მოვიყვანდი.
ისეთს, საქართველოზე და
ხალხზე მართლა რომ შესტი-
ვა გული.

ჩა უმჯობეს ხედავ ბასუქობას?

დილით ადრე დგები და ცოცხალი ბოსტნეულის სალათას მიირთმევ, სამსახურში მიდიხარ, ხილის წვენს სვამ და კომპიუტერს მიუჯდები. შინ დაბრუნებული კი ტელევიზორთან წამოწვები და საყვარელ გადაცემას უყურებ. თითქოს ამ ჩამონათვალში არც შემწვარი კარტოფილია და არც სხვა, კალორიული პროდუქტი, მაგრამ მოუხედავად ამისა, მაინც სუქდები. სინამდვილეში კი ჭარბი წონა კვების კი არა, ქვემოთ მოყვანილი 10 მიზეზის ბრალია.



მასში 452 კალორიაა, სენდვიჩში — 375.

1. ელექტრონული ფოსტა

თუ კოლეგებს, რომლებიც გვერდით ოთახში სხედან, ელექტრონული ფოსტით ან „სკაიპით“ ეკონტაქტები ან უკეთეს შემთხვევაში — ტელეფონით, მაშინ რატომ გიკვირს, რომ წონაში იმატებ? გეზარება, ადგე და მათ ოთახამდე მიხვიდე? მაშ, მზად იყავი საიმისოდ, რომ ყოველ წელს, მარტო ამ მიზეზით, 2 კილოგრამს მოიმატებ.

2. ზაქრის სალონური ზომცვლელი

იმისათვის, რომ გახდე, შეაქარზე უარი თქვი და მხოლოდ მის შემცველს იყენებ? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს აბები ორგანიზმს კალორიების სწორად მიღებას გადააჩვევს ხოლმე. ასე რომ, შესაძლოა, მასზე უარის თქმამ მოგიწიოს.

3. პასტიციდაზი

უკვე დიდი ხანია, აღარ იღებ ცხიმთან და კალორიულ საკვებს და მხოლოდ ბოსტნეულით იკვებები, მაგრამ სასწორის ისარი მაინც ზევით-ზევით მიიწევს? ამის მიზეზი სწორედ შენ მიერ მიერთმეულ სალათაში უნდა ეძიო. საქმე ის გახლავთ, რომ ჭუჭყიან ბოსტნეულში უამრავი პესტიციდია, რომელიც ბოსტნეულისთვის მავნე ორგანიზმების გასანადგურებლადაა საჭირო. თუ პესტიციდებს მწერების განადგურება შეუძლია, საეჭვოა, მათ შენს ორგანიზმზე სასარგებლო გავლენის მოხდენა შეეძლოს. ბოსტნეული კარგად და გულდასმით უნდა გარეცხო და უმჯობესი იქნება, თუ მდულარეს გადაავლებ.

4. ხილის წვენი

ფრუქტოზის შემცველი წვენები მადას ამცირებს, დანაყრების შეგრძნებას იწვევს და ორგანიზმს ატყუებს. თუმცა, ორგანიზმს სიცოცხლისთვის საჭირო ნივთიერებები მაინც სჭირდება. უმჯობესი იქნება ცოცხალი ხილის ჭამა, ვიდრე წვენის სმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საღამოს ორგანიზმი დაუძლურებული იქნება და რასაც შეჭამ, ყველაფერი შეგერგება.

5. ფასტფუდის სალათაზი

თუ „მაკდონალდსში“ შეიარე და მხოლოდ სალათა შეჭამე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კალორიები არ მიგიღია. თავს ნუ მოიტყუებ, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ფასტფუდის სალათები ჰამბურგერზე გაცილებით კალორიულია.

6. ტალავიზორი

თურმე ტელევიზორი მხოლოდ მხედველობას კი არა, აღნაგობასაც აფუჭებს. დიახ, დიახ, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ტელევიზორის ყურება გაცილებით მავნებელია, ვიდრე გაუნძრევლად ჯდომა. თურმე ტელევიზორის ყურებისას, სისხლის წნევა და ნივთიერებათა ცვლის სიჩქარე ისე ეცემა, რომ 1 საათის განმავლობაში მხოლოდ 30-40 კალორია იწვება.

7. ცხიმი მარგაზალია?

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითია, რომ ცხიმი ასუქებს. სინამდვილეში ეს ასე არ გახლავთ. მაგალითად, ავოკადოც ცხიმს შეიცავს და ის ჩვენი ორგანიზმისთვის აუცილებელია. ამასთან, ავოკადოს ცხიმი შენს წონაზე გავლენას არ ახდენს.

8. ზავი პური

თეთრ პურზე უარის თქმა, შავის სასარგებლოდ, სწორი ქმედება სულაც არ ყოფილა. თურმე სასარგებლო მხოლოდ დაღერლილი პური გახლავთ. ყველა დანარჩენი სახეობის პური ასუქებს.


9. უძილო ღამეა

ღამე, რაღა თქმა უნდა, ყველაზე სასიამოვნო მონაკვეთია. სამსახურიდან აღარავინ შეგანუხებს, ოჯახის წევრებს უკვე სძინავთ და ახლა შეგიძლია, კომპიუტერს მიუჯდე ან ჟურნალი წაიკითხო. უმჯობესია, ადრე დაიძინო, რადგან უძილობა და გადაღლილობა მეტაბოლიზმს არღვევს, რაც ჭარბი წონის წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზია.

10. პარტნიორი

თუ შეყვარებული ხარ და გადანყვებილი გაქვს, ბედი საყვარელ ადამიანს დაუკავშირო, მაშინ ფიგურაზე ფიქრის დრო არაა. თანაც, ოჯახში ყველაფრის ერთად კეთება და საქმის თანაბრად განაწილება სჯობს, საკვების — არა. მეტი ულუფა მას დაუთმე.

„სევდიანი იყო მეუღლის გამო. მათი შესვედრის შესახებ მიყვებოდა“



ვასო გოძიაშვილის ეს ფოტო 1973 წელს, ავლაბარში, აზატ მანუკიანის ფოტოსახელოსნოშია გადაღებული. დაქვრივებულ არტისტს ფოტოგრაფთან გარდაცვლილი მეუღლის სურათი გასაადიდებლად მიუტანია, ფოტოგრაფმა კი საქვეყნოდ ცნობილი მსახიობის ფოტოფირზე აღბეჭდვის შესაძლებლობა არ გაუშვა ხელიდან. „სევდიანი იყო მეუღლის გამო. მათი შესვედრის შესახებ მიყვებოდა. ძალიან უყვარდა ცოლი. მცირე ზომის, გულის ჯიბით სატარებელი სურათის დამზადებაც მთხოვა, რათა გარდაცვლილი მეუღლის ფოტო სულ თან ჰქონოდა. ცოტათი რომ გავუშინაურდი, ფოტოსურათის გადაღება შევთავაზებ, მინდოდა, ჩემს სალონში ასეთი გამოჩენილი ადამიანის ფოტო მქონოდა. ფოტოც გადაიღო და ჩემს წიგნზე მინანქარიც გამიკეთა: „შესანიშნავი ოსტატია და შესანიშნავი ახალგაზრდა. არც შეიძლება სხვანაირად. მას უყვარს, თავიანთ სცემს ხელოვნებას და პატივს სცემს მსახიობს, მაშასადამე, იგი კეთილი კაცია“. ამ ამბის შემდეგ დაემეგობრდით და ხშირად მეპატიჟებოდა თეატრში, თავის სპექტაკლებზე. დღემდე ვინახავ მისი სპექტაკლების მოსანვევებს“, — იხსენებს აზატ მანუკიანი.

ვასო გოძიაშვილის პირველი მეუღლე გამოჩენილი მსახიობი, სესილია თაყაიშვილი გახლდათ. სესილიასთან განშორების შემდეგ, ვასო გოძიაშვილმა პიანისტ ქალბატონზე, ევგენია აგაბეკოვაზე იქორწინა. „ისინი ხშირად გამოდიოდნენ ერთად სცენაზე — ვასო მღეროდა, მეუღლე კი აკომპანემენტს უკეთებდა. ევგენია მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, საფლავზე კი როიალი დაუდგეს. მას შემდეგ ხშირად მინახავს ვასო ცოლის საფლავზე, სევდიანი და მწუხარე“, — იხსენებს მსახიობი ნინო ჩხეიძე.

ნაბი ტუნიშვილი



რიჩარდ III



ლუარსაბ თათქარიძე



პველი ვოლდე-ილბი

საქმე №9997 — „მე რომ ესე ვეცემე, ვაღიარებდი, რომ სიამის ჯაშუში ვარ“



გასული საუკუნის 20-30-იან წლებში მიხეილ ჯავახიშვილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი დისიდენტი მწერალი იყო. საბჭოთა წყობილება მან ვერც პიროვნულად მიიღო და ვერც შემოქმედებაში შეასხა ხოტბა. ერთხელ თურმე იგოეთის კომუნაზე უნდა დაენერა ნარკვევი, მაგრამ ვერ შეძლო. რაც დაწერა, დახია და დააყოლა: რა ვქნა, შეკვეთით წერა არ შემოძლიაო...
მისი სიცოცხლეც 1937 წლის სისხლიან რეპრესიებს შეენირა. მავნებლად და დივერსანტად გამოცხადებული გამოჩენილი მწერალი საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკად აწამა, სასურველი აღიარება მიიღო და დახვრიტა.

მე ბუხიაშვილი

„მე უდანაშაულო ვარ! ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ რადგან ზვარაკია საჭირო, მზად ვარ, საქართველოს თავი შევწირო. თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასდროს ნაშლით, რაც დავტოვე. საქართველოს მინა-წყალზე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს ვერასდროს აღმოფხვრით“, — ეს სიტყვები მიხეილ ჯავახიშვილმა განაჩენის გამოტანის შემდეგ წარმოთქვა. ციხე და პატიმრობა მისთვის უცხო არ ყოფილა. ის ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს ყოფილა გამომწვეველი მეტყვის ციხეში. ეს „პატივი“ არც საბჭოთა ხელისუფლებამ დააკლო...

ის, რომ საქართველოს გასაბჭოებას მწერალი ვერაფრით ეგუებოდა, მის მიერ დავით სულიაშვილისადმი გაგზავნილ წერილშიც ნათლად ჩანს. „ძმავ დავით, მე აქ ცხოვრება არ შემოძლიან. ჩემი გასვლა საქართველოდან ჩემი მეორედ დაბადება იქნება. ამ საქმეში დამეხმარე, სამაგიერო მოითხოვე და მიმსახურე... გარწმუნებ, ძმავ დავით, გარეთ უფრო მეტს და თავისუფლად დავწერ, ე.ი. მცირე სარგებლობას მოვუტან ჩემს სამშობლოს. აქაური ამბები? არავითარ გაზეთს აღარ ვკითხულობ, ყველგან სუფევს ჩვეულებრივი სიმდაბლე, ჭორიკანობა და გულგატეხილობა. დავიპრიტეთ, დავიქანცენით და მოვილუნეთ. ეს არის და ეს“, — სწერს მიხეილ ჯავახიშვილი უცხოეთში მყოფ მეგობარს. გულგატეხილობისა და მძიმე სულიერი მდგომარეობის მიუხედავად, მიხეილ ჯავახიშვილი მაინც ახერხებს მუშაობას და თან იტაკვევს პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწევა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

„ჩემი საიდუმლო მუშაობა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში 1921-1923 წლებში ჰგავდა ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახმარებლად ისუკუა ხიდიდან

და წყალში გადავარდა. ამის ახსნა შეუძლებელია. აქ მუშაობს იდუმალი ძალა, ალლო მოძმის მიშველეების და ამ ალლოს ასჯერ მეტი ძალა აქვს, ვიდრე შეგნებას“, — ასე შეაფასებს მოგვიანებით მწერალი თავის პოლიტიკურ საქმიანობას. „ჩეკა“ ფიზიკლად ადევნებდა თვალყურს მის ყოველ ნაბიჯს და ზედმიწევნით აღწუსხავდა. საბჭოთა მთავრობამ ჯავახიშვილი პირველად 1923 წელს დააპატიმრა და დახვრეტა მიუსაჯა. ბოლშევიკების ტყვიას ის ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის წყალობით გადაურჩა. პავლე ინგოროყვა და ჯავახიშვილის კიდევ რამდენიმე მეგობარი სერგო ორჯონიკიძესთან მისულან თხოვნით: მიხეილ ჯავახიშვილი ნიჭიერი მწერალია და ნუ დახვრეტო! იმ დღეს ორჯონიკიძე განსაკუთრებით კარგ გუნებაზე ყოფილა და მწერლების თხოვნა დაუკმაყოფილებია. ძალიან გაპკვირვებით ჯავახიშვილის მეგობრებს გულქვა ბოლშევიკის სულგრძობა და ერთ ამბავს იხსენებდნენ. ადრეც მისულან მწერლები ორჯონიკიძესთან თხოვნით და ვაჟა-ფშაველას შვილზე უთხოვიათ, შეენარჩუნებინა სიცოცხლე, მაგრამ სერგოსგან მკაცრი უარი მიუღიათ: თვითონ ვაჟა-ფშაველა რომ იყოს ცოცხალი, იმსაც დახვრეტდითო.

დახვრეტას გადარჩენილმა მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“ და კიდევ ბევრი სხვა შედევრი დაწერა. სტალინის ინიციატივით, ის „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დააჯილდოეს და გაჩნდა იმედი, რომ ეს ჯილდო შესაძლოა, მწერლის სიცოცხლის გარანტია ყოფილიყო, მაგრამ...

30-იანი წლების დასაწყისში ლავრენტი ბერიამ მეტეხის ეკლესიის დანგრევა ბრძანა, რამაც ქართველი საზოგადოება აღაშფოთა. მწერალთა ჯგუფი ლავრენტი ბერიასთან სათხოვნელად მისულა. „დაგვინახა თუ არა, შავმა აღმურმა გადაჰკრა სახეზე. მან მკვახედ გვითხრა: ასე, დელეგაციის სახით, ერთად არ უნდა მოსულიყავით ჩემთან, ცალ-ცალკე რატომ არ მოხვედითო?“ — ასე იხსენებს მამის

მონაყოლს მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილი ქეთევან ჯავახიშვილი. მწერლებმა აუხსნეს ბერიას, რომ მეტეხის ეკლესია, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუში იყო და ამიტომ მისი დანგრევა არ შეიძლებოდა. მიხეილ ჯავახიშვილს ბერიასთვის ისიც კი უთქვამს: ასეთ ძეგლს ევროპაში ოქროს ზარდახსაში ჩასვამდნენო!.. მწერლებთან შეხვედრის შემდეგ, ბერიამ განკარგულება შეცვალა, მაგრამ გულში ბოლშე ჩაიდო, რადგან მწერლებმა ის უვიცოთაში ამხილეს. მოგვიანებით, ბერიას ბრძანებით, თითქმის ყველა ის მწერალი დააპატიმრეს და დახვრიტეს, რომელიც მასთან მეტეხის ეკლესიის გადარჩენის თხოვნით იყო მისული...

ბერიასთან შეხვედრის შემდეგ შინ დაბრუნებული მიხეილ ჯავახიშვილი უგუნებოდ ყოფილა და სახეზე მიტკლისფერი ედო. ხვდებოდა, რომ მართალია, ამ გაბედული ნაბიჯით ქართველ ერს მეტეხის ეკლესია შეუნარჩუნა, მაგრამ სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო. ბერიას ჯაშუშები მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალდნენ. „ჩეკა“ ყოველდღე აპატიმრებდა მის ახლობლებსა და ნაცნობ-მე-



ქეთევანთან ერთად

გობრებს. მწერალი ყოველ ნუთს ელოდა, როდის დადგებოდა მისი ჯერი. ჯანმრთელობამაც უმტყუნა. მუხლები ანუხებდა და სიარული უჭირდა.

1937 წლის ზაფხულში მწერალი ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, ქვიშხეთში ისვენებდა. მის ირგვლივ მყოფი ყველა ადამიანი ამჩნევდა, რომ ის ძალზე უგუნებოდ იყო. „ჩვენ ერთ სახლში ვისვენებდით. ყველანი ვცდილობდით, მიხეილ ჯავახიშვილისთვის გულიდან დარდი გადაგვეყარა. ერთ საღამოს, როდესაც უმრავლესობამ საძინებელ ოთახს მიაშურა, მიხეილმა მოისურვა, ძველებური ჩვეულება, კარტის თამაში გაგვეხსენებინა. დაბნეული თამაშობდა. უცნაურად გამოიყურებოდა ეს დინჯი კაცი. მისი თვალები ავისმაუწყებელ სიგნალს გამოსცემდა. მალე შევწყვიტეთ თამაში. ჩანდა, მწერალს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა“, —



შალვა ალმურმა გადაჰკრა სახემე

ისხენებდა შემდგომ აკაკი განერელია. აგბედითი წინათგრძნობა მწერალს მალე აუხდა: ის იმავე ზაფხულს, 14 აგვისტოს დააპატიმრეს. ჯოჯოხეთში, რომელსაც „ჩეკას“ ციხე ერქვა, მიხეილ ჯავახიშვილი მეორედ აღმოჩნდა. მისი საქმის გამოძიებას გამოძიებლები — ლევან აბაშიძე და მიხეილ ნაცვლიშვილი უძღვებოდნენ. მწერლის პირველ დაკითხვას, გამომძიებლების გარდა, ბერია და ქობულაძე ესწრებოდნენ. სასურველი ჩვენების მისაღებად, გამოძიებელმა აბაშიძემ მიხეილ ჯავახიშვილს მუშტი დაარტყა, რის შემდეგაც, ავადმყოფობისგან დასუსტებული მწერალი იატაკზე გულაღმა დაეცა. ამან ბერია გაამხიარულა, ხმამაღლა იციროდა, შემდეგ კი ჯავახიშვილთან მივიდა, გულზე ფეხი დააჭირა და უთხრა: ახლა გადაგას თავზე „ჩეკისტი“! ესე ბერიას შურისძიების ნაწილი იყო. როდესაც ის ცეკას მდივნად დანიშნეს, მიხეილ ჯავახიშვილს თურმე მეგობართან დაუჩივლია: ესლა გავკლდა, „ჩეკისტი“ დაგვდგომოდა თავზეო!.. ჰოდა, წამებისას, ბერიამ მიხეილ ჯავახიშვილს მის მიერ ოდესღაც ნათქვამი სიტყვები გაუხსენა.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ

მწერალს „ჩეკაში“ მიზანმიმართულად, მეთოდურად აწამებდნენ და ამ დროს ყველანაირ, არაადამიანურ ხერხს იყენებდნენ. იმხანად ციხის ჯალათი, ასტრახანელი თათარი, ზახარ შაშურკინი ყოფილა. სისასტიკით განთქმული ზახარა ხან თავად ხელმძღვანელობდა პატიმართა დახვრეტის ოპერაციას, ხანაც თვითონ ხოცავდა სიკვდილმისჯილებს. „ჩეკას“ ციხის კიდევ ერთი ჯალათი, ეროვნებით ბერძენი ფეიხორა პატიმრებს სპეციალური მათრახებით სცემდა და მათგან „სიმართლის სათქმელად“, წამების სხვადასხვა ხერხს იყენებდა. ხანგრძლივი წამების შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ, მწერალთა ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელად მონათლული მიხეილ ჯავახიშვილისგან, სასურველი „აღიარებითი ჩვენება“ მიიღო.

„ჩვენ გადანაწილები გვექონდა როლები, მე ვხელმძღვანელობდი ფინანსებს, გერონტი ქიქოძეს ევალებოდა კავშირის დამყარება სხვადასხვა ანტისაბჭოურ ორგანიზაციასთან და ჯგუფთან. უცხოელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა პაოლო იაშვილი, ხოლო საორგანიზაციო საქმეების მოგვარება მოსაშვილს ევალებოდა... საბოლოო ჯამში, იტალიური ფაშიზმის პროგრამა მივიღეთ, რომელიც ქართული რეალობისთვის უნდა მოგვერგო. ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველა მანრასა და დიდ ცენტრში გვემოლოდა თითო წარმომადგენელი, რომელიც თავისთავად, სამუდამო შემადგენელი იქნებოდა“, — ამბობს ჩვენებაში მიხეილ ჯავახიშვილი. საინტერესოა, რომ „ხალხის მტრებად“ შერაცხილი ადამიანების აღიარებითი ჩვენებები, ბოლშევიკებს კომპარტიის ცეკას პლენუმის ანგარიშში შეჰქონდათ და საქვეყნოდ კითხულობდნენ. ამიტომ, „საბჭოთა მტრების აღიარება“ რაც შეიძლება ეფექტური და სხვებისთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. „მიხეილ ჯავახიშვილი ზედმიწევნით მოგვითხრობს თავის ჯაშუშურ კავშირებზე პოლონეთის, გერმანიის, იტალიის კონსულატთან“, — ასეთი სათაური აქვს წამდვარებული ჯავახიშვილის ჩვენებას, რომელიც ცეკას ერთ-ერთ პლენუმზე ხმამაღლა წაიკითხეს: „მე მივედი ყველაზე საშინელ აღიარებად... პაოლო იაშვილს ვთხოვე, დავეკავშირებინე პოლონეთის კონსულატთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირადად ვწვეოდი კონსულს, რაც საკმაოდ სახიფათო იყო. რამდენიმე დღეში მესტუმრა უცნობი პიროვნება, რომელმაც მითხრა, რომ პოლონეთის კონსულის თანაშემწე იყო. კონსულს ჩემთვის ინფორმაცია უნდა მოენდობინა საზღვარგარეთ არსებული მდგომარეობის შესახებ და დავეკავშირებინე საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წევრებთან... რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა პაოლო იაშვილი. მაგიდაზე ფურცლების რამდენიმე შეკვრა დამიდო და მითხრა: შუალაშით გერმანიის კონსული გელოდებაო. ფურცლების ერთი შეკვრა გერმანიის კონსულისთვის უნდა გადაემცა, დანარჩენები კი იტალიისა და პოლო-

ნეთის კონსულისთვის... დათქმულ დროს დავურვე გერმანიის კონსულს და შეხვედრაზე მივედი. მასთან იყო იტალიის კონსულიც. გერმანიის კონსულმა მითხრა: ერთმანეთისგან არაფერი გვაქვს დასამალი და თითო იტალიის კონსულზე მანიშნა. აქვე დააყოლა: ჩვენ უკვე მეგობრები ვართ და ქალაქების სანაცვლოდ 6.000 რუბლი გადმოიცა“, — წერს თავის ჩვენებაში მიხეილ ჯავახიშვილი.

საპატიმროში მყოფმა მწერალმა შეიტყო, რომ ბოლშევიკების მიერ აგენტად, კონტრრევოლუციონერად და ტერორისტად შერაცხილმა მისმა მეგობარმა პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა. „წამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, ყველას გვაჯობა!“ — აღმოხდა მას ამ ამბის შეტყობისას.

მიხეილ ჯავახიშვილის საქმის ძიება 1937 წლის 19 სექტემბერს დასრულდა და განსახილველად, ენ. „ტროიკას“ გადაეცა. „ბრალდებული მიხეილ ჯავახიშვილი გამოძიების მასალებით მთლიანად მხილებულია, რომ ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას და ჯაშუშობდა უცხოეთის სახელმწიფოების სასარგებლოდ, ენეოდა მავნებლობას, აწყობდა დივერსიულ აქტებს და ამზადებდა ტერორისტულ თავდასხმებს“, — წერია საბრალდებო დასკვნაში. 1937 წლის 30 სექტემბერს ჯავახიშვილი დახვრიტეს. იმ დღეს მწერალთა კავშირში კრება მოიწვიეს. კოლეგებმა კონტრრევოლუციონერი მიხეილ ჯავახიშვილი დაგმეს და მისი ფიზიკური განადგურება მოითხოვეს. ეს ლავრენტი ბერიას სურვილი იყო და თუ ვინმე შეეწინააღმდეგებოდა, იმავე ბედს გაიზიარებდა.

მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაცია მისი გარდაცვალებიდან 17 წლის შემდეგ მოხდა. გამოძიებელმა ნაცვლიშვილმა, რომელიც მწერლის საქმეს იძიებდა, ძალზე საინტერესო ჩვენება მისცა სასამართლოს. მან აღიარა, რომ მწერლის დაკითხვას პირადად ესწრებოდა ლავრენტი ბერია და რომ ჯავახიშვილმა აღიარებითი ჩვენება მასზე ფიზიკური ზნეოლის შედეგად დაწერა. „გამომძიებელმა აბაშიძემ ჯავახიშვილის დაწერილი ჩვენებები გადმოიცა, რათა დაკითხვის ოქმებად გამეფორმებინა. მე ვუცხადებ ჩვენებებს და ეჭვი შემეპარა მათ უტყუარობაში, რომ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. მაშინ მივმართე აბაშიძეს, რომელიც ჯავახიშვილის დაკითხვაში მონაწილეობდა და ვკითხე, რაში იყო საქმე. მან რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით მიპასუხა: მე რომ ასე ვეცემე, ვალიარებდი, რომ სიამის ჯაშუში ვარო, და დაამატა: დაწერე, როგორც არისო“, — ვკითხულობთ ნაცვლიშვილის დაგვიანებულ ჩვენებაში...

P.S. მომზადებულია შს სამინისტროს ჟურნალ „საარქივო მოამბის“ მასალების მიხედვით, ავტორი — ბონდო არველაძე.

ერთი ვინმე ყაფლანისძეილი



მაკა ბიბაშვილი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

იორამი ამჯერად არა დიდ სასტუმრო ოთახში, არამედ მამამისის ფართო კაბინეტში იყო მოკალათებული. ძველებური, ძვირფასი ხის ნახარატივი ავეჯი მხოლოდ ამ ოთახს შერჩენოდა. იორამს ხომ დაფიცებული ჰქონდა და მრავალჯერ გამოცხადებულიც, რომ გინდ სულიც ამოხდომოდა, ამ ოთახს ერთი უბრალო ფანქარიც არ დააკლდებოდა. საწერი მაგიდა ხელუხლებლად ჰქონდათ შენარჩუნებული, როგორც მამამისს დარჩა სამუშაოდ გაშლილი. იორამი შუაში მდგარი გრძელი, სამეცნიერო ჟურნალების დასტებით დატვირთული, შედარებით დაბალი მაგიდის თავისუფალ ბოლოში დიდ სავარძელში იჯდა. წინ ყყარა წიგნები, გაზეთები, ნაწერი ქაღალდები, კალმები, სიგარეტის დაცლილი და სახე კოლოფები. იდგა დიდი საფერფლე და ღვინით სახე ლუდის ტოლჩა. ღვინის სამლიტრიანი კანისტრა მაგიდის ფეხთან იყო მიდგმული. სავარძელში მიგდებულ იორამს ნიკაბი მკერდზე ჩამოვარდნოდა, ეძინა. სახე ისეთი შეწუხებული ჰქონდა, ალბათ, რამე მტანჯველ სიზმარს ხედავდა. ცალი მკლავი ძირს ეკიდა, ბოლი ასდიოდა თითებში ჩარჩენილ სიგარეტს. ოთახიც მაგრად იყო გაკვამლული. კარი ზეინაბმა შემოაღო, იორამს

დასაწყისი იხ. „გზა“ №18-22

შეხედა.

— იორამ, აქა ხარ? მე წასული მეგონე!

პასუხი რომ ვერ მიიღო, შემოვიდა, დაინახა, რომ სძინავს და მივარდა, სიგარეტი გამოუღო თითებიდან, საფერფლეში ჩასრისა.

— იორამ!

ქაღალდებში სკანვორდებიანი გაზეთები დაინახა, წითელი მელნით შეესტებული, კიდევ ერთი პრიალა ფერადყვანი ნიგნი აღმოაჩინა. ამჯერად სათაური იყო — „შესტიორკი უმირაიუტ პერვიმი“.

— იორამ!

იორამმა თვალები გაახილა, შეჭმუნნილმა გაიხედა აქეთ-იქით. სიგარეტის კოლოფი მოაფათურა მაგიდაზე, სანთებელა მოძებნა ქაღალდებში.

— ვერ გიპოვე. წასული მეგონე. რა, მე დამეძალე? — ცალკებად წაიხუმრა ზეინაბმა. იორამი არ აპყვა სიტყვაზე, მოლუშულმა იკითხა:

— რა იყო?

— არაფერი! ნოდარ ყაფლანისძეილმა დაგირეკა. მე მეგონა, სახლში არა ხარ და გასულია-მეთქი სადღაც. რაღაცაზე მოვილაპარაკეთ და პასუხი მინდოდაო. დამირეკოსო.

— ააა! ჰოო!

— რაზე მოილაპარაკეთ? თუ თქვენი, კაცების სეკრეტია, მაშინ არ გეკითხები. ჩათვალე, რომ არ მიკითხავს.

იორამს მზერა გამოუფხიზლდა, უსიამოვნოდ დაიჭყანა.

— სეკრეტი არა, ის! სწორედ შენთვის უნდა მეთქვა იმ დღეს. შენ რომ იმ რუსტამათი დამხსტი თავზე. მერე დამავინწყდა.

— მაშინ მითხარი, რა არი?

— სამუშაოს მთავაზობს.

— რა სამუშაოს? ყაფლანისძეილთან შენ რა უნდა გააკეთო? — გაკვირვებით, სწრაფად თქვა ზეინაბმა.

— არის ერთი საჩემო საქმე. გორის რაიონში არის ყაფლანისძეილების საგვარეულო სოფელი — ნაშინდარი. ნოდარი აპირებს იქაური მაგათი ყოფილი სახლკარის დაბრუნებას. მგონი, უკვე დაიბრუნა. არ ვიცი.

— მერე?

— იმ სახლში კაი მოზრდილი არქივია შემორჩენილი. მაგას უნდა იმ არქივის დამუშავება. საგვარეულოს ისტორიის შედგენა, მონოგრაფია. მერე წიგნად გამოცემა.

ზეინაბი უყურებდა ხმის ამოუღებლად.

— ამ საქმეზე მაინც აპირებდა მკვლევრების დაქირავებას, ჰონორარის გადახდას, დაფინანსებას. ჰოდა, თუ სხვა საქმე არ გაკავებს, შენზე უკეთ მაგას ვინ გააკეთებსო და ჰონორარიც რაღა სხვამ აიღოსო.

გაჩუმდა, უყურებდა ზეინაბს. ზეინაბი ისევ როგორღაც გაშემებული იჯდა, ხმა არ ამოუღია.

— მე კიდევ რა დაკავებულიც ვარ, კარგად მოგხსენება, — გაიცინა მწარედ იორამმა და ისევ გაჩუმდა. მერე შეეკითხა, — რა იყო? არ მოგნონს ეს ამბავი?

ზეინაბმა ყოყმანით თქვა:

— რა ვიცი, აბა.

— რაღა რა იცი?! — გაღვიანდა იორამი. — აბა, როდემდე ვქებო ეს ხუთხუთი ლარი მეზობლებში! ნისიები! ყოველი დილის გათენება მეზარება! როდემდე?!

მერე ინტონაცია შეეცვალა და განაგრძო:

— თანაც ისეთი კარგი სოფელი ყოფილა. სულ კაკლის ხეებში, ბაღებში ჩაფლული. შენ იმიტომ გეკითხები, რომ რაღაც პერიოდი იქ მოგვიწევს ყოფნა. იმ ძველ სასახლეში ვიცხოვრებთ.

ისევ გაჩუმდა და ზეინაბის რეაქციას დაელოდა. ზეინაბს ხმა არ ამოუღია და იორამმაც გააგრძელა მეტი ენთუზიზმით:

— ნოდარმა, ერთ საბინადროს ახალე გააკეთებ თქვენთვისო. ისეთ კომფორტს მოგიწყოთ, ანტალია მიმიქარავსო. გააკეთებს. ფული იყოს და... თვითონ მაგრად ანთებული. და ერთი, შენთვის საინტერესო ფაქტორი. ისე, იქნებ არც ჩაგციებოდი დარწმუნებით. თუ შენ მაგ თქეების კეთებას მართლა აპირებ, კარგი შანსი გეძლევა. იქ სახელოსნოს მოწყობაც იოლად მოხერხდება და მატყლსაც იაფად იშოვი. არ ვიცი, რა დროს დაიკავებს. იმ არქივის გარდა სოფლებში გამოკითხვების ჩატარებაც დამჭირდება. ჰა?

ზეინაბი ისევ დუმდა და იორამმა ველარ მოითმინა:

— ჰა, რას იტყვი?! ამოიღე ხმა! ბოლოს და ბოლოს, თუ არ მოგწონება, წამოხ-

ვალ! მე კვირაში ერთხელ ვივლი თბილისში.

— რა ვიცი, აბა, — ისევ ყოყმანით დაიწყო ზეინაბმა და მერე მკაფიოდ გააგრძელა, — რა არის, იცი?! კი არი შენი მეგობარი ევ ნოდარი...

იორამმა გაანწყვტინა:

— კლასელია, თანაკლასელი. თანაკლასელი ხომ იცი, რაა? ნათესავივითაა! ოცი წელიწადი რომ არ გენახოს, მაინც შენიანია, ნათესავი.

— ჰო, შეიძლება, მაგრამ არ გენყინოს, იორამ, რაღაც გული არ მენევა მაგ კაცისაკენ. რაღაც სხვანაირია. ჩვენი ჯიშისა არაა.

იორამმა გაკვირვებულმა შეხედა. ზეინაბმა დაუხსტება სცადა:

— არა! გვარიშვილობასა და სტატუსებს არ ვგულისხმობ. ტიპი. ადამიანურ ტიპს ვგულისხმობ.

იორამმა მოუთმენლად აუქნია ხელი:

— მოგცლია! რაებს იგონებ! აბა, ევ რა შუაშია? ისე კი არის ვირგლა და უზრდელი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს ამ ამბავში? ჩვენი რა საქმეა?

— რა ვიცი, მოვიფიქროთ, — გააგრძელა ზეინაბმა. მერე უეცარი დაინტერესებით იკითხა, — გორიდან შორსაა?

— აბა, მე რა ვიცი? ჯერ ხომ არ ვყოფილვარ. იქნება ალბათ, ასე ოცი-ოცდახუთი კილომეტრი.

ზეინაბმა უცებ მისთვის ჩვეული აღგზნებულ-ინიციატივიანი ტონით განაცხადა:

— მანქანა დაგვჭირდება!

— რა მანქანა? საიდან? — გაუკვირდა იორამს.

— თუ ფულს ავიღებთ, ერთი რამე ბაჯაჯღლანას, გინდაც „ზაპოროჟეცი“ იყოს, ყიდვა შეიძლება. სამას დოლარად, რაღაც.

— რომც გაჩუქონ, რად გინდა? არც ერთმა ტარება არ ვიცი, — ისევ გაიოცა იორამმა.

— იჰ, ევ რა პრობლემაა?! ერთ კვირაში ვისწავლი! ხელად!

— ააუჰ! ეს ისევ რაღაც კურსებზე სიარულს აპირებს!

— ისე, ცოტა უკვე ვიცი! ერთხელ კიპაზომ რომ დამსვა, ხომ გახსოვს, რა კარგად დავძარი?!
იორამს უკვე გაბნეობა-გალი-ზიანებული სახე გაუხდა:

— კარგი, ჰო! ეგრევე ნუ გააჭენე! ჯერ ნოდართან რა გვინდაო და ახლა უკვე „ზაპოროჟეცი“ მიაჭენებს! მოიცა, რა! ჯერ რამდენი რამეა გასარკვევი. იქაურობა სანახავია. ნოდარს დაფურეკავ. ალბათ, ნავალთ სანახავად.

ნამოდგა, კანისტრიდან შეავსო ტოლჩა, მოსვა, გაიარ-გამოიარა ტოლჩით ხელში. ზეინაბიც ნამოსტა, აქეთ-იქით სიარული დაიწყო. თითქოს ნიშნის მოგებით უთხრა: — ჰო, იქ კარგი ღვინოც გექნება. უფასოდ.

იორამი შედგა, ტოლჩა აქეთ-იქით გააქნია და თითქმის მხიარულად უპასუხა:

— რატომაც არა! რატომაც არა!

ზეინაბიც შედგა, ნელზე დოინჯემოდებულმა ნაწყენივით გამოხედა იორამს:

— ისე კი მიკვირს, ჩემო იორამ! შენი საკუთარი ფულის გამოერთმევა გეტაკილება და ყაფლანიშვილთან დაქირავებულ სამუშაოზე თანხმდები!

იორამმა იფეთქა:

— რა არი სათაკილო?! რა არი სათაკილო, რას მეუბნები, გესმის?! საქმე უნდა გავაკეთო, ჩემი პროფესიის საქმე და ჰონორარი უნდა ავიღო, რაც მეკუთვინის! გადახდით, ვინ გადაიხდის, ყაფლანიშვილი თუ სოროსის ფონდი, სულ ფესებზე მკიდა! რა ჩემი საქმეა?!
— მე კი აღარ ვიცი, რა ვქნა! მანანა ერისთავის ვალები რითი დავფარო? ან ის ჯანდაბა სერტიფიკატი რით გამოვიხსნა? რამდენიც გინდა გენყინოს, ჩემო იო, და მე მაინც ნაყვეები ვასიკოს. აბა, რა ვქნა?!
— მე გითხარი, მაგაზე ლაპარაკი აღარ გამავნო! ნაწყვეები და იცი, რას ვიზამ?! დავიბარებ აქციონერთა კომიტეტს და მოვახსენებ, როგორცაა საქმე! ყველამ ერთად გაარჩიოს და გადწყვიტოს!
— იორამ, რას ამბობ, მაგას როგორ იზამ?! ევ ხომ ფატმასა და ვასიკოს ჩაშვება გამოვა?!
— ჩაშვება?! — დაიყვირა იორამმა. — ხალხის ზურგს უკან, ჩუმად ჩალიჩს რა ჰქვია?! არ ჰქვია ჩაშვება?! საერთო ინტერესის ჩაშვება!
— იორამ, ევ ხომ ფატმასთვის და ვასიკოსთვის პირში შეფურთხება იქნება?! რანაირად შევხედო თვალებში ფატმას?
იორამი შეყოყმანდა:
— ჰო! არა! მეც ზურგს უკან კი არ ვიზამ! ჯერ თვითონ ვასიკოს დაველაპარაკებო! თვითონ განაცხადებ!
— იორამ! სულაც რომ უარი თქვას, არაფერი მიმიღიაო, რითი დაუმტკიცებენ?
— ბუღალტერიით! ბუღალტერიის შემონუმების უფლება მიცემული აქვს კომიტეტს.
— ჰო, აბა, კაცო! სულ ბუღალტერიამი

გატარებული ექნება როსტომს, რასაც პოლიციას უხდის. ეგეც, ალბათ, ხელწერილითა აქვს გაცემული და სახლში ინახავს. კომიტეტზე ამბის ატეხას ჭუჭყიანი და სამარცხვინო სკანდალის მეტი არაფერი მოჰყვება. თან რა იცი, ამ აქციონერებიდან კიდე რამდენს აქვს მასე ჩუმად მიღებული თავისი? გეტყვიან, თუ რა? ყველაზე გასვრილები ისევ ჩვენ გამოვალთ მაგ ამბიდან. დამიჯერე, იორამ!

იორამმა ჩაავლო ლოგიკას ზეინაბის ნათქვამში და დაიბნა. მაგიდასთან დაჯდა, ღვინო მოსვა, სიგარეტს მოუჭიდა. ფიქრობდა გამწარებით. მერე ბრაზიანად, მაგრამ უკვე გატეხილად თქვა:

— ყოველ შემთხვევაში, შენ არსად არ ნახვალ! მაცალე! გარკვევა უნდა, მოფიქრება! მაგ ვასიკოსთანაც ჯერ გასარკვევია რაღაცები. ნუ გეშინია! დიდ მადლობასაც ვეტყვი და დელიკატურადაც გამოვიტხავ, რაც საჭიროა.

მოსვა ღვინო და მთლად მოტეხილად დაამთავრა:

— ნავალ ისევ ბაზრობაზე. როგორც იქნება, ისე გავყიდი. მაგისი რჯულიც არ იყოს!

ისევ იმ ბგაკადებული დაბოდილებდა იორამი ბაზრობაზე, ათვალერებდა გამყიდველებს. თვალი მოჰკრა იმ სომეხ მოვაჭრეს, ზურგი შეაქცია და სხვა მხარეს წავიდა. სომეხმა მოვაჭრემაც დაინახა, თვალებით ანიშნა მასზე გვერდით მდგარ ვილაც ტიპებს, გაღრეჭილი ელაპარაკა რაღაცას, მერე ხელითაც აჩვენა უკვე ხალხში შერეულ იორამზე და გაიცინა. იორამმა იტრიალა აქეთ-იქით, თვალი მოჰკრა მოხუც მეგრულ მოვაჭრეს და მისკენ წავიდა. მოხუცმა მეგრულმაც შეამჩნია, იცნო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აუჰ! ბაგრატიონ-მუხრანეცი! მოსულა კიდი!

მოხლოებულ იორამს გაუღიმა და თავაზიანად დაუკრა თავი. იორამმა რაღაც შევბასავით იგრძინო ამ მისთვის აუტანელ, მტრულ გარემოში. მივიდა გახარებული და ხელი გაუწოდა:

— გამარჯობათ! როგორ გიკითხოთ?!

მეგრულმა მდაბლად თავი დაუკრა და ორივე ხელით ჩამოართვა განვდილი სელი:

— გახლავართ, ბატონო!

— როგორ მიდის საქმე?

— აჰ! — უცებ შეიცხადა მეგრულმა. — დგას, ბატონო, დგას! ამას ჰქვია სიარული?! — და ხელით ისე აჩვენა, რომ იორამმა უნებურად დაიხედა, თითქოს „სიარული“ სადღაც იქ უნდა დებულყო. — დგას და არ იმძრევა!

ამ კატეგორიული განცხადებისაგან იორამი შინაგანად დამუხრუჭდა. შემცბარი მიაჩნდა მოხუც მეგრულს, პირზე შეაცივდა სათქმელი და დაიბნა. მერე განბილებული, მწარე ღიმილით თქვა:

— აბა, გამოდის, ტყუილად მოვსულ-



ვარ და ეგაა!

— რატომ, ბატონო?

— აბა, თუ ყველაფერი დგას და არ ინძრევა, ვერც მე გავყიდი, რაც მაქვს გასაყიდი.

— თქვენ რა გაქვთ გასაყიდი, ბატონო? — ისეთი გაკვირვებითა და შეცხადებით იკითხა მეგრელმა, თითქოს სრულიად არ ახსოვდა, საიდან იცნობდა ამ კაცს.

ამან ისე დააბნია და შეაცბუნა იორამი, რომ დაყოვნებით უპასუხა:

— ისევ ის არ გახსოვთ? რაც მაშინ მქონდა, — ჩამოისხნა აბგა და დააპირა ამოლაგება, — აი, თუ გნებავთ, კიდევ დაათვალიერეთ.

— აჰ! როგორ გეკადრებათ! — ისევ შეიცხადა მეგრელმა და ისე ენერგიულად გამოსწია წინ ხელისგულები, გეგონება, ზვავი უნდა შეაჩეროსო. — ვიცი მე მაგ ყველაფერი!

კიდევ ერთხელ დაიბნა და შეცბუნდა იორამი. მერე დაყოვნებით თქვა:

— მაშინ თქვენ მითხარით ასორმოცდაათი. მე მინდოდა ორასი. ვერ მოვრიგდით, მაგრამ ახლა თანახმა ვარ!

— რაზე ბრძანდები თანახმა?

— ხომ ვთქვი? ასორმოცდაათზე.

— ძალიან კარგი, მაგრამ მე არ ვარ თანახმა.

ისევ, უკვე მერამდენედ დაიბნა იორამი.

— როგორ?

— ასე! — ხელები გაშალა მეგრელმა, — თქვენ ბრძანდებით თანახმა, ხომ? ბრძანდებოდეთ! მაგრამ მე არ ვარ თანახმა!

ყოველ სიტყვაზე დაბნეულობიდან დაბნეულობაში გადამავალმა იორამმა ძლივს ამოლერდა:

— აბა?

— მე არ მითქვამს ასორმოცდაათი! მე ვთქვი, ასოცი. ახლა კიდო ვამბობ, ასი!

საბოლოოდ განზილებული იორამი იდგა გახსნილი ჩანთით ხელში და სათქმელი ვეღარ მოუწახა. ამ დროს გვერდიდან მოესმა:

— შეიძლება?! შეგვახედე, ძიაკაცო!

იორამმა მიიხედა. დაბალი, ჩასკვნილი

ახალგაზრდა კაცი იყო, ტყავის ქურთუკსა და შავ ჯინსში გამოწყობილი, თვალეზზე ჩამოფხატული, გრძელკეპიანი, რალაც ნარწერიანი ქუდი. მასზე მხოლოდ ათიოდე წლით იქნებოდა უმცროსი და იორამმა „ძიაკაცო“ — ბებერი მეგრელის მისამართით თქმულად ჩათვალა, იქით გაიხედა, მაგრამ გრძელკეპიანმა მისი მისამართით გაიმეორა:

— შეგვახედე! შეიძლება?

იორამი გაკვირვებული მოუბრუნდა, რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და გახსნილი აბგა მისკენ მიატრიალა.

— რამდენს გაძლევს ეგ? — თავი მეგრელისაკენ გაიქნია გრძელკეპიანმა. მოხუცი უეტრად გაკაპასდა, აყვირდა:

— ვინ ხარ, ბიჭო, შენ?! საიდან გამოცხადდი? რასაა, რომ ბედავ აქ შენ?! ვინ გეკითხება შენ, რას ვაძლევ და ვაძლევ თუ არა საერთოდ!

გრძელკეპიანმა მოხუცს არ უპასუხა, იორამს მკლავი გამოსდო და გვერდზე გაიყ-



ვანა, დამარწმუნებლად უთხრა:

— აბრამას უნდა შეაფასებინო!

— აბრამა ვინ არის?

— ანტიკვარი, ექსპერტი! მაგის მეტმა აქ არავინ იცის ნამდვილი ფასი.

— სად არის ეგ ანტიკვარი?

გრძელკეპიანმა ხელი მტკვრისკენ გაიქნია:

— აქვეა. ქვემოთ, სანაპიროს ბაზრობაზე.

ბოლოში რომ დუქნებია, იქა აქვს თავისი ფარდული, წამოდი, — და სწრაფად წავიდა.

მოხუცმა მეგრელმა გაცეცხლებული მზერა და ყვირილი მიაყოლა მიმავლებს:

— უყურე მაგას, შენ! საიდან გამოდიან ეს ხალხი?! სი თხაში ნახოდალი მაგ!

გრძელკეპიანი ძალიან სწრაფად მიდიოდა, იორამი ძლივს ეწეოდა და შიგადაშიგ

ძუნძულზე გადადიოდა. ტრასა გადაჭრეს, ჩავიდნენ სანაპიროს ბაზრობაზე, გაიარეს

რალაც ბარაკები, სადღაც შეუხვიეს და უცებ იორამმა აღმოაჩინა, რომ დაკარგა გრძელკეპიანი. ეტყობა, ისე ჩამორჩა, რომ ვეღარ

დაინახა, საით გაუხვია. მიიხედ-მოიხედა.

კაცის ჭაჭანება არ იყო ამ გასასვლელში.

დაძახება დააპირა და უცებ ვერ მოისაზრა, რა უნდა დაეძახა. ამ დროს რალაცა მძიმე

მოხვდა კეფაში და ყველაფერი დაბნელდა...

ვიღაცა აჯანჯლარებდა იორამს. ტკვილისაგან თვალეზი გაახილა. რალაც ლანდები

დაბორიალუნდნენ, სახეები წაშლილი ჰქონდათ. ნაწყვეტი-ნაწყვეტი, ყრუდ ჩაესმოდა ხმები:

— მობილური გაქვს?

— დარეკე სასწრაფოში!

— მერე ფულს ვინ მისცემს? ისე არ

წაიყვანენ.

— თვითონ ექნება რამე ჯიბეში.

იგრძნო, ჯიბეებს რომ უჩხრეკდნენ.

— ბიჭო, ყველაფერი წაუღიათ! სულ ცარიელია.

— მაინც დარეკე! მოვლენ, რალაცას უშველიან!

— თუ მოვიდნენ, კი.

— ბიჭო, აღარ გაანძრო, ფუქე არ ჰქონდეს მოტეხილი.

— არა, კომოციო ექნება.

მერე ისევ გაითიშა.

ყოფლანიშვილის საძილეში მობილური ტელეფონი რეკავდა. ნოდარმა ბალიშიდან თავი გამოყო, აპარატს ხელი დასტაცა, მეორე ხელით დასივებული თვალეზი მოიფშენიჭა, ტაბლოს დახედა და ჩასძახა:

— ჰო, გივი!

— ჰო კი არა, ჩამოდი, კარი გამიღე, აგერა ვარ! შენმა ქოფაკებმა დაანგრის აქაურობა! ლამისაა ლობის იქიდანვე შემჭამონ!

ნოდარმა საათს დახედა, გაბეზრებული სახით წამოიზღაბნა, ხალათი მოიცვა, ქამარი გაიკოჭა, დაიღრიალა:

— ჯოტო!

ცოტა დაყოვნებით ხმა მოვიდა:

— მოვდივარ!

— მოდიხარ კი არა, ჭიშკარზე გახედე გივის! ძალები დააბი!

თვითონ სააბაზანოში გაბლაცუნდა. მოისმა წყლის ჩხრიალი, თქაფუნი, ოხვრა და ღმუილი.

დიდ ოთახში შემოსულმა გივიმ ნოდარი აათვალიერა:

— ახლა, მასე ჩამოჩხაპნილმა უნდა იარო?

ნოდარმა სარკეში ჩაიხედა და გაბრაზდა:

— აუჰ! სულ დამავინყდა! ამ ვირიშვილმა ჯოტომაც რო არაფერი მითხრა?!

ჯოტო შემობრუნდა ეზოდან და ნოდარი მას მიუბრუნდა:

— გეძინა?

ჯოტო დაიჭყანა:

— ისე! ცოტა!

— ქენი რამე?

ჯოტომ, ისევ უსიამოვნოდ დაჭყანულმა თქვა:

— რაა. რა ვიცი. არაფერი.

— ამოლერდე, ბიჭო! სულ არ გაჰკარებხარ?

აშკარად არ უნდოდა ამაზე ლაპარაკი ჯოტოს, ენა ებორკეობდა:

— არა, ჰო! თუ ჰქვია მაგას ქნა, არ ვიცი.

— როგორ? — არ მოეშვა ნოდარი.

— რა ვიცი?! მგონი, არც გოუგია არაფერი.

უცებ გივი ჩაერთო ბრაზიანად:

— ბიჭო, თქვენ! გადახვედით ჭკუიდან?! კლიაუზამდე თუ მივიდა საქმე, რა დაუშლის, გრუპავოი გაუპატიურება შემოგტენოთ? ნორმალურები ხართ?!

— ორივეს მიმართა და ჯოტო ადგილზე გაიგრიხა უხერხულობისაგან, მაგრამ ვერაფერი თქვა.

— არ უნდა მივიდეს კლიაუზამდე! —

მუქარანარევი ხმით დაიძახა ნოდარმა. — ასე უფრო მოკვტილში იქნება! ახა, როგორ გვიმ დამცინავად შეხედა ნოდარს.

— რა არი, კაცო, ეს?! რა გჭირს? ველ-არ უნდა გადაუჩვიო ქალების ცემას ამხელა კაცი? რა გჭირს ამისთანა, რა გემართება? რა უბედურებაა ეს?!

— ერთი მაგათი დედაც! ყველა ქალის! — ბრაზიანად დაიძახა ნოდარმა. მერე გააგრძელა, — თვითონ მომდის. ვერ ვიტან უცარ ტკვილს. მომენტალური რეაქციაა! მაგ დროს ფიქრს ხო ვერ ასწრებ, გესმის?! — გაწუმდა. სიცილით დაამატა, — ისე, რო იცოდე, შენც რო მიჩქმიტო მოულოდნელად, ისე გათხლიშავ, რო მერე გამახსენდება, რო შენა ხარ!

გივიმ გესლიანად გაიცინა: — ვიცი, ვიცი! ოლონდ შენც იცოდე: მე „ჩქმეტის“ და მით უმეტეს, „მოულოდნელის“ ხოშები არასოდეს მომდის!

— კაი! ახლა რა ვქნათ? — ჯოტოს მიუბრუნდა ნოდარი.

— ჯერ სძინავს მაგრად. — რაც მეტხანს ეძინება, სჯობია! წააშველე ხოლმე წამალი დროზე, — უთხრა გივიმ ჯოტოს, — რას აძლევ?

— ჯერჯერობით დიმიდროლმაც კარ-ქად იმუშავა.

— ჰოდა, ბაღიაგა უცვალე ხშირ-ხშირად. უცვლიდი ლამით?

— აბა? ერთი ხუთჯერ ქე გამოვუცვალე. შველი. ნახევარზეა დავარდნილი თვალი ამ დილას.

— ნახევრად გათიშული გაყავდეს ორი დღე მაინც, — მერე ნოდარს უთხრა, — შენ არ დაენახვო ჯერჯერობით. მერე მე ვნახავ. ახლა ადექი, წამოდი! „ბავარიულში“ დაესხდეთ წყნარად. მეც მაგარ პახმელიაზე ვარ, რომ იცოდე!

— ჩაცმა-დახურვის თავი არ მაქვს! მეც მაქვს კაი ლუდები საყინულში. ჯოტო, მოიტანე!

— რა ჩაცმა-დახურვა უნდა „ბავარიულში“? მოიცვი რამე და წავედით! კაია ახლა იქ დაჯდომას!

— კაი, კაი! მაცადე, აზრზე მოვიდე, შე ჩემ!

— თუ აზრზე მოხვედი, შხაბი მიიღე და დილის ვარჯიშიც შესარულე, რაღა გინდა „ბავარიულში“? „ბავარიული“ ჰქვია, თორემ მაგისთანა ხაში კიდევ სადაა? მერე — ცხვრის ქაბაბი? სადაა, ბიჭო, კიდევ ცხვრის ქაბაბი? ამ ვირიშვილებს დაავინყდათ, რომ წამდვილი ქაბაბი ცხვრისაა. თბილისელებმა ქაბაბი იციან ძროხის და ღორის ნარევის. ხინკალიც.

— თუ ძმა ხარ, ლექციის წაკითხვას მიპირებ?! — შენ რა ლექცია გინდა? კარგად გესმის ცხვრის გემო, მაგრამ ისეთი რაღაცა უნდა გითხრა, რაც არ იცი!

— ვაჰ! რა იყო, ახალი მანიფესტი უნდა გამოაცხადო?

— რა ვიცი? თუ მანიფესტი უნდა ამ გამოქლიავებას, მანიფესტი იყოს! მაგრამ რად უნდა მანიფესტი იმას, რომ ქართველობა ცხვრის ხორცზე გაიზარდა საუკუნეების მანძილზე? როდის გადაიქცა,

ძირითადად, ღორის მჭამელ ურად, არ ვიცი. მეცხრამეტე საუკუნეში? რუსებისგან ისწავლეს?

— ეგ მართლა არ ვიცი! რა გინდა, რა უნდა მითხრა?

— რა და, ამ თორმეტი წლის წინ, ჯერ კიდევ საბჭოეთში, მოსკოვში რომ ვიყავი ექიმ ჩკალოვასთან, იცი, რა მითხრა?

— მე რა ვიცი?! რა დროს ჩკალოვამ რა არი?

— მომისმინე, რა მოგივიდა!

ამ დროს ჯოტომ „ჰაინეკენის“ ქილები მოიტანა, დასხნა და მაღალ სასმისებში ჩამოასხა, მაგიდაზე დადგა ჯამები ქაშაყისა და სოკოს მარინადებით.

— ეჰჰ! გატეხე რა, „ბავარიული“ წასვლის ხოში, მაგრამ ჯანდაბას! — თქვა გივიმ და გააგრძელა: — ჰოდა, ეგ ჩკალოვა იმ დიდი პილოტი ჩკალოვის რძალია. იმ დიდი ჩკალოვის ბინაშივე დავდიოდი მაგასთან. პლოშჩად ვოსსტანია, ვისოტნი სახლი რომაა. დიდი ხავერდა, მუზუმივი-თა აქვთ, დიდი ფოტოები, აეროპლანების მოდელები და სხვა. მისი ქმარიც, ჩკალოვის ვაჟი, ავიანიჟინერია.

— კარგი, ბიჭო, რა გაახურე! რა შექამე ტვინი ამ ჩკალოვებით?! რა არი?!

— რა იყო, პაუარი გაქვს? რა მოგივიდა? ამ პახმელიაზე რაღაცის კარგად მოყოლის ხოში გამიჩნდა. მომაცოლე, რა! გეტკინება? გჩქმეტენ თუ რა არი?!

ამ დროს ნოდარმა ნახევარლიტრიანი სასმისი გაყინული „ჰაინეკენი“ ჩაცალა, ამოიხენეშა, სავარძელში კარგად გადაითხლანა, გააბოლა და ხელად სხვანაირად აღაპარაკდა:

— არა, ჩემო გივი! შენი ჭირიმი! მოგიკვდეს ჩემი თავი! ვინ ოხერი! თქვი, სად გვეჩქარება?! გისმენ! აი, გისმენ! მოჰყვივი!

გივიმაც მოიყუდა გაყინული ლუდი. შვებით ამოისუნთქა და ამანაც გააბოლა.

— ჰოდა, ჯერ ერთი, მაგ ჩკალოვამ, იცი, რა მითხრა? თანაც, რომ იცოდე, კაი ჯიგრიანი გასაქვლელი ძროხაა, რუსულ ვარიანტში, ხომ იცი? დიდი ძუძუები, კარგად გამოყვანილი გავა, კრიალა თეთრი კანი, სოჩნი ტუჩები და რამე. ხანში კია, მაგრამ მაგრად შენახული ბომბები რომ არიან, ხომ იცი? გესმის?

— ვაჰ, მაგას ვენაცვალე! როგორ არ მესმის?! მერე? უიმარობის ამბავს მიყვები?

— არა, კაცო! მეც საით გავაჭენე! კარგადა ვარ! არა, სულ სხვა რამეზე გელაპარაკები. ჯერ ერთი, მაგ ქალმა ირიდოდიანოსტიკა ჩამიტარა.

— ვაჰ, ეგ რაღაა?! რომელ ორგანოს ეხება?

— აუჰ! შენ სულ ორგანო გელანდება! თვალს ეხება ეგ, თვალის გუგას.

— ვაჰ, სულ დავიბენი!

— თვალის გუგაში გიყურებს, რაღაც აპარატი, გესმის? იქვე რაღაც დიაგრამები აქვს და ყველაფერს გეუბნება! ბავშვობაში სკარლატინა როდის გადავიტანე, ეგეც მითხრა!

— ეეე! ეგ რა აპასნი ვინმე ყოფილა?!

— რა აპასნი? რა, ცუდია? ყველაფერი

მითხრა, რაც საჭირო იყო. ჰოდა, მისმინე! რაზე დავინყვით?

— მე არაფერზე! შენ დაინყე! ცხვრის ხორცი.

— ჰოდა, მათქმევინე, რა!

ნოდარმა უცებ დაიღრიალა:

— მა, რასა ვმვრები?! შენ თქმევინებას და სმენაში არა ვარ?! — ჰო! ერთი სიტყვით, მაგ ქალმა ჩინური ნემსების კურსი ჩამიტარა, კუჭის წყლულზე, ხომ გახსოვს? თან სხვადასხვა დიეტას მანერინებდა. ჰოდა, ცხვრის ხორცზე როცა წყლული დანყნარებულ მდგომარეობაში გადავა. ესე იგი, ამ ნემსების მერე, ჭამე ცხვრის ხორცი, მწვადი, ოლონდ აუცილებლად შამფურზე შემწვარი და არა ტაფაზე. გესმის? ცხვრის ხორცშია ისეთი ამინომჟავები, ვიტამინები, როგორსაც სხვა არც ერთი ხორცი არ შეიცავს. მხოლოდ ზოგიერთი ნანადირევი. ცხვრის ხორცი ყველაზე სუფთა ხორცია, ქათამზედაც კი. ეგ ხომ მხოლოდ ბუნებრივ ბალახსა ჭამსო. შამფურზე შეწვა კი იმიტომია აუცილებელი, რომ რაც ზედმეტია, ყველაფერი გადის და ნვეთავს, ტაფაზე კი უკანვე, ხორცში იწოვებაო, გაიგე?!

— ვაჰ! ხედავ? ესე იგი, ჩვენი მწვადი, რა!

— ჰოდა, მაგისი თქმა მინდოდა, მეტი არაფერი! შენ კიდევ ამდენი მალაპარაკე! — ვაა-ჰა-ჰა-ჰა! მე გალაპარაკე?! კინალამ მომკალი, მომაყოლინეო, ვაა! ვა-ჰა-ჰა-ჰა! — და ჩაეკითხა, — ბოლო-ბოლო, გაჟიმე ეგ ჩკალოვას ქალი, ეგ მითხარი? — აუუ! ამას კიდევ მართო ესა აქვს ტვინში! ბიჭო, ზოგჯერ ეჭვი მეპარება, მანიაკი ხომ არა ხარ? არა! არ გამიფიქმა! წამდვილად გეუბნები!

— რა მანიაკი?! რას ატრავებ! გკითხე, რა! — ინყინა ნოდარმა.

— კარგი, წავედით! ხაშის ვარიანტი გატყდა, ლუდი უკვე დავლიეთ. მაინც გავიდეთ ცხვრის ქაბაბზე და „ბავარიულით“ გავაგრძელოთ.

— გერმანელები, კაცო, ღორსა ჭამენ. ცხვრის ქაბაბზე „ბავარიული“ არც გაუსინჯავთ, — თქვა ნოდარმა.

— ჰოდა, მაგაში ვერსი გვაქვს ქართველებს!

ორივენი ადგნენ. გივიმ შუბლზე ხელი შემოირტყა.

— სულ დამავინყდა! მანქანაში ის ბიჭი მიზის.

— ვინა?

— ისა, კზინოდან. ჯოტოს ჩვენს დაცვასთან დაუტოვებია გამოსაძინებლად. დაუბარებია, დილას გამომიგზავნეთო. თემურა დავსვი საქმეზე და ეგეც გამოაყოლა.

— ჰოო! დაუძახე, ერთი, დაუძახე!

გივიმ დარეკა და დაცვის ბიჭმა თემურამ კაფანდარა შემოიყვანა. თემურა გააბრუნეს, კაფანდარა დასვეს. იჯდა ჩუმად და დადარაჯებული უყურებდა ორივეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟონაჟონ სსპსპიჟონ

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვაბისაჟარ გაგაქვით თვალი

1. რა ჰქვია ქართულ კერძს — ძმარში ჩადებულ მოხარშულ ღორის ფეხებს?
2. სორციტ (ძირითადად, მძორით) გაძლომის საშუალება კოიოტებს იშვიათად ეძლევათ. რისგან შედგება მათი ძირითადი რაციონი?
3. დასახელეთ ტერენტი გრანელის ნამდვილი გვარი.
4. ლევან ბერძენიშვილის თქმით, რის გამო ღირს ქალთა ფეხბურთის საყურებლად წასვლა?
5. აშშ-ის რიგით მერამდენე პრეზიდენტი ბარაკ ობამა?
6. „სერგო ზაქარიაძე რომ არ ყოფილიყო, მის ნაცვლად, „არ დაიდარდოში“, ლევანის როლს ეს მსახიობი ითამაშებდა. რა თქმა უნდა, სულ სხვა ტიპაჟი იქნებოდა, მაგრამ სერგოზე არანაკლები“, — ვის შესახებ ამბობდა ამას გიორგი დანელია?
7. „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“ დღესაც, 300-ზე მეტ ენაზე გამოიცემს. დანიელ დეფოს ამ ნაწარმოებზე მეტჯერ, მხოლოდ ერთი წიგნია ნათარგმნი. დასახელეთ იგი.
8. სტუდიაში უოლტ დისნეის მისვლას თანამშრომლები წინასწარ იგებდნენ და ოფისში მყისვე წესრიგი ისაღებებოდა. როგორ იგებდნენ თანამშრომლები, რომ იქ წუთი-წუთზე დისნეი უნდა შესულიყო?
9. დასახელეთ ქართველი მხატვარი, რომელიც ხშირად, ეტლებზე გადასაკრავ დერმატინზე ხატავდა (რაც საკმაოდ ძვირად ღირებული მასალა იყო) და ინგლისურ საღებავებს იყენებდა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი კიბის ქვეშ ცხოვრობდა და დროდადრო ჩიოდა, — ბავშვები ფანჯარას მიმტკრევენო.
10. რომელ იტალიელ მომღერალს ეკუთვნის სიტყვები: „ხმა ღვთის წყალობად მიმჩნია. იგი ოქროს გალიაცაა, რომლის მოხალისე ტყვეც მე გახლავართ“.
11. სად არის დაკრძალული ზიგმუნდ ფროიდი?
12. სიკვდილის წინ ვინ დასახელა პეტრე I-მა თავის მემკვიდრედ?

ანეკდოცენი

* * *

ცოლი ქმარს ახალ შლაპას უჩვენებს, ქმარი კი მის დანახვზე თავშეუკავებლად იცინის. ცოლი მშვიდად უუბნება:



— რომ გაიგებ, რამდენი ღარი მივეცი ამ შლაპაში, მაშინვე შეწყვეტ მაგ იდიოტურ ხარხარს!..

* * *

მისო და მიტო ერთმანეთს შეხვდნენ:

— როგორა ხარ, მისო, სახლში ხომ მშვიდობაა?

— არა გვიშავს.

— ცოლი ხომ კარქათაა?

— კარქათაა, მაშ!

— სიდედრიც ხომ კარქათაა?

— კარქათ არის, კარქათ — შაბათს ვასაფლავებთ.

* * *

— შალიკია, გაიგე, ბიჭიკიას დედა რომ მოკვდენია? გასვენებაში არ წავიდეთ?

— სად არის გასვენება?

— საფიჩხიზაზე.

— უჰ, მაი შორსაა, შენთან რომ იყოს, წამევიდოდი.

* * *

— მამა, ცირკში წავიდეთ, რა...

— არ მცალია!

— წავიდეთ, რა... ბავშვები ამბობენ, ახალი პროგრამა აქვთ, შიშველი ქალი ვეფხვს დააჭენებო!

— ვეფხვს დააჭენებს?! უყურე შენ?! კარგი, კარგი, წავიდეთ, რამდენი ხანია... ვეფხვი არ მინახავს.

* * *

ქალი ექიმს შესჩივის:

— ჩემი ქმარი ძილში ლაპარაკობს.

— შემოძლია, წამალი გამოგიწეროთ და ის ძილში ლაპარაკ შეწყვეტს.

— არა, ექიმო, იქნებ, ისეთი წამალი გამომიწეროთ, რომ უფრო გარკვევით ილაპარაკოს.

* * *

— რას აკეთებ, ჭიჭიკია, ჩემს ლოგინში და თანაც, ჩემს ცოლთან?

— იმას, რასაც მთელი ქუთაისი აკეთებს, შე იდიოტო!

* * *

მარო მისოს ეკითხება:

— რა უნდა ვქნა, მისო, მკვრდი რომ გამეზარდოს?

— ფუტკრების სკაში ჩაყავი! — ასწავლა მისომ.

* * *

ყბახვეულ ოდესგელს მეგობარი შეხვდა და ჰკითხა:

— რა მოგივიდა?

— ახლახან ორი კბილი ამოვიღე.

— შენ ხომ ერთი გტკიოდა?

— ჰო, მაგრამ ექიმს სურდა არ ჰქონდა.

* * *

ორი მეზობლის დიალოგი:

— ჩემს ცოლს ხომ იცნობ?

— როგორ არა!

— რამდენს მომცემ, რომ დაგიტმო?

— არც ერთ თეთრს.

— თანახმა ვარ, წაიყვანე.

* * *

ნაცნობი ნარკომანს ეკითხება:

— რას ჩალიჩობ?

— აი, ავეჯს ვყიდი!

— მერე, როგორ მიდის საქმე?

— არა უშავს, სახლში ერთი მაგიდალა დამრჩა.

* * *

ორი დაქალი საუბრობს:

— ჩემი აზრით, ქორწინება უდაბნოს მირაჟს ჰგავს — სასახლეებით, პალმებით და აქლემებით. ჯერ ქრება სასახლე, მერე პალმები და ბოლოს, აქლემის ანაბარა რჩები.

* * *

კბილის ამოსაღებად ექიმთან მისული მისო შიშისაგან კანკალებს. ექიმმა გასამხნეებლად რამდენიმე ჭიქა არაყი დაა-

გონებას სავსაქო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. მუჟუღი.
2. მწერებისაგან.
3. კვირკველია.
4. მხოლოდ იმ იმედით, რომ მატჩის შემდეგ, მონინალმდეგე გუნდების მოთამაშეები მაისურებს გაცვლიან.
5. 44-ე.
6. იპოლიტე სვიჩიას შესახებ.
7. ბიბლია.
8. ცნობილი მულტიპლიკატორი ბევრს ეწეოდა, რის გამოც, საშინლად ახველებდა. თანამშრომლებს მისი სველა შორიდანვე ესმოდათ და ოფისში ყოველგვარი სმაური წყდებოდა.
9. ნიკო ფიროსმანი.
10. ლუჩანო პავაროტის.
11. ფროიდის საფლავი არ არსებობს. ღრმად მოხუცებულ მეცნიერს ახლობელი ექმი დაეხმარა, რათა მშვიდად მომკვდარიყო — მორფინის დიდი დოზა გაუკეთა, რის შემდეგაც, ცხედარს კრემაცია ჩაუტარეს, ფერფლი კი მის შთამომავლებს, ეტრუსკულ ვაზაში აქეთ შენახული.
12. არაფინ. ნარცისიზმით დაავადებულ მეფეს, რომელმაც საკუთარი შვილიც კი მოკლა, ფიქრადაც არ გაუფლია, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ ვინმეს შეეძლო გამეფება.

ლევინა და ეკითხება:

- ჰა, მისო, გამხნევიდი თუ ვერა?
- მააშ! აბა, ვინმე გაბედეთ და ჩემს კბილს თითი დააკარეთ.

* * *

- ნუ მივათხოვებთ ჩვენს ქალიშვილს იმ კაცს... იქნებ, ვინმე უფრო ჭკვიანი გვეპოვა?! — ეუბნება ქმარი ცოლს.
- რას ამბობ?! მეც რომ ვგრე მემსჯელა, შინაბერა დაფრჩებოდი!

* * *

- დიალოგი საგაჟეთში:
- მე ნაპოლეონი ვარ!
- ვინ გითხრა?
- უფალმა!
- ტყუილია, მე შენთვის არაფერი მითქვამს, — ჩაერია ლაპარაკში თეთრწვერა პაციენტი.

* * *

- გურული სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს ეხვეწება:
- ოლონდ ეს ბალანა მომიწყვე ინსტიტუტში და ადესა ჩემზე იყოს.
- გაგიჟდი, 5.000 დოლარის ადესას რა დალევს?!

* * *

- გუშინ ბუკინისტებთან ვიყიდე წიგნი — „როგორ გავხდე მილიონერი“, მაგრამ სახლში აღმოვაჩინე, რომ ნახევარი ამოგლეჯილი იყო.
- არა უშავს, არც ნახევარი მილიონია ცუდი ფული.

* * *

- ქალი ექიმს ეკითხება:
- თქვენ ექიმი ბრძანდებით?
- დიას!
- გინეკოლოგი?
- არა, მაგრამ შემოდია, გაგსინჯოთ.

* * *

- საუბარი სასადილოში:
- წუხელის რაჟდენა მომკვდარა.
- რომელი რაჟდენა?
- როგორ არ გახსოვს, ულვაშებიანი კაცი, აქ ყოველდღე დადიოდა და თითო ჯერზე 3 ლიტრ არაყს და 15 კათხა ლუდს რომ სვაშდა.
- რისგან მოკვდა საწყალი?
- ნარმოდენა არა მაქვს.

* * *

ექიმის კაბინეტში მოხუცი კაცი შევიდა.

— ექიმო, ახალგაზრდობაში ყველანაირი ქალი მყავდა...

— გასაგებია, გასაგები, მაგრამ მე ვენერიულ დაავადებას არ ვმკურნალობ.

— არა, ექიმო, თქვენ ვერ გამიგეთ, ქალებთან დროს ტარება, ყველაზე მეტად, ძვირად ღირებულ სპორტულ მანქანებში მიყვარდა. ჰოდა, თითქმის ყველანაირი მანქანა მოვისიჯე: „ალფა რომეო“, „პორშე“, „იაგუარი“...

— ააა, მივხვდი, ამის გამო ახლა რადიკულიტი ან ართროზი განუხებთ, არა?

— არაფერი მაგის მსგავსი, ექიმო.

— აბა, რისთვის მოხვედით?

— ერთი-ორი დღით თქვენს „ფერარის“ ხომ ვერ მათხოვებდით?..

* * *

სიდდერი მთვრალ სიძეს ეუბნება:



— მორჩა, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტე — ან ლვინო, ან ჩემი ქალიშვილი!

— ჯერ ის მითხარი, რამდენ ლიტრ ლვინოზეა ბაზარი.


ჩვენი ფოსტო მალანა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვამოდლო რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

ბედნიერების 7 წრე

ოდესმე თუ შეგინიშნავთ, რომ ყოველწლიურად თქვენს ცხოვრებაში, ერთსა და იმავე დროს, დაახლოებით ერთნაირი მოვლენები ხდება? სასურველია, იცოდეთ, რომ ადამიანი ყოველწლიურად, ცხოვრების შვიდ ციკლს გადის, რომელთა გათვალისწინებით შეგიძლიათ, ცხოვრება გაიაღვილოთ.



მეოთხე ციკლი — სულიერი

ეს პერიოდი განსაკუთრებით წარმატებულია შემოქმედით ადამიანებისთვის. თამამად შეუდექით საქმეს და განახორციელეთ დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული პროექტები — ფორტუნა თქვენს მხარეზე! ოპტიმისტური განწყობილება თქვენი თანამგზავრი იქნება, თუმცა ოდნავ გალიზინებული იქნებით.

დაიმახსოვრეთ: თუკი საქმეს გამომცემლებთან, პროდიუსერებსა და პროექტის დირექტორებთან დაიჭერთ, ფიზიკლად უნდა იყოთ. შეისწავლეთ ყველა იურიდიული დოკუმენტი, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. ყურადღება მი-
აქციეთ იმასაც, რომ ეს პერიოდი არასასიკეთოა ქორწინებისა და მსხვილმანი შენაძენებისათვის.

მეხუთე ციკლი — პირადი წარმატება

ინტერესთა სფეროს გაფართოების, რეალური პერსპექტივების გამოჩენისა და შემდგომი განვითარებისთვის საუკეთესო პერიოდია. თქვენს აზრს აუცილებლად გაითვალისწინებენ. დროის ამ მონაკვეთში მიიღებთ დიდ კრედიტს და მეგობრებისა და პარტნიორების ნდობას დაიმსახურებთ; გარშემო მყოფნი თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი იქნებიან. ერთი სიტყვით, ბევრი სასიამოვნო ურთიერთობა გელით.

დასძლიეთ უზერხულობის გრძობა! მაღალი თანამდებობის პირებს თამამად და გაბედულად ესაუბრეთ. თუ რაიმე საქმე სასამართლოში გაქვთ გადასაწყვეტი, ეს აუცილებლად მესუთე ციკლში მოაგვარეთ.

ასევე საუკეთესო დროა ადრე ჩაფიქრებული პროექტების (რომლებიც მოლაპარაკებებსა და მივლინებას მოითხოვს) რეალიზებისთვის. ამ პერიოდში შეგიძლიათ რაიმე მნიშვნელოვანი შეიძინოთ და ფული ახალ საქმეში დააბანდოთ. ოღონდ გახსოვდეთ: აუცილებლად კანონის ფარგლებში იმოქმედეთ, რადგან შეიძლება პრობლემები შეგექმნეთ.

მეექვსე ციკლი — განხილვა

დასვენებისა და გართობის დროა. საუკეთესო პერიოდია სასიამოვნო მოგზაურობებისა და ადამიანებთან ურთიერთობისათვის. შესაძლოა, ამ დროს ახალ სასიყვარულო რომანსაც

პირადი ციკლის გამოთვლა საკმაოდ იოლია. პირველი პერიოდი თქვენი დაბადების დღიდან იწყება და თითოეული მათგანი 52 დღეს გრძელდება. დაუშვავთ თქვენ დაიბადეთ 6 ივლისს. მიუმატებთ 52 დღეს და მიიღებთ 28 აგვისტოს — პირველი ციკლის დასასრულს; მეორე ციკლი 28 აგვისტოდან იწყება და 17 ოქტომბერს მთავრდება და ა.შ. დაბადების წელს ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს.

ბოლო პერიოდი მომდევნო დაბადების დღემდე სრულდება.

ახლა გავარკვიოთ, რას ნიშნავს ეს ციკლები და როგორ ვიხელმძღვანელოთ მათი მეშვეობით.

პირველი ციკლი — მსახიობის პერიოდი

საუკეთესო დროა, გავლენიანი პირების დახმარებით ისარგებლოთ და დიდი ხნის ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოთ: მოძებნოთ ნანატრი სამსახური და მფარველის მხარდაჭერით ისარგებლოთ. ამ პერიოდში საკუთარი საქმის წამოწყებასაც შეიძლება. ხელსაყრელი პერიოდია საიმედო პარტნიორების მოსაძებნავად და შემოსავლიან ბიზნესში კაპიტალის დასაბანდებლად. სწორედ ახლა უნდა გამოიჩინოთ თავი და შეეცადოთ, კარგი რეპუტაცია შეიქმნათ.

მეორე ციკლი — დიდი და მცირე ბარდაქმნის პერიოდი

დროის ამ მონაკვეთში უმჯობესია იმოგზაუროთ, თანაც არა აქვს მნიშვნელობა, შორს გაემგზავრებით თუ არა, რადგან ყველანაირი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

ეს ციკლი საერთოდ სასიკეთოა ყველაფრისთვის, რაც გადაადგილებასთან არის დაკავშირებული: მანქანის ყიდვა-გაყიდვა, საცხოვრებელი ბინის შეცვლა და სხვა. ხელსაყრელი პერიოდია საჯარო გამოსვლებისთვისაც. გაუმართლებს აგრეთვე მათ, ვინც თხევადი ნივთიერებების (ლუდის, რძის, ბენზინის და ა.შ.) ბიზნესს აწარმოებს. ოღონდ დაიმახსოვრეთ: მეორე ციკლის დროს არ ღირს ახალი ბიზნესის წამოწყება, სამსახურის შეცვლა, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება, ფულის სესხება ან გასესხება, ფასიანი ქაღალდების შექენა და აზარტული თამაშებით გატაცება.

მესამე ციკლი — ენერჯიტიკული

ეს ნიშნავს, რომ თქვენ კარგ ფორმაში იქნებით. მოზღვავებული ენერჯია მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადაგადგმევინებთ. ჯანმრთელობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. საუკეთესო პერიოდია კონკურენტებთან საბრძოლველად. თუ თქვენ ბინის, მანქანის ან უბრალოდ, რაიმე ნივთის გაყიდვა გსურთ, დაუყოვნებლივ გააკეთეთ ეს: წარმატება და მოგება გარანტირებული გაქვთ.

მამაკაცებმა უმჯობესია, ახალი რომანების წამოწყებისგან თავი შეიკავონ; ქალებმა კი პირიქით — გაუღებინან „მფარველებს“, რომელთაც შეუძლიათ მხარდაჭერა აღმოუჩინონ და საქმიანი დახმარება გაუწიონ, მეტი ყურადღება მიაქციონ. თუ მტრის მომრავლება არ გინდათ, ამ პერიოდში უმჯობესია, კონფლიქტებისგან თავი შეიკავოთ.

გამოჰკრათ ხელი. მოინახულებთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც — ესტუმრეთ თეატრებს, მუზეუმებს, საკონცერტო დარბაზებს. ამ პერიოდში გაბმული მეგობრული და ინტიმური ურთიერთობები საკმაოდ მყარი და ხანგრძლივი აღმოჩნდება. ჯენტლმენების საყურადღებოდ: ნუ დაზოგავთ ფულს სუნამოებსა და ყვავილებზე. თქვენ გეძლევათ შანსი, საოცნებო ქალის გულის მპყრობელი გახდეთ. ქალები კი ამ პერიოდში თავ-თავიანთ „პრინცებს“ მოაჯადოებენ.

შეგიძლიათ, ცოტა წაიმუშაოთ კიდეც: გახდეთ რომელიმე კომპანიის აქციონერი ან მომგებიან პროექტში ჩადოთ ფული.

მეზიდე ციკლი — კრიტიკული

ამ დღეებში თქვენ მიერ დაგროვილი გამოცდილება სერიოზულად გააანალიზეთ. შესაძლოა, სწორედ ახლა აღმოაჩინოთ, რომ „ფსონი სრულიად სხვა რიცხვზე დაგიდვიათ“. მოახდინეთ მოვლენების გადაფასება. რადიკალურ ცვლილებებს ხშირად გულისტკივილი და სიცარიელის შეგრძნება მოსდევს, რასაც შეუძლია, დაუფიქრებელი ნაბიჯები გადაგადგმევიწიოთ. ამიტომ მოერიდეთ ცხელ გულზე განწყვეტილების მიღებას! გახსოვდეთ, რომ მოჩვენებითი დანაკარგი შემდგომი პერიოდის განვითარების დასაწყისია, რომელიც დიდ პერსპექტივებსა და ახალ შანსებს გპირდებათ. ისარგებლეთ ამით, რათა ძველ პრობლემებს თავი დააღწიოთ. დააწყვეთ ახალი გეგმები. ამასთან შეეცადეთ, არ განყვიტოთ კავშირი ძველ პარტნიორებთან: ისინი კიდეც გამოგადგებიან.

ზოგ შემთხვევაში, შეიძლება პესიმიზმმა შეგიპყროთ, მაგრამ ნუ აპყვებით. ბოლოს და ბოლოს, ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა იგი უნდა შეჩერდეს, უკან მოიხედოს და დაფიქრდეს. ეს დრო კი არასდროს არის ფუჭად დაკარგული.

ისწავლეთ სტრესის დამცობა



სტრესი ორგანიზმს აუძლურებს. განერვიულებულ ადამიანს კი შეიძლება წვრილმანი საზრუნავიც გადაუღალავ პრობლემად ექცეს. კარგი იქნება, თუ ნერვიულობას არ აპყვებით და თავს სტრესული მდგომარეობისგან დაიცავთ. ამაში უპირველეს ყოვლისა, სუნთქვითი ვარჯიშები დაგეხმარებათ:

1. მოძებნეთ მყუდრო ადგილი, სადაც ყურადღებას არავინ გაგიფანტავთ და არც თქვენ შეუშლით ხელს ვინმეს. სკამზე ან იატაკზე დაჯექით, წელში გაიმართეთ, არ მოიხაროთ — ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია! დამშვიდდით და თვალები დახუჭეთ.
2. მთელი ყურადღება სუნთქვაზე გადაიტანეთ. ისუნთქეთ ნორმალურად, მშვიდად. არ შეეცადოთ სუნთქვის გაკონტროლებას. ნება მიეცით სუნთქვის რიტმს, დამოუკიდებლად ჩადგეს ნორმაში.
3. თუ ფიქრები (მით უმეტეს, უსიამოვნო) მაინც მოგეძალათ, შეეცადეთ, ნელ-ნელა ყურადღება ისევ სუნთქვაზე გადაიტანოთ.
4. ამ მდგომარეობაში (ჩუმად და უმოძრაოდ) დაახლოებით 15 წუთი დაყავით.
5. როცა თქვენი წარმოდგენით, ეს დრო გაივლის (საათის დანიშვნა საჭირო არ არის — ყურადღებას გაგიფანტავთ), ნება მიეცით აზრებს, ყოველდღიურ საზრუნავს დაუბრუნდნენ. მერე თვალები გაახილეთ.

შეინარჩუნეთ ცონუსი

მართალია, დალილს დივანზე წამოწოლა ყველაფერს გირჩენიათ, მაგრამ ფიზიკური დატვირთვის გარეშე, სტრესული სიტუაცია უფრო მწვავედა. შეეცადეთ, ირბინოთ ან სწრაფად იმობრაოთ და კუნთები დაძაბოთ. მათი აქტივობა გულ-სისხლძარღვთა სისტემას წვრთნის, სხეულსა და ტვინს ჟაგბადით უფრო აქტიურად ამარაგებს. ეს აგიმალლებთ ტონუსს და ენერჯით აგავსებთ. როცა ფორმაში ჩადგებით, დატვირთვა ნაკლებ ძალას წაგართმევთ. ძალზე ეფექტურია ყოველდღიური ვარჯიში, თუნდაც ეს მხოლოდ გასეირნება იყოს. იდეალური ვარიანტია კვირაში 3-ჯერ, 30 წუთით ვარჯიში.

შეიძინეთ ახალი სამოსი და...

დაბალი თვითშეფასება ხშირად ქრონიკული დალილობის მიზეზი ხდება და შეიძლება დეპრესიამდეც მიგიყვანოთ. თუკი სამუშაოსადმი ინტერესს კარგავთ, ცუდად გძინავთ, წონაში მოულოდნელად იმატებთ ან იკლებთ, ცხოვრებისეულ პრობლემებს ვერ უმკლავდებით — ასეთი მდგომარეობიდან საკმაოდ მარტივი გამოსავალი არსებობს: შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი და მსუბუქი ფლირტით გაერთეთ. მიღებული სიამოვნება სულიერ სიმხნევეს შეგმატებთ და ანტიდეპრესიული პრეპარატები აღარ დაგჭირდებათ.

აირჩიე და შეიძინე სასილდან გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge

გამოცემის დასახელება	1ჯგზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИИ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

არასოდ დაწვავთ
საპროცენტო
„ელვა.ჯი“
კომპანია
თბილისი ქ. 7049
ტელ: 32-26-73; 32-26-74
ფაქს: 32-26-74
E-mail: elva@elva.ge

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა



წითელი უახსრსრული

სპება კვარასხელია

ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი

ნიას ცუდი წინათგრძნობა აეკვიცა. დარწმუნებული იყო, რომ ეს დღე მისთვის კატასტროფულად დამთავრდებოდა. დილა ცუდად დაიწყო. ჯერ იყო და, თავისი ახალთახალი ლამაზი პიჟამა კბილის პასტით მოთხუნა, მერე მკაცრად საღამოს კაბაზე ლამის ქაფქაფა ყავა გადაესხა. ასეა, არ უნდა იჩქარო. მოჩქარეს მოუგვიანდესო, სწორედ ამხევა ნათქვამი. ან კი რას ფატიფუტობს? წვეულება საღამოს რვა საათზეა, რა ანერვიულებს? მართალია, წვეულებები დიდად არ ეხატება გულზე, მით უმეტეს, როცა მისთვის უცხო საზოგადოებაში მოხვდება, მაგრამ რას იზამ, თუკი დახმარება შენს უახლოეს დაქალს სჭირდება? მაკაზე უკეთესი ქვეყნად არავინ ჰყავს, ამიტომაც თავს ვალდებულად მიიჩნევს, მსხვერპლი გაიღოს. საუკეთესო კაბაც კი ათხოვა მეგობარმა.

მაგიდა ალაგა და საძინებელში გავიდა, რომ დიდ სარკეში კიდევ ერთხელ ჩაეხედა. ღმერთო ჩემო! ქუჩის ქალივით გამოიყურება! ოჰ, მაკა, მაკა! შენ რა გითხარი! ასე უნდა გაიმეტო დაქალი? როდის იყო, ნია გამომწვევად იცვამდა! ძალიან მოლელილია ეს კაბა, მკერდი ლამისაა, ღრმა ჭრილიდან ამოუვარდეს! თან რა მკერდი! ნიამ ზიზღით შეათვალიერა თავისი

ორეული: მაკიაჟი ძალზე მკვეთრია, პომადა — ვულგარული, რამისიქე ტუჩები გამოუჩნდა?! ამ ნამწამებს რაღა დაემართა? როგორ მისწინებია ერთმანეთს. თვითონ რა შუაშია, ტუჩის ბრაღია, არ უნდა ეყიდა ოთხლარიანი ნაგავი. „მაქსფაქტორისთვის“ კი ოცი ლარი ვერ გაიმეტა, ჰოდა, იყოს ახლა ასე მოთხუნილი. რას დასცინებენ უცხო საზოგადოებაში, კეკელკასავით რომ გამოცხადდება ქალებისთვის სათაყვანებელ ბიზნესმენტან! რა სირცხვილია!

ამ განსჯაში იყო, კარი რომ გაიღო და ოთახში მაკა შემოვიდა. ნაცრისფერი დასდებოდა სახეზე.

— რა ქენი, მზად ხარ?

ნია დატუქსული ბავშვივით შეტრიალდა მეგობრისკენ.

— ჰო, მაგრამ საშინლად არაკომფორტულად ვგრძნობ თავს ამ კაბაში. ძალიან ჩახსნილია წინიდანაც და უკნიდანაც, — შეწუხებულს თვალები აუწყლიანდა.

— რას ამბობ, გაგიუდი? — შეიცხადა დაქალმა. — ჩემი ყველაზე საყვარელი კაბა მოგიტანე. შენ ჩემზე დიდი მკერდი გაქვს და უფრო ლამაზი თქოები, ამიტომაც ბევრად სექსუალურად გადგას ტანზე. პირდაპირ გხატავს, ვერ ხედავ? კაცები დაცემიან, რომ დაგინახავენ. კახას უყვარს, როცა შენაირი ლამაზი ქალები ტრიალებენ მის გარშემო. იცის სილამაზის ფასი. რომელ მამაკაცს არ მოსწონს ეს? შენ სიგიჟემდე ლამაზი ხარ, არაჩვეულებრივად გამოიყურები. მე თუ მკითხავ, სულელი ხარ, ნია, რა. ტყუილად არ იყენებ ასეთ გარეგნობას. შენს ადგილზე იცი, რამდენ და როგორ კაცს შევაბამდი? აქამდე მილიონერის ცოლი გავხდებოდი!

— ნიამ ღიმილი ვერ შეიკავა.

— ძალიან გამომწვევად გამოვიყურები, მაკიაჟიც არ მიხდება...

— ნუ სულელობ, მაგარ ფორმაში ხარ! იცოდე, ფრთხილად იყავი, კაცი არ დამანერო! — ხუმრობით თითი დაუქნია დაქალმა და სიყვარულის ნიშნად ლოყა ლოყაზე მიაღო.

— არ გრცხვენია? რა თავში ვიხლი შენს კაცს, სულ არ მაინტერესებს... ოჰ, რომ იცოდე, რა შარში გამხვიე... — ამოიოხრა გოგონამ და თვალები დახარა.

— კარგი, რა, ნუ იგონებ რაღაცას. შენ დიდი არაფერი გევალება. ერთადერთი, რაც უნდა გააკეთო, კახას მეთვალყურეობაა. გამუდმებით მის გვერდით იტრიალე, რომ სხვა ქალებს მასთან ახლოს მისვლის საშუალება არ მისცე. იცი, როგორ ნადირობენ კახუჩაზე გოგოები? ლამისაა, ერთმანეთი დაწყვიტონ მისი გულისთვის. არ იცი, როგორ შურთ ჩემი!

— მჯერა, — ამოიკნავლა ნიამ და ნაძალადევად გაიღიმა.

— არ შეგანუხებდი, სიხარულო, მაგრამ რა ვქნა, ისე ცუდად ვარ, შანსი არ

არის, გარეთ გავიდე. რამ მაჭამა წუხელ ის თევზი, მთელი ღამე მალებინებდა. ვერ ხედავ, რა ფერი მადევს? ყოველ ათ წუთში ტუალეტში გავრბივარ. კიდევ კარგი, შენთან დავრჩი, თორემ სახლამდე ვეღარც მივალწვედი.

— ჰო, მესმოდა, მეც არ მიძინებია მთელი ღამე.

— არ დაგაძინე, ფისო, ხომ? — გადაეხვია მაკა.

— შენ რა შუაში ხარ, უბრალოდ, თვალი ვერ მოგუფქე, ვნერვიულობდი. სრულიად უცხო ხალხთან მიწევს საღამოს გატარება, არც ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე.

— კარგი რა, დაიკიდე, ისე მოიქეცი, როგორც სიტუაცია გიკარნახებს. გგონია, იქ შენზე უკეთესები იქნებიან? ყოველ მათგანს ელიტის წარმომადგენელი ჰგონია თავი, ამ დროს ერთი გაუწვლემელი, ტლუ გოგოები არიან, ფულიანი მამაკაცების გამოსაჭერად საშოვარზე გამოსულნი. ეგ არის და ეგ.

— უ-უჰჰჰჰჰ — ამოიკვნესა ნიამ. — როგორ არ მიყვარს ასეთი რამეები!.. კარგი, კარგი, რაც არის, არის. რომელი საათია?

— ჯერ ადრეა, ნუ ნერვიულობ.

ნიამ ტუჩი მოიკვნითა. „უფულობას რა ვუთხარი! ვალში რომ არ ვიყო მაკასთან, ხომ ამცდებოდა ეს ხათაბალა?“ არადა, როგორ უთხრას უარი ასეთ მზრუნველ მეგობარს? რამე რომ დასჭირდებოდა, გაჭირვების ტალკვესივით მუდამ გვერდში უდგას. რა ქნას, აბა, თავისი ხელფასით თავი ვერ გააქვს. სკოლაში მუშაობს ინგლისური ენის მასწავლებლად, ისიც კვირაში მხოლოდ ორ დღეს — ორშაბათს და ხუთშაბათს, სულ თორმეტი საათი გამოუყვებს. ეყოფა? რა თქმა უნდა, არ ეყოფა. იმ თვიდან ვნახოთ, რა იქნება. ცოტა ხნის წინ, მაკა ფულის სესხებაში დაეხმარა და მცირე ბიზნესი წამოიწყო — ფართობი იქირავა და მეორადი ტანსაცმლის მაღაზია გახსნა. ერთი მასავით სანყალი გოგო დააყენა გამყიდველად, დღეში შვიდ ლარს უხდის. ღმერთმა ქნას, გაუმართლოს. ამიტომაც ვერ ეუბნება დაქალს თხოვნაზე უარს, თორემ რა ჯანდაბა უნდოდა ვილაკ კახუჩელასთან ერთად კაზინოში?

ეჰ, რა კარგი დრო იყო, დედა რომ ცოცხალი ჰყავდა... რა მოსაბეზრებელია მარტო ცხოვრება, არაფერი უხარია, ყველაფრის ხალისი დავარგა. მაკა კიდევ, გადაეკიდა, ისეთი ლამაზი ხარ, გამოიყენე შენი სილამაზე რამეშიო. არ სიამოვნებს ნიას მეგობრის შეგონება. არ უნდა, მას დაემსგავსოს. მისნაირი ვერასდროს გახდება. ფულის გულისთვის შეიძლება ყველაფერზე წახვიდე? არა, ის წესიერი გოგოა, ტრადიციებზე აღზრდილი და ასეთ რამეს არასდროს გააკეთებს. ეყოფა, ერთი შეცდომა რომ დაუშვა წარსულში, თუმცა მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო... მას მერე ჭკუა ისწავლა. მისთვის ეს ერთი საღამოც კი მიუღებელია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არაფერი ევალება. მისგან ამორალურ საქციელს არავინ მოითხოვს, მაგრამ ასე ვულგარულად გამოწყობილი რომ

წავა წვეულებებზე, ხალხი რას იფიქრებს? ვაითუ, შემთხვევით ნაცნობმა დაინახოს? ხომ მოეჭრება თავი! მთელი სკოლა მასზე ალაპარაკდება!

ამის გაფიქრებზე ცივმა ოფლმა დაასხა, შეაყრუოლა.

— თუ დამიჯერებ, შენი ყველა პრობლემა თავისთავად მოგვარდება, ოღონდ მომენდე, გესმის? — გააგრძელა მაკამ. — კახას მდიდარი ძმაცაცები ჰყავს, ყველა ფულდანი. მთელი ცხოვრება მათხოვარივით ხომ არ უნდა იყო?

— არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი, მაკა, გთხოვ, — საყვედური გაურია ნიამ ხმაში.

— ღმერთო ჩემო, რატომ გგონია, რომ ცუდისკენ გიბიძგებ? თუ საყვარლის გაჩენა არ გსურს, არავინ გაძალებს. იქ უცოლოებიც არიან. შენაირ გოგონებზე არც ერთი უარს არ იტყვის, დარწმუნებული ვარ. ისინი მდიდარ საცოლეებს არ ცნობენ. ფულის მეტი რა აქვთ! მათთვის პატიოსნებაა მთავარი, მოკრძალებულ, თავმდაბალ ქალებს სანთლით ეძებენ. შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ, შეიძლება ერთადერთიც. ჰოდა, იმოქმედე, რა!

— ჰმ, რა მიაბიტი ხარ, რომ იცოდევ. ვის რაში სჭირდება ჩემნაირი, რომელი მალალი წრიდან გამოსული მე ვარ? ისეთი ქალები დადიან ქალაქში, ცაში ვარსკვლავებს ეთამაშებიან, თანაც როგორი ოჯახის შვილები! თავდაც ხომ ხვდები, რომ შენი რჩევა-დარიგება ტყუილი წყლის ნაყვანა? შენ თვითონ არ გჯერა საკუთარი ზღაპრის, ამიტომაც გთხოვ, გაჩუმდი!

— მე კი გაჩუმდები, მაგრამ ეს შენს პრობლემებს რამეს უშველის? რა ვქნა, პირადად მე, ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ მამაკაცის ხარჯზე ვიცხოვრო, არ ვარ მართალი?

— მაგრამ ამისთვის საკუთარი სხეული არ უნდა გაყიდო. არ გეგონოს, რომ ცხოვრების წესს გინუნებ, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ თავად ამის მომხრე არ ვარ, ჩემთვის მსგავსი რამ მიუღებელია. მირჩევნია, მხოლოდ პურის ფული მქონდეს, ვიდრე... ნირწამხდარმა მაკამ გაჩუმება აშჯობინა.

ნია მიხვდა, რომ მეგობარს აწყენინა და მხარზე ხელი გადახვია.

— გეფიცები, შენი განსჯა ფიქრადაც არ გამოვილა, მაკამ. შენ იმდენ რამეს აკეთებ ჩემთვის, უმადური ვიქნებოდი, ეს არ დამეფასებინა. ნამდვილად არ მაქვს უფლება, გაგვიცხო ან შენიშვნა მოგცე. შენი პირადი ცხოვრება შენ უნდა განკარგო, მაგრამ მე შენაირად არ შემეძლია და მორჩა!

— გამოდის, ჩვენ მეგობრები არ ვყოფილვართ, — ნაიჭურჩულა მაკამ.

— მეგობრები რომ ვართ, იმიტომაც მივდივარ ამაღამ შენ მაგივრად. მგონი, ყველაფერი გითხარი! — თქვა ნიამ და ცივად გაუღიმა დაქალს.

გიგი შუბლშეჭმუნხილი გაჰყურებდა პოკერის სათამაშო მაგიდასთან შეჯგუფებულ ხმაურთან კომპანიას.

— ეს კახა დევიძეა, — უჩურჩულა კაზინოს დაცვის თანამშრომელმა, თემომ, — უამრავ რამესია ეჭვმიტანილი — ნარკო-

ტიკები, ფულის გათვრება, „შულერობა“... კიდევ ჩამოვთვალო?

გიგიმ უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— ასე თუ გააგრძელა, ნულზე დაგვსვამს, როგორ მოვიქცე? — ჩაეკითხა თემო.

— ამჯერად მე თვითონ მივხედავ, გმადლობ.

— გარუხებულ მაფიოზს, არა მგონია, ეს მოეწონოს, — ჩაიცინა ბიჭმა.

— მით უარესი მისთვის, — თავისთვის ჩაილაპარაკა გიგი და ადგილიდან დაიძრა.

მიუხედავად იმისა, რომ დევიძისნაირები კაზინოში უამრავ ფულს ხარჯავდნენ, გიგი ახვლედიანისთვის სულერთი არ იყო, რამდენად ბინძური ფული ტრიალებდა პრესტიჟულ სამორინეში. მით უფრო, რომ კახა თავისი აფერით განთქმული იყო მთელ რუსეთში. როცა იქ გაუგებს და თითქმის ყველა კაზინოს შავ სიაში შეიტანეს, საქართველოში გადმოინაცვლა. სხვების თვალის ასახვევად, თავიდან აგებდა და აგებდა. როცა წაგებულნი თანხა სოლიდურ ზღვარს მიაღწევდა, მერე უკვე ასტრონომიულ ციფრამდე აჰყავდა მოგება.

არა, უნდა დაატოვებინოს აქაურობა, მაგრამ ამისთვის რადიკალურ მეთოდებს, რა თქმა უნდა, არ მიმართავს. ასეთ გარეწრებთან უმჯობესია, დიპლომატიური სვლები გამოიყენო, ისე, რომ კაზინოს რეპუტაცია არ შეილახოს.

გიგი დინჯად მიინევდა წინ. გზადაგზა იძულებული ხდებოდა, შეჩერებულიყო, რათა ნაცნობებს და მუდმივ კლიენტებს თავზაზიანად მისალმებოდა, არც მათი თანმსლები მანდილოსნებისთვის იშურებდა კომპლიმენტებს. ასეთ მომენტებშიც კი არ არღვევდა იგი ეტიკეტის წესებს. აი, ახლაც, ერთ-ერთი ბანკის დირექტორს ჩამოართ-

ვა ხელი, თბილად მოიკითხა, თან მის ზურგს უკან გააპარა მხერა. დევიძე და მისი კომპანია კვლავ სათამაშო მაგიდის ირგვლივ ხორხოცობდნენ. შიგადაშიგ მხურვალე ალბოდიმენტებიც ისმოდა. როგორც ჩანდა, კახა ისევ და ისევ იგებდა. მას რამდენიმე ძმაცაციც ახლდა თან, რომელსაც გვერდს ვულგარული ქალების მთელი წყება უშვებდა. სწორედ ისინი ქმნიდნენ აუიოტაჟს ყოველი მომდევნო პარტიის დასასრულს. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო, სასწრაფოდ გაეძევებინა დევიძე და მისი დამქაშები კაზინოდან. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ლამაზ მანდილოსანს ხედავ, ეს დადებითად მოქმედებს საქმოსანი ადამიანების რეპუტაციაზე. მდიდარ ადამიანებს უყვართ საზოგადოებაში ლამაზ ქალებთან ერთად გამოჩენა. სწორედ მათ გამო ხარჯავდნენ ბიზნესმენები უამრავ ფულს, დასანანიც კი იყო, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში ამაზე არ იყო ლაპარაკი. გიგი არ დაუშვებს, მის სამორინეში ბორდელიდან გამოყვანილმა ქალებმა „იტასაონ“... თუნდაც ძალზე მომხიბვლელად და სექსუალურად გამოიყურებოდნენ... როგორც, მაგალითად, აი, ის...

ახვლედიანის დიდრონი შავი თვალები ახალგაზრდა გოგონას მიაჩერდა, რომელიც კახას გვერდით იდგა. იგი დანარჩენებისგან აშკარად გამოირჩეოდა. მისმა მგრძობიარე პროფილმა მამაკაცი ალტაცებაში მოიყვანა. იგი ერთ-ერთი იმ ქალთაგანი იყო, რომელიც ყოველთვის იპყრობდა მის ყურადღებას. სწორედ ასეთები მოსწონდა. უგემოვნო მკაიყი, ვულგარული ვარცხნილობა და ზედმეტად გამოწვევი ცისფერი კაბა ვერაფერს აკლებდა გოგონას ბუნებრივ სილამაზეს. დასანანიც კი იყო, ასეთი მიმზიდველი არსება მისთვის სასუსურველ კომპანიას რომ ახლდა თან. დევიძის ერთ-ერთ ძმაცაცს გოგონასთვის შიშველ მხარზე ხელი გადახვია და ყურში რაღაცას ვნებინა და ჩასაჩურჩულებდა. მამაკაცი დროდადრო თავისკენ იზიდავდა ქალს. ამ დროს მისი დეკორატიული უფრო ფართოდ იხსნებოდა და ისედაც მოშიშველებული მკერდი კერტების გამოჩენამდე შიშველდებოდა. როგორც ჩანს, გოგონა ამას ვერ ამჩნევდა. შეიძლება, არც სურდა, შეემჩნია. ალბათ საგანგებოდაც ჩაიცვა ასე, სხვანაირად როგორ მოხვდებოდა ამათ წრეში? — გაიფიქრა გიგიმ.

ამასობაში მიუახლოვდა უსიამოვნო სტუმრების სათამაშო მაგიდას...

ნია მაქსიმალურად ცდილობდა, კანკალი არ შეემჩნია. კახას ერთ-ერთი ძმაცაცი, გოდერძი, საშველს არ აძლევდა, მთელი საღამოს განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია, ჩაბლუჯულს დაატარებდა აქეთ-იქით. მისი კოტიტა თითქმის ერთი წამით არ შორდებოდა ნიას შიშველ მხრებს. ღმერთო, უშველე, რომ როგორმე დროზე გააღწიოს აქედან. უკვე გული ერევა აქაურობაზე, მთელ ამ საზოგადოებაზე! მეტის მოთმენა აღარ შეუძლია, ლამისაა, გაუსხლტეს ხელიდან ამ საზიზღარ მამაკაცს და გაიპაროს შენობიდან. არა, არა, დილიდან



დაითარსა! თუმიცა თავიდანვე იცოდა, რომ ამ შეხვედრიდან კარგი არაფერი ელოდა. ამას ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა, როცა მაკამ იგი კახას წარუდგინა, თან დააყოლა, საღამოს ჩემ მაგივრობას ჩემი დაქალი გაგინევსო. სწორედ ამ მიზეზით აღმოჩნდა ნია აქ. სწორედ ამიტომ ითმენს ამ მოზვერის კოტიტა ხელის ფათურს, რომელსაც, როგორც ჩანს, მთელი მსოფლიო თავისი ჰგონია. ამიტომაც ილიმება დარცხვენილი, თან წამებს იველის, როდის გავა დრო და გავარდება აქედან. გონებაში გამუდმებით მაკას ფრანა უტრიალებს — „ერთადერთი, რაც გევალებს, უნდა იყო სასურველი და სულ ღიმილიანი“.

ისიც მთელი საღამოს განმავლობაში ცდილობდა, ასეთი ყოფილიყო. არადა, ისეთ ზიზღს გრძობდა ამ გოდერძის მიმართ, გული ერეოდა. „ღიმილიანობა“ კი მოახერხა, მაგრამ მთავარი საქმე განზე დარჩა — კახას ვერ „უდარაჯა“. ჯერ იყო და, გოდერძი გადაეკიდა, მერე კიდევ... ერთ-ერთმა ძალზე აქტიურმა, ქერათმიანმა ლამაზმანმა, რომელიც მაკას საყვარელს თავიდანვე არ აძლევდა მოსვენებას, ყველა გზა გადაუკეტა, კახას სიხალისეს აღმოჩენილიყო. ბიზნესმენს კი, როგორც ჩანდა, ეს ხელს აძლევდა კიდევ. იგი მოხიბლული ჩანდა ქერა ქალით. ამიტომაც არ დაუშალა გოდერძის, ნიათი დაკავებულყო. აბა რა, თავისი საყვარლის დაქალს ხომ არ დაუნყებდა ლაბუსს.

ამ დროს ნიამ შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა დევიძეს ვილაც მალალი მამაკაცი და რაღაც ხმადაბლა უთხრა. ქალს სუნთქვა შეეკრა, თვალი ვერ მოაცილა უცნობს, ისე მოეწონა. მის გარუჯულ კანს საოცრად უხდებოდა მუქი თმა და შავი, დიდრონი თვალები, გრძელი, ხშირი ნამწამები, მგრძობიარე ტუჩები, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მის მამაკაცურ მიმზიდველობას. ნიას ნამოახურა. წარმოსადეგი მამაკაცების მეტი რა შეხვედრია, მაგრამ სუნთქვა არასდროს შეჰკვრია მათ დანახვაზე, არასდროს დაინტერესებულა რომელიმე მათგანით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც... არა, ამის გახსენებაც არ უნდა! ის საშინელება წარსულს დიდი ხანია, ჩაჰბარდა.

ეს კი... რაღაც სხვა, უხილავი ძალა ენეოდა მისკენ. არა, მამაკაცური მომხიბველობა არაფერ შუაში იყო. უცნობის გამოხედვაში იდუმალი რამ იგრძნობოდა — მკაცრი, მაგრამ საიმედო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სწორედ ასეთი მამაკაცის შეყვარებზე ოცნებობდა ნია ყოველთვის. გოგონამ თავი ნერვიულად გადააქნია და აბეზარი ფიქრები მოიშორა. საუბელი, რაზე ოცნებობ? ამისთვის გამოგიშვებს აქ? შეეშვი ამაზე ფიქრს. ის, უბრალოდ, მომხიბველი მამაკაცია, მორჩა და გათავდა! შენს მდგომარეობაში მყოფი ქალისთვის არ ღირს კაცებზე ფიქრი. ჯობს, იმაზე იზრუნო, როგორ შეიკავო თავი, რომ აქედან არ გაიქცე, სანამ საღამო არ დამთავრდება!.. ამ ყოფაში იყო, რომ უცებ ჩოჩქოლი ატყდა. ნიამ შენიშნა, როგორ წამებში შეიცვალნენ კახა და მისი მამაკაც-

ბი. უცნობი მათ მშვიდად ელაპარაკებოდა, ნაკვითი არ შერხევია სახეზე.

— ჩვენი კაზინო გილოცავთ მსხვილ მოგებას, ბატონებო. ახლა კი გთხოვთ, მიიღოთ მოგებული თანხა და დაუყოვნებლივ დატოვოთ აქაურობა, — თქვა მან და გამომწვევი მზერა ესროლა კახას.

დევიძემ აღმაცერად ახედა მამაკაცს. უკმაყოფილება და განრისხება ერთდროულად აღბეჭდოდა სახეზე. გიგი იცოდა, ასე რომ იქნებოდა. ამიტომ ეშმაკობა იხმარა.

— მაპატიეთ, მაგრამ სხვა გზა არ დამიტოვებს, — დაიხარა და ხმადაბლა გადაულაპარაკა კახას, — აქაურობა უშიშროების აგენტებითაა სავსე, ისინი ყველაფერს აკონტროლებენ. მაცნობეს, რომ კაზინოში ამწუთას შავი ფული ტრიალებს, ეჭვი თქვენზე აქვთ, ამიტომ იძულებული ვარ, თავი დავიზღვიო. არ მსურს უსიამოვნებები, ხომ გესმით...

დევიძეს ხმა არ ამოუღია, უსიტყვოდ წამოდგა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გასასვლელისკენ გაემართა. გიგი არც ელოდა, ასე უცებ და ასე მშვიდობიანად თუ დათმობდნენ მოთამაშეები პოზიციებს.

მან კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ცისფერკაბიან გოგონას. ახლოდან იგი უფრო ლამაზი ჩანდა. ვნებიანი ღია მწვანე თვალები, პატარა ცხვირი და სქელი, ბავშვივით გაბუტული ტუჩები ძალზე სექსუალურს ხდიდა მის უზადად სხეულს. იმანაც შემოხედა. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ქალის გამოხედვამ ადგილზე გააშეშა გიგი. განსაკუთრებით მისმა თვალებმა, გამჭვირვალე, წყლიანმა თვალებმა, თითქოს ორი ზურმუხტი ანათებდა შავ, აპრეზილ ნამწამებს შორის. მალაღი იყო, ჩამოქნილი ტანით, ნამდვილი საჯიშე ქალის ფიგურა ჰქონდა — თქოების მომრგვალებული მოხაზულობით, წვრილი წელით და ქათქათა მკერდით ნებისმიერ მამაკაცს დაახვედდა თავბრუს. ერთადერთი, უგემოვნო ჩაცმულობა და ძალზე მკვეთრი მაკიაჟი აფუჭებდა შთაბეჭდილებას.

მაგარი ქალი! მაგრამ რატომ უნდა დაინტერესდეს იგი მისით? აშკარაა, იგი ქალთა იმ რიგს ეკუთვნის, რომელიც ფულიანი მამაკაცების ხარჯზე ცხოვრობს, რომლისთვისაცა სულერთია, რას წარმოადგენს კაცი, რომელიც არჩენს — ნესიერი ბიზნესმენია, ნარკოდილერი, ბანდიტი თუ თავზე ხელაღებული ნაძირალა. ასეთებისთვის მხოლოდ გატყევილი საფულეა მთავარი. გიგი მსგავს ქალებს, როგორც გაფუჭებულ საქონელს, ისე აღიქვამდა და არასდროს აქცევდა მათ ყურადღებას. თუმცა, გოგონას ერთმა უესტმა იგი სწორედ რომ გააოცა. როცა მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, ცისფერკაბიანი განწითლდა. თითქოს იგრძნო, როგორი შთაბეჭდილება დატოვა მამაკაცზე.

„ქუჩის ქალი გვონივარ, ბოზი, გათახსირებული, — გაიფიქრა ნიამ, — ან კი რა უნდა იფიქროს სხვა, როცა ამით გვერდით მხედვს?“ — შუბლი შეიჭმუნა აცახცახებული და მამაკაცს თვალი აარიდა.

მაკას ბრალია, სხვა არჩევანი რომ არ დაუტოვა.

დევიძე და მისი თანმხლებნი გასასვლელისკენ გაემართნენ. გოდერძის კვლავინდებურად ჩაებლუჯა ქალი და ხელს არ უშვებდა. მოღუშული კახა სალაროს მიუახლოვდა და მოგებული თანხის მიღებას დაელოდა. მოღარემ ფული გადათვალა, კონვერტში ჩაუდო და მიანოდა, მანაც მედიდურად ჩამოართვა და კმაყოფილმა პიჯაკის გულის ჯიბისკენ გააქანა.

ნია სხვებთან ერთად მიაბიჯებდა ჰოლში, თან ზურგს უკან უცნობი მამაკაცის დაჟინებულ მზერას გრძნობდა. ამის გამო რამდენჯერმე აერია ფეხი და ნაიბორძიკა. „ალბათ კაზინოს დაცვის უფროსია, ამიტომაც დაუთმო ასე მშვიდად კახამ“, — გაიფიქრა გოგონამ.

როცა ავტოსადგომზე გავიდნენ, ნიამ ნაბიჯი შეანელა. კარგა გვარიანად ციოდა, მას კი შილიფად ეცვა. შეაჩრყოლა. გოდერძიმ უფრო მძლავრად მოხვია ხელი.

— მე გაგათბობ, პატარავ, — უჩურჩულა და უშნოდ გაიღრინა.

ნიამ ხელში მკლავებზე შემოიჭდო და უკან მიიხედა. უცნობი შესასვლელთან იდგა და მისკენ იყურებოდა. ამასობაში გოდერძიმ თავისი შავი „მერსედესი“ დაქოქა და ნინა კარი გამოაღო, რათა ნია გვერდით დაესვა.

— სად მივდივართ? — უშნოდ იკითხა გოგონამ.

— სასტუმროში, — მედიდურად უპასუხა მამაკაცმა, — ნომერში გავაგრძელებთ საღამოს.

ნიამ რამდენიმე ნაბიჯით მსწრაფლ უკან დაიხია. არა, ოღონდ ეს არა! — გული გამალებით უცემდა, უშნოდ იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს მშველელს ეძებდა.

გოდერძის მისი პანიკური შიშისთვის არც მიუქცევია ყურადღება, უხეშად წაავლო მაჯაზე ხელი და თავისკენ დაქანა. მერე დორბლიანი ტუჩები ყურთან მიუტანა და უჩურჩულა:

— იქ საუნაა, ორთქლში ვინებივროთ. ზურგს გაგიხეხავ, ფისუნიავ! ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ შენს შიშველ სხეულს. მოდი, ჩაჯექი!

ნიას შიშისა და ზიზღისგან ცივმა ოფლმა დაასხა. ღმერთო, ეს რა ისტორია იქნება!

გიგიმ ავტოსადგომის თანამშრომელს დამშვიდობების ნიშნად ხელი აუქნია და თავის „აუდიში“ ჩაჯდა. უხაროდა, შინ რომ მიდიოდა. საღამომ უსიამოვნო შეგრძნება დაუტოვა. დევიძის კაზინოდან დათხოვნა დიდ სიძინელს არ წარმოადგენდა, მაგრამ მაინც ნანობდა მომხდარს, თუმცა რატომ, ვერაფრით ხვდებოდა. არადა, დროზე რომ არ გაეჩერებინა თაღლითი, კაზინოს მთელ შემოსავალს შეისრუტავდა. სანამ მანქანას დაძრავდა, გიგიმ კიდევ ერთხელ გახედა უცნობის ფასადს. რაც მართალია, მართალია, თვალისმომჭრელად გამოიყურება! ცუდი ის არის, რომ ქალაქარეთაა, სხვა მხრივ არაფერს

უჩივის. მთავარი ის არის, რომ არ დაუხურეს, როგორც სხვებს. მისი „მირაჟი“ ყოველთვის მომგებიანი სამორინე იყო თბილისში, ამიტომაც გადაარჩა. კიდევ იმითომ, რომ რამდენიმე ცნობილი მაღალჩინოსანი მფარველობდა. მართალია, შუა ქალაქში გაცვილებით მეტი კლიენტი ჰყავდა კაზინოს, ცხოვრება მეტად დულდა, მაგრამ არც ახლა ემდურის ბედს. ვისაც ხელისგულები „ეპაჟება“ და ჯიბეში ფულის დასტები უდევს, მისთვის ქალაქგარეთ სათამაშოდ გასვლა სიძნელეს არ წარმოადგენს. თავლი იყოს და, ბუზი ბაღდადიდან მოფრინდება...

კაზინოს გარდა, გიგი ტურინშითაცა დაკავებული. ორი ტურისტული სააგენტო გახსნა და ორივე წარმატებით მუშაობს. ბევრი ფულიც იშოვა და საქმიანი პარტნიორიც საკმარისად შეიძინა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვრებს გარეთაც. ამის გამო ხშირად უწევს ქალაქიდან გამგზავრება.

ახლა თავისი სასტუმროსკენ მიიქარის. იგი ევროსტანდარტების გათვალისწინებით არის აშენებული. საოცრად მყუდრო და, ამასთან, ფემინებელურია — ბარ-რესტორანი, ღია და დახურული აუზი, ბილიარდის სათამაშო ოთახი, ზამთრის და ზაფხულის ბალი და ვინ მოთვლის, ყველაფერი იმისთვის, კლიენტმა თავი კომფორტულად რომ იგრძნოს. გიგი ამწუთას იმაზე ფიქრობს, სად გახსნას კიდევ ერთი კაზინო, ან პოკერ-კლუბი, ან სლოტ-კლუბი, რომ თავისი ფინანსები სარგებლიანად დააბანდოს. იქნებ კიდევ ერთი სასტუმროს გახსნა ჯობია? უნდა მოიფიქროს, კარგად ანონ-დანონოს ყველაფერი და ისე გადაწყვიტოს. მთავარია, არ გაჩერდეს. მას არ უყვარს მიღწეულით დაკმაყოფილება. მერე რა, რომ მისი შემოსავალი ლამის მილიონს ითვლის? ზედმეტი არ აწყენდა.

ჰმ, რა უცნაურია ცხოვრება. ვინ იფიქრებდა, გიგი ახვლედიანი ბიზნესმენი თუ გახდებოდა. ბავშვობაში ისტორიკოსობაზე ოცნებობდა, მოსწავლეობის და სტუდენტობის პერიოდში გამუდმებით დადიოდა ექსკურსიებსა და ლაშქრობებზე, საქართველოს ყველა კუთხე ფეხით აქვს შემოვლილი. მერე კი აზრი შეიცვალა. მიხვდა, რომ ისტორიკოსობით თავს ვერ გაიტანდა, ამიტომ სწავლა საზღვარგარეთ გააგრძელა და ბოლოს ბიზნესმენობას მიჰყო ხელი. ჯერ მცირედით დაიწყო, მერე კი...

წარმატება რამდენიმე წელიწადში მოვიდა. თანდათან ისე აულო ალლო საქმეს, რომ დღეს ბიზნესი ცხოვრების აზრად ექცა... ისევე, როგორც ქალები... ცინიკურმა ლიმილმა გადაურბინა სახეზე.

ამასობაში გზატკეცილზე გადაუხვია და სიჩქარეს მოუმატა. ქალებთან პრობლემა



არასდროს ჰქონია. არც ადრე, სანამ მდიდარი გახდებოდა. მაშინ დარწმუნებული იყო ერთ რამეში — მთავარი, რაც ქალებს მასში იზიდავდა, თვითონ გიგი იყო და არა ის, თუ რამდენ ფულს დახარჯავდა მათი გულისთვის. თუმცა, მას შემდეგ, რაც გამდიდრდა, ყველაფერი შეიცვალა. ერთგვარად განიხიბლა, როცა მიხვდა, რომ ამხელა სიმიდრის პატრონს შეეძლო ნებისმიერი ქალი მოეხიბლა, რომელსაც კი ხელს დაადებდა. ჯერ არ ახსოვს, ვინმეს უარი ეთქვა მისთვის, არც ხვეწნა დასჭირვებია რომელიმესთან და არც კუდში დევნა. პირველივე შესვედრა საკმარისი იყო, რომ ქალი იმ ღამესვე მისი გამხდარიყო.

ერთ მშვენიერ დღესაც, ამ აღმოჩენამ თვალი აუხილა და მეცხრე ციდან მიწაზე დაეშვა. მიხვდა, რომ ქალებს მისი ფული უფრო სექსუალურად ეჩვენებოდათ, ვიდრე თავად იგი, ამიტომაც დროზე მოეგო გონს და რომანტიკაზე ფიქრს თავი დაანება. ახლა გიგი ქალებს ირიბად უყურებს. ცხვირსახოცებით იცვლის მათ და როგორც კი ერთი მოჰბეზრდება, უმაღლეს სხვაზე გადაერთვება. ნუთუ ყოველთვის ასე იქნება? ნუთუ აღარ უნდა დამთავრდეს ქალების უსასრულო რიგი — ქალებისა, რომლებიც არცთუ ისე დიდხანს რჩებიან მის ცხოვრებაში? თუმცა, რა აქვს საწუწუნო? მამაკაცთა უმრავლესობას შურს კიდევ მისი. ყველა ხომ მისნაირი მომწუსხველი არ არის!

მიუხედავად ამისა, გიგი დარწმუნებულია, რომ მოვა დრო და გაჩერდება. უბრალოდ, არ იცის, როდის მოხდება ეს. სულის სიღრმეში ეხმის, რომ სიმიდრის მაცდუნებელი სამყარო, რომელშიც იგი ასე მიზანმიმართულად შეიჭრა, ვერასდროს მიანიჭებს ნორმალურ ადამიანს ჭეშმარიტ ბედნიერებას. ცხოვრების

ასეთი წესით, სიყვარულს ვერ იპოვის. მის ირგვლივ ძალიან ცოტა წყვილს თუ იცნობს ისეთს, რომელთა თანაცხოვრებამ წლები გასტანა.

გიგი არასდროს აძლევს არც ერთ ქალს იმის უფლებას, იმაზე მეტი ადგილი დაიკავოს მის ცხოვრებაში, ვიდრე მის საქმეს უკავია. თუმცა, შიგადაშიგ ყოველთვის პოულობს ვეროს, განიტვირთოს მათ გარემოცვაში.

მისი ბოლო გატაცება მოდელი იყო — ლამაზი და ეშხიანი გოგონა. სანოლში შეუდარებელი გახლდათ, მაგრამ... ინტელექტის ნასახი არ გააჩნდა. მასთან სალაპარაკო თემას ვერ გამოიწვავდი. ერთადერთი, რაზეც თიკას გაუთავებლად შეეძლო ესაუბრა, გათხოვება იყო. როცა გიგი მიუხვდა, საითაც უმიზნებ-

და გოგონა, იმწუთასვე დაუსვა წერტილი მასთან ურთიერთობას. თიკო ლამის გადაჰყვა ამ ამბავს, მაგრამ გიგისთვის სულერთი იყო, რას განიცდიდა გრძელფეხება მოდელი. განშორების მერე იგი არასდროს ფიქრობდა მისგან წასულ ქალზე. ახლა ის ცისფერკაბიანი ჩარჩა გულში. რა კარგი ვინმე იყო. დასანანია, რომ ასეთ ცხოვრებას ეწევა. მასში რაღაც განსაკუთრებული და ამოუცნობი იგრძნობოდა. გიგი სიამოვნებით ამოხსნიდა მის იდეალუბას, ასეთი რომ არ ყოფილიყო. მამაკაცმა კბილები გააკრაჭუნა. რა ეშმაკი შეუწნდა, რას აიკვირათა ის გოგო! ამწუთას იგი ალბათ დევიძეს და მის ძმაცაც სტრიპტიზს უტარებს, ან კიდევ...

გზაჯვარედინზე გიგი მიჩქარეს მოუკლო. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი ღამე იყო, ტრასაზე მანქანები ბლომად მოძრაობდა. „მირაჟი“ თვრამეტი კილომეტრითაა დაშორებული ქალაქიდან, ამიტომ კარგა გვარიანი მანძილის გამოვლა უწევს, სანამ სახლამდე მიალწევს. თან ნანვიმარია, ამიტომ უმჯობესია, წელა იაროს.

ის-ის იყო, ქალაქისკენ გადაუხვია, რომ გზის პირას რაღაცამ მიიპყრო მისი ყურადღება, უფრო სწორად, ვილაცამ. მექანიკურად დააჭირა მუხრუჭის სატერფულს ფეხი, თან გოცებისგან თვალები გაუფართოვდა. აი, სიურპრიზი!

განათებულ გაბონზე ფეხშიშველი ცისფერკაბიანი გოგონა იდგა. უცებ მანქანა წყლის გუბეში ჩახტა და ტალახიანი შხეფები ირგვლივ მიმოიფანტა.

გაისმა ცივი შეკვივების ხმა. ერთიანად განწუნული ნია აღმოეთოებული აკვსებდა ბრიალა თვალებს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ვრენის სოც ვიცეჰალი

ალისლოკიანი.
მოდური მწერალი
და ქოთისთავი



წარმატება და საყოველთაო აღიარება ამ ადამიანმა გასული საუკუნის ოციან წლებში მოიპოვა. საუკუნეში, რომელიც თავად მან ჯაზის საუკუნედ მონათლა და ეს გამოთქმა ისტორიაში სამუდამოდ დაამკვიდრა. ამ კაცის ცხოვრება სამოქმედო სპექტაკლს ჰგავდა: საყოველთაო აღიარება პირველ აქტში, მწარე იმედგაცრუება — მეორეში და სრული სულიერი და ფიზიკური გამოფიტვა მესამე აქტში. ამერიკელი მწერლებიდან ვერავინ შეძლო ისე ღრმად შეესწავლა და ჩასწვდომოდა საკუთარ თანამემამულეთა ფსიქიკის სიღრმეებს, როგორც ეს ვრენის სკოტ ფიცჯერალდმა მოახერხა.

თეზურ ივანიკა

ვრენის სკოტ ფიცჯერალდი 1896 წლის 24 სექტემბერს, მინესოტის შტატში, ქალაქ სენტ-პოლში დაიბადა. ძნელად თუ სადმე მოიძებნებოდა ორი უფრო მეტად განსხვავებული ადამიანი, ვიდრე მისი მშობლები იყვნენ. მამა დახვეწილი არისტოკრატი და წარუმატებელი ბიზნესმენი გახლდათ, დედა კი — უბრალო პროვინციელი იყო. იგი არ გამოირჩეოდა ნატიფი გემოვნებითა და არისტოკრატიული მანერებით, თუმცა საუკეთესო დიასახლისი გახლდათ. ვერც დედა და ვერც მამა ვერ აკმაყოფილებდნენ სკოტის რომანტიკული ხასიათის იდეალებს. მამა ძალიან უყვარდა, მაგრამ მისი პატივისცემა არ გააჩნდა, დედას კი — პირიქით, დიდ პატივს სცემდა, მაგრამ იმავდროულად რცხვენოდა. რომანტიკული ბუნების მქონე სკოტი ხშირად იმით ერთობოდა, რომ ქუჩაში ნაპოვნ და ნაშვილებ ბავშვად წარმოსახავდა საკუთარ თავს.

1913 წელს სკოტ ფიცჯერალდი პრინსტონის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. იმ დროიდან მოყოლებული მან ცხოვრებისეულ მიზნად დაისახა,

გამხდარიყო არნახულად წარმატებული ადამიანი, რის გამოც საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებაზე უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე სწავლა-განათლებაზე. გამონაკლისს მხოლოდ ლიტერატურა წარმოადგენდა, რომელიც მას ღვინით თრობის მსგავს სიამოვნებას ანიჭებდა. ლიტერატურის დარგში ფიცჯერალდმა სწრაფად მოიპოვა აღიარება სტუდენტებს შორის და რამდენიმე საუნივერსიტეტო კლუბის საპატიო წევრიც გახდა, თუმცა მესამე კურსის ბოლოს სწავლისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო კინაღამ სასწავლებლიდან გარიცხეს. სკოტმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, სწავლა დროებით შეწყვიტა და ჯარში მოხალისედ ჩაენერა, მაგრამ ახალგაზრდა, უდისციპლინო უმცროს ლეიტენანტს სამხედრო სამსახური სულ მალე ყელში ამოუვიდა, და იმ მიზეზით, რომ იგი დროს ართმევდა თავისი უსაყვარლესი დარგით, ლიტერატურით, დაკავებულიყო, სკოტმა არმია მიატოვა.

ერთი წლის შემდეგ სკოტმა ერთ-ერთ წვეულებაზე ზელდა სვერი გაიცნო, რომელმაც საბოლოო ჯამში დრამატული როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. იგი ფიცჯერალდის თითქ-

მის ყველა ლიტერატურული გმირი ქალის პროტოტიპად იქცა. მისი ბრწყინვალე ნიჭი და მდიდარი სულიერი სამყარო შერწყმული იყო თავგზეულალებულობასთან, თავქარიანობასა და ახალი შთაბეჭდილებებისადმი სწრაფვასთან. სკოტმა საოცარი სულიერი სიახლოვე იგრძნო მის მიმართ და ცოლობა სთხოვა. წყვილმა ნიშნობა გადაიხადა, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ჭირვეულმა და ექსცენტრიკულმა ზელდამ სკოტს განუცხადა, სიღარიბეში ცხოვრებას არ ვაპირებო და ქორწინება ჩაშალა.

ერთხანს ფიცჯერალდმა დარდისგან სმას მიჰყო ხელი, მაგრამ მაინც იპოვა საკუთარ თავში ძალა, დაესრულებინა დაწყებული რომანი „სამოთხის ეს მხარე“, რომლის სიუჟეტიც მან საკუთარი ცხოვრებიდან აიღო. რომანი 1920 წელს გამოიცა და უდიდესი წარმატება სვდა ნილადა. ყველასათვის უცნობი პროვინციელი სკოტ ფიცჯერალდი ერთბაშად მოდურ მწერლად და შეძლებულ ადამიანად იქცა. რომანის პოპულარობამ მას გზა გაუკაფა დიდი მწერლობისკენ. ყოველი შემდგომი ნაწარმოები მის პოპულარობასა და ფინანსურ მდგომარეობას სულ უფრო მეტად განამტკიცებდა. ამასთან, ზელდაც დათანხმდა ცოლობაზე. ბოლოს და ბოლოს, სკოტმა ბედნიერ ადამიანად იგრძნო თავი. წარმატებამ და ფულმა გარკვეული იმიჯის შექმნის სურვილი გაუჩინა. ზელდასა და სკოტის ცხოვრება აივსო ჯინისა და შამპანურის მდინარეებით, ექსტრავაგანტური სამოსით, მდიდრული რესტორნებითა და სასტუმროებით, გიჟური თავდავინყებითა და სკანდალებით.

1925 წელს ფიცჯერალდმა დაასრულა რომანი „დიდი გეტსბი“, რომელიც ლიტერატურულმა კრიტიკამ აღფრთოვანებით მიიღო, მაგრამ მკითხველმა დაინუნა, რის გამოც ნაწარმოებს კომერციული წარმატება არ მოჰყოლია. იმისათვის, რომ ოჯახი ერჩინა, სკოტი იძულებული გახდა პოპულარული ყოველკვირეული ჟურნალებ-



იგი ფიცჯერალდის თითქმის ყველა ლიტერატურული გმირი ქალის პროტოტიპად იქცა



თინა კანდელაკი და ნასტასია ზავოროტნიუკი ერთმანეთს შეეხნენ

მოსკოვში ცნობილი კოსმეტიკური ფირმის მიერ გამართულ წვეულებზე გესლიანი ერთი ცნობილი ორი ქალბატონი — თინა კანდელაკი და ანასტასია ზავოროტნიუკი ერთმანეთს შეეხნენ. წვეულების დასაწყისში გამართული უწყინარი კამათი ზეიმის დასრულებამდე დამსწრეთა განხილვის მთავარ თემად იქცა. „გოგონებმა აფრები აუშვეს. თავიდან ვიფიქრე, რომ ეს ყველაფერი წინასწარ დადგმული იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი არაფრის გამო, მართლაც, მწარედ კბენდნენ ერთმანეთს“, — აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ერთ-ერთი სტუმარი...

მართლაც, სკანდალი თითქმის არაფრის გამო ატყდა! უბრალოდ, სკანდალების მოყვარულმა ლამაზმანებმა მახვილგონიერების ხელოვნებაში გაივარჯიშეს.

— სალამი! — ასე დაიწყო სალამო გამოცდილმა წამყვანმა, თინა კანდელაკმა. — იმედია, ყველაფერი კარგადაა...

ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ყველა ერთხმად უპასუხებს, — დიას, ყველაფერი წესრიგშიაო, — მაგრამ ამჯერად...

— არა, ჩემი შამპანური თბილია! — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად აღშფოთდა ნასტასია ზავოროტნიუკი.

თინამ უკან არ დაიხია და მსახიობის შეტევას ელვისებურად უპასუხა:

— იცით, ნასტია, კრიზისამდე, მუქთა საჭმლის დასაგემოვნებლად, აქ საერთოდ, არც მოხვიდოდით!..

მოულოდნელი დარტყმით შეცბუნებულმა ნასტიამ ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ მომხიბვლელად გაიღიმა და სალამოს დასრულებამდე, აღარაფერი უთქვამს, მაგრამ სახეზე ემჩნეოდა, რომ ხასიათი ნამდარი ჰქონდა.

სალამოს დასრულების შემდეგ, ზავოროტნიუკმა კომენტარისგან თავი შეიკავა. როგორც ჩანს, თინამ მოახერხა, მსახიობისთვის მეტად მტკივნეულ თემას შეხებოდა. თავად კი აცხადებს, რომ მან უბრალოდ იხუმრა... „არავის შეურაცხყოფას არ ვაპირებდი, ატმოსფეროს განმუხტვა მსურდა და უბრალოდ, ვიხუმრე“, — დასძინა ტელეწამყვანმა.



მძარცველებმა მონიკა ბელუჩის ბინიდან პასპორტიც კი წაიღეს

მონიკა ბელუჩის კანსა და თურქეთში გამგზავრება სერიოზული დანაკარგის ფასად დაუჯდა. ცნობილია — როგორც წესი, მსახიობი ოჯახთან ერთად მოგზაურობს. მას ამჯერადაც თან ახლდა მეუღლე, ვენსან კასელი და ქალიშვილი, დევა, მონიკას პარიზული ბინა კი დროებით, უმეტესაყურედ დარჩა. ამით ისარგებლეს ქურდებმა და ბინიდან ძვირფასეულობა, კომპიუტერი, ბელუჩის პასპორტი და სხვა ნივთები წაიღეს. საერთო ზარალმა 112.000


დოლარს გადააჭარბა. ძარცვა 24 მაისს მოხდა. სწორედ ამ დროს მონიკა ბელუჩი კანის ფესტივალის დახურვაზე იმყოფებოდა, სადაც მისი ახალი ფილმი — Don't Turn Around (მთავარ როლებში — მონიკა ბელუჩი და სოფი მარსო არიან) იყო წარმოდგენილი. „პარიზის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ბინაში ადამიანთა ამოუცნობმა ჯგუფმა ტერასიდან შეაღწია“, — განაცხადა პოლიციელმა, რომელიც ამ შემთხვევის გამოძიებაში მონაწილეობს.

მიმშვილისგან ატირებული უაინონა რაიდერი

მსახიობი გულახდილად ამბობს, რომ ემოციური როლების შესასრულებლად, ზოგჯერ იძულებულია, იშინოს... მაგალითად, ახალი ფილმის — „პიპი ლის პირადი ცხოვრება“ — გადაღებების დროს იძულებული იყო, სადილსა და ვახშამზე უარი ეთქვა.

„ვცდილობდი, დილით დავნაყრებულიყავი, იმიტომ, რომ დღის დანარჩენ დროს, განსაკუთრებით კი გა-

დაღებებზე, ვშიშვლობდი, რადგან ძალზე ძნელია, ემოციური იყო მაშინ, როდესაც კუჭი სავსე გაქვს“, — განაცხადა მსახიობმა ერთ-ერთ ინტერვიუში და დასძინა, რომ დანაყრებულს განსაკუთრებით უჭირდა ტირილი. ამიტომ უაინონა სპეციალურად შიმშილობდა და შიმშილის გრძობა ემოციური, ამაღლებელი სცენების თამაშისას ეხმარებოდა.



სასტუმროს ბინადართ სიუზენ ბოილის სიმღერები არ აძინებთ

როდესაც 47 წლის შოტლანდიელმა სიუზენ ბოილმა ტელეკონკურსის — „ბრიტანეთი ეძებს ტალანტებს“ — შესარჩევ ეტაპზე საკუთარი ვოკალური შესაძლებლობები გამოავლინა, იგი თავლის დახამხამებაში ვარსკვლავად იქცა. ეკლესიის მგალობელმა, დიდებისკენ მიმავალი გზა რამდენიმე წუთში განვლო და ამერიკული ტელევიზორის კონკურსის, ოპრა უინფრის შოუში მიწვევა მიიღო.

სცენაზე გამოსული, შეუხედავი ქალი თავს უხერხულად გრძნობდა და თავდაჯერება აკლდა. პირველ წუთებში სიუზენის მისამართით ხუმრობანარევი კომენტარებიც კი ისმოდა; მისი შემხედვარე, მაყურებლები თავს აქნევდნენ და ქირქილებდნენ. მაგრამ როდესაც კონკურსანტ-

მა სიმღერა დაიწყო და მიუზიკლიდან — „განვიცხუნე“ — არია I dreamed a dream — იმღერა, მისმა შესრულებამ აუდიტორია და ყიური სულით ხორცამდე შეძრა.

სიუზენ ბოილი კონკურსის ფინალისთვის ერთობ გულმოდგინედ ემზადებოდა. 47 წლის შემსრულებლის წარმატებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ლონდონის სასტუმროს — Wembley Plaza — ბინადართ სულაც არ ახარებთ, რადგან მისი რეპეტიციების გამო, ძილი აქვთ დამფრთხალი. „დღისით და ღამით პრაქტიკულად, შეუსვენებლივ მღერის



და ეს კაკოფონია დაძინების საშუალებას არ გვაძლევს“, — ჩივიან სასტუმროს მცხოვრებნი, რომლებიც „ახალგამომცხვარი“ ვარსკვლავის ვოკალურ მონაცემებს არად ადგებენ.

კამერონ დიასმა არ იცის, სჭირდება თუ არა მას შვილები...



კინოვარსკვლავს უკვე 36 წელი შეუსრულდა და ჯერაც არ გათხოვილა, არც შვილები ჰყავს... ნები-სმიერი ქალის მსგავსად, მომავალი დედობის შესახებ მასაც უფიქრია, მაგრამ დიასმა დღემდე არ იცის, სჭირდება თუ არა მას შვილები... „დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, — აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ შვილების გაჩენას ვაპირებმეთქი. ჯერ ძალზე ახალგაზრდა ვარ და არაჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ. რაღაც თვალსაზრისით, ასეთი ცხოვრება სწორედ იმიტომაც მაქვს, რომ შვილები არ მყავს“, — განაცხადა კამერონ დიასმა ინტერვიუში. მსახიობი არ უარყოფს,

რომ შესაძლოა, ოდესმე დედობის სიხარული მანაც განიცადოს, მაგრამ ამჟამად ამისთვის არაფერს აკეთებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ კამერონ დიასი რამდენიმე გახმაურებული, უიღბლო რომანის გმირია. იგი ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბვლელ მომღერალს, ჯასტინ ტიმბერლეიკსაც ხვდებოდა. კამერონი საკუთარ რომანებს ფილოსოფიურად უდგება: „აღმოვაჩინე, რომ საერთოდ, მუდამ იმ ადამიანებს ვხვდებით, რომლებიც ჩვენი ცხოვრების კონკრეტულ ეტაპზე გვჭირდებიან და მათ სწორედ იმიტომ ვშორდებით, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო“.

ნიკოლას კეიჯი ერთდროულად 5 სახლოს ყიდის

კინოვარსკვლავმა აშშ-ის სხვადასხვა ადგილას მდებარე 5 სახლის გაყიდვა განაცხადდა და ვარაუდობს, რომ მათში 50 მილიონ დოლარს აიღებს. ეს ცნობა ინტერნეტრესურსმა Move გაავრცელა, რომელიც ამერიკის რიელტორთა ეროვნული ასოციაციის ობიექტთა ოფიციალურ ონლაინ-ბაზას წარმოადგენს. გასაყიდად გამოტანილ სახლებს შორის ყველაზე ძვირად ღირებულია ლოს-ანჯელესში მდებარე, ტიუდორთა სტილში (ინგლისური გოტიკა) აგებული შენობა, რომელშიც 7 საძინებელი და 9 სააბაზანოა. სახლის საერთო ფართობი 1,11 ათასი კვადრატული მეტრია. შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სტუმრებისთვის განკუთვნილი სახლი, შიდა ეზო და საცურაო აუზია განთავსებული.


„თავდაპირველად ეს მამული 35 მლნ დოლარი ღირდა, შარშან ფასი 29,999 მლნ-

მდე შემცირდა, ახლა კი 17,5 მლნ ღირს. თავად კეიჯმა ეს სახლი მომღერალ ტომ ჯონსისგან 1998 წელს შეიძინა და მასში 6,469 მლნ დოლარი გადაიხადა“, — ნათქვამია რესურსის ცნობაში.

ნიკოლას კეიჯი აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ მიდლტონში მდებარე მდიდრული სახლის გაყიდვასაც აპირებს და მასში 15,9 მლნ დოლარს ითხოვს. აღსანიშნავია, რომ მსახიობმა სახლი, რომელშიც 12 საძინებელი და 10 სააბაზანოა, 2007 წელს ამავე ფასად შეიძინა.

გასაყიდად გამოტანილ სახლებს შორისაა აგრეთვე ლას-ვეგასში მდებარე, ესპანურ სტილში აგებული, შთაბეჭქადვი სასახლე, რომლის საერთო ფართობი 1,3 ათასი კვ-ია.

ამერიკულ რიელტორთა მონაცემებით, გაცილებით იაფადაა შეფასებული ახალ ორლეანში მდებარე, კლასიკურ სტილში



ნაგები პატარა სახლი (3,45 მლნ დოლარი). ახალ ორლეანში მდებარეობს 1830 წელს აშენებული სახლი, რომელსაც „მოჩვენებათა სახლს“ უწოდებენ, რადგან მთარული ხმებით, ის ქალაქში „მოჩვენებით ყველაზე მდიდარია“. მსახიობს არაერთხელ დაუწივლია, რომ მასში მართოდ დარჩენა უჭირს ხოლმე...




ორმა ხარშილაძე

ჟუჟუნა ჩხეიძე-კიკვიძა, მწერლის ქვრივი:

— კარგად მახსოვს, ყარამანის სახელი და გვარი პირველად სკოლის დამთავრებისას გავიგონე: „ბოლო ზარზე“ მისი „თავის-

„მე ვიცი, მოგვდები. ეს შენც იცი, მაგრამ შენ არ განგიცდია, მე ბევრჯერ განმიცდია, ამიტომ მე შევეჭვივ—“ — ამ სიტყვებს მწერალ ყარამან კიკვიძის ერთ-ერთ ჩანაწერში მისი ოჯახის წევრები წააწყდნენ. ჩანაწერებს, თურმე, ხან ასანთის, ხან — სიგარეტის კოლოფზე, ხან კი ქალაქის ნაგლეჯზე აკეთებდა... მერე— 1989 წლის ერთ დღეს ამ ქვეყნიდან წასვლა გადაწყვიტა... გავიდა დრო და მისმა უახლოესმა ადამიანებმა მწერლის ნაწერებს თავი მოუყარეს, გადაარჩიეს და წიგნებად აქციეს. მეგობრებმა „ყარამანობა“ დააწესეს და დიდხანს აღნიშნავდნენ, ვიდრე ქვეყანა არ აირეოდა... ღელ იენის მწერალსა და მოაზროვნეს, ყარამან კიკვიძეს 75 წელი შეუსრულდებოდა.

კარგა ხნის წინ გარდაცვლილი ადამიანის ოჯახში, ასე მკაფიოდ არასდროს მიგრძნია, რომ მეუღლის, დის, შვილებისა და შვილიშვილების ის არ მომკვდარა...



ქატი, რომელმაც

მეცნიერის კარიერას ლიტერატურა პრჩია

„უფალი თემა“ წაიკითხეს. ძალიან მომეწონა, დავინტერესდი და წარმოიდგინეთ, როგორ გავოცდი და გამიხარდა, როდესაც ერთ ფაკულტეტსა და ერთ ჯგუფშიც კი აღმოვჩნდი. ეს ბედისწერა იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე, მეხუთე კურსზე შევეუღლდი და 16 წელი ვიცხოვრეთ ერთად. ძალიან თბილი ადამიანი იყო, სხვებზე მოამბე, მოფიქრალი, ძალიან ნიჭიერი, კურსზეც ყველასგან გამოირჩეოდა — არა მარტო მათემატიკაში. მისი ხანმოკლე ცხოვრება მუდმივი ბრძოლა იყო მათემატიკასა და ლიტერატურას შორის. და უკვე ასპირანტმა სწავლა მიატოვა და მინც ლიტერატურა ირჩია.

თამარ კიკვიძა, ქალიშვილი:

— ჩანაწერებში აქვს აღნიშნული: მათემატიკაში ვიყავი და ლიტერატურის მუზა არ მასვენებდა, ლიტერატურაში ვარ და მათემატიკის მუზა არ მასვენებსო. სწორედ ორი მუზის უწყვეტმა კავშირმა შეაქმნევინა გამორჩეული, ყარამანისეული სტილი — სამი დროის, სამი განზომილების გაერთიანება... ბევრი საინტერესო ჩანაწერი, მოთხრობა, ლექსი აღმოვაჩინეთ. ამას წინათ ვახტანგ როდონაია შემხვდა, მამის მოთხრობა — „მესტუმრე ჯიხური“ გაიხსენა და ლაკონიურად ამიხსნა, თუ რის გამოა მსოფლმხედველობით, წერის მანერით, ყარამანი ევროპელი მწერალი.

თინა კიკვიძა, მწერლის და:

— მისი ლიტერატურის მკითხველს

ერთი სიტყვაც არ გეზედმეტება. ნათქვამი აქვს — „იზმები“ საერთოდ არ მესმის, გარდა „ლაკონიზმისაო“. ჩანაწერები აფორიზმებით იკითხება.

ლაურა კუტუზიძე, ჟურნალისტი:

— 25 წელს გადაცილებული ვიყავი, როცა მწერალი ყარამან კიკვიძე აღმოვაჩინე. იცით, რამ გამოაცა?... მაშინ მეჩვენებოდა, რომ თავისი შემოქმედებით ეს მწერალი დროს უსწრებდა, ახლაც, ამ დროშიც იმავეს ვფიქრობ და იმასაც ვხედავ, რომ ჩემი შვილების თაობისთვისაც თანამედროვეა, რადგან სამყაროს მისეული აღქმა თანამედროვე და მუდმივი.

ქალბატონო ჟუჟუნა, მოდი, ახლა ისიც მოგიყვებით, როგორ იყო ბატონი ყარამანი, როგორც მეუღლე, მამა, ძმა, მეგობარი...

— რამდენადაც ძალიან კარგი ადამიანი, კეთილი, სხვებზე მოამბე, იმდენადვე რთული ხასიათის გახლდათ, გაგება და გამხსენება სჭირდებოდა... ურთულესი პერიოდი გადაიტანა — იმხანად, რაც უნდა კარგი რამ დაგვეწერა და რედაქციაში მიეტანა, ძნელად გიბეჭდავდნენ.

— ეს დეპრესიაში ავდებდა?

— ხშირად. მე კიდეც, დღიდან ჩვენი შეუღლებისა, ყარამანის ნიჭის მწამდა და ისიც მჯეროდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც მას

დიდ მწერლად აღიარებდნენ. ამას ყოველთვის ვეუბნებოდი. სხვათა შორის, მიჯერებდა. მან კარგად იცოდა საკუთარი შესაძლებლობის ფასი. დღიურში უწერია: ძველი ჩანაწერები რომ გადავათვალიერე, რამდენი რამ არ მომეწონა, თურმე, ახლა როგორ გავიზარდოო!..

ძ-ნი თინა:

— ძალიან ტრაგიკული ადამიანი იყო, თუმცა ამას არ გაგრძობინებდა. უცხო ადამიანის სატყვივარსაც თავისად იღებდა. არ ყოფილა შემთხვევა, რაიმე ტრაგედიის შესახებ შეეტყო და ის გულთან ახლოს არ მიეტანა. მასზე 9 წლით უმცროსი ვიყავი და ჩემთვის ღმერთი იყო. რა უნდა მეკითხა, რომ ამომწურავი პასუხი არ მიმელო?! „ცოცხალი ნციკლოპედია“ გახლდათ. მუსიკალური ტექნიკუმის მეოთხე კურსზე



მეხუთე კურსზე შევეუღლდი და 16 წელი ვიცხოვრეთ ერთად

ესწავლობდი, ყარამანმა ფორტეპიანოს მას-
წავლებელთან ნოტების შესწავლა რომ
დაიწყო (მე არ ამიყვანა პედალოგად, —
შენი ნერვები არ მაქვსო) და ლამის ერთ
თვეში ჩემზე უკეთ უკრავდა სერიოზულ
წარმომებებს. საოცარი სმენა და ხმა ჰქონ-
და. არაჩვეულებრივად მღეროდა საოპე-
რო არიებს. ხატავდა კიდევც. არ არსებობ-
და დარგი, რომელშიც ვერ ერკვეოდა. ვე-
რაფრით ვხვდები, როდის მოასწრო ყვე-
ლაფრის შესწავლა. ხშირად ღამეებს
ვათენებდით საუბრისას. მამა გამოვიდოდა
ხოლმე, სინათლეს ჩაგვიკრობდა და დააყ-
ოლებდა: ვაი, თქვენს პატრონსო! ყარამანი
კი გასძახებდა: მამა, ლაკონიურად არ შეი-
ძლება, რომ თქვა — ვაიმე! — ჩვენი პა-
ტრონი შენ არ ხარო (იცინის)? სულ ან-
ცობდა, ხუმრობდა და იმავდროულად,
ბევრს ფიქრობდა...

**ფიქრია კიკვიძე, უმცროსი ქალიშ-
ვილი:**

— მახსოვს, 7 წლის ვიყავი, მამა შემე-
ჩრევდა ხოლმე წიგნს, რომელიც ორ დღე-
ში უნდა წამეკითხა. აბა, არ წამეკითხა!..
მერე მამონებდა, მართლა წავიკითხე თუ
არა, რა გავიგე და რა ვერ გავიგე. ჭადრაკის
ტურნესაც გვინცობდა ხოლმე ოჯახში.

— **ფიქრია იმიტომ ხომ არ
დაგარქვით, თვითონ რომ ძალიან
უყვარდა ფიქრია?..**

ძ-ნი შუაშენა:

— ეს სახელი ძალიან მიყვარდა. ახლაც
შენახული მაქვს, სამშობიაროში გამოგზა-



შინ რომ შემოვიდოდა, მის
თვალებში ამოვიკითხავდი,
რას გრძნობდა

ვნილი მისი წერილი, სადაც მეკითხება, —
გინდა, ჩვენს ქალიშვილს ფიქრია დავარქ-
ვათო? სასაცილო რამ შეემთხვა: დარწმუ-
ნებული იყო, რომ მეორე შვილი ვაფი გვეყ-
ვოლებოდა და სამშობიაროდან ისე გავი-
და, ბავშვის სქესი არც უკითხავს. უეცრად
გზაში დაექვებულა და მობრუნებულა. მოკ-
ლედ, ხელთ გოგო შერჩა და წერილიც
მერე მომწერა (იცინის).

— **ქალბატონო ფუჟუნა, თქვენ
იყავით მისი პირველი მამწელი, მკითხ-
ველი, შემფასებელი. როგორი იყო
თქვენთან ურთიერთობისას, გულის
გადაშლა სჩვეოდა?**

— ჩემთან მეტად გახსნილი იყო. ვიცო-

დი, რა სტიკოდა. ყოველთვის ობიექტურად
ვაფასებდი და ხშირად იზიარებდა ჩემს შენიშ-
ვნებს. იცით, რამდენი ღამე გავგიტუნებია
აღამიანის რაობაზე, ვი-
ნაობაზე, სამყაროზე
საუბრისას?! „ღამის
ლექციები“ გვექონდა.
დილით, ჩვეულებრივად,
მ საათზე ვდგებოდი და
სამსახურში მივდიოდი.
მერე მსაყვედურობდა
ხოლმე: რატომ მაღაპრა-
კვებ ამდენს? ცოდავ არ
ხარ, მერე სამსახურში
რომ უნდა წახვიდეო!
არადა, მეც მსიამოვნებ-
და მისი მოსმენა — ისე
მანათლებდა, ისეთ საკ-
ითხებზე მესაუბრებოდა,
სხვისგან ვერ მოვისმენ-
დი... სტუდენტობის

წლებში რვანი ვეგობრობდით გამორჩეუ-
ლად, „უკრისის რვას“ გვეძახდნენ, ყველგან
ერთად დავდიოდით. სერგო ქანთარია და
ზურაბ ბოჭორიშვილი დღე და ღამე ჩვენ-
თან იყვნენ, ფაქტობრივად, ჩვენთან ცხ-
ოვრობდნენ. მწერალი მამუკა ნიკლაურიც
ჩვენთან ცხოვრობდა. ლიტერატურულ სა-
ლამოზე ყოფილან და იქიდან გამოსულ ყარა-
მანს ბალში სკამზე მჯდომი მამუკა შეუნიშ-
ნავს, გაურკვევია, რომ ფასანაურიდან იყო
ჩამოსული, უკან ვეღარ მიდიოდა, რადგან
გვიანი იყო და ავტობუსი აღარ იქნებოდა,
თბილისში დასარჩენი კი არ ჰქონდა. მყი-
სვე შინ წამოიყვანა და მას შემდეგ ჩვენთან
დარჩა.

**— საერთოდ, როგორ დაუხ-
ლოვდა ლიტერატორთა წრეს?**

— მისი თაობის ადამიანები იყვნენ, ყარა-
მანს სხვადასხვა რედაქციაშიც ხომ მიჰქონდა
წარწერები — იქაც ბევრი გაიცნო. გან-
საკუთრებით კი მამუკასთან, ჯანსუღ ღვინ-
ჯილიასთან, შოთა ქავთარაძესთან, თედო
ბექიშვილთან, ჯუმბერ თითმერისთან მე-
გობრობდა. ძალიან უყვარდა ედიშერი ყი-
ფიანი და მისი გარდაცვალება ბოლო
ტკივილი აღმოჩნდა ყარამანისთვის.

ძ-ნი თინა:

— ყარამანის სიკვდილამდე ორი-სამი
თვით ადრე გარდაიცვალა. მახსოვს, ერთ-
მანეთს უნდა შეხვედროდნენ, ედიშერი არ
მივიდა პაემანზე, ყარამანმა შინ დაურეკა
და მისმა მეუღლემ უთხრა, — ედიშერი
გარდაიცვალაო. კინაღამ გაგიჟდა.

ძ-ნი თაბარი:

— უახლოესი მეგობრები არ იყვნენ,
მაგრამ სულიერი სიახლოვე ჰქონდათ. იმ-
ხანად გამოთვლით ცენტრში მუშაობდნენ
ერთად — ედიშერი ფიზიკოსი გახლდათ...
მამა ხშირად იყო უმუშევრად, მაგრამ არა
უმოქმედოდ. რედაქციებშიც მიჰქონდა
წარწერები.

**— სიკვდილსა და თვითმკვლელო-
ბაზე ხშირად ლაპარაკობდა?**

ძ-ნი თინა:

— ჯერ კიდევ 1964 წელს გაკეთებულ
ჩანაწერებში ლაპარაკობდა თვითმკვლელო-
ბაზე...

ძ-ნი თაბარი:

— ერთი ასეთი ჩანაწერი აქვს: „აღამი-
ანი იკლავს თავს რაღაც მნიშვნელოვანი



მწერლის უფროსი შვილიშვილი — სოფო ლექსებს წერს, მისი ძმა —
ბექა საინჟინერო ამროვნებით გამოირჩევა, უმცროსი — ალექსან-
დრე კი თავის მოთხრობებს მუსგალ ბაბუის სტილში წერს...

ამბისთვის და ეს რომელ უმნიშვნელო ამ-
ბავს დაემთხვევა, რომელ უმნიშვნელო ამ-
ბავს ხვდება წილად, იყოს უკანასკნელი,
სრულიადაც არაფერს ნიშნავს...“ ძალიან
ბევრი ადამიანი, ვინც იცნობდა ან ვინც
მოგვიანებით აღმოაჩინა ყარამანი, მის თვით-
მკვლელობას სისუსტედ არ მიიჩნევს და
ამას შეგნებულ არჩევანს უწოდებს...
მიძინელება ახსნა, რადგან ყველა დეტალს
ვერ გიყვებით, მაგრამ ერთს გეტყვით: მაინც
სხვისი გულისთვის გადადგმული ნაბიჯი
მგონია, გამოუვალი მდგომარეობის გამო
გაკეთებული, თითქოს რაღაც გაასწორა
ამით... ბოდიშს გიხდით, რომ ვერ
გიკონკრეტებთ.

ძ-ნი შუაშენა:

— შინ რომ შემოვიდოდა, მის თვალებ-
ში ამოვიკითხავდი, რას გრძნობდა და
განწყობილებიდან გამომდინარე, ხშირად
მთელ ღამეს თბილისის ქუჩებში დასეი-
რობდით. იქიდან დაბრუნებულები კი
ყოველთვის კარგ გუნებზე ვიყავით. იმასაც
ამბობდა ხოლმე: თუ მივხვდი, რომ ველ-
არაფერს ვაკეთებ, თავს აღარ ვიცოცხლე-
ბო... სულ ამის შიში მქონდა... ჩემს შვილებს
არ გადაყოლივარ ისე თან, როგორც ყარა-
მანს... ქალიშვილების გათხოვბამდე ყოველ-
ღამე ჩემთან იყო, ხან სიზმრად ვხედავდი,
ხან ცხადად ვგრძნობდი მის სიახლოვეს...
ჩამომიჯდებოდა და მელაპარაკებოდა...
ყოველთვის ვცოცხლობდი და ვარსებო-
დი მისით, გარდაიცვალა და... დღესაც ვარ
და ვცოცხლობ მისით...

P.S. ყარამან კიკვიძე ბევრმა გვიან აღ-
მოაჩინა, მე — ნაწილობრივ, დღეს; ვიღაც
— ხვალ აღმოაჩენს და ასე გაგრძელდება
სიცოცხლე, სიკვდილის შემდეგ...

„შენ სიკვდილი არ იცი, რა არის. მე
ვიცი, მოვკვდები. ეს შენც იცი, მაგრამ შენ
არ განგიცდია, მე ბევრჯერ განმიცდია,
ამიტომ მე შევეჩვიე, სულ სხვა სამყაროდან
ვუყურო საკუთარ თავს, ცხოვრებას. წარ-
მოიდგინე, რომ შენი სული ტრიალებს აქ
და შენს მოქმედებას უყურებს. ალბათ,
რამდენ ზედმეტობას დაინახავ შენსას და
რამდენ რამეს გასწავლის, რომ იცოდეს, რა
ყოფილა თურმე, ცხოვრება...“

მონუსი თინეიჯერების სიყვარულის ზეგავლი

ალბათ, ყველას შეგხვედრიათ ქუჩაში ისეთი მოხუცები, რომლებიც თავიანთი ჩაცმულობით გვაოცებენ — რომ არა მათ სახეზე ალბეჭდილი სიბერის კვალი, ისინი თავს თინეიჯერებად წარმოგვიდგენდნენ. სწორედ მათზე ამბობენ, უკნიდან ახალგაზრდა და წინიდან — მოხუციაო. რამდენიმე დღის წინ მეტროში ჩავედი და ვინაიდან საქმე არაფერი მქონდა, თავს ხალხის თვალიერებით ვიქცევედი. ჩემი ყურადღება მოხუცმა წყვილმა მიიპყრო: ქალი და მამაკაცი ერთმანეთს თვალებში შესციცინებდნენ, მათი ჩაცმულობაც ძალიან „სვეტური“ მომეჩვენა და მორიდებით ვთხოვე, ჩემთვის ინტერვიუ მოეცათ.



„ვედილობთ, ახალგაზრდობის დაკარგული წლები დავიბრუნოთ“

ლიპა ქაჩია

ვალეკო, 67 წლის:

— რა დროს ჩემი ინტერვიუა, ბაბუ?! როცა საქმეს ვაკეთებდი, ჟურნალისტი არ გამკარებია და ახლა, უსაქმური კაცის ცხოვრება რაღაში გაინტერესებს?

— თუ საიდუმლო არაა, სად მუშაობდით?

— მშენებელი კაცი ვარ, ამ ხელებით ბევრი სახლი ამიშენებია, მაგრამ მადლიერი არა ვიყნა. ჩემი ცხოვრება მარტო ამ ქალის გამო ღირდა, თურმე...

— ეს ქალბატონი თქვენ მუუღლავა?

— არა, ჩემი მუუღლე არაა, მაგრამ ამის გამო კი წამოვიდო სოფლიდან და ახლა შეილებს ჩემ გამო რცხვენიათ.

— რატომ?

— მითხრეს, რამ ატყუხა ამ სიბერეში, ვილაც ქალთან რომ გაგვეპარეო?! დღემდე არ მეღაპარაკებია. არადა, რა მექნა, ამ ქალს ბავშვობიდანვე ვუყვარდი, ჩემ გამო არ გათხოვდა და მისთვის ახლაც წიხლი მეკრა?..

წინელი:

— (ანეკდოტის) ჰო, ვალიკო ბავშვობიდანვე მიყვარდა, მაგრამ მისი გული ვერაფრით მოვიგე (იციინის). ეტყობა, ამ სიბერეში ჩემში რაღაც ისეთი აღმოაჩინა, რასაც მანამდე ვერ ამჩნევდა და სიყვარულში გამოიხატა, საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდა.

— თქვენ რამდენი წლის ხართ?

— ქალს ასაკს არ ეკითხებიან.

— ახალგაზრდულად გამოიყურებით...

— ვცდილობ, „კარგად შენახული“ ქალი ვიყო.

— თან, ასაკისთვის შეუფერებლად გაცვიათ...

— ესეც იმიტომ, რომ ახალგაზრდულად გამოიყურებოდე.

— ეს რაში გჭირდებათ?

— ვცდილობთ, ახალგაზრდობის დაკარგული წლები დავიბრუნოთ. როცა ასე ვიცვამთ, თავი ისევ მოზარდები გგონია და ანცობის ხასიათზეც ვართ.

— ანუ კედი, ჯინსის შარვალი,

სპორტული პიჯაკი და კეპი გაახალგაზრდავებაში გეხმარება?

ვალეკო:

— ჰო, ამაზე წინელმა იზრუნა და გამახალგაზრდავა კიდეც. მე კედს მხოლოდ მაშინ ვიცვამდი, როცა სოფელში ფეხბურთს ვთამაშობდი, ახლა კი თურმე მოდაში ყოფილა. ჯინსის შარვალზე არასდროს ჩამიცვამს, აი, პიჯაკი კი ყოველთვის ძალიან მიყვარდა.

წინელი:

— გარდა იმისა, რომ ჩაცმის ასეთი სტილი გაახალგაზრდავებაში გეხმარება, კედი და ჯინსი ძალიან მოსახერხებელია, ის მშვენიერად მოვირგეთ. ჩვენ უკვე მოვხუცდით და ტანიც რაღაცნაირად დაგვიმძიმდა. ჰოდა, სხვა რაღაცების ჩაცმა კიდე უფრო გვამძიმებს. სხვათა შორის, სულაც არა მგონია, რომ ასე მხოლოდ თინეიჯერებმა უნდა ჩიცვან.

— თქვენი ანცობა რაში გამოიხატება?

ვალეკო:

— ჩვენ ახლა მთაწმინდის პარკში ვიყავით, სადაც მშვენიერი დრო გავატარეთ, ბევრი ვიცინეთ და თქვენ წარმოიდგინეთ, კარუსელზეც კი ვისხედით.

წინელი:

— ძალიან კარგი იყო... ისე, ახალგაზრდობაში ასეთი „ამბეზული“ არ ვიყავი, მაშინ ყველაფერს ყურადღებას ვაქცევდი, თავს რაღაცების უფლებას არ ვაძლევდი და ვცდილობდი, სურვილები მომეთოკა. ახლა კი მივხვდი, რომ ამ ყველაფრით მხოლოდ საკუთარი თავი დავაზარალე — რადგანაც „უფერული“ გოგო ვიყავი, საყვარელ ადამიანს თავი ვერაფრით შევყავარე.

ვალეკო:

— წინელი მართალია. ის ზოგჯერ გვერდით მედგა, მაგრამ ვერც კი ვამჩნევდი. ქალმა ცოტა თუ არ იაქტიურა, რაც უნდა კარგი გარეგნობა ჰქონდეს, დაიჩაგრება.

წინელი:

— ახლა ცეკვაზე სიარულიც დამაწყებინა. თავს ახალგაზრდულად ვგრძნობთ. ცუდი ისაა, რომ ვალიკოს შეილებს ვეღარ გავუჩენ.

ვალეკო:

— არცაა საჭირო, ისინი მაინც არაფერს დაგვიფასებდნენ...

— ქალბატონო წინელი, თქვენ მართლა ვალიკოს სიყვარულის გამო არ გათხოვდით?

— ჰო, ასეა. მე მკითხავენთან ხშირად დავდიოდი და ისინი მაიმედებდნენ, — ნუ გეშინია, ადრე თუ გვიან, ის კაცი მაინც შენთან მოვაო. ჰოდა, მეც არ ვთხოვდებოდი. ბევრი თაყვანისმცემელი გავისტუმრე უარით და ბოლოს მივხვდი, რომ ამ ცრუიმედში ბევრი დრო გავიდა. არ მეგონა, ასე მალე თუ დავებრებოდი...

— მკითხავენს ნათქვამი როდის ახდა?

— 1 წლის წინ. მე ნათესაებთან ჩავედი იმ სოფელში, სადაც ვალიკო ცხოვრობდა. იქ თავლი მომკრა და გამომეკიდა. მერე კითხვები დამეყარა: როგორ ხარ? სად დაიკარგე? მაშინ გრძნობა, რომელიც ჩემში ვითომდა ჩავეალი, განმიახლდა. თან, ისიც გავიგე, რომ ვალიკო დაქვრივებული ყოფილა და ამან გამათამაშა — მას სიყვარულში გამოვუტყედი. ვალიკომ ხმაც არ გამცა და მეც, საბოლოოდ დავკარგე მასთან ცხოვრების იმედი. მაგრამ როცა თბილისში ჩამოვედი, 2 დღეში მესტუმრა და მას შემდეგ ჩემთან ცხოვრობს.

ვალეკო:

— წინელის სიტყვებმა გული გამითბო, ახალგაზრდობა გამახსენა და რადგან შეილებიც უმადურნი აღმოჩნდნენ, მათი მიტოვება განვიზრახე.

— ახლა თავს რით იჩენთ?

— ჩვენი პენსია გვეყოფნის. თან, წინელის პატარა ჯინსურაც აქვს და იქიდანაც შემოგვდის რაღაც თანხა. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ.

— თქვენ ერთმანეთს თვალებში შესციცინებთ...

— ეს იმიტომ, რომ ახალდაქორნი-

ნებულები ვართ და თაფლობის თვე გაგვიგრძელდა (იციინაბ).

მოსუცი წყვილი ფეხზე წამოდგა. ქალბატონმა ნინელიმ ბოდში მომიხდა:

— უკაცრავად, გოგონი, ჩვენ უნდა ჩავიდეთ.

ბედნიერებას გისურვებთ!

— გმადლობთ. იმედია, ძალიან სასაცილოდ არ გამოვიყურებით და ეს ყველაფერი ჩვენი გაშაყირების მიზნით არ გვკითხე.

როგორ გვკადრებათ...

ვალისკო:

— ამ ყველაფერს თუ მართლა დაბეჭდავ, სახელი შემიცვალე, თორემ ჩემი შვილები ცოცხლად დამმარხავენ.

მოსუცი წყვილი სამგორში ჩავიდა. მგზავრებმა მათ თვალი გააყოლეს, ერთერთმა ყმანვილმა კი გადმომილაპარაკა:

— ვა, მართლა რა სასაცილო მასტები იყვნენ, არა? ისე, შენც მაგრად იკაიფე, ხომ იცი...

სიმართლე გითხრათ, სხვებისგან განსხვავებით, ამ მოსუტებზე ნამდვილად არ გამცინებია. ალბათ იმიტომ, რომ მათ თვალეში დიდი სიყვარული ამოვიკითხე.

ამჯერად, თქვნივე თხოვნით, გთავაზობთ Snoop Dogg-ის სიმღერის — Waste Of Time — ტექსტს.



Yo, this next record right here, is a dedication This dedicated to those, who've come to an end Quit like Gladys Knight...

You know neither one of us wants to be the first one to say goodbye So, hopefully this record will help you Get to the conclusion, ya dig?

I love this girl but I don't know about her .As a matter of fact, I could go without her But she got my daughter, I don't know why I bother to try to make it work when she make it so harder

Wake up and break up and do the same thing tomorrow I get tired of fightin', I feel no sorrow

for you, to keep it movin' in that Monte Carlo That's what I get for fuckin' with a video model Waste of time, waste of time, waste of time Go your way and I'll go mine

I'm alright, I'm alright, I'll be alright
Go your way and I'll go mine
You don't love me, you just love my Doggystyle
I used to put it on yo' ass, you ain't had it in a while
Instead of crackin' smiles,
you'd rather cramp a nigga style
You act too wild, I won't walk you down the aisle
What you thought?
Yeah, we could chill, we could talk
When I look you in your eyes
I no longer see sparks
So it's, best we go our separate ways
and stay apart
No more me and you boo,
I done had a change of heart
Waste of time, waste of time, waste of time
Go your way and I'll go mine
I'm alright, I'm alright, I'll be alright
Go your way and I'll go mine
Waste of time, waste of time, waste of time
Go your way and I'll go mine
I'm alright, I'm alright, I'll be alright
Go your way and I'll go mine
I'm not sayin' I don't got love for you
But I'm not in love with you
(I'm just not in love with you baby)
I'm not sayin' I don't got love for you
But I'm not in love with you
And feels like such a...
Waste of time, waste of time, waste of time
Go your way and I'll go mine
I'm alright, I'm alright, I'll be alright
Go your way and I'll go mine
Waste of time, waste of time, waste of time
Go your way and I'll go mine
I'm alright, I'm alright, I'll be alright
Go your way and I'll go mine
Sorry it had to end this way
But uh, it is what it is
I'm alright, don't worry about me
I'm cool, ha ha, yeah
You go your way and I'll go mine
Real talk, I'm cool, I ain't even trippin'
I'ma roll out with Raphael
Yeah, fo sho, I'ma roll with him
I'm cool, you go your way, I go mine
I guess I'll see ya next lifetime
See ya, wouldn't wanna be ya...

ბიბლუსი

წიგნის მატარებელი ქსელი




„მეტიწილის ძეგლი ერთი ყმადვრებს
არადასაყვანი ერთს წმინდობისა,
მისი ვისუნდა და ესთვირებს
დაკეთებებს...“

გვარამია

სიხარული ბიბლუსში!

დატროვეებითი ბარათით!

შეიძინეთ წიგნები, დაატროვეთ ვარსკვლავები და მიიღეთ სამუქროები.



=



ჩაქვითხე ჩვენებსა - უკეთესად აქნება!

დასახეისი იხ. გვ. 17

აზრით, საარჩევნო და სამართალდამცავი სტრუქტურების ნორმალურად ფუნქციონირების გარანტია არ არსებობს. საზოგადოების პროტესტი სწორედ ამ სტრუქტურების არასწორად მუშაობამ გამოიწვია.

— პატრიარქს მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, ოპოზიციონერთა ერთი ნაწილი ხელისუფლების მხრიდან აქციის მონაწილეთა ძალისმიერი მეთოდით დარბევის შესაძლებლობაზე ალაპარაკდა. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ძალის გამოყენებისთვის მართლა მზადაა?

— არა მგონია. პატრიარქს არ უთქვამს, რომ ხელისუფლება აქციის დასარბევად მზად იყო. გარდა ამისა, 26 მაისს ქუჩაში ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა და მათი დარბევა ხელისუფლებისათვის საბედისწერო იქნებოდა.

— ოპოზიციის ლიდერები ამბობენ, რომ ხელისუფლება პარალიზებულია და დაკისრებულ მოვალეობას ვეღარ ასრულებს. ამასთანავე, ირწმუნებიან, სახელისუფლებო სტრუქტურების ბლოკირებას კვლავაც გავაგრძელებთო. ეს ფაქტი ქვეყნის საგალობლო მდგომარეობაში ხომ არ ჩაადგებს?

— საქართველოს ბედ-იღბალს დიდად არ დასტყობია, რომ ხელისუფლება პარალიზებულია და ვერ მუშაობს. მე თუ მკითხავთ, სააკაშვილის გუნდი იზოლაციაში საკუთარი სურვილით ექცევა. ამის დასტურად, შემოიძლია, მოგიყვანოთ ის ფაქტი, რომ მათ პარლამენტში შესვლა შეუძლიათ, მაგრამ არ შედიან.

— ბოლო დროს გაჩნდა ვერსია, რომ სააკაშვილი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისთვის ბალასტი გახდა. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— ვეთანხმები, რადგანაც სააკაშვილი უკვე ხელისუფლების წარმომადგენლებსაც უქმნის პრობლემებს.

— ასეთ ვითარებაში რამდენად შესაძლებელია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სააკაშვილის წინააღმდეგ ოპოზიციას გაუროგდნენ?

— გამორიცხული არაფერია. „ვარდების რევოლუცია“ სწორედ ასეთი მექანიზმით მოხდა. ალბათ, გახსოვთ დევიზი — ყველა მინუს ერთი. ოპოზიცია შევარდნაძის გუნდის წევრებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა და ისინი გადაიბირა კიდევ.

— დღევანდელი ხელისუფლებაში ვინ წარმოგიდგენიათ ისეთ ძალად, ვინც სააკაშვილის წინააღმდეგ ოპოზიციას გაუროგდება?

— ის, ვინც სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნით გამოწვეულ ხიფათს ყველაზე მეტად იგრძნობს.

რისკიანი პროფესია ანუ

როდესაც ჩემმა რესპონდენტმა შეიტყო, რომ ჟურნალ „გზის“ წარმომადგენელი ვიყავი, მითხრა: — ძალიან გთხოვთ, მკითხველს მტკვრის გზას ნუ მიასწავლითო, რადგანაც ბოლო დროს, სამწუხაროდ, პოეტების მუზა — მტკვარი უამრავი ტრაგედიის „თანამონაწილე“ გახდა. როგორც საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის სამაშველო განყოფილების უფროსმა, ნოდარ ჭუმბაძემ გვითხრა, გასულ წლებთან შედარებით, უზედური შემთხვევების მაჩვენებელმა წელს პიკს მიაღწია.



„სიცოცხლე მებაბა, როდესაც სამაშველო ოპერაცია წარმატებით სრულდება“

ნანა შიხელაური

კობა ბრეზვაძე, საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსი:

— საგანგებო სიტუაციების სამსახურში სულ 800-მდე თანამშრომელია და აქედან, წყლის სამაშველო სამსახურში დაახლოებით, 50 კაცია დასაქმებული.

— სამაშველო სამსახურში ქალებიც არიან?

— ხმელეთის სამაშველო სამსახურში, რომელშიც კარის ჩაკეტვით დაწყებული და თუთიყუშებისა თუ კატების დევნით დამთავრებული სამუშაოები შედის, გოგონებიც არიან... რაც შეეხება წყლის სამაშველო სამსახურს, სმირია შემთხვევა, როდესაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მაშველების გაფრთხილებას არ ითვალისწინებს და აკრძალულ ზონაში შედის. ასეთ შემთხვევაში, მაშველებს თავიანთი უფლებამოვალეობის შესრულება უწევთ.

— სად გადიან მაშველები ფიზიკურ მოზადებას, სად იმაღლებენ კვალიფიკაციას და საერთოდაც, რა კრიტერიუმით ირჩევენ თანამშრომელს?

საუბარში სამაშველო სამსახურის განყოფილების უფროსი, **ნოდარ**

ჭუმბაძე ერთვება:

— მათი შერჩევა ფიზიკური მონაცემების მიხედვით ხდება, შემდეგ კი ისინი შესაბამის ერთთვიან სწავლებას გადიან — ეკითხებათ ლექცია, მიმდინარეობს ვარჯიში, ბოლოს კი გამოცდას აბარებენ. ამ ყველაფერს, 50-60 კაციდან დაახლოებით, 5% ართმევს თავს. მამშველები კვალიფიკაციას გერმანიასა და საფრანგეთში იმაღლებენ.

— ბატონო კობა ბრეზვაძე: მოსახლეობა გვირეკავს იმ შემთხვევაშიც, როცა კარზე ჩაკეტილებათ ან წყლის მილი გაუსკვდებათო. ასეთი პრობლემების მოსაგვარებლად პატრულის თანამშრომლებსაც სმირად ანუხებენ. იქნებ გაგვარკვიოთ, მსგავს სიტუაციებში 022-ზე უნდა დარეკონ თუ 011-ზე?

— მართლაც, სმირია შემთხვევა, როცა მსგავს სიტუაციებში დასახმარებლად პატრულს მიმართავენ, ისინი კი რასაკვირველია, ჩვენ გვირეკავენ. როდესაც კარია ჩაკეტილი, ოთახში კი მძიმე ავადმყოფი იმყოფება, ამ შემთხვევაში, ყველა წუთს და წამს მნიშვნელობა აქვს და თუ შესაძლებელი იქნება, პირდაპირ სამაშველო ჯგუფი უნდა გამოიძახონ. ამის შემდეგ, თუ კრიმინალური სამუშაოა ჩასატარებელი, პატრულიც მოვა

და „სასწრაფო დახმარება“.

— შეტყობინებიდან რამდენ წუთში მიდიხართ გამოძახების ადგილზე?

— ჩვენ ყველა უბანში გვყავს სამსახური ჯგუფი. ქალაქის ნებისმიერ კუთხეში, თუ საცობმა არ დაგვბრკოლა, 5-6 წუთში მივალთ.

— უდავოა, რისიან საქმიანობას ეწევით, რომელიც არა მარტო ფიზიკურ მომზადებას, არამედ სულიერ მზაობასაც საჭიროებს.

— დიახ, ჩვენი სამუშაო სიზუსტეს, უსაფრთხოების დაცვას და რისკს მოითხოვს. 6 წელია, ამ სამსახურში ვარ, მაგრამ ტრადიციული შემთხვევა არ მასხენდება, მოსალოდნელ საფრთხეებს ყოველთვის ვითვალისწინებთ... თუმცა, ერთხელ იყო შემთხვევა, როცა იანვარში, სამსახურს სამუშაოს დროს წყალში ჩასულ მყვინთავს ბალონის მიღში ჰაერი გაეყინა, მაგრამ გადაარჩა.

— გაზაფხულზე, როგორც წესი, უბედური შემთხვევებისა და თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტი მატულობს. გასულ წელთან შედარებით, წელს როგორი სტატისტიკური მონაცემები გაქვთ?

— წლის განმავლობაში უამრავი მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა. საერთოდ, არსებობს დახრჩობის ორი სახე — მშრალი და სველი. მშრალია, როცა ადამიანი ნასვამ მდგომარეობაში შევა წყალში და მას სპაზმები ახრჩობს, გული უსკდება; ხოლო სველია, როცა დიდი ოდენობით წყალს გადაყლაპავს და ისე იხრჩობა. მდინარე მტკვარზე დაფიქსირებული შემთხვევებიდან, 90% მშრალი დახრჩობის შედეგადაა გარდაცვლილი. წინა წლებთან შედარებით, წლებგანდელმა მაჩვენებელმა პიკს მიაღწია — მტკვარზე სიკვდილიანობის შემთხვევა გაორმაგდა. მტკვარი ამოუცნობი მდინარეა, ვერ მიხვდები, რომელი მხრიდან აინვეს წყლის დონე. ამასთან, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, მას რეგიონებიდანაც მოაქვს გვამები.

— წელიდან გვამის ამოტანაც რისკთანაა დაკავშირებული. თავს როგორ იცავთ?

— გვამთან შეხება არ გვზარავს, მაგრამ მუშაობის მომენტში უსაფრთხოების ზომები აუცილებლად უნდა დავიცვა. მოგესვენებათ, გვამი მომწამვლელ აირს გამოყოფს და ჩვენც, მოწამვლა თავიდან რომ ავიცილოთ, გვამის ნაპირზე გამოტანისას იძულებული ვართ, აირწინალი გამოვიყენოთ.

— როდესაც ისეთ ადამიანებს ეხმარებით, რომელთაც თვითმკვლელობა აქვთ განზარსული, გემადლიერებიან?

— ხშირად, ადამიანები ასეთ გადარჩევტილებას ნასვამ მდგომარეობაში იღებენ და წელიდან ამოყვანის შემდეგ, ბევრი აზრზე მოდის, მადლობას გვეუბნება, ბევრი კი შეურაცხყოფას გვაყენებს. 14 მაისს, ავლაბარში, 25 წლის ბიჭი მეუღლესთან ერთად მიდიოდა. ისინი რალატაზე ნაკინკლავდნენ და ბიჭი ხიდიდან მტკვარში გადახტა. რასაკვირველია, შეტყობინება მივიღეთ და ბიჭი წელიდან წუთ-ნახევარში ამოვიყვანეთ (მეტეხის ხიდიდან კატერი გვყავს). ყმანვილი გათიშული იყო და ამიტომაც, პირველადი დახმარების ჩატარების შემდეგ საავადმყოფოში გადავიყვანეთ. მოგვიანებით, მან დაგვირეკა, მოგვიკითხა და მადლობაც გადაგვიხადა... ამას წინათ, მეტეხის ხიდიდან BMW-ს მარკის ავტომანქანა გადავარდა, რომელშიც ორი ახალგაზრდა ბიჭი იჯდა. ჩვენ ორივეს გადაარჩინა მოვასერხეთ. მსგავსი შემთხვევა, უფრო ხშირად თბილისის ზღვაზე ხდება.

— სამსახურს ოპერაციების ჩატარება სად უფრო იოლია?

— სამსახურს ოპერაციების უმრავლესობა წარმატებით მთავრდება თბილისის ზღვაზე და კუს ტბაზე, ვინაიდან იქ კალამოტური დინებაა და მისი გაკონტროლება შესაძლებელია. მტკვარზე კი, როცა დიდი დინებაა, ადამიანების დახმარება გვიძნელებდა.

— !! მაისს, ელიავას ბაზრობის



მიმდებარე ტერიტორიიდან მანქანა მტკვარში გადავარდა. გვამი რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეთ, მანქანას კი მხოლოდ ახლახან მიაგნით...

— ამ შემთხვევის შემდეგ მანქანაც დაიკარგა და გვამიც. 6 დღის შემდეგ ვალერი ხუნაშვილის ცხედარი რუსთავის ჰესზე ვიპოვეთ. მანქანაც რამდენიმე დღის შემდეგ ვიპოვეთ — ვახუშტის ხიდის ქვეშ, მაგრამ მის ამოტანას, ვიდრე წყლის დონე არ დაიკლებდა, ვერ ვრისკავდით და დამცავი თოკებით გვყავდა დაბმული.

— იმავე ვახუშტის ხიდიდან 3 ნასვამი ახალგაზრდა გადახტა. თუ იცით, რატომ მიიღეს ასეთი გადარჩევტილება და თითოეულის გვამი ნაპოვნია?

— როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, შეზარხოშებული ახალგაზრდები ერთმანეთს აქეზებდნენ, — ვერ გადახტებო. ჯერ ერთი გადახტა ხიდიდან, მას მერე ძმაცაყებოც მიჰყვნენ. იმ დროისთვის მტკვარი მაქსიმალურად მომატებული იყო, ხოლო სიჩქარე — გაძლიერებული. მართალია, ცურვა სამივემ იცოდა, მაგრამ იმ დინებაში ჩემპიონი მოცურავეც კი ვერაფერს გახდებოდა. ერთის, ედუარდ რეშეტოვის გვამი მეორე დღესვე ვიპოვეთ, გიორგი ფანჯიკიძის — 10 დღის შემდეგ, ხოლო მესამე — გელა ტურაშვილი დღემდე დაკარგულად მიიჩნევა. სამუშაოები კვლავ გრძელდება. არის ერთი დაკარგულიც — ელხან ამილიანი, რომელიც შარდენის ქუჩიდან ნასვამი გაექანა და მეტეხის ხიდიდან მტკვარში გადახტა... წყალში არის ორგვარი სამუშაო — წყალქვეშა და ზედაპირული. ქალაქის წყლებიდან, მხედველობის მდგომარეობის მიხედვით, ყველაზე კარგია თბილისის ზღვა, სადაც სინათლე სოგიერთ ადგილას 70 სმ-ზეც აღწევს.

— დაკარგული გვამების უმრავლესობას რუსთავის ტერიტორიაზე რატომ პოულობთ?

— როცა წყალი მტკვარში მაქსი-



მალურად მომატებულია, მის დონეს ორთაჯაჭვს არეგულირებს. იმ დროს, როდესაც მთებში თოვლი დნება, ქალაქს რაიმე საშიშროება რომ არ დაემუქროს, იძულებითი ფარების გაღება ხდება, რის შედეგადაც, წყალს გვამი რუსთავის ტერიტორიაზე გადააქვს.

— **კუს ტბაზეც დაიწყო ახალგაზრდა ბიჭი. მისი გადარჩენა რატომ ვერ მოხერხდა?**

— ის ბიჭი ტყეში იჯდა, მეგობრებთან ერთად და სვამდა. მას უთქვამს, — უნდა ვიბანაო და ტბისკენ სირბილით წასულა. მეგობრებმა ვერ მიგვითითეს, დაახლოებით სად უნდა გვეძებნა. მისი წყალში შესვლა და გაქრობა ერთი იყო. გვამის პოვნა მეორე დღით მოხერხდა. ახალგაზრდა არყით და ლუდით იყო მთვრალი, შესაბამისად, მისი მშრალი დახრჩობა მოხდა.

— **საბედნიეროდ, კლდეში ჩაცვენილი ყმანცილების გადასარჩენად ჩატარებული სამაშველო ოპერაცია მსხვერპლით არ დასრულდა.**



გარდაცვლილი ვალერი ხუნაშვილი

— ზაპესის თავზე, კლდეზე პეტრე მოციქულის სახელობის ტაძარი დგას, სადაც 14-დან 20 წლამდე ასაკის 6 ბიჭი ავიდა. ბნელდებოდა და ამიტომაც, მათ მოკლე გზით ჩამოსვლა მოინდომეს. ყმანცილებმა ვერ გათვალეს, რა მიმართულებით უნდა ევლოთ და ოთხი მათგანი ხევში გადაიჩიხა. ადგილზე საპატრულო პოლიციასთან ერთად ავედით და ერთ-ერთ მათგანთან მობილურით დაკავშირება შეეძლო. ბიჭები ორიენტირს ვერ გვაძლევდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ მხოლოდ რკინის ჯვარს ხედავდნენ. დიდი ხნის ძებნის შემდეგ მათ ადგილსამოყვდეს მივაგენით. იმ ოთხიდან სამი უსაფრთხო ადგილას იყო, მეოთხე — საკაცით ამოვიყვანეთ და მას სამედიცინო დახმარება გაუწიეს. ეს ბიჭები, ვიდრე უფსკრულში იყვნენ, კანონმორჩილებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ როცა ამოვიყვანეთ, გათამამდნენ და გვარებიც კი არ გვითხრეს...

— **„რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევის დროს ჩატარებულ სამუშაოებში**

თუ მონაწილეობდით?

— რა თქმა უნდა, იქ ვიყავით. გვინდოდა, ნანგრევებში მოყოლილი თანამშრომლები ცოცხლები გამოგვეყვანა, მაგრამ მხოლოდ ჟურნალისტი გოგონა გადარჩა... სამწუხაროდ, ბიჭები ისეთ სინკარებს შორის მოყვნენ, სადაც ჰაერიც კი არ მოძრაობდა.

— **ბატონო ნოდარ, მინისტრის შემთხვევაში, სახლში მყოფი ადამიანი სად უნდა დადგეს?**

— საყრდენი და გარე კედლის (გასასვლელ კარში) ადგილებში. ამ დროს კიბის უჯრედს, ლიფტის შახტას, მიშენებებს და გადატისრულ ადგილებს უნდა ერიდოთ.

— **ალბათ, ბევრი არაორდინარული ამბის მომხრეც გახდებოდით.**

— შარშან, მამაკაცი მეუღლესთან, ქალიშვილთან ერთად თბილისის ზღვაზე, ავტომობილით ავიდა და ლოტკინის მიმდებარე ტერიტორიასთან ახლოს ბანაობდა. ჩვენი სამაშველო ჯგუფი ეტაპობრივად აფრთხილებს იქ მყოფებს, თუ როდის და სად შეიძლება, ან არ შეიძლება ბანაობა, ვაძლევთ მითითებებს, მაგრამ... შეტყობინება მივიღეთ და გამოვიდა სკუტერი, კატერი, განათების ჯგუფი. ოჯახის წევრებს ერთი ვაი-ვიში აქვთ ატეხილი, — წყალში შევიდა და აღარ ჩანსო. ვეძებთ, მაგრამ ვერ ვპოულობთ. ამასობაში, დაღამდა კიდეც და „ჭირისუფლებს“ ვუთხარით, რომ სამძებრო სამუშაოებს მეორე დღეს განვაგრძობდით. იმ კაცის ძმამ გადწყვიტა, ეს ამბავი მშობლებისთვის არ შეეტყობინებინა და მეზობელს დაურეკა, — ჩემი ძმა ზღვაში შევიდა, დაიხრჩო. მეზობელმა უპასუხა, — რა დაიხრჩო, აგერ ზის, ეზოში და ყავას სვამსო. თურმე, ის კაცი მეორე ნაპირზე გასულა, ტაქსი გაუჩერებია და შინ წასულა — ნასვამი იყო და არ ახსოვდა, ზღვაზე ოჯახის წევრებთან ერთად რომ მივიდა... თქვენის ნებართვით, კიდევ ერთ შემთხვევას გავისვენებ: საბურთალოს ქუჩიდან დაგვირეკა ოჯახმა, რომელსაც შინ ყვავი ჰყავდა. თურმე, იმ დღეს ფანჯარა გააღეს თუ არა, გაფრინდა და სხვა ყვავებს შეერია. ოჯახის უფროსმა დაივიწყა, — გინდა თუ არა მითხარით, იმ ყვავებიდან ჩვენი რომელიაო?..

— **გაფრთხილ ყვავებს და თუ თიყუშებს როგორ იჭერთ?**

— გვაქვს სახანძრო კიბე, ლიფტი, რომელიც 53 მეტრზე იშლება. ველოდებით, როდის დაჯდება ფრინველი ხეზე და დაღამდება თუ არა, მაშინვე ვიჭერთ. მახსენდება შემთხვევა, როცა კაცს ვაკეში, დიდ ორბოში ვირი ჩაუვარდა და გვევწვნებოდა: მაკედ არის და ისე ამოიყვანეთ, რომ მუცელი არ მოსწყდესო. ჩვენც მივიტანეთ ენ. „აბიზაკა“, რომელსაც ორსული დაზარალებულების დასახმარებლად ვიყენებთ ხოლმე და მაკე ვირი იმით ამოვიყვანეთ.

— **როგორც ვიცი, ადამიანებს უნებაროდ ეხმარები.**

— დიახ, ასეა. შემთხვევის ადგილას მისვლისას აქცენტი მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის დახმარებაზე, მის გადარჩენაზეა გადატანილი, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს. მინდა, ხალხს მივმართო და ვურჩიო, როგორც წყალში, ისე ხმელეთზე, მაშველთა მითითებები გაითვალისწინონ. ნურავინ იტყვის, — კარგი ცურვა ვიცი, ნასვამს მიზანავიანო. თბილისის წყლები მძიმეა და ნასვამ მდგომარეობაში არსებობს 100%-იანი საშიშროება, რომ ბანაობა სავალალო შედეგით დასრულდეს.

— **თუ საიდუმლო არ არის, რამდენს შეადგენს მაშველის ხელფასი?**

— მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობას, მაშველი ხელფასსაც იღებს და სამ თვეში ერთხელ ხელფასის ოდენობის პრემიასაც. მაშველის მინიმალური ხელფასი 480, საშუალო კი — 700 ლარამდეა. ასე რომ, ჩვენი გულდამწყვეტილი არავინაა. ამასთან, გვაქვს ყველანაირი ალტერნატივა. ამას წინათ, გერმანიიდან ჩამოგვიყვანეს როგორც სახანძრო, ისე სამაშველო ფორდები.

— **შემდგომში იმ ადამიანებთან თუ გაქვთ ურთიერთობა, ვისაც სიცოცხლე შეუნარჩუნეთ?**

— ხშირად გვირეკავენ, გვითხოვდნენ, და არა მარტო გადარჩენილები, არამედ გარდაცვლილის ოჯახის წევრებიც.

— **გატყობთ, თქვენს საქმიანობაზე შეყვარებული ხართ.**

— თავს ბედნიერ კაცად მივიჩნევ, რადგან ვემსახურები უფალს და ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე ვდგავარ. როდესაც სამაშველო ოპერაცია წარმატებით სრულდება და ვიღაცას სიცოცხლეს ვუნარჩუნებთ, სიცოცხლე მეც შემატბა.

— **„გზა“ უბედური შემთხვევის მსხვერპლის, ვალერი ხუნაშვილის მეგობარს, ვალერი ნიტიანიშვილს ესაუბრა.**

— ვალერი არაჩვეულებრივი პიროვნება და მეგობარი იყო. მისმა დაღუპვამ ყველას დაგვწყვიტა გული. იგი 45 წლის იყო, მეუღლე და სამი შვილი დარჩა. 11 მაისს, დაახლოებით საღამოს შვიდის ნახევარზე შინ, მეტრომშენის დასახლებაში საკუთარი ავტომანქანით — „სუჟუკი-ბოლეროთი“ ბრუნდებოდა. ის ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან არასდროს ჯდებოდა. წარმოადგენა არ გვაქვს, იმ დღეს რა მოხდა, რა შემთხვევა... შესაძლოა, ვინმემ ჩაუჭრა გზა, ან დაეჯახა და ამის შემდეგ გადავარდა მტკვარში. მისი გვამი რუსთავის ჰესზე იპოვეს, მანქანა კი შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 300 მეტრში. გასარკვევია, ეს უბედური შემთხვევა იყო თუ არა. ყველაფერს ალბათ, ექსპერტიზა დაადგენს.



„პიონერფილმის“ იუზილე, მათე „თბილისური აიში“ ჯა ნანატრი მკრსკვლევი




უკვე 50 წელია, რაც თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში კინოსტუდია „პიონერფილმი“ არსებობს, სადაც ბავშვები ფილმის გადაღებას სწავლობენ. წელს „პიონერფილმმა“ ფესტივალი — „თბილისური აიში“ მეათედ ჩაატარა და მასში 80-მდე ფილმი მონაწილეობდა. ფესტივალს როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუმრები ესწრებოდნენ და ბევრმა მათგანმა საკუთარი ნამუშევარიც წარადგინა... საზეიმო ღონისძიებაში თითოეულ „პიონერფილმელს“ საკუთარი ფუნქცია ჰქონდა — დიდი საქმის კეთებაში პატარა წვლილი ყველას შეჰქონდა...

ეთო ყორანაშვილი

ვიდრე „პიონერფილმის“ „ტექნიკურ დირექტორს“ — 16 წლის ლევან დვალს პირადად გავესაუბრებოდი, მისმა მეგობრებმა გამიმხილეს, — ლევანი ხშირად გვაბრაზებსო! აღსანიშნავია, რომ 16 წლის ოპერატორმა და მემონტაჟემ ფესტივალზე განსაკუთრებული პრიზი დაიმსახურა.

ლევან დვალი:
— პრიზი ერთ-ერთმა ძველმა პიონერფილმელმა დააწესა. ესაა უნივერსალური კალამი: ერთი შეხედვით, კალამია, მაგრამ მასში ვიდეოკამერა და „ფლეშკა“ ჩამონტაჟებული, ანუ ერთგვარი ფარული



ლევან დვალი

კამერაა. — ეს პრიზი რატომ გადმოგცეს?

— იმიტომ, რომ ვილაც-ვილაცებს „ფარულად“ ვიღებ ხოლმე (იციანის). ახალი წლის დღეებში, ერთ-ერთ საღამოზე ვიდეოროგოლი წარვადგინე, რომელიც ჩემი მეგობრების მიერ გაფუჭებული კადრებით ავანყვე. მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და ამიტომაც, თითოეულს ძალიან საინტერესო რეაქცია ჰქონდა.

— გაბრაზდნენ?
— დამემუქრნენ, — დაგახრობთო, მაგრამ მგონი, ცოცხალი ვარ (იციანის)! გარდა ამისა, ფილმიც გადავიღე, რომელიც ძალიან ბევრს წინასწარ დადგმული ჰგონია. საერთოდ, ასე ხდება: როცა მოსწავლე სცენაზე გამოდის და მღერის, მასწავლებელი ცდილობს, მიმიკებით რაღაც ანიშნოს. ფილმი კონსერვატორიის მცირე დარბაზში გადავიღე, სადაც მასწავლებელი მოსწავლეს ისეთი სასაცილო მიმიკებით ანიშნებდა რაღაცას, რომ უბრალოდ, არ შემეძლო, არ გადამელო (იციანის)! სხვათა შორის, ეს ფილმი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა და ბევრ ფესტივალზე პრიზიც დაიმსახურა, სულ ცოტა ხნის წინ კი ბერლინში, მოყვარულთა ფილმების კინოფესტივალზე — „ფანჯარა საზღვრებს გარეშე“ — საუკეთესო იდეისა და გადაღებისთვის დიპლომიც ავიღე.

— დღესაც ვიდეოკამერით იყავი „შეიარაღებული“...

— საერთოდ, ჩვენთან „ფესტივალის დღიური“ ყოველთვის კეთდება. შარშან მხოლოდ მე ვიყავი ოპ-

ერატორი, წელს კი სამნი ვიღებდით: მე, ვიტალი ჯანიკაშვილი და მირანდა ნამიჭეიშვილი.

— ოპერატორობა რთულია?

— რთულია, მაგრამ 4 წელია, რაც მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის კინოსტუდიაში დავდივარ და „პიონერფილმი“ ჩემს „მეორე სახლად“ იქცა. წლების განმავლობაში გარკვეული ცოდნა მივიღე და გადაღების საკუთარი სტილი ჩამომიყალიბდა.

— ლევან, კიდევ რას საქმიანობ?

— სკოლაში ვსწავლობ და ერთ-ერთ ტელეკომპანიაში ვმუშაობ... ძალიან დაძაბული გრაფიკი მაქვს, მაგრამ „პიონერფილმში“ მოსვლას მაინც ვახერხებ — ეს ის ადგილია, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს!
სალომე პოპიაშვილი, 18 წლის:

— ვიდრე ლევანი „მიუზიკოპუსზე“ მუშაობას დაიწყებდა, ჩვენი „სისხლძარღვი“ იყო — ტექნიკური მხარე, რაც კინოს ასულდგმულებს, მას ებარა. ახლა ოდნავ „მოგვწყდა“, მაგრამ რთული საქმეების კეთებაში ყოველთვის გვეხმარება. ჩემი ფილმის — „წრე“ — ოპერატურა და მონტაჟის ნაწილი მას ებარა. ამიტომაც, იმედიაანად ვიყავი.

— „წრემ“ ფესტივალზე ნომინაციაში — „ყველაზე საკმაოთო ფილმი“ გაიმარჯვა...

— დიას, ცოტა უცნაური სიუჟეტი აქვს. სცენარი თინეიჯერობის ასაკში ანუ მაშინ დავწერე, როცა ცხოვრებაზე ფიქრი დავიწყე და მივხვდი, რომ ყველაფერი მეორდება: ყოველთვის ვილაც სიკეთეს ემ-



ლევან დვალი, ნინო და ნათია გურულები

წონება რეზო ჩხეიძის ფილმმა — „მაცხოვრის საფლავზე დანთებული სანთელი“ — დაიმსახურა...

რეზო ჩხეიძე:

— კრიტიკა — არა, მაგრამ ფილმთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ჰქონდათ. რა თქმა უნდა, შენიშვნებიც ექნებოდათ, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამთ — ალბათ, მოერიდათ (იღიმება)... საქართველოში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე თავისი მოღვაწეობით ძალიან ცნობილია. აქ არსებულ კინოსტუდიას — „პიონერფილმს“ საიუბილეო

„პატარა ფილმების დიდი ემოცია — ეს არის ჩემი აზრი, დანარჩენი — მაცურებელმა უნდა გადაწყვიტოს“, — ასე შეაფასა რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ თავისი ყოფილი სტუდენტების ფილმები, რომლებიც ახალგაზრდა რეჟისორებმა ომის თემაზე გადაიღეს და მაცურებლის სამსჯავროზე პირველად, თბილისის კინოს სახლში გამოიტანეს. სამი ფილმი — „გამნაღმელი“, „ქურდი“ და „აგვისტო“ — იმ ქროლოლებს ეხება, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა მოუტანა...

ლალი პაპასკირი

ირაკლი კასრაიშვილი, „გამნაღმელის“ რეჟისორი:

— ამ ფილმის გადაღების იდეა ერთი უსინათლო ადამიანის ნახვის შემდეგ გამიჩნდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ის ადამიანი მესხიერებაში ჩამრჩა. ერთ დღესაც მომიწინადა, მსგავსი პერსონაჟი ეკრანზე გამეცოცხლებინა. მერე სცენარიც მოვიფიქრე: ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირი რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ნალბზე აფეთქდა და მხედველობა დაკარგა; მიღებული ტრავმის შემდეგ, როგორც მეომარმა და, შეიძლება ითქვას, როგორც ადამიანმა თავისი ფუნქცია დაკარგა, ოჯახიც დაენგრა და მხოლოდ მოსუცი დედის ამარა დარჩა, რომელიც გაჭირვებით უვლიდა. მოგვიანებით, 1992 წელს, ე.წ. „არამიანცის“ საავადმყოფოში ყოფნისას, მეომარი გაიცნო, რომელიც ქართული საჯარისო ნაწილის მეთაურია და საავადმყოფოში აფხაზეთის ომში დაჭრილი ბიჭები ჰყავს მიყვანილი. უსინათლო კაცი მეომარს გამოელაპარაკება და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ სთხოვს, ომში წაიყვანოს.

— მაცურებელს თავისთავად უწდება კითხვა: რა შეიძლება, გააკეთოს უსინათლო კაცმა ომში?

— მართალია, ეს არარეალურია. ომში

სახურება, ვიღაც — ბოროტებას... ჩემი ფილმი სევდანარევია — ამ დასკვნამდე მივედი.

ნათია გურული, 17 წლის:

— „პიონერფილმს“ ისეთი აურა აქვს, რომ მე და ჩემი და — ნინო მაგნიტივით მიგვიზიდა. როცა კინოსტუდიის კარი შევალეთ, მაშინვე თავის სამფლობელოში „ჩაგვითრია“.

ნინო გურული, 18 წლის:

— „კინოშნიკობა“ ყოველთვის მოგვწონდა, „პიონერფილმს“ კი ამ სფეროში გათვითცნობიერების საშუალება მოგვცა.

ნათია:

— უკვე 50 წელია, რაც მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში კინოსტუდია არსებობს. 1-ელ ივნისს ნანატრი ვარსკვლავიც გავსენით.

— ფესტივალზე ბატონმა ელდარ შენგელიამ ასენა, — „პიონერფილმს“ „შტაბზინა“, ცოტა არ იყოს, სახიფათო ზონაში აქვს...

— სწორედ ამიტომ, ვარსკვლავის გახსნის შესახებ წინასწარ ვაცნობეთ მერიის სამსახურსაც და ოპოზიციასაც: როცა პარლამენტთან მიტინგია, შენ კი იქვე რალაცას ზეიმიზ, ცხადია, ეს ფაქტი აქციონერებს არ ესიამოვნებოდათ. საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა.

— როგორც ვიცი, ქართველი რეჟისორების მიერ გადაღებულ ფილმებს სშირად განიხილავთ. განსაკუთრებულად რომელი დაგამახსოვრდათ?

ნინო:

— რაც დღეს ქართულ კინემატოგრაფიაში ხდება, ყველაფრის აზრზე ვართ — ყველა ნამუშევარი ჩვენთან მოაქვთ და განვიხილავთ.

ნათია:

— ჩვენი განსაკუთრებული მო-




ამ საქმეს შესანიშნავად ხელმძღვანელობს ბატონი გრიშა ჩიგოგიძე

თარიღი შეუსრულდა — 50 წლისა! ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ, ფილმების გადაღება ისწავლონ. ამ საქმეს შესანიშნავად ხელმძღვანელობს ბატონი გრიშა ჩიგოგიძე. მისი შრომის ნაყოფი სახეზეა: ფესტივალზე ბევრი საინტერესო ნამუშევარი ვნახე. განსაკუთრებულად, „გრან-პრის“ მფლობელი ფილმი — „აბურა“ მომეწონა.

გრიშა ჩიგოგიძე, „პიონერფილმის“ ხელმძღვანელი:

— „აბურა“ „პიონერფილმის“ გაკეთებული არაა. „თბილისურ აისში“ მონაწილეობა ყველას შეუძლია. ეს ფესტივალი წელს მეათედ ჩავატარეთ... ვცდილობ, ბავშვებმა საქმე აკეთონ და თან, გაერთონ კიდევ. რაც მთავარია, ყველაფრის ორგანიზატორები თავად უნდა იყვნენ!



კადრი ფილმიდან „გამნაღმელი“

სამი რეჟისორის თვალით დანახული ომის საშინელება და



კადრი ფილმიდან „აგვისტო“

— ამ ფილმის შექმნის მთავარი იდეა — „დავარგული თაობა“. დიდხანს ვეძებდი შესაფერის სცენარს. ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტის ვიყავი, როცა გიორგი მგელაძის ფილმი — „არა, მეგობარო!“ ვნახე. იმდენად მომეწონა, რომ ვიფიქრე, ოდესმე ამის მსგავს ფილმს მეც გადავიღებ-მეთქი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სცენარისტი მიაიწულა გავიცანი (იგი აფხაზეთში ომის დანაშაულის დღიდან, სოხუმის დატყვემდე იბრძოდა). ერთხელაც მისი

ჯაბა რუამი, „აგვისტოს“ რეჟისორი:

— ეს ჭკუის სასწავლებელი ფილმი. აგვისტოს ომი კიდევ ერთი შეცდომა იყო — ერთ მხარეს ქართულ-ოსური შერეული ოჯახები იბრძოდნენ, მეორე მხარეს კი მათი მონათესავე ქართველები იდგნენ. ცხინვალიდან რუსული შეიარაღებული ძალები რომ შემოვიდნენ, მათ ადგილობრივი რუსები ესროდნენ, რომლებიც ქართულ შეიარაღებულ ძალებში მსახურობდნენ... დაბომბვის შემდეგ, ადგილობრივი რადიომოუწყებლობა ერთ-ერთი სოფლის სახლის სარდაფიდან ხორციელდებოდა, ეთერში მიწვეული იყო აფხაზეთის

მომარის ხვედრი 90-იანი წლების საქართველოში

ყოფნა ჯანმრთელ კაცსაც უჭირს, მაგრამ მეთაურს ადამიანურად შეეცოდა და გადაწყვიტა, მისთვის მეომრის სტატუსი დაებრუნებინა, რადგანაც მიხვდა, თუ როგორ გარიყულად გრძნობდა თავს უსინათლო მეომარი, რომელსაც საზოგადოებაში საკუთარი თავის რეალიზება არ შეეძლო. ყოყმანობდა, თუმცა მისი წაყვანის საბოლოო გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პალატიდან გამოსულს, ავადმყოფის მოხუცი დედა დაეწია და ამ სიტყვებით მიმართა: ჩემი შვილის ომში წაყვანას მეც გათხოვთ, შვილო; თავს უფუნქციო ადამიანად გრძნობს, მე ყოველთვის ვერ ვიქნები, ის კი თავს დამოუკიდებლად ვერ მიხედავს, მით უმეტეს, რომ ცოლ-შვილმაც მიატოვაო... ახალგაზრდა მეთაური მას აფხაზეთის ომში წაიყვანს და ერთ-ერთ სამხედროს ჩააბარებს. ბიჭები უსინათლო მეომარს ქვეყნისთვის დახარჯვის შანსს მისცემენ და ვითომ დანაშაულ ველზე გაატარებენ, სადაც მან „სამშვიდობოსკენ“ 50 ნაბიჯი უნდა გადადგას. ბოლოში გასულს კი ჰგონია, რომ უფალმა სიცოცხლე აჩუქა და ბედნიერია, რადგან ბიჭებს, როგორც განალმველი „გამოადგა“... იმ ქვედააყოფის ყველა მებრძოლი, მეთაურთან ერთად, იმ დღესვე იღუპება. უსინათლო მეომარი კი რასაკვირველია, გადარჩება და, თბილისში ჩამოსული, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან მდგარი, იმ ბიჭების გვარებს მადლიერი ეწურწურულება, რომ მათი დახმარებით ადამიანების სიაში „ჩაწერა“.

— ფილმის გადაღება სად მიმდინარეობდა?

— ლისის ტბის ზემოთ, ძალიან ლამაზი ადგილია, თუ არ ვცდები, ბირთვითი ჰქვია. რამდენიმე კადრი ვაზიანის სამხედრო ბაზაზეც არის გადაღებული... ბუნებრივია, სამხედროების კონსულტაცია დაგვჭირდა, რაც ოცმეთაურმა ზაზა ორმოცაძემ და მისმა ბიჭებმა უანგაროდ გასწიეს.

ზაზა მერაბიშვილი, „ქურდის“ რეჟისორი:

მოთხრობა ნავიკითხე და გადაწყვიტე, მისი ნაწარმოების მიხედვით ფილმი გადაამელო... პროექტზე ფიქრი კი დავიწყე, მაგრამ ფული არ მქონდა. იმ პერიოდში სტუდია — „ტიბისის ტივის“ ხელმძღვანელი არჩილ მენაღარიშვილი იყო, რომელიც დღეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. როცა მას ჩემი ჩანაფიქრი გაუზიარე და სცენარი წავაკითხე, მოეწონა და მითხრა: ფულით ვერ დაგეხმარები, მაგრამ რაც დაგჭირდება (კამერა, „რელსი“ თუ „კრანი“), ყველაფრით მხარში ამოვიდგები. მართლაც, მისი დახმარებით ამ მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება შეეძლო. მუშაობა ძირითადად, თბილისსა და კიკეთში მიმდინარეობდა... მოკლედ, შევარდნაზე „გაგვყიდა“ და ადამიანები სასიკვდილოდ განირა. ეს „გაყიდული“ ომი იყო... ჩემი ფილმით შევეცადე, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ მეთქვა სიმართლე და ომის შემდგომ ქუჩაში დარჩენილი, სახელმწიფოსგან დაუფასებელი ქართველი ჯარისკაცის ცხოვრება დამენახებინა. მთავარი გმირი გადაიწია, მაგრამ თბილისში დაბრუნების შემდეგ, ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. უმუშევრობამ ის ჯიბიგირად აქცია. ერთი „სამუშაო დღის“ ბოლოსაც, როცა მოპარულ ნივთებს ათვალიერებდა, საფულეში ძველი თანამებრძოლისა და უახლოესი მეგობრის ფოტო აღმოაჩინა, რომელზეც თვითონაც იყო აღბეჭდილი. იქვე იდო ოჯახისთვის გამოგზავნილი, უკანასკნელი წერილიც, სადაც დაღუპული მეგობარი მშობლებს მასზე უყვებოდა: „მამუკა ძალიან მიხმარება, ნამდვილი ვაჟკაცია...“ სწორედ ამ „ვაჟკაცმა“ ამოაცალა ჯიბიდან მისი მეგობრის მამას საფულე, სადაც „გროსებთან“ ერთად, ომში დაღუპული შვილის უკანასკნელ წერილსა და ფოტოს ინახავდა...

— **ჯაბა, თქვენ ფილმი ქვეყნის უახლეს ისტორიას — 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე გადაღებული, სადაც მსახიობადაც მოგვევლინეთ. ამ ფილმით რისი თქმა გინდათ?**



ზაზა მერაბიშვილი გადასაღებ მოედანზე

ომის ვეტერანი, რომელსაც ომის საშინელება გამოვლილი ჰქონდა. გადაწყვიტეთ, ფილმში ეს რესპონდენტი „განალმველის“ რეჟისორს, ირაკლი კასრელაშვილს განესახიერებინა. როდესაც მეომარი აფხაზეთის ომის თავისებურებაზე ლაპარაკობს, პირდაპირი ეთერი რამდენჯერმე შეწყდება, რადგანაც თბილისის მიმართულელებით რუსული საჰაერო მოიერიშეები დაფრინავენ, ისმის ბომბების ჩამოგდების ხმა, თუმცა რადიო მუშაობას მაინც აგრძელებს და მსმენელთა ზარებიც არ წყდება. შევეცადე, ჩემი ფილმი იმ ნიგნვით ყოფილიყო, სადაც 1990-იანი წლების საქართველოს წარსულისა და ომის შედეგად გაუბედურებული ადამიანების ცხოვრების ნაკითხვა იქნება შესაძლებელი.

— **ჯაბა, ფილმში არის ერთი საინტერესო ეპიზოდი, როცა ფურნალისტი რესპონდენტს ეუბნება, რომ ტექნიკური პრობლემების მიუხედავად, საკმაოდ კარგი ეთერი გამოუვიდა, რადგან რადიოში უამრავი ზარი დაირევა. რას იტყვით — ეს პროფესიონალის თვალთ დანახული ერთი რისკიანი სამუშაო დღეა?**

— დიას, ის გააოცა ფაქტმა, რომ ომამდე რადიოში არც ერთი ზარი არ შემოდის. ბომბების აფეთქების ფონზე კი ხალხი რეკავდა და რადიოს უსმენდა...

სულთმოფენობა — „ახალი აღთქმის“ დაბადების დღე

არქიმანდრიტი ჯაპარი (აბა-საძე):

— მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლა მოხდა სიონის მთაზე, რომელიც ძველი იერუსალიმის სამხრეთით მდებარეობს. სიონის მთას და იერუსალიმს მცირე ხევი ყოფს. წმინდა მამები ბრძანებენ, რომ სულიწმინდის გარდამოსვლა იოანე ღვთისმეტყველის სახლში მოხდა. გადმოცემის თანახმად, ამ ტერიტორიაზე დავით მეფე წინასწარმეტყველის საფლავიც.

როგორც „წმინდა წერილიდან“ ვიცით, ზეცად ამაღლების წინ უფალმა მოციქულებს მიმართა, — ნუ განეშორებით იერუსალიმს, ვიდრე არ მოგივლენთ ნუგეშისმცემელს — ანუ სულიწმიდას. უფლის სიტყვის თანახმად, მოციქულები, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და სხვა მონაფეები, დაახლოებით, 120 ადამიანი ერთ სახლში იყვნენ შეკრებილი და ურიათა შიშით კარი დახული ჰქონდათ. მართლაც, მაცხოვრის ზეცად ამაღლებიდან მესამე დღეს მათზე გარდამოვიდა სულიწმიდა, ცეცხლის ენების სახით, რასაც თან მოჰყვა ხმაური. ხმაურზე სახლთან, სადაც მოციქულები იყვნენ შეკრებილი, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ებრაელები იყვნენ, რომლებიც იერუსალიმში ერგასის დღესასწაულზე დასასწრებად ჩავიდნენ (ერგასი იუდეველთა პასექიდან მეერგასე ანუ ორმოცდამეათე დღეს აღინიშნებოდა).

სულიწმინდის მაღლით აღვსილი მოციქულები, რომლებიც იუდეველთა შიშით შეპყრობილი, ამ დრომდე დახშულ კარში ისხდნენ, უშიშრად გამოვიდნენ ხალხის წინაშე და ქადაგება დაიწყეს. მათი ქადაგება ყველა იქ მყოფ ადამიანს მშობლიურ ენაზე ესმოდა. ვისაც მათ სასმენად გული-სყური ჰქონდათ გახსნილი, გაკვირვებულები ამბობდნენ: ესენი ხომ გალილეელები არიან და მათი საუბარი ჩვენს ენაზე როგორ გვესმისო? ნაწილი კი, ვისაც მოციქულთა სასმენად ჯერ კიდევ არ გახსნოდა გულისყური, დაცინვით ამბობდა: მაჭრით

*განვგებოდა
„უზის“ წინა ნოქერში
დაწებულ საუბარს
ქრისტიანული
სარწმუნოების საყვანძო
მოქმედების შესახებ.*



დამთვრალანო.

პასუხად, შეკრებილთა წინაშე პეტრე მოციქულმა იქადაგა: სულიწმინდისგან მიღებული ძალით წარმოთქმულ სიტყვაში დაუმტკიცა მათ ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება, მისი ზეცად ამაღლება, რომლის უახლესი მონაშობაც სულიწმინდის გარდამოსვლა იყო. პეტრე მოციქულის ქადაგებით იმ დღეს 3 ათასი ადამიანი მოინათლა და ქრისტეს სჯულზე მოექცა. ასე ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანულ ეკლესიას — ქრისტეს რწმენის ქვეშ მყოფ ადამიანთა კრებულს და სულთმოფენობის დღე ამიტომაც მიიჩნევა „ახალი აღთქმის“ ეკლესიის დაბადების დღედ.

— რა მოხდა მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლით? შეიცვალა თუ არა მათი სულიერი მდგომარეობა, თვალთახედვა, რომელიც მაცხოვრის დედამიწაზე ყოფნის ფაშს მაინც, უფრო მინიერი იყო?

— ვიდრე მაცხოვარი მოციქულებთან ხორციელად იმყოფებოდა, ისინი სუსტები იყვნენ. გავისხენოთ, როგორ ეშინოდათ მოციქულებს, რომ მაცხოვარს იერუსალიმში გაჰყოლოდნენ, რადგანაც მან თავისი მომავალი ჯვარცმისა და ვნების შესახებ მათ წინასწარ აუწყა, ხოლო როდესაც მაცხოვარი შეიპყრეს, ყველა მოციქული გაიფანტა. სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ კი ისინი თავიანთ სარწმუნოებაში განმტკიცდნენ. ამასთანავე, მოციქულები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდნენ, უდიდესი ღვთისმეტყველები გახდნენ და ისეთი ცოდნა გამოამჟღავნეს, რომელიც მანამდე არ შეუძენიათ. ფაქტობრივად, ადამი-

ანები მთლიანად შეიცვალნენ. რაც შეეხება ცეცხლის ენების სახით სულიწმინდის გადმოსვლას, ეს იმიტომ მოხდა, რომ უფალმა ინება, სულიწმინდის გარდამოსვლა ადამიანთათვის ხილულიც ყოფილიყო, იმ ზომით და იმ სახით, „რაოდენ ძალი ედვათ“ — ე.ი. რასაც ადამიანური ბუნება დაიტევდა. როგორც უკვე აღვნიშნე, სულიწმინდა გარდამოვიდა არა უშუალოდ უფლის 12 მოციქულზე (მათ შორის იყო მატათა მოციქულიც, რომელიც იუდას ნაცვლად აირჩიეს), არამედ დაახლოებით, 120 ადამიანზე, რომელთა შორისაც იყვნენ: ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, მენელსაცხებლე დედები და ქრისტეს სხვა მონაფეებიც.

— რატომ მოხდა სულიწმინდის განყოფილ ენათა სახით გარდამოსვლა?

— ერთი მხრივ, ეს მიანიშნებდა, რომ სულიწმიდა ყველა მონაფეზე თანაბრად განანილდა, თითოეულ მათგანს დაადგა თავზე, მეორე მხრივ, ენათა განყოფა სულიწმინდის ნიჭის სიმრავლეზეც მიანიშნებდა. სულიწმინდისგან ყველა მოციქულს სხვადასხვა ნიჭი გადაეცა: ზოგი ქადაგების ნიჭით იყო დაჯილდოებული, ზოგი — მსახურების ნიჭით, ზოგი — წინასწარმეტყველების და ა.შ. უფლის უსასრულობის და მისგან მომდინარე ნიჭის სიმრავლის გამო, ღვთის ყველა ნიჭს ვერც ერთი ადამიანი ვერ დაიტევს. ეკლესიის ერთიანობისა და ძლიერებისთვის, ასევე იმისათვის, რომ ადამიანები ერთმანეთს სარგებელ ეყონ, ღვთისგან სხვადასხვა ნიჭი ყველა ადამიანზე ნაწილდება.

— რატომ ეწოდება სულიწმინდას ნუგეშისმცემელი?

დღესასწაული მცხეთის ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინებისა

— უპირველესად, იმის გამო, რომ მას თავად უფალმა უწოდა ნუგეშინის-მცემელი. უფალ იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებასა და სულიწმინდის გარდამოსვლასთან მიმართებაში თუ განვიხილავთ — უფალი დედამიწიდან წავიდა, ზეცად ამაღლდა, მოციქულებთან ხორციელად აღარ იყო. 10 დღის განმავლობაში ისინი ქრისტეს ვეღარ ხედავდნენ, შემდეგ კი მათზე გარდამოვიდა სულიწმინდა და ნუგეში სცა, ნუგეში მოჰფინა მოციქულებს — დაუტევა რა ისინი ქრისტემ, მათთან მოვიდა სულიწმინდა და ის მწუხარება, რომელიც ქრისტეს მონათევებს მასთან ხორციელი; მინიერი განშორების გამო ჰქონდათ, ნუგეშით აუნაზღაურა და შეუფსო.

სულიწმინდა ყველა ადამიანს სცემს ნუგეშს. თითოეულ ადამიანში არსებული შინაგანი ხმა, რომელსაც სინდისის ხმას ვუწოდებთ, სწორედ სულიწმინდის გამოხატულებაა და ის ადამიანს ნუგეშს სცემს: როდესაც ცოცხალი ვართ, სინდისი გამხელს. ზოგიერთი ადამიანი, ვისაც უფლის რწმენა და სასოება არ გააჩნია, ცოდვამ შესაძლოა, სასონარკვეთილებამდე მიიყვანოს. ღვთის მორწმუნე ადამიანს კი ამხელს რა სინდისი ცოდვაში, ამასთანავე ახსენდება, რომ უფალი მონყალა და შეუძლია, ცოდვა აპატიოს. ეს იმედს, ნუგეშს ჰგვრის. ადამიანში სულიწმინდის ხმა რომ არ იყოს, ყველა ადამიანი წარწყმდება, რადგან ცოდვის აღქმის უნარი არ გვექნებოდა.

რაზე უნდა დააფიქროს მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლამ თითოეული ადამიანი?

— ადამიანმა, განსაკუთრებით, ქრისტიანმა, ნათელღებულმა, უნდა იცოდეს, რომ მირონცხებით მასზე გარდამოსულია სულიწმინდა და მიღებული აქვს რაღაც ნიჭი. თუ ჩვენ ვიცით, რა ნიჭი გვაქვს მიღებული და არ ვიყენებთ, ამის გამო სასჯელს მივიღებთ, ხოლო თუ არ ვიცით, ორმაგად მოგვეკითხება იმიტომ, რომ არც კი გამოგვიკვლევიან, რა ნიჭი მოგვცა უფალმა. ყველა ნათელღებულ და მირონცხებულ ადამიანს სულ ცოტა, ის ნიჭი აქვს მიცემული, რომ სხვა ადამიანებს აუწყოს ქრისტეს შესახებ, მათ ქრისტიანობა უქადაგოს.

მირონცხებით სულიწმინდის მინიჭება ყველა ადამიანზე ხდება, მაგრამ იმისათვის, რომ სულიწმინდა საკუთარ თავში საბოლოოდ დაამკვიდროს, უნდა იყოს ღვთის მცნებების აღმსრულებელი. რაც მეტადაა ადამიანი ღვთის მცნებების აღმსრულებელი, მით მეტად წარმოაჩენს სულიწმინდა მასში ღვთისგან მომდინარე — საღმრთო სიბრძნეს.

სულთმოფენობის შემდგომ ოთხშაბათს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მცხეთის ჯვრის დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიაში ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია — ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის დროსაა დანესებული.

„მოქცევაი ქართლისაი“ გვამცნობს, რომ მეფე მირიანის თხოვნით, საბერძნეთიდან ქართლში ჩამოსულმა მღვდელმსახურებმა მირიან მეფეს ჯვრის აღმართვა შესთავაზეს: მეფემ ხუროები „ხე ერთი ჰაეროვანის“ მოსაჭრელად გაგზავნა, რომელიც მცხეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მთაზე (იქ, სადაც ამჟამად ჯვრის მონასტერი ალმარტული), წმინდა ნინოს ლოცვით აღმოცენებული მაკურნებელი წყაროს გვერდით იდგა. ეს იყო ზამთარ-ზაფხულ ფოთოლმსხმოიარე, სურნელოვანი ხე, რომელსაც კაცის ხელი არ შეხებოდა. ხე იმითაც იყო საკვირველი, რომ მისი ფოთლების ან თესლის ჭამის შემდეგ დაჭრილი ნადირი იკურნებოდა. საკვირველი ხე 25 მარტს (ძველი სტილით), ხარების დღესასწაულზე მოჭრეს.

მოკვეთილი ხე რტობიანად ჩამოიტანეს და ახალაგებული სვეტიცხოვლის ტაძრის გვერდით დაასვენეს. 37 დღის განმავლობაში ხის ფოთლებს ფერი არ შეუცვლია, შემდეგ კი მისგან სამი ჯვარი გამოკვეთეს და სვეტიცხოვლის ტაძარში აღმართეს. ეს მოხდა 7 მაისს (ჯვრების აღმართვა 7 მაისს იმიტომ გადაწყვიტეს, რომ ამ დღეს ეკლესია გოლგოთაზე ჯვრის გამოჩენას დღესასწაულობს).

ლამით ცეცხლოვანი ჯვრის გამოცხადება მოხდა: ზეციდან ჩამოსული, ვარსკვლავების გვირგვინით შემკული ცეცხლოვანი ჯვარი სვეტიცხოვლის ტაძარს დაადგა თავს, შემდეგ მას ორი ვარსკვლავი გამოეყო: ერთი აღმოსავლეთის მიმართულებით წავიდა, მეორე — დასავლეთის. თავად ცეცხლოვანი ჯვარი ნელ-ნელა, არაგვს გაღმა გავიდა, მცირე ხნით წმინდა ნინოს წყაროსთან დადგა, შემდეგ კი ზეცად ამაღლდა. ამ მოვლენას „მოქცევაი ქართლისაი“ შემდეგნაირად აღწერს: „და იხილეს სიმრავლემან ქალაქისამან ბნელთა მათ ლამეთა და აჰა, ჩამოვიდეს ჯუარი ცეცხლისაი და გვირგვინებული ვარსკვლავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა, ვიდრე განთიადამდე და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა აჰას ზედა. და განთიად რიჟურაჟს ოდენ, გამოვიდის მისგან ორი ვარსკვლავი — ერთი წარვიდის აღმოსავლეთით და ერთი დასავლეთით, და იგი თავადი ეგრევე დგან ბრწყინვალედ და ნელიად-ნელიად განდგის მიერ კერძო არაგუსა და დადგის ბორცვსა ზედა კლდისასა, ზემო კერძო, ახლოს წყაროსა მას, რომელი იგი აღმოა-

დინის ცრემლთა წმიდისა ნინოსითა და მუნით აღმაღლდის ზეცად“.

ეს სასწაული, რომელიც მრავალმა ადამიანმა იხილა, რამდენჯერმე განმეორდა. მირიან მეფემ წმინდა ნინოსგან შეიტყო, რომ უფალი ამ სასწაულით ჯვრების აღმართვის ადგილებს მიანიშნებდა... წმინდანის რჩევით, მეფემ აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით მოძრავი ვარსკვლავების კვალს ხალხი გააყოლა: ერთი ვარსკვლავი თხოთის მთაზე გაჩერდა, სადაც მირიან მეფემ ქრისტე იწამა, მეორე კი კახეთში — დაბა ბოდბეში. წმიდა ნინომ უწყოდა, რომ ბოდბეში დასრულდებოდა მისი ამქვეყნიური ცხოვრება და ამიტომაც, მეფეს უთხრა, ბოდბის ნაცვლად, ჯვარი უჯარმაში აღემართათ: „ნაიღეთ ერთი ჯვარი და თხოთის აღმართეთ, სადაც უფალმა თავისი ძალა გამოგიცხადათ, ხოლო მეორე — მეფეთა ქალაქ უჯარმაში, რადგან ბოდბე წინ არ აღუდგება ხალხმრავალ მეფეთა ქალაქს, ხოლო ბოდბეს, ღვთის სათნო ადგილს, თვითონ ვიხილავ“, — წარმოთქვა წმინდა ქალწულმა. მართლაც, ერთი ჯვარი თხოთის მთაზე აღიმართა, მეორე — უჯარმაში.

საკვირველი ხისგან გამოკვეთილი მესამე და მთავარი ჯვარი — ზეციით გარდამომავალი ცეცხლოვანი ჯვრის მსგავსი, ეპისკოპოსმა, სამეფო კარმა და ურიცხვმა ხალხმა დიდი პატივით წააბრძანეს მცხეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მთაზე, სადაც წმინდა ნინო მკვიდრობდა და მთელი ღამე წმინდა ნინოს წყაროსთან, ლოცვაში გაატარეს. მეორე დღეს წმინდანმა ხელი დაადო ერთ ქვას და ეპისკოპოსს მიმართა, ჯვარი გადაესახა მისთვის. სწორედ ამ ადგილას აღმართეს ჯვარი, რომელსაც „მოქცევაი ქართლისაი“ მცხეთის ჯვარს უწოდებს. მისი აღმართვისთანავე დაეცა და განადგურდა წარმართული კერპები.

ჯვრის აღმართვიდან რამდენიმე დღის მერე, კერძოდ, სულთმოფენობის დღესასწაულის შემდეგ, ოთხშაბათ დღეს, კვლავ აღესრულა სასწაული: ჯვარს თავს დაადგა 12 ანგელოზით გარშემორტყმული და 12 ვარსკვლავისგან შემდგარი, გვირგვინით შემკობილი სვეტი ნათლისა. აგრეთვე, გამოჩნდა ცეცხლოვანი ალი, მზეზე სამგზის ბრწყინვალე. ჯვარზე უფლის ანგელოზები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ. მართალია, ეს მცხეთის ჯვრის უკანასკნელი სასწაული არ იყო, მაგრამ რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი და ზეალმატებული გამოცხადება სულთმოფენობის შემდგომ ოთხშაბათს მოხდა, მცხეთის ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინების დღესასწაულად სწორედ ეს დღე დადგინდა.

შემდგომში სწორედ ამ ადგილას ააგეს ჩვენმა წინაპრებმა ჯვრის მონასტერი.

დასაწყისი იხ. გვ. 7

— თქვენ თუ გაქვთ მოქმედების კონკრეტული გეგმა?

— რა თქმა უნდა, მაქვს. უფრო მეტსაც გეტყვით — ჩვენ პრეზიდენტისთვის შესათავაზებელი წინადადებები დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს წინასწარ გავაცანი. გვინდოდა, ხელისუფლებისთვის მოგვეთხოვა: სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა, მედიასივრცის გათავისუფლება და ეროვნული კრების მიერ არჩეული, ალტერნატიული მთავრობის დაფუძნება. ეს ჩვენთვის დიდი უპირატესობა იქნებოდა, იმიტომ, რომ ალტერნატიული მთავრობის წარმომადგენლები საზოგადოებას კარგად ჩამოყალიბებულ, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას შევთავაზებდით და, სამართლიანი საარჩევნო გარემოს პირობებში, ბანკროტი ოფიციალური მთავრობა კონკურენციას ვეღარ გაგვიწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოდელის საწინააღმდეგო არგუმენტები ოპოზიციის არც ერთ ლიდერს არ ჰქონდა, ეს იდეა არ გაიზიარეს. მოვიწვიეთ დანარჩენი ოპოზიცია „ალტერნატიული მთავრობის“ პრეზენტაციაზე. ჩვენთან მოსვლაზე უარი არავის უთქვამს.

— მაგრამ არც თქვენი მოსაზრებები გაიზიარეს...

— ამის მიზეზი მე სხვა რამე მგონია. ჯერ მითხრეს, რომ ორხელისუფლებიანობის იდეა მოსახლეობისთვის რთულად გასაგები იქნებოდა და მხარდაჭერას ვერ მიიღებდნენ. როდესაც ყველაფერი დეტალურად ავუხსენი და ცხადად დავანახე, რომ სწორედ ალტერნატიული მთავრობის შექმნა დაასამარებდა სააკაშვილის რეჟიმს, მიპასუხეს, მოსაფიქრებლად ორი დღე მოგვეცით. ორ დღეში ხელისუფლებამ სისხლიანი გიორგობა მოგვიჩვენა და ჩემი იდეისთვის აღარავის ეცადა. მერე სააკაშვილს ის პოლიტიკური ძალა შეხვდა, რომელმაც ერთი რადიკალური მოთხოვნის გარდა, სხვა წინადადებების წარმოდგენა ვერ შეძლო. სხვათა შორის, „ბიზისის“ ერთ-ერთ გადაცემაში, საქართველოში არსებული ვითარების გაანალიზებისას, ჩვენი იდეა (ალტერნატიული მთავრობის არჩევა) პოლიტიკურ სიმნიფედ შეფასდა. ჩვენ რომ პრეზიდენტისთვის, დიპლომატის დროს, ალტერნატიული მთავრობის შექმნა მოგვეთხოვა, ის ვეღარ იტყოდა, — ოპოზიცია არასერიოზულია და ჩემი გადადგომის გარდა, არანაირი მოთხოვნა არა აქვს.

— პრეზიდენტთან შეხვედრისას სხვა ოპოზიციონერ ლიდერებს შორის თქვენ რატომ არ იყავით?

— ვერ გეტყვით. მართალია, მაგ დროს თავგატეხილი ვინეცი სახლში,

მაგრამ შეიძლებოდა, ჩვენი კოალიციიდან კონსტანტინე გამსახურდიას, გუგული მალრაძეს ან აკაკი ასათიანს მივლო დიპლომატი მონაწილეობა. როგორც ჩანს, ოპოზიციაში ვიღაც, სააკაშვილის საქმეს აკეთებს და იმისათვის მუშაობს, რომ ოპოზიცია არაკონსტრუქციულად და კონკურენტუნაროდ წარმოჩნდეს. აბა, ის ელემენტარული ქვემარტება, რომელიც მე ოპოზიციურ სპექტრს შევთავაზე, რატომ დაბლოკეს ყოველგვარი არგუმენტის გარეშე? დღეს ოპოზიცია დაქსაქსულია, საპროტესტო მუხტი შემცირებულია, ხალხი კი — იმედგაცრუებული.

— თქვენი აზრით, ვინ არის პიროვნება, რომელიც ოპოზიციაში ხელისუფლებისთვის „მუშაობს“?

— ჯერ ვერ გეტყვით: მტკიცებულებები არ მაქვს, ცილს კი ვერავის დავნამებ. ამ ხელისუფლებას კარგად ვიცნობ და ვიცი, როგორ მანიპულირებს ადამიანების მოქრთამვით, შანტაჟითა და მუქარით. დღეს ოპოზიციაში თავის პროფესიაში არშემდგარი ადამიანების მომრავლება შემთხვევითი არ არის. ასეთი სისტემა სააკაშვილის გამზრდელმა შევარდნაძემ შექმნა და ახლაც კარგად მუშაობს. მე ამ გამზრდელის ამოძიკვა მინდა.

— ბატონო გია, სხვა ოპოზიციონერი ლიდერები სულაც არ ფიქრობენ, რომ საპროტესტო მუხტი შემცირებულია. უფრო მეტიც — 26 მაისისთვის გრანდიოზული გეგმის განხორციელებას აპირებენ.

— მერწმუნეთ, მათ რეალური ხედვები არ აქვთ. 26 მაისისათვის გეგმა კი არაა, გრაფიკი აქვთ შედგენილი: მხოლოდ ის აქვთ გათვლილი, სად და როდის ჩაატარებენ მიტინგს.

— თქვენ დანარჩენ ოპოზიციას ემიჯნებით?

— არა, პირიქით. ძალიან მინდა, რომ ჩვენი ერთობა აღდგეს. ახლა ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ეს თუ გადაარჩენს. ოპოზიციას კიდევ აქვს გაერთიანების შანსი. უახლოეს მომავალში ჩვენ მათ ახალ წინადადებას შევთავაზებთ და მოსაფიქრებლად 72 საათს მივცემთ. ჩვენ მიერ შეთავაზებული ყველა წინადადება ერთობაზე იქნება გათვლილი. გვინდა, ოპოზიციურ სპექტრში არსებული აზრთა სხვადასხვაობა ჩარჩოში მოვაქციოთ და პროცესები ორგანიზებულად წარვმართოთ. დღეს მარჯვენა ხელმა არ იცის, მარცხენა რას აკეთებს, ასე რას მიაღწევენ?!

— თუ თქვენი წინადადება ისევ არ მიიღეს?

— მაშინ დამოუკიდებლად ვიმოქმედებთ, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ერთობას შევინარჩუნებთ. ძალიან მინდა, ოპოზიციურ ძალებს შორის ჩუმი დაპირისპირება დამთავრდეს, ჭორაობასა და შუღლს ბოლო

მოელოს. კარგად ვიცნობ სააკაშვილს და ვიცი, რომ ის ცალ-ცალკე ყველას დაგვამარცხებს. ძალიან ცბიერი ადამიანია.

— თავის დროზე, საქართველოში სამუშაოდ, სწორედ სააკაშვილმა მოგინათ, მაგრამ შემდეგ თქვენს წინადადებებს აღარ ითვალისწინებდა. როგორ ფიქრობთ — რა იყო ამის მიზეზი?

— ეს ალბათ მას უნდა შეეკითხოთ.

— თქვენი ვერსიაც საინტერესო იქნება.

— ჩემი ვერსია ასეთია: მე მის მონურ გარემოცვას დისკომფორტს ვუქმნიდი. არასრულფასოვნების კომპლექსის მქონე ადამიანებს ჭკვიან ადამიანთან მუშაობა ძალიან ეწოთრებათ. სხვათა შორის, დიდად არც სააკაშვილს ხიბლავდა ჩემთან ურთიერთობა, იმიტომ, რომ მისი ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელი არ ვიყავი. ეკონომიკის განვითარებისა და კონფლიქტების მოგვარების კონკრეტულ გეგმებს ვთავაზობდი, მაგრამ ის ყველაფერს ბლოკავდა. რალა აზრი ჰქონდა მასთან მუშაობას?! უკვე ოპოზიციაში ვიყავი გადასული, როდესაც რუსეთმა საქართველოს მიერ აფხაზეთსა და ცხინვალზე დაწესებულ ემბარგოს იგნორირება გაუკეთა და სეპარატისტულ რეგიონებთან ოფიციალური ურთიერთობა დაამყარა. მივხვდი, რომ ჩვენი ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა და მოსკოვის მორიგი ნაბიჯი — საქართველოზე თავდასხმა იქნებოდა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემი ოპოზიციონერობა დავივიწყე და სააკაშვილს კონფლიქტის თავიდან აცილების კონკრეტული გეგმა შევთავაზე. მან კი ჩემი შეთავაზება მაშინაც მხოლოდ ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის გამოიყენა, პრობლემის მოსაგვარებლად კი ერთი ნაბიჯიც არ გადადგა.

— რას გულისხმობთ?

— როდესაც ჩემი გეგმა ნაიკითხა, აღფრთოვანდა: ვაიმე, ეს რა კარგი რალაცაა, შენ გენაცვალე, ვამაყობ შენითო (ამ შეხვედრას გოგი თოფაძეც ესწრებოდა)!.. მე ვუთხარი: თუ ეს გეგმა თქვენთვის მისაღებია, ქართულ არასამთავრობო დელეგაციას ჩამოვყავალიბებ და აფხაზეთსა და ოსებთან ნდობის აღსადგენად მუშაობას დავიწყებ-მეთქი. — ძალიან კარგი, გადასარევი აზრია, კიდევ როდის შევხვდეთო? ვუპასუხე — პრეზიდენტი შენ ხარ და როცა მტყვი, მაშინ შეგხვდები-მეთქი. იმის მერე მე ისევ არ შემხვედრია, როგორც თქვენ... რა გამოვიდა? საზოგადოებას დაანახა, რომ ოპოზიცია ერთიანი არ იყო და მისი ერთი ნაწილი პრეზიდენტთან კონკრეტულ საკითხებზე მუშაობდა. ამით დამთავრდა ყველაფერი... ■

BMW-ს ახალი კუპე

მიმდინარე წლის ივლისში კომპანია BMW ბაზარზე კუპეს — M3 — სპეციალური მოდიფიკაციის გაყვანას აპირებს, რომელსაც Edition ერქმევა. როგორც ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, საბაზო ავტომობილისგან სიახლე ძარათი და ექსტერიერის გაფორმებით განსხვავდება. მანქანას უკანა ხედვის სარკეების შავად შეღებილი კორპუსები დაუყენდება. ამასთან, კლიენტებს შესაძლებლობა მიეცემათ, სპეციალურად ამ ვერსიისთვის შეუკვეთონ 19-დუიმიანი ბორბლების დისკები, რომლებიც შავად ან თეთრად იქნება შეღებილი. BMW M3-ს კაპოტის



ქვეშ 420 ცხ.დ. სიმძლავრის V8 ატმოსფერული მობტორი დამონტაჟდება, რომელიც 6-საფეხურიანი „მექანიკით“ იმუშავებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ელირება M3-ის სპეციალური მოდიფიკაცია.



„სიტროენა“ კონსუპტაივოს ინტერიერი გამოაფხეურა

ორიოდე დღის წინ, კომპანია „სიტროენა“ კონსტრუქციული ავტომობილის — DS3 — ინტერიერის პირველი ოფი-




ციალური ფოტოები გამოაქვეყნა. თუ ამ ფოტოსურათები ვიმსჯელებთ, სიახლე პრაქტიკულად, სერიული წარმოებისთვის მზადაა, ხოლო სალონის დიზაინს, ისევე, როგორც ექსტერიერის გაფორმებას, „სიტროენის“ უკვე არსებულ მოდელებთან საერთო თითქმის არაფერი აქვს. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, სერიული Citroen DS3, რომელიც შემდგომი თაობის მოდელის — C3 — პლატფორმაზეა აწყობილი, გაყიდვაში მომავალი წლის მარტიდან იქნება. სიახლე კონკურენციას გაუწევს ჰენზეკებს: MINI-ს, Alfa Romeo Mi.To-ს და Audi A1-ს. „სიტროენის“ „პრემიალური“ ხაზის მომდევნო მოდელებად ბიზნესკლასის ავტომობილი, DS5 იქცევა. იგი ბაზარზე 2011 წლიდან გამოჩნდება და ჰიბრიდული დანადგარით აღიჭურვება, რომელიც თავის თავში გააერთიანებს — 2-ლიტრიან, 200 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე ტურბოდირექტორს, ნიკელ-მეტალოჰიბრიდულ ბატარეებს და 50 ცხ.დ. სიმძლავრის ელექტრომობტორს.



პიკაპის გვიღველებს თხას რუქნიან

ახალ ზელანდიაში პიკაპის — Mitsubishi Triton — თითოეულ მყიდველს საჩუქრად თხას აყოლებენ. ამით „მუცუბიშის“ მარკეტოლოგები ფერმერებში ავტომობილის გაყიდვის მაჩვენებლის გაზრდას ცდილობენ. „მუცუბიშის“ წარმომადგენელთა აზრით, თხა ძალიან სასარგებლო ოთხფეხია, რადგანაც ის ხორცს და რძეს იძლევა. გარდა ამისა, თხებს გრიპით დაავადების საფრთხე არ ემუქრებათ და შესაბამისად, ისინი ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას ხელს არ შეუშლიან, ხოლო პიკაპების იმ მყიდველებს, რომლებსაც ამგვარი საჩუქარი არ სჭირდებათ, კომპანია სთავაზობს: 5000 კმ გარბენზე საგზაო გადასახადის დაფარვას, 5 წლის განმავლობაში გზაზე ევაკუატორის ან ტექნიკოსის უფასო გამოძახებას ან 500 დოლარის ღირებულების აქსესუარს.



						
				11	12	
				13	14	15
				16	17	18
				19	20	21
				22	23	24
25	26	27				
28	29	30				
31	32	33				
34	35					
36	37					

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. კეისარი; 2. იაპონია; 3. რაი; 4. ფირუზი; 5. შტო; 6. ტერმინალი; 7. სკორსეზე; 8. მხედარი; 9. ლეჩე; 10. დილა; 11. ესაძე; 12. ტენი; 13. აკაი; 14. ლიმონათი; 15. ელემენტარული; 16. რომი; 17. ლიტანია; 18. ესე; 19. არმია; 20. ოდინი; 21. მელოდრამა; 22. ონი; 23. ამპერი; 24. ოდო; 25. მექა; 26. რუსეთი; 27. მაია; 28. ზვინი; 29. ვალეტა; 30. სატევარი; 31. იგი; 33. ტირანა; 33. ტრიტონი; 34. პრესტიჟი; 35. კრეტა; 36. კილო; 37. ოდა; 38. ნუნა; 39. სინი; 40. ენისეი; 41. დაჩია.

სურათებზე: კირსტენ დანსტი; ჯერემი აირონსი.

მორთსკოპი

(4 - 10 ივნისი)

ცეჩქი:

კარგი პერიოდია პრობლემების მოსაგვარებლად და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შეეცდებით, საყვარელ ადამიანს სიამოვნება მიანიჭოთ და მას საჩუქრებით გაანებივროთ.

ბაჟი:

ამ კვირაში ფული უყარათოდ არ დახარჯოთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. კარგი დროა სასიყვარულო რომანის წამოსაწყებად. მოგზაურობა დროებით გადადეთ.

ტყუპი:

დაიმახსოვრეთ, კარიერაში წარმატების მისაღწევად, ბევრი შრომაა საჭირო. შეეცადეთ, დასახულ მიზანს არ გადაუხვიოთ და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მაქსიმალურად მხიარული იყოთ.

კიჩხი:

ახალი საქმის წამოწყებისგან თავი შეიკავეთ და დროულად განწყობით კავშირი არასასურველ პარტნიორებთან. კარგია, თუ სამოგზაუროდ წახვალთ და უცხო ქვეყნის კულტურას გაეცნობით.

დომი:

ნუ შეგეშინდებათ სიხლეების. კარგი დროა ქორწინებისათვის. მოგზაურობისას ეცადეთ, არ იყოთ კონფლიქტური, თორემ შესაძლოა, სამართალდამცავ ორგანოებთან პრობლემა შეგექმნათ.

შახტა:

გაურკვეველობის შეგრძნება სამომავლო გეგმების დასახვაში შეგიშლით ხელს. ნუ მიიღებთ მონაწილეობას მასობრივ ღონისძიებებში. კარგია, თუ საყვარელ ადამიანთან ერთად, ბუნებაში გაისეირნებთ.

სახსტორი:

კარგი დროა ცოდნის მისაღებად ან გამოცდების ჩასაბარებლად. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ერთდეთ თვალთმაქცობასა და ტყუილს. იცოდეთ, ყოველი საიდუმლო მალე გამოაშკარავდება.

ცეცხლი:

პატივმოყვარეობა ახალი ცოდნის მიღებისაკენ გიბიძგებთ. საქმეები ერთფეროვანი, დამლელი მოგეჩვენებათ და ამიტომაც, მათ გვერდზე გადადებთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

მთვინეობა:

თუ ინტუიციას დაეყრდნობით და ისე იმოქმედებთ, თქვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. ეცადეთ, ოჯახში ან საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა აღადგინოთ.

მზის ჩახ:

შესაძლოა, პრობლემა შეგიქმნათ კომპიუტერულმა ან სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკამ. ეს ძველი სასიყვარულო ურთიერთობის განწყვეტისა და ახალი რომანტიკული თავგადასავლის დროა.

მთვინეობა:

შეუპოვრობის, მიზანდასახულობის, თვითკონტროლის, ნიჭისა და შრომისუნარიანობის მეშვეობით გასაოცარ წარმატებას მიაღწევთ. ნებისმიერ ინფორმაციას საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებთ.

მთვინეობა:

მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას არ აჩქარდეთ. კარგად ჩაივლის შეხვედრები და მოლაპარაკებები, განსაკუთრებით — უცხოელებთან. ფრთხილად იყავით, არსებობს ავარიის საშიშროება.

პატარა ბენიოსოკან

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან



მიშკო ნიკოლეიშვილი დედამ ზოპარკში წაიყვანა. პატარამ ზებრას უყურა, უყურა, შემდეგ კი თავის ზოლიან პერანგზე დაიხედა და წამოიძახა:
— დედა, ჩემი აცვია?!



ნიკა პირველად წაიყვანეს ზღვაზე. მან დიდი ტალღა დაინახა და დედას გასძახა:
— დედა, ჩქალა, ზღვა მომდევს...



დედასთან სტუმრად მყოფი პატარა ნიკა გულამოსკვნილი ტირის:
— მამა მინდაა... მამა მინდაა...
— ნიკა, რომ ტირი, — მამა მინდაო, დედა არ გყავს?
— დედაზე ხო გუშინ ვიტყვი... — ტირილით პასუხობს ნიკა.



მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:
— როგორ უნდა დაამტკიცო სამშობლოს სიყვარული?
— უნდა დააცემინო, — პასუხობს 6 წლის გიორგი ბერაია.



6 წლის თეონიკო ფხალაძე პირველად წავიდა სკოლაში. შინ დაბრუნებული დაიკოს ეუბნება:
— დღეს მასწავლებელმა საჭირო ოთახში გაგვიშვა და ტულატიც იქ ყოფილა...



პატარა თეონას ეხვეწებიან:

— ჭამე, შვილო, ანანასია.
— ვა, ანანამ გამომიგზავნა?



5 წლის თამუნა ქათამაძემ ტელევიზორში ახალ მანტიებში გამოწყობილი მოსამართლეები ნახა და დაიძახა:
— ბებო, ბებო, მოდი, ტელევიზორში მღვდლების პარლამენტი...



3 წლის ზუკამ დაინახა, თუ როგორ შემოაგდო ძლიერმა ქარმა ოთახში თოკზე გაფენილი სველი შარვალი და დედას უთხრა:
— დედიკო, დედიკო, შარვალს შესცივდა და თვითონ შემოვიდა სახლში.

თოტოკუხიოზები



ოსკარი

„მის თინეიჯერი“

გაფხულის სეზონი



უკვე აგროვებ ოსკარუნებს? დროა „ოსკარის“ კიდევ ერთ გრანდიოზულ პროექტში მიიღო მონაწილეობა – „მის თინეიჯერის“ შესარჩევი კონკურსი დაიწყო!

თინეიჯერო გოგონებო (13-დან 19 წლამდე), მიიღეთ მონაწილეობა კონკიას ჯადოსნურ ზღაპარში.

მოიტანეთ თქვენი საუკეთესო ფოტოები ჟურნალ „ოსკარის“ რედაქციაში (ან გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით) და გახდით ზაფხულის სეზონის გამარჯვებული.

თავაზდება: ტურისტული საგზურები, ძვირფასი სამკაულები საიუველირო მაღაზია „დელფოსისგან“, პერსონალური პორტფოლიო, ფოტოსესია ჟურნალ „ბომონდში“, კონტრაქტი სამოდულო სააგენტოსთან და კიდევ ბევრი ძალიან კარგი პრიზი.

კონკურსსანტთა ფოტოები დაიბეჭდება ჟურნალ „ოსკარში“ და განთავსდება ინტერნეტპორტალზე: www.ambebi.ge.

იჩქარა და აიხლინა ოსკარზე!



დამატავითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი“.